ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო



თბილისი, 2015

ბაგა ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო

ავტორთა ჯგუფი:
ხათუნა დოლიძე, ნინო ცინცაძე, თამთა კუხალეიშვილი, ნინო ჯიჯავაძე, იაგორ ბალანჩივაძე, ირმა გრიგოლია, ნუგზარ აბაკელია.

რეცენზენტები:

ეთერ ღვინერია

განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ანა ჯანელიძე,

ადრეულ ასაკში განათლებისა და ზრუნვის საერთაშორისო მაგისტრი ადამიანის განვითარებისა და ფსიქოლოგიის მაგისტრი

მხატვარი: ნინო ჯიჯავაძე.

© *მოცემული პუბლიკაციის ტექსტის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებისათვის, წყაროს მითითებით.*

განათლების ხარისხის განვითარების ერთიანი ცენტრი

პროფესიულ-კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

წინასიტყვაობა

სახელმძღვანელო შექმნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შეკვეთით, პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში და განკუთვნილია მოდულური პროფესიული განათლების პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელ--პედაგოგის“ სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო მოცავს პროფესიული განათლების პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელ--პედაგოგის“ ყველა ძირითად მოდულს და პასუხობს თითოეულის სწავლის შედეგს.

სახელმძღვანელო შედგება 13 თავისაგან, ამ თავებსა და ქვეთავებში განხილულია: ბავშვთა ადრეული განვითარების თავისებურებები, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების პრინციპები, ადრეული განათლების კურიკულუმები,, და სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება, მეცნიერება და მათემატიკა, სახვითი და დრამატული ხელოვნება, ფიზიკური აქტივობები, სააღმზრდელო გარემოს მოწყობის მნიშვნელობა, სააღმზრდელო პროცესის მართვა და პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენება, ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები, დაკვირვება და შეფასება, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები, ოჯახთან და თემთან მუშაობა, აღსაზრდელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, პროფესიული ეთიკა.

სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს პროფესიული პროგრამის სტუდენტებს შეისწავლონ აღმზრდელის პროფესიული უნარ-ჩვევები, გაეცნონ ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების თავისებურებებს, რაც პროგრამის დასრულების შემდეგ, მათ საშუალებას მისცემს იმუშაონ ნებისმიერ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში..

თითოეული საკითხის უფრო ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის სახელმძღვანელოში მითითებულია შესაბამისი ლიტერატურა.

სახელმძღვანელოზე იმუშავა ავტორთა ჯგუფმა: ხათუნა დოლიძე, ნინო ცინცაძე, თამთა კუხალეიშვილი, ნინო ჯიჯავაძე, იაგორ ბალანჩივაძე, ირმა გრიგოლია, ნუგზარ აბაკელია.

სარჩევი

1. ადრეული განვითარების თავისებურებები 7

1.1. განვითარების თეორიების მახასიათებლების განსაზღვრა 7

1.2. ასაკობრივი თავისებურებების განსაზღვრა 28

გამოყენებული ლიტერატურა 39

კითხვები თვითშეფასებისთვის 40

2. ადრეული განათლების კურიკულუმი 41

2.1 კურიკულუმის რაობის განსაზღვრა 42

2.2 კურიკულუმის მოდელების განსხვავება 50

2.3. საქართველოში არსებული ადრეული განათლების კურიკულუმების ანალიზი 60

გამოყენებული ლიტერატურა 65

კითხვები თვითშეფასებისათვის 66

3. ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპები 68

3.1. ბავშვზე ორიენტირებული და ჰოლისტური მიდგომის პრინციპები 69

3.2. თამაშით სწავლება 72

გამოყენებული ლიტერატურა 83

კითხვები თვითშეფასებისთვის 84

4. სასწავლო შინაარსი: კომუნიკაცია, ენისა და მეტყველების განვითარება, წიგნიერება 85

4.1. კომუნკაციის განვითარება 85

4.2 ენისა და მეტყველების განვითარება 89

4.3 წიგნიერება 93

გამოყენებული ლიტერატურა 95

კითხვები თვითშეფასებისთვის 95

5. სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა 96

5.1. ადრეულ ასაკში მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლების თავისებურებები 96

5.2. მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლების დაგეგმვა 101

5.3. მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლება 105

გამოყენებული ლიტერატურა 109

კითხვები და ამოცანები თვითშეფასებისთვის 109

6. სწავლების შინაარსი: სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები 111
6.1. სახვითი და პერფორმანსული ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების განსაზღვრა 112
6.2. ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების დაგეგმვა ადრეული განათლების დაწესებულებებში 117
6.3. ხელოვნებისა და ფიზიკური ატივობების სწავლება ადრეული განათლების დაწესებულებებში 120
გამოყენებული ლიტერატურა 122
კითხვები თვითშეფასებისთვის 123
7. სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება 124
7.1. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება 124
7.2. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება პრაქტიკაში 130
7.3. პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენება 134
გამოყენებული ლიტერატურა 137
კითხვები თვითშეფასებისთვის 137
8. სააღმზრდელო ფიზიკური გარემო 138
8.1. ფიზიკური გარემოს მნიშვნელობა 138
8.2. წარმატებული მხარდამჭერი გარემოს მახასიათებლების გამოყენება სააღმზრდელო პროცესში 140
8.3. ცენტრების და ეზოს ფიზიკური გარემოს მოწყობა 142
გამოყენებული ლიტერატურა 151
კითხვები თვითშეფასებისთვის 151
9. დაკვირვება და შეფასება 152
9.1. დაკვირვება და მონაცემთა შეგროვების მნიშვნელობა 153
9.2. მონაცემთა ინტერპრეტაცია 175
9. 3. დოკუმენტების წარმოება 177
9.4. ინფორმაციის გაზიარება 179
გამოყენებული ლიტერატურა 183
კითხვები თვითშეფასებისთვის 184
10. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თვისებურებები 186
10.1. ინკლუზიური განათლების ღირებულებები და პრინციპები 186
10.2. ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება 191

10.3. გსმ აღსაზრდელებთან მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა ჯგუფში.....193
10. 4. მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობა 194
გამოყენებული ლიტერატურა.....196
კითხვები დისკუსიისთვის 196
11. ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულება 197
11.1. მშობლებთან კომუნიკაცია და შეხვედრების ორგანიზება.....197
11.2. თემთან შეხვედრები და მშობლების რესურსის გამოყენება.....200
გამოყენებული ლიტერატურა.....202
კითხვები თვითშეფასებისათვის 202
12. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება 203
12.1. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 203
12.2. ჰიგიენის ძირითადი ნორმების დაცვისა და ჯანმრთელი კვების მნიშვნელობა 205
12.3. პირველადი დახმარების გაწევა 207
გამოყენებული ლიტერატურა.....212
კითხვები თვითშეფასებისთვის.....212
13. პროფესიული განვითარება და ეთიკა 213
13.1. აღმზრდელის უფლება-მოვალეობები 213
13.2. დოკუმენტაციის წარმოება.....214
13.3. პროფესიული ზრდის დაგეგმვა.....215
13.4. პროფესიული ეთიკა.....216
გამოყენებული ლიტერატურა.....218
კითხვები თვითშეფასებისთვის.....218

1. ადრეული განვითარების თავისებურებები



1.1. განვითარების თეორიების მახასიათებლების განსაზღვრა

ბავშვის განვითარების თავისებურებების ცოდნა ერთ-ერთი ნიშვნელოვანი საკითხია სკოლადელი აღზრდის დაწესებულების მომავალი თანამშრომლებისათვის. ამ ნაწილში მომავალი აღზმრდელ-პედაგოგაები გაეცნობიან განვითარების თეორიების იმ მახასიათებლებს, რომლებიც აუცილებელია მათთვის, როგორც პროფესიონალებისათვის. განვითარების თეორიების შესწავლა დაეხმარებათ მათ ბავშვებთან, მათ მშობლებთან და კოლეგებთან მუშაობის დროს. ამ ნაწილის შესწავლით სტუდენტი შეძლებს განვითარების თეორიების მახასიათებლების განსაზღვრას, გარდა ამისა, სტუდენტი შეძლებს:

- განვითარების თეორიების მთავარი პრინციპების განხილვას
- სწორად ჩამოთვლოს ადრეული ასაკის აღსაზრდელთა განვითარების თავისებურებების მახასიათებლები
- არგუმენტირებულად იმსჯელოს ბავშვის განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებზე

- არგუმენტირებულად იმსჯელოს ბავშვის განვითარების მასტიმულირებელ გარემოზე, აქტივობებზე.

ბავშვის განვითარება

ბავშვის განვითარება **განვითარების ფსიქოლოგიის** სახელით ცნობილი უფრო ფართო დისციპლინის, ინტერდისციპლინარული გაგებით კი - **ადამიანის განვითარების** ნაწილია, რომელიც ჩვენს სიცოცხლეში მომხდარ ყველა ცვლილებას მოიცავს. ყველა მკვლევარს თითქმის ერთნაირი მიზანი აქვს: განსაზღვროს და აღწეროს ის ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების პირველი ოცი წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებზე. განვითარების შესახებ კვლევებისათვის ასევე სტიმული გახდა სოციალური მოთხოვნა - უკეთესი გაგვეხადა ბავშვების ცხოვრება.

ადამიანის განვითარებას ხშირად ყოფენ სამ ფართო სფეროდ: ფიზიკურ, კოგნიტურ (შემეცნებით) და ემოციურ-სოციალურ განვითარებად.

ფიზიკური განვითარების სფერო მოიცავს: სხეულის ზომის, პროპორციების, გარეგნობის, სხეულის სისტემების მუშაობის, პერცეპტული და მოტორული შესაძლებლობებისა და ფიზიკური ჯანმრთელობის ცვლილებებს.

კოგნიტური განვითარების სფეროში შედის: ინტელექტუალური შესაძლებლობების ცვლილებები, ყურადღება, მეხსიერება, ზოგადი და ყოველდღიური ცოდნა, პრობლემების გადაჭრის, წარმოსახვის, შემოქმედებისა და ასევე ენისა და მეტყველების უნარები.

ემოციური და სოციალური განვითარებაა ცვლილებები ემოციურ ურთიერთობებში, თვითშემეცნებაში, სხვა ადამიანთა შესახებ ცოდნაში, სოციალურ ემოციური განვითარება ასევე მოიცავს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, , მორალურ მსჯელობასა და ქცევას.

განვითარების ეს სამი სფერო განცალკევებული არ არის, პირიქით, ისინი ერთმანეთს გადაფარავენ და ურთიერთქმედებენ.

განვითარების შესახებ მსჯელობისას, ამ სამი სფეროს ჯერ გამოყოფისა და შემდეგ გაერთიანების გარდა, სხვა დილემაც ჩნდება: როგორ დავყოთ ადამიანის განვითარების დროის ჯაჭვი რაციონალურ, ადვილად მართვად ნაწილებად. ჩვეულებრივ, მკვლევარები ბავშვის განვითარებას ყოფენ ხუთ პერიოდად, რომელთაგან თითოეულს ახალი შესაძლებლობები და მოლოდინები მოაქვს და თეორიებათა უმრავლესობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და გარდატეხების სახით წარმოგვიდგება.

1. *მუცლადყოფნის პერიოდი:* ჩასახვიდან დაბადებამდე. ამ 9-თვიან პერიოდში ყველაზე სწრაფი ცვლილებები აღინიშნება.

2. *ჩვილობა და ფეხის ადგმა:* დაბადებიდან 2 წლამდე პერიოდი. ამ დროს სხეულსა და ტვინში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რომელიც მრავალრიცხოვანი მოტორული, აღქმითი და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენას უწყობს ხელს; საფუძველი ეყრება მეტყველებას; პირველ ინტიმურ ურთიერიერთობებს. ჩვილობა მოიცავს სიცოცხლის პირველ წელს; „ფეხის ადგის პერიოდი“ კი პირობითად ცხოვრების მეორე წელია – , რომლის განმავლობაშიც ბავშვი პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს და უფრო დიდი ავტონომიისათვის ცვლილებებს მონიშნავს.

3. *ადრეული ბავშვობა:* 2-დან 6 წლამდე. სხეული იზრდება და იხვეწება, მოტორული უნარ-ჩვევები უმჯობესდება, ბავშვი სწავლობს საკუთარი თავის კონტროლს და დამოუკიდებლობას. ვითარდება წარმოსახვითი თამაშები, რაც ხელს უწყობს ფსიქოლოგიური განვითარების ყველა ასპექტს. გასაოცარი სისწრაფით ვითარდება აზროვნება და მეტყველება, აშკარა ხდება ზნეობრივი გრძნობების არსებობა, ბავშვი ურთიერთობებს ამყარებს თანატოლებთან.

4. *შუა ბავშვობა:* 6-დან 11 წლამდე. ბავშვები გარე სამყაროსა და იმ პასუხისმგებლობებს ეცნობიან, რომლებსაც მოზარდობაშიც შეასრულებენ. გაუმჯობესებული ფიზიკური შესაძლებლობები, გარკვეული წესებით ორგანიზებულ თამაშებში მონაწილეობა, უფრო ლოგიკური აზროვნება, წერა-კითხვის საფუძვლებში გაწაფვა, წინ გადადგმული ნაბიჯები თვითშემეცნებაში, ზნეობრიობასა და მეგობრობაში ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნებია.

5. *მოზარდობა:* 11-დან 18 წლამდე. ეს ზრდასრულობაში გარდამავალი პერიოდია. სქესობრივი მომწიფება ხელს უწყობს სხეულის ზომის დაახლოებას ზრდასრულის ზომასთან. აზროვნება აბსტრაქტული და იდეალისტური, ხოლო სწავლა უმაღლესი განათლების მისაღებად მომზადებასა და სამუშაოს მოძებნაზე ორიენტირებული ხდება. ახალგაზრდები ცდილობენ ოჯახისაგან დამოუკიდებლობის მიღწევას და პიროვნული ფასეულობებისა და მიზნების განსაზღვრას.

„ბევრი თანამედროვე ახალგაზრდისათვის, განსაკუთრებით კი განვითარებაად ქვეყანაში მცხოვრებისათვის, მოზრდილის როლზე გადასვლა დროში გაიწელა, რასაც შედეგად განვითარების ახალი პერიოდის, ე.წ. იძულებითი ზრდასრულობის - 18-დან 25 წლამდე - ჩამოყალიბება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ იძულებით ზრდასრულებს

სიყმაწვილის პერიოდი გავლილი აქვთ, ზრდასრულის როლი ჯერ კიდევ არა აქვთ სრულად მიღებული“.[1]

ფსიქო-სოციალური განვითარების თეორიები

ფსიქოლოგ ერიკ ერიკსონს მიაჩნდა, რომ ადამიანთა შეხედულებები საკუთარი თავის და სხვა ადამიანების შესახებ მთელი ცხოვრების მანძილზე მნიშვნელოვნად იცვლება. ერიკსონის ადამიანის განვითარების კლასიკური თეორია მოიცავს რვა ფსიქო–სოციალურ სტადიას[2], რომლებსაც ადამიანები მათი ცხოვრების მანძილზე გაივლიან. თითოეული სტადია მოიცავს განვითარების ამოცანას ანუ კრიზისს, რომელიც ადამიანმა უნდა გადაჭრას. ადამიანის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად გადალახავს იგი თითოეულ კრიზისს. რაც უფრო წარმატებით გაუმკლავდება ადამიანი თითოეულ ამოცანას, მით უფრო ფსიქოლოგიურად ჯანსაღი იქნება იგი. ქვემოთ მოცემულია ერიკსონის რვა ფსიქო–სოციალური სტადია (ცხრილი 1.1).

ფსიქო-სოციალური საფეხური	განვითარების პერიოდი	დახასიათება
ნდობა ან უნდობლობა (ორალური)	დაბადებიდან 1 წლამდე	თბილი, ყურადღებიანი ზრუნვა ჩვილს სამყაროს მიმართ ნდობასა და რწმენას უყალიბებს. უნდობლობა იმ შემთხვევაში ჩნდება, როცა ჩვილი თავს არაკომფორტულად გრძნობს ან ცუდად ეპყრობიან.
ავტონომია ან სირცხვილი და ეჭვი (ანალური)	1-3 წელი	შეძენილი გონებრივი და მოტორული უნარ-ჩვევების გამოყენებით ბავშვს დამოუკიდებელი არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების სურვილი უჩნდება. მშობლები ავტონომიას ხელს უწყობენ, თუ შვილს გონივრული თავისუფალი არჩევანის საშუალებას აძლევენ, ძალას არ ატანენ და არ არცხვენენ.
ინიციატივა ან დანაშაულის გრძნობა (ფალოსი)	3-6 წელი	წარმოსახვის საშუალებით ბავშვი ისეთი ადამიანის განსახიერებას ცდილობს, როგორიც სურს, რომ გახდეს. ინიციატივა, ამბიციისა და პასუხისმგებლობის გრძნობა მაშინ ვითარდება,

[1] ლორა ბერკი - ბავშვის განვითარება თავი I გვ. 11; ვრცლად ეს საკითხი იხ. იქვე გვ. 7-13

[2] ლორა ბერკი - ბავშვის განვითარება თავი I გვ. 28; ვრცლად ეს საკითხი იხ. იქვე გვ. 26-32

		როცა მშობელი ხელს უწყობს შვილში მიზნის დასახვის ახლადწარმოქმნილ გრძნობას. საფრთხე შეიძლება მაშინ გაჩნდეს, თუ მშობელი გადაჭარბებულ თვითკონტროლს მოითხოვს შვილისაგან, რაც ამ უკანასკნელს დანაშაულის გრძნობას უჩენს.
გულმოდგინება ან არასრულფასოვნება (ლატენტური)	6-11 წელი	სკოლაში (ან ბაღის დამამთავრებელ ჯგუფში) ბავშვებს შრომისა და თანამშრომლობის უნარი უვითარდებათ. არასრულფასოვნების გრძნობა ბავშვს მაშინ უჩნდება, როცა ოჯახში, სკოლაში და თანატოლებთან ურთიერთობა მასში არაკომპეტენტურობის გრძნობას ავითარებს.
იდენტურობა ან იდენტურობის მიუღწევლობა (გენიტალური)	მოზარდობა	მოზარდი ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: ვინ ვარ და რა ადგილი მიკავია საზოგადოებაში? არჩეულ ფასეულობებსა და პროფესიულ მიზნებს შედეგად მყარი პიროვნული იდენტიფიცირება მოაქვს. უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოვლინდეს მომავალი "დიდური" როლების აღრევაში
სიახლე ან იზოლაცია	ახალგაზრდობა	ახალგაზრდები ახლო ურთიერთობების დამყარებას ცდილობენ. იმედგაცრუებების გამო, ზოგიერთ მათგანს არ შეუძლია ახლო ურთიერთობების დამყარება და იზოლაციაში რჩება.
გენერაციულობა ან სტაგნაცია	ზრდასრულობა	გენერაციულობა ნიშნავს შთამომავლობის გაგრძელებას ბავშვის აღზრდით, სხვა ადამიანებზე ზრუნვით ან ნაყოფიერი შრომით. ამ სფეროებში წარუმატებლობა ადამიანს მნიშვნელოვან დაღს ასვამს.
ინტეგრაცია ან სასოწარკვეთა	ხანდაზმულობა	ამ ბოლო სტადიის დროს ინდივიდები იმის განსჯას იწყებენ, როგორები იყვნენ. სისავსის გრძნობა მაშინ ჩნდება, თუკი ფიქრობენ, რომ "ცხოვრება ღირდა". საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილო მოხუცებს სიკვდილის ეშინიათ.

ცხრილი 1.1. ერიკსონის რვა ფსიქო–სოციალური სტადია

ერიქსონის თითოეული საფეხური მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო ვრცლად იმ საფეხურებს განვიხილავთ, რომლებიც სკოლამდელ ასაკში ყველაზე მეტად გამოიყენება.

ავტონომია სირცხვილისა და ეჭვის წინააღმდეგ (1-3 წელი). ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება მისი კუნთების კოორდინაცია და მობილურობის (მოძრაობის) უნარი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ზოგიერთი მოთხოვნილება თვითონვე დაიკმაყოფილოს. ბავშვი იწყებს დამოუკიდებლად ჭამას, დაბანას, ჩაცმას და საპირფარეშოს გამოყენებას. "თუ ბავშვის აღმზრდელები ამხნევებენ მის დამოუკიდებელ მოქმედებას, ბავშვს უვითარდება ავტონომიის განცდა, შეგრძნება იმისა, რომ მას შეუძლია ბევრ ამოცანას და პრობლემას თავად გაუმკლავდეს. ხოლო თუ აღმზრდელები არ აძლევენ ბავშვს ისეთი ამოცანების შესრულების უფლებას, რაც მას უკვე შეუძლია და დასცინიან მის მცდელობებს, იყოს დამოუკიდებელი, ბავშვს უყალიბდება სირცხვილის და ეჭვის გრძნობა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ"[3].

ინიციატივა დანაშაულის გრძნობის წინააღმდეგ (3-5 წლის ასაკი). სკოლამდელი ასაკის ბავშვებს თანდათან დამოუკიდებლად უფრო მეტი ამოცანის შესრულება შეუძლიათ. ხანდახან ბავშვები ისეთ საქმიანობას ჰკიდებენ ხელს, რომელთა შესრულებაც მათ ადვილად შეუძლიათ. მაგრამ ზოგჯერ იმასაც ცდილობენ, რაც მათ შესაძლებლობებს აღემატება, ან რომლებიც ხელს უშლის სხვა ადამიანების გეგმებს და საქმიანობებს. თუ მშობლები და ბაღის აღმზრდელები ახალისებენ ბავშვების მცდელობებს და ამავე დროს ეხმარებიან მათ რეალისტური და შესაფერისი არჩევანის გაკეთებაში, ბავშვებს უვითარდებათ ინიციატივის გრძნობა —საქმიანობების დამოუკიდებლად დაგეგმვის და შესრულების უნარი. ხოლო, თუ მოზრდილები არ აძლევენ ბავშვებს იმის უფლებას, რომ ამოცანებს თვითონვე გაუმკლავდნენ და მიიჩნევენ, რომ ბავშვების მცდელობა, იყვნენ დამოუკიდებელნი სასაცილო და მომაბეზრებელია, მაშინ ბავშვებს უჩნდებათ დანაშაულის გრძნობა საკუთარი მოთხოვნილებების და სურვილების მიმართ.

კოგნიტური განვითარების თეორია

სწავლების უმნიშვნელოვანესი მიზანი ბავშვის კოგნიტური განვითარების ხელშეწყობაა. კოგნიტური განვითარება გულისხმობს ბავშვის აზროვნების, შემეცნებითი თუ განსჯის უნარებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებას. **კოგნიტური განვითარების თეორიის** თანახმად ბავშვები ცოდნას სამყაროში ქმედებებისა და კვლევის გზით აგროვებენ.

[3] ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე - განვითარებისა და სწავლების თეორიები თბ. 2008წ. გვ. 145 სრულად ეს თეორია იხ. იქვე 144-151

პიაჟეს თეორიის მიხედვით ტვინის განვითარებასა და გამოცდილების გამდიდრებასთან ერთად ბავშვები გაივლიან განვითარების ოთხ ვრცელ საფეხურს, რომელიც ხარისხობრივად განსხვავებული აზროვნებით ხასიათდება. 1.2 ცხრილში მოკლედ არის აღწერილი პიაჟესეული საფეხურები.

საფეხური	**განვითარების პერიოდი**	**დახასიათება**
სენსომოტორული	დაბადებიდან 2 წლამდე	ჩვილები თვალებით, ყურებით, ხელებითა და პირით "ფიქრობენ". ამის შედეგად ისინი სენსომოტორული პრობლემების გადაჭრის ისეთ გზებს პოულობენ, როგორიცაა რადიოს ღილაკზე თითის დაჭერა მუსიკის მოსასმენად, დამალული სათამაშოების პოვნა და ყუთში საგნების ჩაწყობა და ამოღება.
წინაოპერაციული	2-7 წელი	სკოლამდელები სიმბოლოებს თავიანთი ადრეული სენსომოტორული "აღმოჩენების" გამოსახატავად იყენებენ. ვითარდება მეტყველება და ფანტაზია. მიუხედავად ამისა, აზროვნება მომდევნო ორ საფეხურზეც არასაკმარისი ლოგიკურობით ხასიათდება.
კონკრეტული ოპერაციების	7-11 წელი	ბავშვის აზროვნება ლოგიკური ხდება. სკოლის ასაკის ბავშვები ხვდებიან, რომ ლიმონათისა და საძერწი ცომის რაოდენობა განსხვავებულ ჭურჭელში მოთავსებით არ იცვლება. ისინი საგნებს კლასებისა და ქვეკლასების იერარქიის მიხედვით აჯგუფებენ. მიუხედავად ამისა, აზროვნება ჯერ კიდევ შორსაა ზრდასრულის აზროვნებისაგან. ის ჯერ კიდევ არ არის აბსტრაქტული.
ფორმალური ოპერაციის	11 წლის შემდეგ	აბსტრაქციის უნარი მოზარდებს რეალურ სამყაროში არარსებული სიმბოლოებით აზროვნების საშუალებას აძლევს, მაგალითად, მათემატიკაში. მათ მეცნიერული პრობლემის ყველა შესაძლო (და არამარტო აშკარა) შედეგზე ფიქრიც შეუძლიათ.

ცხრილი 1.2 პიაჟეს განვითარების სტადიები

უფრო სრულად განვიხილოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელ რამდენიმე სტადიას:

პრეოპერაციული სტადია (2–დან 7 წლამდე). „პრეოპერაციულ სტადიაში ბავშვთა ენობრივი უნარები საოცარი სისწრაფით ვითარდება, რაც მათ საშუალებას აძლევს, გონებაში წარმოსახონ და, სიმბოლოების საშუალებით, იფიქრონ მრავალფეროვან საგნებზე და მოვლენებზე. ბავშვებს შეუძლიათ“[4], გამოხატონ თავიანთი აზრები და მიიღონ ინფორმაცია ენის საშუალებით, რაც ადრე მათთვის შესაძლებელი არ იყო. მიუხედავად ამისა, პრეოპერაციულ სტადიაში ბავშვთა აზროვნების უნარი საოცრად პრიმიტიული რჩება. პიაჟეს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო ის, რომ პატარა ბავშვებს არ ესმით კონსერვაციის (შენარჩუნების) პრინციპები.

მაგალითი: 5 წლის ქეთის ვაჩვენეთ ორი ერთნარი, განიერი და დაბალი ჭიქა, რომლებშიც ერთი და იგივე რაოდენობის წყალი ასხია. როცა ქეთის ვეკითხებით, შეიცავს თუ არა ორივე ჭიქა ერთსა და იმავე რაოდენობის წყალს და იგი დარწმუნებული გპასუხობს, რომ კი, ეს მართლაც ასეა. შემდეგ მეორე ჭიქიდან წყალს მესამე, უფრო მაღალ და ვიწრო ჭიქაში ვასხამთ და ქეთის ვეკითხებით, შეიცავს თუ არა პირველი და მესამე ჭიქა ერთსა და იმავე რაოდენობის წყალს. ქეთი გვპასუხობს, რომ არა, მესამე ჭიქაში უფრო მეტი წყალია, იმიტომ რომ ის უფრო მაღალია. ქეთის პასუხიდან ჩანს, რომ მას კონსერვაციის პრინციპები არ ესმის: იგი ვერ ხვდება, რომ რადგან წყალი არც დაგვიმატებია და არც მოგვიკლია, მაშინ წყლის რაოდენობა პირველ და მესამე ჭიქაში თანაბარი უნდა იყოს. ქეთი ყურადღებას აქცევს მხოლოდ ერთ ასპექტს (ჭიქის სიმაღლეს) და იგნორირებას უკეთებს ყველაფერს სხვას (მაგალითად, იმ ფაქტს, რომ წყალი არც დაგვიმატებია და არც მოგვიკლია). პრეოპერაციულ სტადიაში მყოფ ბავშვს სჯერა, რომ მთლიანი ნამცხვარი უფრო მეტია, ვიდრე 8 ნაჭრად დაჭრილი იმავე ზომის ნამცხვარი.

პრეოპერაციული აზროვნება ხასიათდება რამდენიმე თავისებურებით, რითაც შეგვიძლია ავხსნათ, თუ რატომ უშვებენ ბავშვები მსგავს შეცდომებს.

- პირველი დამახასიათებელი თვისებაა **ცენტრაცია**: ყურადღების გამახვილება სიტუაციის მხოლოდ ერთ, ყველაზე ნათელ და ადვილად აღსაქმელ ასპექტზე და ყველა სხვა დანარჩენი ასპექტის იგნორირება. ჭიქის სიმაღლე წყლის ყველაზე ადვილად აღსაქმელი თავისებურებაა, ამიტომაც ბავშვები ასკვნიან, რომ მაღალ, ვიწრო ჭიქაში უფრო მეტი წყალი ასხია.

[4] ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე - განვითარებისა და სწავლების თეორიები თბ. 2008წ. გვ. 20 სრულად ეს თეორია იხ. იქვე 13-33

- მეორე თავისებურებაა ის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არა აქვთ **ტრანსფორმაციის გაგების უნარი:** ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის პროცესის გონებაში ასახვის და აღბეჭდვის უნარი. მათ არ შეუძლიათ, გონებაში აღბეჭდონ მეორე ჭიქიდან მესამეში გადასხმის პროცესი; ისინი მესამე ჭიქას აღიქვამენ, როგორც სრულიად ახალს და განსხვავებულს.
- ხოლო მესამე თავისებურებაა ის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს არა აქვთ უნარი, შეასრულონ ოპერაციები, ანუ გონებრივი წარმოსახვები, რომლებიც **შექცევადია**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ არა აქვთ უნარი, თავიანთი ფიქრის მიმართულება შეცვალონ ისე, რომ საწყის პოზიციას დაუბრუნდნენ. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება იცოდეს, რომ 2 + 4 = 6, მაგრამ არ ესმოდეს, რომ საწინააღმდეგო მოქმედება 6 − 4 = 2 სწორია. პრეოპერაციული სტადიის ბავშვებს გონებაში წყლის გადასხმის პროცესის საწინააღმდეგო მიმართულებით წარმოდგენის უნარი რომ ჰქონდეთ, ისინი მიხვდებოდნენ, რომ როცა წყალს ისევ უკან, დაბალ ჭიქაში გადაასხამ, მისი რაოდენობა არ შეიცვლება.

პრეოპერაციული სტადია ასევე ხასიათდება **ეგოცენტრული** აზროვნებით: სიტუაციების სხვა ადამიანის პოზიციიდან/მხედველობის არედან დანახვის უნარის ნაკლებობით. ამ სტადიაზე მყოფი ბავშვი ფიქრობს, რომ ყველა ისე ხედავს სამყაროს, როგორ თავად ხედავს. ქვემოთ მოცემულია ეგოცენტრული აზროვნების 2 მაგალითი. სატელეფონო საუბარი 4 წლის დანიელსა და მის მამას შორის: მამა ეკითხება „დედა სახლში არის?“ დანიელი თანხმობის ნიშნად თავს აქნევს, ან კიდევ 3,5 წლის ბაია ბებოს ესაუბრება ტელეფონით: „ბებო ნახე დედამ რა ლამაზი თოჯინა მიყიდა!“, თან თოჯინას ზემოთ წევს და თითქოსა აჩვენებს.

დანიელისა და ბაიას პასუხი ეგოცენტრულია, ისინი ვერ ხედავენ სიტუაციას მამის და შესაბამისად ბებოს მხედველობის არედან და ვერ ხვდება, რომ მამას (ბებოს) არ შეუძლია დაინახოს, თუ როგორ დაუქნია საბამ თავი, ან კიდევ აჩვენა თოჯონა.

პრეოპერაციული სტადიის ბოლოსკენ ბავშვები მოწიფული ლოგიკური აზროვნების ნიშნების გამომჟღავნებას იწყებენ. მაგალითად, მათ ხანდახან შეუძლიათ, სწორად გადაჭრან პრობლემები, რომლებიც საგანთა სხვადასხვა კატეგორიებში ჩართვას მოითხოვს (მაგალითად, მძივის მარცვლების პრობლემა) და ამოცანები, რომლებიც კონსერვაციის პრინციპების გაგებას მოითხოვს (მაგალითად, წყლის ჭიქების პრობლემა). მაგრამ, მათი აზროვნება გუმანსა და ინტუიციაზეა დაყრდნობილი, და არა ძირითადი

ლოგიკური პრინციპების შეგნებულ ცოდნაზე. ამიტომაც ბავშვებს არ შეუძლიათ ახსნან, თუ რატომ არის მათი დასკვნები და პასუხები სწორი. [5]

ბიჰევიორიზმი

ბიჰევიორიზმის თანახმად შესწავლის ფოკუსში არის უშუალოდ დასაკვირვებელი მოვლენები - სტიმულები და რეაქციები. ჩრდილოამერიკულ ბიჰევიორიზმს საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგ ჯონ უოტსონის შრომებმა.

უოტსონი შთააგონა რუსი ფიზიოლოგის ივენ პავლობის ცხოვლეთა შესახებ სწავლებამ, რომელმაც ცხოველებზე ჩატარებული კვლევის შედეგად შენიშნა, რომ თუ საკვების მიცემამდე დარეკავდნენ ზარს, შემდეგ მისცემდნენ საკვებს და ამას რამდენიმეჯერ გაიმეორებდნენ, სულ მალე მხოლოდ ზარის დარეკვა (საჭმლის მიცემის გარეშე) იწვევდა ძღლში ნერწყვის გამოყოფას. საჭმლის პირში მოხვედრისას ნერწყვის გამოყოფა ბუნებრივი ფაქტია, მაგრამ ზარის ხმაზე ნერწყვის გამოყოფა ეს იყო სიახლე, რომელიც პავლოვმა მიიღო ცდების შედეგად. პავლოვის პირობითი რეგლექსების ამ თეორიას მოგვიანებით უწოდეს კლასიკური განპირობებულობა. განპირობებულობა - დასწავლის ტიპი, როდესაც კავშირი მყარდება სტიმულსა და რეაქციას შორის. მაგ.: აღმზრდელ პედაგოგის სტყვები: „გამოდი ავაწყოთ პირამიდა“ არის სტიმული, რომელზეც საპასუხო რეაქცია აღსაზრდელის მხრიდან არის ის, რომ გამოდის პირამიდის ასაწყობად. პირობითი რეფლექსები უხვად გვაქვს ადამიანებს შეძენილი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში და იგი სწავლის ერთ-ერთ უმარტივეს სახეს წარმოადგენს

უოტსონს სურდა გაეგო, შესაძლებელი იყო თუ არა კლასიკური განპირობებულობის გამოყენება ბავშვის ქცევასთან მიმართებაში. თავის ისტორიულ ექსპერიმენტში მან 11 თვის ალბერტს ასწავლა ნეიტრალური სტიმულის რბილი თეთრი ვირთხის შიში, რომლის გამოჩენას თან მკვეთრი, მჭახე ხმა სდევდა. ეს ხმა ბუნებრივად აშინებდა პატარას. თუ დასაწყისში პატარა ფუმფულა ვირთხისაკენ ხელს იწვდიდა, შემდეგ მისი დანახვისთანავე თავს აბრუნებდა და ტირილს იწყებდა. **უოტსონმა დაასკვნა,** რომ განვითარებაში მთავარ როლს გარემო ასრულებს[6].

განვიხილოთ სიტუაცია: დანიელი ცხრაბავშვიან ოჯახში მეექვსე ბავშვია. მას ბევრი რამ უყვარს; მაგალითად: როკ-მუსიკა, ფეხბურთის თამაში და მარწყვის ნაყინი. მაგრამ ყველაზე მეტად დანიელს ყურადღება უყვარს. დანიელმა კარგად იცის, როგორ მიიპყროს სხვა ადამიანების ყურადღება. იგი აღმზრდელ-მასწავლებლის ყურადღების მისაქცევად პასუხებს ხმამაღლა წამოიძახებს ხოლმე, აღმზრდელის მიმართულებით

[5] ვრცლად იხ. ლორა ბერკი ბავშვის განვითარება თავი I გვ. 29-32
[6] ლორა ბერკი - ბავშვის განვითარება თავი I გვ. 27; ვრცლად იქვე გვ. 27-29

ქაღალდებს და საშლელებს ისვრის და უარს ამბობს მიცემული დავალების შესრულებაზე. იმისათვის, რომ თანატოლების ყურადღება მიიქციოს, მათ აჯავრებს, ხელს კრავს და ზოგჯერ უწმაწურ სიტყვებს ამბობს. დანიელი ყურადღების ცენტრში ექცევა: აღმზრდელი და აღმზრდელი თანაშემწე მას მასხრობისთვის და სხვა ცუდი საქციელისთვის ხშირად ბაღის მენეჯერის კაბინეტში აგზავნიან. მართალია, ყურადღება, რომელსაც დანიელი იღებს, ხშირად აღმზრდელის დატუქსვაში, თანტოლების გაბრაზებაში, მენეჯერის დარიგებასა და გაფრთხილებაში გამოიხატება, მაგრამ დანიელისთვის ასეთი ყურადღებაც მნიშვნელოვანია.

1. როგორ ფიქრობთ, ადამიანების ყურადღების მისაპყრობად რატომ ირჩევს დანიელი გასაკიცხ საქციელს?
2. კონკრეტულად რა ისწავლა დანიელმა თავისი გამოცდილებიდან? შეგიძლიათ მისი ყურადღების მისაქცევი მოქმედებიდან სწავლის პრინციპი შეიმუშავოთ?

მოცემული სიტუაცია გვიჩვენებს ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპის მაგალითს: ადამიანები სწავლობენ და ამჟღავნებენ ისეთ ქცევებს, რომლებსაც, მათი აზრით, სასურველი შედეგი მოაქვს. ქვემოთ მოცემულია ბიჰევიორიზმის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა.

ადამიანთა ქცევა ხშირად მათ გარემოში არსებული სტიმულების საპასუხოდაა მიმართული. ბიჰევიორისტები თვლიან, რომ დაბადებისას ადამიანი "ტაბულა რასას" ანუ სუფთა დაფას წარმოადგენს: მას არ გააჩნია მიდრეკილება კონკრეტული ქცევისკენ. დროთა განმავლობაში გარემო ხელს უწყობს ადამიანის ხასიათის და ქცევის თავისებურებების ჩამოყალიბებას. აღმზრდელ-მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვის წარსული და აწმყო, მისი გარემო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მის ქცევაზე. აღმზრდელ-მასწავლებლებს შეუძლიათ ამ ძირითადი პრინციპის ბავშვის სასარგებლოდ გამოყენება: სასწვლო-განმავითარებელი გარემო მოსწავლეთა ქცევაზე ზემოქმედებს.

ბიჰევიორისტების განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ პრიმაკის პრინციპს. აღმზრდელებს შეუძლია წაახალისოს აღსაზრდელებისათვის ნაკლებად სასურველი ქცევა, თუ ისინი მას უფრო სასურველ ქცევებს დაუკავშირებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღმზრდელი მხოლოდ მაშინ ხდის სასურველ ქცევას ხელმისაწვდომს, როცა აღსაზრდელები ნაკლებად სასურველ მოქმედებას შეასრულებენ. მაგალითად, როცა აღმზრდელ-მასწავლებელი აღსაზრდელებს ეუბნება: „როგორც კი მორჩებით ამ აქტივობას, შეგიძლიათ გარეთ გახვიდეთ", ან „ჯერ აალაგეთ თქვენი ფანქრები და ფერადი ფურცლები და მერე ზღაპარსს წაგიკითხავთ", იგი პრემაკის (დევიდ პრემაკი, ამერიკელი ფსიქოლოგი) პრინციპს იყენებს. აღმზრდელებს შეუძლიათ პრემაკის

პრინციპის გათვალისწინებით, აქტივობა ისე დაგეგმონ, რომ ნაკლებად სასურველ დავალებებს უფრო სახალისო დავალებები მოსდევდეს. აგრეთვე, შეიძლება სახალისო საქმიანობებში მონაწილეობა დამოკიდებული გახადონ ნაკლებად სასიამოვნო დავალებების წარმატებით შესრულებაზე. [7]

სოციალური დასწავლის თეორია

სოციალური დასწავლის თეორია თავდაპირველად ბიჰევიორიზმზე იყო დაფუძნებული. ეს თეორია ბიჰევიორიზმის ძირითად პრინციპებს ეთანხმება, მაგრამ უფრო მეტად აქცენტს გონებრივ პროცესებზე აკეთებს. იგი ხაზს უსვამს აზროვნების გავლენას ქცევაზე და ქცევის გავლენას აზროვნებაზე.

არსებობს სოციალური სწავლების თეორიის რამდენიმე სახე. ყველაზე მნიშვნელოვანი კანადელი ფსიქოლოგის ალბერტ ბანდურას თეორიაა, რომელიც მოდელირებას უსვამს ხაზს და იმიტაციის ანუ დაკვირვებადი სწავლის, როგორც განვითარების მძლავრი წყაროს სახელწოდებით არის ცნობილი. ბავშვი, რომელიც დედის მიბაძვით ტაშს უკრავს, თანატოლს ისევე ბრაზით არტყამს ხელს, როგორც თავად ის დასაჯეს სახლში, ბავშვი, რომელსაც თანატოლების მსგავსი ტანსაცმელი და ვარცხნილობა აქვს, დაკვირვებადი სწავლის მაგალითებია. ადამიანები სწავლობენ სხვა ადამიანებზე, ანუ მოდელებზე დაკვირვების საშუალებით. მაგალითად, აღსაზრდელს აღმზრდელზე დაკვირვებით, შეუძლია ისწავლოს სიტყვების სწორად წარმოთქმა ან რაიმე დავლების შესრულება, დაჯგუფება და ა. შ..

ადამიანის ქმედება გარკვეულ მიზნებზეა მიმართული. სოციალური დასწავლის თეორიის თანახმად, ადამიანები ისახავენ მიზნებს და შესაბამისად, ამ მიზნების მისაღწევად მიმართავენ თავიანთ ქმედებებს; ისინი მოტივირებულნი არიან, მიზნებს მიაღწიონ. აღსაზრდელებს სხვადასხვაგვარი მიზანი შეიძლება ჰქონდეთ, მაგალითად, კარგი შექება, თანატოლებს შორის პოპულარულობა, ჯგუფის გამრთობის რეპუტაცია ან სპორტში წარმატება.

ადამიანის ქცევა თანდათანობით უფრო თვითრეგულირებული ხდება. პატარა ბავშვების ქცევას მნიშვნელოვნად აკონტროლებენ და მართავენ სხვა ადამიანები: მშობლები, უფროსი დები და ძმები, ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლები და ა.შ. ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება ის პასუხისმგებლობაც, რომელსაც იგი საკუთარ ქცევაზე იღებს. მოზრდილი ბავშვები თვითონ წარმართავენ და აკონტროლებენ თავიანთ ქცევას

[7] უფრო ვრცლად იხ.. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე - განვითარებისა და სწავლების თეორიები თბ. 2008წ. 71-91

და აზროვნების პროცესებს, რათა დასახულ მიზნებს მიაღწიონ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი თვითრეგულაციის უნარი თანდათანობით იზრდება. 1950-იანი წლებისათვის სოციალური დასწავლის თეორია ბავშვის განვითარების შესწავლაში წამყვანი გახდა.

ქვემოთ მოცემულია სოციალური დასწავლის თეორიის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა:

სოციალური დასწავლის თეორიის ძირითადი პრინციპები და მათი მნიშვნელობა განათლებაში		
პრინციპი	**მნიშვნელობა**	**მაგალითი**
დაკვირვებით სწავლა	აჩვენეთ აღსაზრდელებს ახალი ქცევის მაგალითები: ამით თქვენ მათ ახალი ქმედებების სწრაფად ათვისებაში დაეხმარებით.	აჩვენეთ აღსაზრდელს თუ როგორ შეიძლება კონფლიქტების ეფექტური გადაჭრა. შემდეგ სთხოვეთ მათ კონფლიქტების გადაჭრის სცენარის როლებში გაითამაშონ.
სწავლა როგორც შინაგანი პროცესი, რომელიც შეიძლება აისახოს ან არ აისახოს ქცევაზე	გახსოვდეს, რომ ახლად ნასწავლი მასალა ყოველთვის დაუყონებლივ არ ახდენს გავლენას მოსწავლის ქცევაზე ის შეიძლება მოგვიანებით აისახოს ქცევაზე	მიმართეთ შესაბამის ზომებს, როდესაც აღსაზრდელი განმავითარებელ ოთახში ქცევის წესებს არღვევს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სხვა აღსაზრდელებმაც მიბაძონ.
ადამიანებისა და გარემოს ურთიერთგავლენა	წააქეზეთ აღსაზრდელები ისეთი არჩევანი გაკეტონ, რაც მათი სწავლისა და განვითარებისათვის სასარგებლო იქნება.	აუხსენით აღსაზრდელებს, თუ რატომ არის სასარგებლო სხვადასხვა სახის გასართობ და განმავითარებელ ღონისძიებებში მონაწილეობების მიღება.
ქცევის თვითრეგულაცია	ასწავლეთ აღსაზრდელებს ეფექტური სწავლისა და ქცევის სტრატეგიები.	მიეცით აღსაზრდელებს იმის კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ შეახსენონ საკუთარ თავს, რის მოტანა სჭირდება საბავშვო ბაღში.

ცხრილი 1.4

ბანდურას შეხედულებით, ბავშვები თანდათან უფრო ყურადღებიანნი ხდებიან იმის მიმართ, რის იმიტაციასაც ახდენენ. საკუთარი თავის მაქებარ ან გამკიცხავ ადამიანებზე დაკვირვებით და ამ დაკვირვების საკუთარ ქმედებასთან დაკავშირებით, ისინი ქცევის პერსონალურ სტანდარტებსა და საკუთარი თავის რწმენას გამოიმუშავებენ. ეს ცოდნა კონკრეტულ სიტუაციებში რეაქციებს წარმართავს (ბანდურა, 1999, 2001). მაგალითად, წარმოვიდგინოთ მშობელი, რომელიც ხშირად აღნიშნავს, "ბედნიერი ვარ, რომ ეს საქმე გავაკეთე, მიუხედავად იმისა, რომ რთული იყო". ის დაჟინების, მონდომების მნიშვნელობას ხსნის და ამ თვისებას წაახალისებს კიდეც: "ვიცი, რომ საშინაო დავალებად მოცემულ ლექსს კარგად ისწავლი!" მალე ბავშვი საკუთარ თავს შრომისმოყვარე და მიზანდასახულ ადამიანად აღიქვამს და ამ თვისებების მქონე ადამიანებს ირჩევს მოდელად. ამგვარად, რაკი იძენენ საკუთარ დამოკიდებულებებს, ფასეულობებსა და შეხედულებებს, ბავშვები არეგულირებენ საკუთარ სწავლასა და ქცევას.[8]

ვიგოტსკის სოციოკულტურული თეორია

ბავშვის განვითარების სფეროში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ბავშვის ცხოვრების კულტურული გარემოს კვლევებმა. მეცნიერები განვითარებაში კულტურულ განსხვავებებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, მაგალითად, ერთი კულტურის წარმომადგენელ ბავშვებს მეტი მიღწევები ჰქონდათ მოტორულ განვითარებაში ან უკეთ ასრულებდნენ ინტელექტურ ამოცანებს, თუ მეორე კულტურის წარმომადგენლებს. ამ თვალსაზრისს, შესაძლებელია, განეპირობებინა მცდარი დასკვნები განვითარებაში ერთი კულტურის უპირატესი და მეორე კულტურის შეზღუდული როლის შესახებ.

დღეს კვლევათა დიდი ნაწილი სპეციფიკური კულტურული გამოცდილებისა და განვითარების ურთიერთობას სწავლობს. ამ მიმართულებაში წამყვანი როლი რუსმა ფსიქოლოგმა ლევ ვიგოტსკიმ შეასრულა. მის პერსპექტივას **სოციოკულტურული თეორია** ეწოდება. ის იკვლევს, როგორ გადაეცემა კულტურა – სოციალური ჯგუფის ფასეულობები, რწმენა, ტრადიციები და ჩვევები – მომდევნო თაობებს. ვიგოტსკის აზრით, სოციალური ურთიერთქმედება, კერძოდ, მეგობრული დიალოგი ბავშვებსა და საზოგადოების უფრო მცოდნე წევრებს შორის, აუცილებელია ბავშვებისათვის თემის კულტურისათვის დამახასიათებელი აზროვნებისა და ქცევის გასაცნობად. ვიგოტსკის თეორია განსაკუთრებულ გავლენას ბავშვის შემეცნების შესწავლაზე ახდენდა.

---

[8] ვრცლად იხილეთ ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე - განვითარებისა და სწავლების თეორიები თბ. 2008წ. გვ. 91-107

ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. მისი შეხედულებით, ბავშვების აზროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის დროს ბავშვები იძენენ ისეთ ცოდნას, რომლის შეძენას ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ. ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ ბავშვები სწავლობენ მოქმედებაში, ანუ როცა ისინი უფრო მცოდნე ადამიანებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული რაიმე მნიშვნელოვან საქმიანობაში. ასეთი საქმიანობის დროს ბავშვები აქტიურად შედიან დიალოგში მათ გარშემო მყოფ ადამიანებთან. დიალოგის საშუალებით ხდება იდეების გაცვლა და ბავშვის განვითარებაც წინ იწევს.

განვითარების უახლოესი ზონა - „განვითარების უახლოესი ზონა გულისხმობს იმ ამოცანათა და მოქმედებათა მრავალფეროვნებას, რომელთა შესრულება ბავშვს არ შეუძლია დამოუკიდებლად, მაგრამ შეუძლია მოზრდილი ადამიანების, ან უფრო კომპეტენტური თანატოლების დახმარებით“[9]. ვიგოტსკი განასხვავებს ბავშვის განვითარების არსებულ და პოტენციურ განვითარების დონეებს. ბავშვის განვითარების არსებული დონე გულისხმობს იმ ამოცანების ზედა ზღვარს, რომელთა შესრულება ბავშვს დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე შეუძლია. ბავშვის განვითარების პოტენციური დონე კი გულისხმობს იმ ამოცანათა/მოქმედებათა ზედა ზღვარს, რომელთა შესრულება ბავშვს შეუძლია უფრო კომპეტენტური ადამიანის დახმარებით. განვითარების უახლოესი ზონა არის მანძილი ბავშვის რეალური განვითარების დონესა (ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარს „მე თვითონ “) და პოტენციური განვითარების დონეს (ამოცანების სხვების დახმარებით გადაჭრის უნარს) შორის. ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა მოიცავს სწავლის და პრობლემების გადაჭრის უნარებს, რომლებიც მხოლოდ ახლა იწყებს აღმოცენებას და განვითარებას. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში ყოველი ბავშვის უახლოესი განვითარების ზონა იცვლება; ბავშვი გარკვეულ ამოცანებს/მოქმედებებს ეუფლება და მზად არის უფრო რთული დავალებების შესასრულებლად.

[9] ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე - განვითარებისა და სწავლების თეორიები თბ. 2008წ. გვ. 57 სრულად ეს თეორია იხ. იქვე 55-63



სქემა 1.5 განვითარების უახლოესი ზონა

ვიგოდსკის თეორიამ და შემდგომში კვლევებმა ცხადყო, რომ ნებისმიერ კულტურაში ბავშვები უნიკალურ ღირსებებსა და ძალებს ივითარებენ, ამით მან უარყო განვითარების ბილოგიური მხარე. მიუხედავად იმისა, რომ ის მემკვიდრეობასა და ტვინის ზრდის მნიშვნელობას აღიარებდა. ცოდნის სოციალური გზით გადაცემის ხაზგასმა, ნიშნავდა, რომ ვიგოტსკი ბავშვის მიერ საკუთარ განვითარებაზე ზემოქმედების უნარს შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგ.: პატარა გოგონა ბებიას ხელმძღვანელობით სვიტერის ვერტიკალურ ქსოვას სწავლობს. ვიგოტსკის სოციოკულტურული თეორიის თანახმად, ბავშვებსა და გამოცდილ უფროსებს შორის სოციალური ურთიერთობები ბავშვებს მოცემულ კულტურაში წარმატებისათვის არსებით აზროვნებასა და ქცევას ასწავლის.[10]

ეკოლოგიური სისტემების თეორიები

ურიე ბრონფენბრენერმა ჩაუყარა საფუძველი ახალ მიდგომას, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ბავშვის განვითარების სფეროში. ეს მიდგომა ბავშვის განვითარებაზე კონტექსტურ გავლენას დიფერენცირებულ და ამომწურავ მნიშვნელობას ანიჭებს. **ეკოლოგიური სისტემების თეორია** ბავშვის განვითარებას გარემომცველი სამყაროს მრავალდონიანი კავშირების რთული სისტემის ჭრილში განიხილავს. რაკი ბავშვის ბიოლოგიური ბუნება და გარემო ერთობლივად მოქმედებს

[10] ვრცლად იხილეთ ლორა ბერკი - ბავშვის განვითარება თავი I გვ. 35-36,

განვითარებაზე, ბრონფენბრენერი თავის პერსპექტივას ბიოეკოლოგიურ მოდელად ახასიათებს.

ბრონფენბრენერი გარემოს წარმოადგენს ერთმანეთში ბუდისებრ "ჩასმული" სტრუქტურების სერიად, რომელიც ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების გარემოს - სახლს, სკოლასა და სამეზობლოს მოიცავს და მის ფარგლებს მიღმაც ვრცელდება (იხ. სქემა 1.6). გარემოს თითოეული ფენა განვითარებაზე არსებითი გავლენის მქონე ძალად განიხილება.

მიკროსისტემა. მიკროსისტემა ბავშვის მყისიერი გარემოს შუაგულია, რომელიც აქტივობებისა და ურთიერთქმედების მოდელს შეიცავს. ბრონფენბრენერის აზრით, ამ გარემოს დონეზე ბავშვის განვითარების გასაგებად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნებისმიერი ურთიერთკავშირი ორმხრივია. ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, უფროსები მოქმედებენ ბავშვის ქცევაზე, მაგრამ, იმავდროულად, ბავშვების ბიოლოგიური და სოციალური თავისებურებები – და პიროვნული თავისებურებები, უნარ-ჩვევები – ასევე ახდენს გავლენას უფროსების ქცევაზე. მაგალითად, სავარაუდოა, რომ მეგობრული და ყურადღებიანი ბავშვი მშობლის დადებით და შემწყნარებლურ რეაქციებს აღვიძებს, ხოლო თავშეუკავებელი ან ყურადღებადაფანტული – შეუწყნარებლობის, შევიწროებისა და დასჯის სამიზნე ხდება.



სქემა 1.6 ეკოლოგიური სისტემები

მიკროსისტემის სხვა მონაწილენი მოქმედებენ ორი ადამიანის ურთიერთობის ხარისხზე. მათგან ხელშეწყობის შემთხვევაში ორის ურთიერთქმედება ძლიერდება. მაგალითად, როცა მშობლები ბავშვის აღზრდაში ერთმანეთს ხელს უწყობენ, თითოეული უფრო ეფექტიანად ართმევს თავს მშობლის მოვალეობებს. როცა ცოლ-ქმრული ურთიერთობები დაძაბული და არაკეთილგანწყობილია, ხშირად მშობლები შვილის აღზრდაში ერთმანთს ხელს უშლიან, ბავშვის საჭიროებების მიმართ გულგრილნი არიან, წვრილმანების გამო აკრიტიკებენ, უბრაზდებიან, და სჯიან.

მეზოსისტემა. ეკოლოგიური სისტემების თეორიაში ბრონფენბრენერის მოდელის მომდევნო დონე მეზოსისტემაა, რომელიც მიკროსისტემებს (სახლი, სკოლა, სამეზობლო, საბავშვო ბაღი) შორის კავშირს გამოხატავს. მაგალითად, ბავშვის წარმატება მხოლოდ ბაღში საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული. მას ხელს უწყობს მშობლის მონაწილეობა ბაღის ცხოვრებაში და ბავშვის მიერ სხვადასხვა დავალებების შესრულება სახლში. ზუსტად ასევე, მშობელი-შვილის ურთიერთქმედება ოჯახში საბავშვო ბაღში ძიძა-ბავშვის ურთიერთქმედებაზე ახდენს გავლენას და, პირიქით. ნებისმიერ ურთიერთობა ოჯახსა და საბავშვო ბაღს შორის, თანამშრომლური ვიზიტებისა თუ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ფორმით, განვითარების ხელშემწყობია.

ექზოსისტემა. ექზოსისტემა ბავშვისაგან დამოუკიდებელი ისეთი გარემოებისაგან შედგება, რომელიც მის მყისიერ გარემოში მიღებულ გამოცდილებაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს ოფიციალური ორგანიზაციები, მაგალითად, მშობლების სამსახური, რელიგიური ინსტიტუტები და ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურები. მოქნილი სამუშაო გრაფიკი, დეკრეტული და ბავშვის ავადმყოფობის დროს ფასიანი შვებულება მშობელს ბავშვის აღზრდაში ეხმარება და განვითარებას ირიბი გზით უწყობს ხელს.

მაკროსისტემა. ბრონფრენბრენერის მოდელის გარეთა შრე მაკროსისტემაა, რომელიც კულტურულ ფასეულობებს, კანონებს, ტრადიციებსა და რესურსებს მოიცავს. მაკროსისტემაში ბავშვის მოთხოვნილებების პრიორიტეტულობაზე დამოკიდებულია გარემოს შიდა დონეებზე მათი ხელშეწყობის ხარისხი. მაგალითად, საბავშვო ბაღებისადმი მაღალი სტანდარტებისა და დასაქმებული მშობლებისათვის სახელფასო შეღავათების მქონე ქვეყნებში ბავშვები მყისიერ გარემოში ხელსაყრელ გამოცდილებას იძენენ.

მუდმივცვალებადი სისტემა. ბრონფენბრენერის თანახმად, გარემო ბავშვზე ერთფეროვნად მოქმედი სტატიკური ძალა როდია - ის მუდმივცვალებადია. ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიც დის ან ძმის დაბადება, სკოლაში წასვლა

ან მშობლების გაყრაა, ბავშვსა და გარემოს შორის არსებულ ურთიერთობას ცვლის და განვითარებაზე მოქმედ ახალ პირობებს უყრის საფუძველს. ამასთან ერთად, გარემოს მოქმედების დრო მისი გავლენის შედეგებს ცვლის. და-ძმის დაბადებას სრულიად განსხვავებული გავლენა აქვს სახლს მიჯაჭვულ ახლად ფეხადგმულსა და ოჯახს გარეთ მრავალი სახის ურთიერთობებისა და საქმიანობების მქონე სკოლის ასაკის ბავშვზე[11].

გარემოსა და გენეტიკის გავლენა განვითარებაზე

ბავშვის ადრეული განვითარება არის საფუძველი, რომელზეც შემდეგ საზოგადოებისათვის ჯანსაღი პიროვნება იზრდება, სწორედ უსუსურობიდან შემოქმედ პიროვნებად ჩამოყალიბებამდე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. ბავშვი არის ბიოლოგიური არსება, რომლის პიროვნებაც განსაზღვრულია გენეტიკური მოცემულობით, მაგრამ ამავე დროს ის არის კონკრეტული სოციალური გარემოს ნაწილი. დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა დავა იმის შესახებ, თუ რა განსაზღვრავდა ბავშვის განვითარებას გენეტიკა თუ გარემო. ერთნი ადასტურებდნენ, რომ ადამიანის ყველა უნარი და შესაძლებლობა გენეტიკურად ფიქსირებულია, მეორენი კი - გარემოს წამყვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ. საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ბავშვი ვითარდება გენეტიკურისა და სოციალური გარემოს კომბინირებული გავლენის შედეგად.

განვითარება მიუთითებს იმ ცვლილებებზე რომელსაც ადგილი აქვს დროთა განმავლობაში ადამიანის სხეულის აგებულებაში, აზროვნებასა და ქცევაში. ამ ცვლილებებს ვღებულობთ ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემოს ზეგავლენის შედეგად.

განვითარების ზოგიერთი პროცესი (მაგალითად, მუცლად ყოფნა) ატარებს უფრო მეტად ბიოლოგიურ ხასიათს, მაშინ როცა სხვა პროცესები უფრო მეტად განიცდის გარემოს ზეგავლენას (მაგალითად, ბავშვის მიერ ოჯახის წევრების მეტყველების მანერის და არტიკულაციის ათვისება). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის განვითარებას განაპირობებს ბიოლოგიური და გარემო ფაქტორების ერთობლიობა.

განვითარების ბიოლოგიური პროცესებია: **მომწიფება, ზრდა და დაბერება.**

მომწიფება არის განვითარების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს გენეტიკური გეგმის შესაბამისად. სხეულის სხვადასხვა ორგანოების და უნარების მომწიფება მიმდინარეობს სხვადასხვა ტემპით. ყველა ორგანოს და უნარს ჩვეულებრივ აქვს ოპტიმალური მომწიფების დონე.

[11] ვრცლად იხილეთ ლორა ბერკი - ბავშვის განვითარება თავი I, გვ. 36-42

ზრდა ეს არის რაოდენობრივი ცვლილებების პროცესი, რომლის დროსაც ხდება ამა თუ იმ ორგანოს და ფსიქიკური პროცესის სრულყოფა.

დაბერებაში კი იგულისხმება ის ბიოლოგიური ცვლილებები, რომელსაც ადგილი აქვს მომწიფების ოპტიმალური დონის მიღწევის შემდეგ.

გენეტიკასთან ერთად გარემოც გავლენას ახდენს ადამიანის განვითარებაზე. გარემო ფაქტორებმა შეიძლება შეაფერხოს ან ხელი შეუწყოს ორგანიზმის ზრდას და ფუნქციონირებას. გარემო გავლენას ახდენს ადამიანის განვითარებაზე 2 მიმართულებით - სწავლით და სოციალიზაციით.
სწავლა ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც გამოცდილება იწვევს გარკვეულწილად მუდმივ ცვლილებებს ცოდნაში ან ქცევაში. რომელიც გამოწვეულია გამოცდილებით (გარემო) და არ არის დაკავშირებული - დაღლასთან, ტრავმასთან, ავადმყოფობასთან და ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ ცვლილებებთან.
სოციალიზაცია ეს არის პროცესი, რომლის საფუძველზეც ადამიანი ხდება სოციალური ჯგუფის წევრი (ოჯახი, თემი, საზოგადოება). სოციალიზაცია გულისხმობს, კონკრეტული სოციალური ჯგუფის ღირებულებების, მოლოდინების, განწყობების, ჩვეულებების, როლების ათვისებას. ეს პროცესი გრძელდება ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში.
მეცნიერები ხშირად სვამენ შემდეგ კითხვას: რა წილი მიუძღვის განვითარების პროცესში მომწიფებას და რა - სწავლას? ბავშვი თავიდან ჯდომას სწავლობს, შემდეგ ფეხზე დგომას და ბოლოს სიარულს. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მომწიფების პროცესს. თუმცა აღნიშნილი პროცესი შეიძლება შეაფერხოს მედიკამენტებმა, ცუდმა კვებამ, ავადმყოფობამ, აკრძალვებმა ან ემოციურმა დაძაბულობამ. ზოგიერთი ჩვევის ჩამოყალიბებისთვის (მაგალითად, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა), უფრო მნიშვნელოვანია ვარჯიში და შეძენილი გამოცდილება. ზოგიერთი ქცევის ჩამოყალიბებისთვის კი რთულია უპირატესობა მიანიჭო მომწიფებას ან სწავლას. მაგალითად, ბავშვებს გააჩნიათ მეტყველების თანდაყოლილი უნარი, მაგრამ იმისათვის რომ ბავშვმა მეტყველება შეძლოს, მან ენა უნდა ისწავლოს. ბავშვები უნებურად გამოხატავენ ემოციებს (ბრაზი, სევდა, სიხარული, შიში), მაგრამ მათ უნდა ისწავლონ საკუთარი ემოციების მართვა, მათ კულტურაში მიღებული ნორმების შესაბამისად. ამრიგად, ადამიანის ქცევა ეს არის მომწიფების და სწავლის ერთობლივი პროდუქტი.
ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები ყალიბდება მემკვიდრეობისა და გარეგანი ზემოქმედებით შეძენილი მონაცემების საფუძველზე. პიროვნების ფორმირებისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აუცილებელია ორივე ფაქტორი. გენეტიკურ ფაქტორებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი მახასიათებლებისათვის, როგორიც არის ინტელექტი, ტემპერამენტი, ვერბალური შესაძლებლობა, კომუნიკაბელურობა, ხოლო გარემო ფაქტორები - ღირებულების, იდეალებისა თუ მრწამსის ფორმირებისათვის.
წლების განმავლობაში ფსიქოლოგები არ აღიარებდნენ პიროვნების გენეტიკურ საფუძველს. დაკვირვების საფუძველზე დაგროვდა მასალა, რომელიც მიუთითებს გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობაზე. მაგალითად, ზოგიერთი ბავშვი აქტიურია,

გაბედული და უშიშარია, სხვები კი მორიდებულები და ფრთხალები არის - ეს დაკავშირებულია ტემპერამენტის გამოვლინებასთან. ის გარემოება, რომ აღნიშნული ინდივიდუალური თავისებურებები თავს იჩენს ადრეულ ასაკში, დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს და ნაკლებად არის დაკავშირებული დასწავლაზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი მიეკუთვნება პიროვნების გენეტიკურად და განსაზღვრულ, თანდაყოლილ მახასიათებლებს.

ამ ვარაუდს ადასტურებს კვლევა ერთნაირ და სხვადასხვა გარემოში გაზრდილი იდენტური (ერთ კვერცხუჯრედიანი) ტრყუპების პიროვნული ნიშანთვისებები. მრავალრიცხოვანი კვლევები ცალსხად ადასტურებს იდენტურ წყვილებს შორის მსგავსებას, მიუხედავ იმისა სად აღიზარდნენ ისინი.

კვლევები და დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ორივე ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ფორმირებაში. "საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი გარემოს ფაქტორზე მემკვიდრეობის გარეშე და მემკვიდრეობაზე - გარემოს გარეშე. ეს ფაქტორები ერთმანეთს გულისხმობენ და განაპირობებენ"[12]. მაგალითად, წყნარი მოსიყვარულე ჩვილი მშობლებში საგრძნობლად განსხვავებულ რეაქციას იწვევს, ვიდრე ფიცხი ან გუჩათხრობილი. ასევე, ჩუმ და პასიურ ბავშვზე ოჯახი, ბაღი და სკოლა სრულიად განსხვაბულად რეაგირებს და მაშასადამე სხვადასხვა გარემოს უქმნის.

კითხვაზე რომელი უფრო მნიშვნელოვანია: გენეტიკა თუ გარემო? შეგვიძლია ვუპასუხოთ - დღეს მკვლევართა უმრავლესობა განიხილავს მემკვიდრეობას და გარემოს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, სადაც თითოეული მეორის პოტენციალზე მოქმედებს და სახეს უცვლის ადამიანის თავისებურებებს და შესაძლებლობებს. მემკვიდრეობა ადგენს პიროვნული თვისების განვითარების დიაპაზონს, რომლის ფარგლებშიც თვისების ფორმირებას გარემო განსაზღვრავს, ანუ განამტკიცებს, განავითარებს ან პირიქით შეიძლება დათრგუნოს, სრულად მოსპოს. მაგალითად, მემკვიდრეობა შემოსაზღვრავს ინდივიდის მუსიკალური ან მათემატკური უნარების ფარგლებს, ხოლო გარემო განაპირობებს ამ უნართა განვითარებას.

ზოგადი კანონზომიერება ასეთია: რაც უფრო ძლიერი და გამოკვეთილია თანდაყოლილი მიდრეკილება, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება გარემოს ზემოქმედებას განვითარებისათვის. პირიქით, თუ ბავშვს არ აქვს არცერთი თანდაყოლილი ძლიერ გამოკვეთილი მიდრეკილება, მაშინ მის განვითარებაში გარემოს ზეგავლენა იქნება გადამწყვეტი და ის გარემოს შესაბამის ადამიანად ჩამოყალიბდება.

[12] ი. აბაშიძე - ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ. 2011წ. გვ. 174, სრულად იქვე გვ. 172-175

1.2. ასაკობრივი თავისებურებების განსაზღვრა

ადრეული ასაკი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაში. შესაბამისად ამ ასაკში მიღებული გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პროცესსა და მიღწევებზე. სახლემწიფომ საწიროდ ჩათვალა შეემუშავებინა ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, რომელსაც თქვენ გაეცნობით წიგნის ამ ნაწილში. გავიგებთ სტანდარტები დანიშნულებას, მიზანს და სფეროების მიხედვით განვითარების თავისებურებებს.

ამ ნაწილის შესწავლით თქვენ შეძლებთ განსაზღვროთ ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები. გარდა ამისა სტუდენტები შეძლებენ:

- სწორად განიხილოს ადრეული ასაკის სწავლისა და განვითარების სტანდარტი
- სწორად აღწეროს ასაკობრივ თავისებურებებს განვითარების სფეროების მიხედვით
- ჩამოთვალოს ბავშვის განვითარების სფეროები ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით
- განსაზღვროს განვითარების სფეროების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას
- არგუმენტირებულად იმსჯელებს ადრეულ ასაკში ბავშვის ინტეგრირებული განვითარების მნიშვნელობაზე
- არგუმენტირებულად იმსჯელოს თამაშის როლზე ბავშვის განვითარებაში
- შექმნის აქტივობებს განვითარების სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების შესაბამისად

ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები

ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტების მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიურ განვითარებას; ხელი შეუწყოს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სასკოლო მზაობას.

სტანდარტების ძირითადი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შედეგზეა ორიენტირებული: ჯერ განსაზღვრულია შედეგი, რომელსაც გვინდა რომ მიაღწიოს ბავშვმა და შემდეგ ისახება ამ შედეგის მისაღწევი გზა. სტანდარტის ამგვარი სტრუქტურა

ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომისა და საგანმანათლებლო პროგრამის მისი საჭიროებების მიხედვით ამოქმედების შესაძლებლობას იძლევა. აღმზრდელს შეუძლია იხელმძღვანელოს სტანდარტით, დააკვირდეს ბავშვს და შეურჩიოს ის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტების საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას მშობელთა საგანმანათლებლო პროგრამები ბავშვის აღზრდისა და განვითარების შესახებ. შესაძლებელია სტანდარტების დოკუმენტი საფუძვლად დაედოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამას და აღმზრდელ-მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს.

ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტებში ბავშვის განვითარება პირობითად ხუთ სფეროდ არის დაყოფილი:

- **ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება,**
- **შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა,**
- **სწავლისადმი მიდგომა,**
- **მეტყველების განვითარება**
- **სოციალურ-ემოციური განვითარება.**

ყოველი „სფერო“ შედგება „ქვესფეროებისსაგან”, რომლებიც „მიმართულებებს” აერთიანებს. თითოეულ „მიმართულებაში” განსაზღვრულია „შედეგები”. „შედეგი” არის ბავშვის განვითარებაში დასახული კონკრეტული მიზანი. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვის განვითარების მიზნები უცვლელია. სტანდარტებში განსაზღვრული „შედეგები” დაბადებიდან 6 წლამდე არ იცვლება. იმისათვის, რომ კონკრეტულ ასაკში ვიცოდეთ, რა უნდა კეთდებოდეს თითოეული „შედეგის” მისაღწევად, ეს განსაზღვრულია „ინდიკატორებით”. სწორედ „ინდიკატორი” არის შედეგის მიღწევის მაჩვენებელი და ასაკის მიხედვით განვითარების დონის შესაბამისად იცვლება. „ინდიკატორები” არის მკაფიო, ნათლად აღწერს ბავშვის ქცევას, რომელიც აღმზრდელმა ან მშობელმა ადვილად უნდა შეიცნოს, სწორედ ინდიკატორები უნდა გამოიყენოს აქტივობების დაგემვისას და შემდგომში მასზე შესძლოს დაკვირვება.

ყოველ შედეგს ინდიკატორების გარდა თან ახლავს „რჩევები მეურვეთათვის”, რომლებიც აღმზრდელებსა და მშობლებს სთავაზობს იმ აქტივობებს, რომლებიც დაეხმარება ბავშვს დასახული შედეგის მიღწევაში. „რჩევები მეურვეთათვის” ზოგადი ხასიათისაა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მოყვანილია კონკრეტული მაგალითებიც.

ესაუბრეთ ბავშვს იმის შესახებ, თუ რა მოხდება მომავალში ან/და რა მოხდა წარსულში (მაგ. „ამ დილით საუზმეზე რა ჭამე?", ან „ხვალ სადილისათვის რა მოგიმზადო?").

არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე ასაკისათვის არ არის მითითებული ინდიკატორი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ასაკში მოცემული შედეგის განვითარების დამადასტურებელი მაჩვენებელი არ ვლინდება. მაგ. 0-1 წლამდე ასაკის ბავშვი ვერ აჯგუფებს საგნებს ზომის, ფორმისა და დანიშნულების მიხედვით, მაგრამ იმისათვის, რომ ეს უნარი განუვითარდეს, მას უნდა ჰქონდეს სხვადასხვაგვარი სათამაშო, რაც მითითებულია რჩევაში.

ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტები სახელმძღვანელო ხასიათისაა და მისი გამოყენება შესაძლებელია სასწავლო და სააღმზრდელო გარემოში. ეს დაეხმარება მშობლებს, მასწავლებლებსა და აღმზრდელებს, რომ მათ უკეთ წარმართონ ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესი, ასაკის შესაბამისად დაგეგმონ აქტივობები.[13]

ბავშვის ფიზიკური განვითარების თავისებურებები 0-დან 7 წლამდე

სიცოცხლის პირველი წლების განმავლობაში ადამიანის სხეული მუდმივად და მნიშვნელოვნად იცვლება. ეს ცვლილებები გამოიხატება არა მხოლოდ ბავშვის სიმაღლეში ზრდასა და სხულის მასის მატებაში, არამედ მისი აღნაგობისა და პროპორციების ცვლილებებში, კოორდინაციის უნარისა და მოძრაობის დახვეწაში.

ბავშვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მისი ადეკვატური ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე სუბარია სფეროში: *ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება*, რომელიც აერთიანებს შემდეგ ქვესფეროებს: *მოტორული განვითარება; ფიზიკური განვითარება; ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.*

ფიზიკური განვითარება ზრდის დინამიკური პროცესია, რომელიც დამოკიდებულია, ერთი მხრივ გენეტიკურ, ხოლო, მეორე მხრივ, გარემო ფაქტორებზე. ზრდის დინამიკური პროცესი გულისხმობს სხეულის მასის, სიგრძის, თავისა და გულმკერდის გარშემოწერილობების მატებას, სხეულის ცალკეული ნაწილის პროპორციების ჩამოყალიბებასა და ბავშვის ორგანიზმის ბიოლოგიურ მომწიფებას.

კარგი ფიზიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა განაპირობებს ბავშვის ენერგიულობას, ძალას, ამტანობასა და მოქნილობას. ეს საშუალებას აძლევს ბავშვს, ჩაერთოს სხვადასხვა

[13] ვრცლად იხ. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები თბ. 2010წ. გვ. 9-12

აქტივობაში, გამოხატოს ინტერესი, მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია, რაც მეტად მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში.

განვიხილოთ ერთ-ერთი შედეგი და მის მისაღწევად საჭირო ინდიკატორები სხვადასხვა ასაკის მიხედვით: სფერო - *ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება,* ქვესფერო - *ფიზიკური განვითარება,* მიმართულება - *ფიზიკური აქტივობა.* შედეგი I: **ბავშვი ერთვება სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობებში და ავლენს მოძრაობის უნარ-ჩვევებს და ფიზიკურ თვისებებს.**

ინდიკატორები:

0-6 თვე

- აქტიურად ამოძრავებს ხელებსა და ფეხებს.
- ცდილობს ახალი მოძრაობების დაუფლებას (გადაბრუნებას, წამოჯდომას, საგნის ხელში დაჭერას და სხვ.).

6-12 თვე

- ასრულებს ახალ მოძრაობებს (ჯდება, ცოცავს, დგას, დადის, სათამაშოს ყუთში დებს და სხვ.).
- აქტიურად ერთვება ახალ თამაშში და გამოხატავს სიხარულს.

1-2 წელი

- შინ თუ გარეთ ხალისით მონაწილეობს თამაშებში, რომლებიც მოითხოვს ფიზკიურ აქტივობას.
- შეუძლია ვარჯიში (მარტივი მოძრაობებით) 3-5 წუთის განმვალობაში.

2-3 წელი

- დარბის ეზოში ან სახლში თავისუფლად.
- შეიძლია ვარჯიში 5-10 წუთის განმავლობაში.

3-5 წელი

- ატარებს ბორბლიან ველოსიპედს, მინიმუმ მეტსრის მანძილზე.
- მოკლე მანძილზე ატარებს მსუბუქ საგნებს.

- სიხარულით მონაწილეობს სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობაში (დარბის, დაცოცავს, დახტის).

5-6 წელი

- იმეორებს და სწავლობს ახალ მოქმედებას.
- ყოველდღიურად მონაწილეობს ფიზიკურ აქტივობებში (ცეკვავს, თამაშობს სპორტულ თამაშებს) – „ლახტს“, „წრეში ბურთს“ და სხვ.
- ფიზიკურ აქტივობებში ერთვება მინიმუმ 30 წუთით დღეში.

ეს მონაცემები შესაძლებლობას მისცემს მომავალ აღმზრდელ-მასწავლებელს კარგად დაინახოს და გაანალიზოს, როგორ იცვლება ფიზიკური განვითარების ასპექტები ასაკის მატებასთან ერთად. სწორედ ეს დაეხმარება მათ ასაკობრივი თავისებურებების გათვლისწინებით დაგეგმოს აქტივობები და წარმართონ აღმზრდელის თანაშემწესა და ბავშვებთან ერთობლივად. [14]

ბავშვის კოგნიტური განვითარების თავისებურებები 0-დან 7 წლამდე.

შემეცნებითი ანუ კოგნიტური უნარების, შესაძლებლობის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების პირველი წლები. ბავშვს ცოდნის შეძენასთან ერთად უვითარდება ის ფუნქციები, რომელთა მეშვეობითაც ამ ცოდნას იძენს. ადამიანს სამყაროს შესახებ წარმოდგენა ადრეული ასაკიდანვე ექმნება, დასაწყისში ეს გამოიხატება მხოლოდ ხმაზე ან მხედველობით გამღიზიანებელზე რეაქციით, თანდათან შემეცნებითი პროცესები ვითარდება, ბავშვი აღიქვამს, იმახსოვრებს გარე სინამდვილეს, წარმოიდგენს და აანალიზებს მას. შემეცნებითი განვითარებისათვის საჭიროა, ბავშვს განუვითარდეს რაოდენობრივი წარმოდგენები, ჩასწვდეს მოვლენებს შორის სივრცით, დროით და მიზეზშედეგობრივ კავშირებს.

შემეცნებითი სფეროს განვითარება და ზოგადი ცოდნა აერთიანებს ოთხ ქვესფეროს: *ესთეტიკა და კულტურა, ბუნება და ტექნოლოგია, რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარება, მოვლენებს შორის მიმართებების წვდომა.*

განვიხილოთ ერთ-ერთი შედეგი და მის მისაღწევად საჭირო ინდიკატორები სხვადასხვა ასაკის მიხედვით: სფერო - *შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა*, ქვესფერო - *რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარება*, მიმართულება *რიცხვები და ანგარიში* შედეგი I: **ბავშვი ავლენს ციფრების ცოდნას დაშეუძლია დათვლა.**

ინდიკატორები:

[14] ვრცლად იხ. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები თბ. 2010წ. სფერო ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, სხვადასხვა ასაკი

0-6 თვე

6-12 თვე

- აჩვენებს თითებით ან ასახელებს თავის ასაკს.

1-2 წელი

- განასხვავებს ცნება-ტერმინებს „ერთი“ ---- „ბევრი“
- თვლის დროს უფროსის დახმარებით ცდილობს თითების გამოყენებას.

2-3 წელი

- იყენებს „უფორ მეტის“ ცნებას.
- ითვლის საგნებს უფროსთან ერთად.
- იმეორებს იმ ლექსებსა და სიმრერებს, რომლებიც თვლას ეხება.
- ითვლის 5-მდე.
- ცნობს და ასახელებს ზოგიერთ ციფრს (მაგ. უყურებს 2-ს და ამბობს ორი).
- ესმის ცნებები - ყველა, არც ერთი

3-5 წელი

- ასახელებს ციფრებს 10-მდე. იყენებს რიცხვებსა და თვლას ყოველდღიურ ცხოვრებაში (მასწავლებელთან ერთად ითვლის ბავშვებს, რომელთავ ასწიეს ხელი).
- შეუძლია სხვადასხვა საგნის შედარება (მაგ. ესმის, რას ნიშნავს ყველა, არც ერთი, ბევრი, ცოტა, ტოლი).
- იყენებს რიცხვებსა და თვლას ყოველდღიურ ცხოვრებაში, ითვლის ბურთების რაოდენობას ყუთში.
- იცის, რომ რიცხვი აღნიშვას რაოდენობას (მაგ. იღებს სამ ვაშლს ყუთიდან).
- განასხვავებს ასოებს ციფრებისაგან.

5-6 წელი

- დამოუკიდებლად ითვლის 21--მდე.
- შეუძლია რიცხვების გამოყენება რიგითობის აღსანიშნავად (ზეიმზე პირველი გამოდის მარიკა, მეორე ლევანი;; წამყვანის შემდეგ გამოდის ნინო და მღერის).
- ესმის, რომ დათვლის დროს ბოლო რიცხვი წარმოადგენს საგნების მთელ რაოდენობას.
- ასრულებს მათემატიკურ გარდაქმნებს (მიმატება--გამოკლებას 10-ის ფარგლებში) ყოველდღიურ აქტივობაში სათამაშოებისა და მონეტების გამოყენებით (მაგ. “მე მივეცი გიას ერთი კუბურა. მას ახლა ორი აქვს”).
- შეუძლია გამოთქვას ვარაუდი რაოდენობასთან დაკავშირებით (მაგ.: “მე ვფიქრობ, რომ იმ ჯამში 5 ბურთულაა”).

ეს მონაცემები შესაძლებლობას მისცემს მომავალ აღმზრდელ-მასწავლებელს კარგად დაინახონ და გაანლიზონ როგორი იცვლება კოგნიტურ განვითარების ასპექტები ასაკის

მატებასთან ერთად. სწორედ ეს დაეხმარება მათ ასაკობრივი თავისებურებების გათვლისწინებით დაგეგმოს აქტივობები და წარმართოს აღმზრდელის თანაშემწესა და ბავშვებთან ერთობლივად. [15]

ბავშვის სწავლისადმი მიდგომის თავისებურებები 0-დან 7 წლამდე

ბავშვის ცნობისმოყვარეობა პირველივე თვეებიდან იჩენს თავს და ვითარდება მთელი სიცოცხლის მანძილზე. სწავლისადმი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სფეროა სასკოლო მზაობისათვის. სწავლისადმი მიდგომა აერთიანებს სწავლისადმი დამოკიდებულებასა და სასწავლო უნარ-ჩვევებს. ამიტომ, სწავლისადმი მიდგომა მჭიდროდ უკავშირდება როგორც შემეცნებით, ასევე სოციალურ-ემოციურ სფეროს. სწავლისადმი დამოკიდებულება მოიცავს მოტივაციურ ასპექტებს, რომელიც ხსნის რატომ და რისთვის სწავლობს ბავშვი, ხოლო სასწავლო უნარ-ჩვევები კი მოიცავს შემეცნებით ასპექტებს, რომელიც ხსნის, თუ როგორ სწავლობს ბავშვი. ამ პრინციპზე დაყრდნობით სწავლისადმი მიდგომაში გამოვყავით ორი ქვესფერო: *მოტივაცია და სასწავლო უნარები.*

განვიხილოთ ერთ-ერთი შედეგი და მის მისაღწევად საჭირო ინდიკატორები სხვადასხვა ასაკის მიხედვით: სფერო - *სწავლისადმი მიდგომა,* ქვესფერო - *სასწავლო უნარები,* მიმართულება - *აზრის გამოხატვა და რეალობასთან კავშირი.* შედეგი 2: **ბავშვი განასხვავებს ფანტაზიას რეალობისაგან.**

ინდიკატორები:

0-6 თვე

6-12 თვე

1-2 წელი

- შეუძლია ცხოველების ხმის იმიტაცია (ყეფს ძაღლივით, კნავის კატასავით).
- იყენებს წარმოსახვით თამაშს (მაგ. აჭმევს თოჯინას, არწევს ხელში და ა. შ.).

2-3 წელი

- მსახიობზე, კოსტიუმირებულ ადამიანებზე, ისეთი რეაქცია აქვს, თითქოს ისინი ნამდვილად იმ პერსონაჟს წარმოადგენენ, რომლებსაც განასახიერებენ.
- შეუძლია როლების და სიტუაციების გათამაშება ისე, რომ ხმა, მეტყველება, ქცევა ერთმანეთის შესაბამისი იყოს (მაგ. როცა განასახიერებს ჩვილ ბავშვს, დახოხავს და აღუ-აღუს გაიძახის).

---

[15] ვრცლად იხ. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები თბ. 2010წ. სფერო შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სხვადასხვა ასაკი

3-5 წელი

- შეუძლია ჩაერთოს უფრო კომპლექსურ წარმოსახვით თამაშებში (მაგ., რაღაც კონკრეტულ თემაზე აგებულ თამაშში, რომელშიც მრავალი მონაწილეა და განსხვავებული სიტუაციები თამაშდება).
- აინტერესებს ზღაპრისა და ფილმის გმირები რეალურები (ნამდვილები) არიან თუ არა.
- შეუძლია დააკავშიროს ზღაპირს ან ფილმის გმირები რეალურ ადამიანებთან.

5-6 წელი

- შეუძლია დაასახელოს ის მომენტი, როცა ფანტაზია ჩართულია რეალობაში (მაგ., „მე მხოლოდ ვთამაშობდი“, - ამბობს ბავშვი, როდესაც რაღაც წარმოსახვით თამაშში არის ჩართული).
- შეუძლია ახსნას გმირები, პერსონაჟები, საგნები, ადგილები, რომლებსაც წიგნებში, ტელევიზორში თუ კომპიუტერის ეკრანზე ხედავს, რატომ შეიძლება იყვნენ არარეალურები.

ეს მონაცემები შესაძლებლობას მისცემს მომავალ აღმზრდელ-მასწავლებელს კარგად დაინახოს და გაანალიზოს როგორ იცვლება სწავლისადმი მიდგომის ასპექტები ასაკის მატებასთან ერთად. სწორედ ეს დაეხმარება მათ ასაკობრივი თავისებურებების გათვლისწინებით დაგეგმონ აქტივობები და წარმართოს აღმზრდელის თანაშემწესა და ბავშვებთან ერთობლივად. [16]

ბავშვის მეტყველების განვითარების თავისებურებები 0-დან 7 წლამდე.

მეტყველება, ენა და აზროვნება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ენა აზრის გამოხატვის საშუალებაა. მეტყველების განვითარება კომპლექსური პროცესია, რომელიც დაბადებიდან იწყება ზეპირი მეტყველების განვითარებით. ადამიანის მეტყველების პირველი ნიშანია ღუღუნი, რომელიც თანდათან ხანგრძლივდება, ემოციურ ელფერს იძენს და ტიტინში, შემდეგ კი სიტყვების წარმოთქმაში გადაიზრდება.

სფეროში – მეტყველების განვითარება – გაერთიანებულია ორი ქვესფერო: *მეტყველება და წიგნიერება.*

განვიხილოთ ერთ-ერთი შედეგი და მის მისაღწევად საჭირო ინდიკატორები სხვადასხვა ასაკის მიხედვით: სფერო - *მეტყველების განვითარება*, ქვესფერო - *მეტყველება*,

[16] ვრცლად იხ. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები თბ. 2010წ. სფერო სწავლისადმი მიდგომა, სხვადასხვა ასაკი

მიმართულება - *მოსმენა და ზეპირი მეტყველება.* შედეგი 3: **ბავშვი იყენებს ზეპირ მეტყველებას მიზნისათვის (პრაგმატული განვითარება).**

ინდიკატორები:

0-6 თვე

- ღუღუნებს და ყურადღების მისაქცევად გამოსცემს სხვადასხვა ბგერას.
- ღუღუნებს და წარმოთქვამს ბგერებს უფროსის ლაპარაკის საპასუხოდ.
- აპყრობს ყურადღებას იმ საგანს, რომელსაც უფროსი უყურებს.

6-12 თვე

- ურთიერთობისას იყენებს ჟესტებს, სახის გამომეტყველებას, ბგერებს.
- გამოცემული ბგერების შეცვლით ცდილობს გააგებინოს უფროსს, თუ რა სურს.
- ცდილობს სხვის მიერ წარმოთქმული ბგერების გამეორებას.
- ახალი ბგერების წარმოთქმისას გამოხატავს სიხარულს.
- იხედება, როდესაც სახელით მიმართავენ (ზოგ შემთხვევაში).
- ცდილობს დაიცვას რიგითობა და წარმოთქვას ბგერები შესაფერის დროს (უსმენს უფროსის მიერ წარმოთქმულ ბგერებს და შემდეგ იწყებს ტიტინს).

1-2 წელი

- ურთიერთობისათვის იყენებს არასიტყვიერ საშუალებებს: სახის გამომეტყველებას (მიმიკას), და სხეულის მოძრაობას (ჟესტებს) მოთხოვნებისა და გრძნობების გამოსახატავად (მაგ. შეიძლება მოგეხვიოთ ფეხზე სიარულისას ან მოგკიდოთ ხელი, მიგიყვანოთ კართან, როდესაც უნდა სასეირნოდ წასვლა, მოულოდნელად ჩაგეხუტოთ).
- იყენებს სიტყვებს ურთიერთობისათვის.
- ცვლის ინტონაციას სხვადასხვა აზრის გამოსახატავად.
- ყურადღებას აქცევს იმას, ვინც ლაპარაკობს.

2-3 წელი

- თამაშის დროს თავისთვის ლაპარაკობს, ასახელებს იმას, რასაც ხედავს ან აკეთებს აწმყოში. გვიზიარებს გარე სამყაროდან მიღებულ შთაბეჭდილებას.
- აღწერს იმას, რაც აღიქვა წარსულში. მოვლენის აღწერის დროს ჩამოთვლის იმ ერთეულებს, რაც მისთვის მნიშვნელოვანია, ქრონოლოგიის დაცვის გარეშე.
- საუბრობს უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე.
- იცავს ჯგუფში დადგენილ მიმართვის წესებს. იყენებს მიმართვის თავაზიან ფორმებს: “თუ შეიძლება”, “გმადლობთ”.
- შეუძლია მოსაუბრის განზრახვის გაგება (მაგ. თუ დედა ამბობს – “ფანქარი მჭირდება”, მიდის ფანქრის მოსატანად).

- ჯგუფში ურთიერთობისას შეუძლია იმის გამომჟღავნება, რომ კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს მორიგეობით (მონაცვლეობით) საუბარი.

3-5 წელი

- თავისუფლად შეუძლია შეტყობინების გადაცემა.
- ბავშვს შეუძლია მოკლე გამოგონილი ისტორია ან წარსულში მომხდარი ამბავი მოყვეს უფროსის დახმარებით.
- იმისათვის, რომ პასუხი მიიღოს, სვამს კითხვებს: რატომ? როდის? როგორ?
- ზღაპრიდან, მოთხრობიდან გამოყოფს და იმეორებს მისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე ფრაგმენტს.
- ყურადღებით უსმენს მოსაუბრეს, სანამ ის არ დაამთავრებს სათქმელს.
- ხსწორად აღიქვამს არასიტყვიერ ნიშნებს: სახის გამომეტყველებასა და ჟესტებს (მაგ. მოსაუბრეს სახეზე აწერია უკმაყოფილება, სიამაყე).

5-6 წელი

- შეუძლია თავისი სიტყვებით გადმოსცეს მარტივი ისტორია და მოვლენა თანმიმდევრულად აღწეროს.
- უსმენს სხვებს და მონაწილეობას იღებს ჯგუფურ საუბარში.
- იცის ელემენტარული ეტიკეტით რა მოეთხოვება: შეუძლია მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მილოცვა.
- სიტუაციის შესაბამისად იყენებს მიმართვის თავაზიან შინაურულ ფორმებს (მაგ. სხვადასხვანაირად მიმართავს მეგობრებს და უფროსებს).
- სხვადასხვა სიტუაციაში სათანადოდ იცვლის ხმასა და ინტონაციას (მაგ. როცა ჩვილ ბავშვს სძინავს, ჩურჩულით საუბრობს).
- კმაყოფილებას ჰგვრის ამბების შეთხზვა.

ეს მონაცემები შესაძლებლობას მისცემს მომავალ აღმზრდელ-მასწავლებელს კარგად დაინახოს და გაანლიზოს როგორი იცვლება მეტყველების განვითარების ასპექტები ასაკის მატებასთან ერთად. სწორედ ეს დაეხმარება მათ ასაკობრივი თავისებურებების გათვლისწინებით დაგეგმოს აქტივობები და წარმართოს აღმზრდელის თანაშემწესა და ბავშვებთან ერთობლივად. [17]

ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარების თავისებურებები 0-დან 7 წლამდე

ბავშვი, როგორც სოციალური არსება, ადრეული ასაკიდანვე ამჟღავნებს ადამიანებთან ურთიერთობის სურვილს. ის აკვირდება უფროსს, რომელიც უვლის, ყურს უგდებს,

[17] ვრცლად იხ. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები თბ. 2010წ. სფერო მეტყველების განვითარება, სხვადასხვა ასაკი

ცდილობს შეეხოს, უღიმის. გამოხატავს სიხარულს, როცა ახლობელ ადამიანს ხედავს და იწყენს, როცა ის მიდის. წინასასკოლო ასაკში ბავშვებს უკვე მრავალფეროვანი ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან. ისინი მეგობრობენ, ჩხუბობენ, რიგდებიან, სწყინთ, ეჭვიანობენ და ასევე ეხმარებიან ერთმანეთს. ბავშვები ამ ურთიერთობებს ძალიან მძაფრად განიცდიან და განსხვავებული გრძნობები ეუფლებათ. ამ ასაკში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ ურთიერთობებზე და დამოკიდებულებებზე სამყაროს მიმართ. ამიტომ, ამ სფეროს განვითარებას კრიტიკული როლი ენიჭება ბავშვის პიროვნული ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

სოციალურ-ემოციური სფერო თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ქვესფეროები: *ემოციური განვითარება, სოციალური განვითარება.*

განვიხილოთ ერთ-ერთი შედეგი და მის მისაღწევად საჭირო ინდიკატორები სხვადასხვა ასაკის მიხედვით: სფერო - *სოციალურ-ემოციური განვითარება,* ქვესფერო - *ემოციური განვითარება,* მიმართულება - *თვითმართვა და თვითგამოხატვა.* შედეგი 3: **ბავშვი შესაბამისად გამოხატავს ემოციებს (ღიად გამოხატავს იმას, რასაც გრძნობს).**

ინდიკატორები:

0-6 თვე

- ტირის, რათა გამოხატოს ემოცია და დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება.
- იღიმება, როდესაც ხედავს ნაცნობ სახეს.
- ჰბაძავს სხვა ბავშვებს (მაგ. ტირის, როდესაც სხვა ბავშვები ტირიან).
- ისეთივე გამომეტყველებას იღებს და ისეთსავე ემოციას გამოხატავს, როგორსაც უფროსის სახეზე კითხულობს.

6-12 თვე

- გამოხატავს ემოციებს თამაშისას.
- იღიმება ან იცინის, კეთილგანწყობას პასუხობს ღიმილით, სიცილით, ხელის ქნევით.
- იღუშება, როდესაც რაღაც აწუხებს ან არ შეუძლია თავი გაართვას ამოცანას.

1-2 წელი

- ეძებს მზრუნველის მზარდაჭერას და ყურადღებას, როდესაც ძლიერი ემოციები იპყრობს.

2-3 წელი

- ასახელებს რამდენიმე გრძნობას, როგორიცაა: სიხარული, წყენა, შიში.
- იწყებს იმპულსების კონტროლს (მაგალითად: ამბობს „არა“, როდესაც უწვდიან აკრძალულ ნივთებს. ცდილობს თავი შეიკავოს და ფეხი არ დაადგას იატაკზე დაგდებულ ნივთებს).

3-5 წელი

- ასახელებს და საუბრობს საკუთარი გრძნობებისა და განცდების შესახებ.
- იყენებს წარმოსახვით თამაშს იმისათვის, რომ სწორად გაიგოს სხვისი გაცდები და შესაბამისად გამოეხმაუროს.
- სახის გამომეტყველება შეესაბამება მის მსჯელობასა და გამოხატულ ემოციებს..

5-6 წელი

- გამხატავს განცდებს თამაშის დროს.
- უზიარებს თავის შიშს ან მღლევარებას მშობლებს, მომვლელსა და სხვა უფროსს.
- სევდიანია, როდესაც ვინმე გარდაიცვლება ან სხვა რთულ სიტუაციაში ჩავარდება.
- ადეკვატურად გამოხატავს გრძნობებს, ტირის როდესაც ნაწყენია.
- შესაბამის გრძნობებს ავლენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებთან და წიგნებში არწერილ ამბებთან დკავშირებით.

ეს მონაცემები შესაძლებლობას მისცემს მომავალ აღმზრდელ-მასწავლებელს კარგად დაინახოს და გაიზროს როგორ იცვლება სოციალურ-ემოციური განვითარების ასპექტები ასაკის მატებასთან ერთად. სწორედ ეს დაეხმარება მათ ასაკობრივი თავისებურებების გათვლისწინებით დაგეგმოს აქტივობები და წარმართოს აღმზრდელის თანაშემწესა და ბავშვებთან ერთობლივად. [18]

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლორა ბერკი (2010). ბავშვის განვითარება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე (2008). განვითრების და სწავლების თეორიები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
3. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები (2010). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
4. ი. იმედაძე (2011). ფსიქოლოგიის საფუძვლები.

[18] ვრცლად იხ. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები თბ. 2010წ. სფერო სოციალურ-ემოციური განვითარება, სხვადასხვა ასაკი

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რატომ უნდა წაახალისოს აღმზრდელმა ბავშის დამოუკიდებელი მოქმედება?
2. რამდენად მნიშვენლოვანია აღმზრდელმა გამოიყენოს დამოუკიდებლობის წახალისება ბავშვებში სირცხვილისა და ეჭვის დაძლევის მიზნით?
3. თქვენი აზრით რა შემთვევაში უვითარდებათ ბავშვებს ინიციატივის გრძნობა?
4. როგორ გესმით ეგოცენტრული აზროვნება? როგორ ფიქრობთ რატომ არის მნიშვნელოვანი მისი ცოდნა თქვენთვის?
5. როგორ გესმით განვითარების უახლოესი ზონა?
6. როგორ დაგეხმარებათ აქტივობების დაგეგმვისას სტანდარტში მოცემული შედეგი და ინდიკატორი, როგორია მისი მნიშვნელობა ასაკის მიხედვით?
7. თქვნი აზრით რომელი უფრო მნიშვნელოვანია გენეტიკა თუ გარემო?

2. ადრეული განათლების კურიკულუმი

ადრეული განათლების მნიშვნელოვნება უკვე ემპირიული ცოდნითაც არის გამტკიცებული. საზოგადოებისთვის კი მნიშვნელოვანია გაარკვიოს, რომელი კურიკულუმია ეფექტური. კვლევები აჩვენებს, რომ ყველა ტიპის კურიკულუმი აღწევს დასახულ მიზანს - აძლევს ბავშვებს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელსაც ესა თუ ის კურიკულუმი მნიშვნელოვნად მიიჩნევს. თუმცა კვლევები ასევე გვიჩვენებს, რომ ადრეული განათლების დაწესებულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ეს განსხვავება ერთის მხრივ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა საწყისი უნარებით მოდიან ბავშვები, ხოლო მეორეს მხრივ, თუ რომელ კურიკულუმს იყენებს ადრეული განათლების დაწესებულება (ფრიდი და აკერმანი, 2007; ლივერსი, 2005; NAECS/SDE, 2003).

რადგან დღემდე კვლევები არ იძლევა საშუალებას გამოკვეთო ერთი კურიკულუმი, როგორც „საუკეთესო“, საჭიროა ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც ადრეული განათლების სასწავლო-სააღმზრდელო პროცესშია ჩართული, მათ შორის აღმზრდელ-პედაგოგებმა, გააცნობიეროს ეფექტური კურიკულუმებისა და მათი მახასიათებლების ცოდნის აუცილებლობა, რათა უზრუნველყონ ბავშვების სკოლისა და მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება.

2.1 კურიკულუმის რაობის განსაზღვრა

ამ ქვეთავის გავლის შემდეგ შეძლებთ:

- კურიკულუმის რაობის, შემადგენელი ნაწილების და მახასიათებლების სწორად განმარტებას
- ბაგა-ბაღის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში კურიკულუმის მნიშვნელობის სწორად განმარტებას
- გეცოდნებათ თანამედროვე თეორიები, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე ადრეული განათლების კურიკულუმები

რა არის კურიკულუმი მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა არ არის მარტივი განსასაზღვრი. ყველაზე ხშირი და მარტივი განმარტება, რომელიც ლიტერატურაში გვხვდება, შემდეგია: კურიკულუმი ეს არის დოკუმენტი იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა ვასწავლოთ, ანუ ინფორმაცია სწავლების შინაარსსა და ფორმის შესახებ. ოქსფორდის ლექსიკონი მას განმარტავს როგორც საგნების ერთობლიობას, რომელიც სკოლის ან კოლეჯის სწავლების კურსს ქმნის. თუმცა ადრეულ განათლებაში ეს განმარტება ძალიან ვიწროა, რადგან „კურიკულუმი მეტია ვიდრე სასიამოვნო აქტივობების კრებული. *კურიკულუმი* კომპლექსური იდეაა, რომელიც შეიცავს მრავალ კომპონენტს, როგორიცაა მიზნები, შინაარსი, პედაგოგიკა, ან ინსტრუქციული პრაქტიკა. კურიკულუმზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორის საზოგადოების ღირებულებები და მოლოდინები, სტანდარტები, კვლევების

აღმოჩენები, კულტურა, ენა და ინდივიდუალური ბავშვების მახასიათებლები“ (NAYEC & NAECS/SDE, 2003). თუ გადავხედავთ კურიკულუმების მოდელებს მსოფლიოს მაშტაბით, დავინახავთ, რომ ისინი მრავალფეროვანია და მოცემული განმარტებების მიუხედავად, მაინც ჩნდება კითხვები, რომელზეც უნდა ვეცადოთ ვუპასუხოთ:

კურიკულუმი მოდელია თუ ყოველდღიურად მიღებული გადაწყვეტილებები, რომელსაც აღმზრდელები იღებენ ბავშვებისა და მათი სწავლების შესახებ? ის დოკუმენტია, თუ დოკუმენტების ერთობლიობას დამატებული მასწავლებლის გეგმები? იქნებ კურიკულუმი არის ბავშვებისათვის შექმნილი სასწავლო გეგმა? ან უბრალოდ ის არის რისი დანახვაც უნდათ გარეთა დამკვეთებს - განათლების სამინისტროს, საზოგადოებას ან/და განათლების ექსპერტებს? (C. McLachlan, M. Fleer and S. Edwards, 2010)

მოდელების შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო ძირითადი ნაწილები, რომლისგანაც შეიძლება ნებისმიერი მოდელი შედგებოდეს (Scott, 2008):

მიზნები, სტანდარტები, შედეგები – რას გვინდა მივაღწიოთ, რა შეგედებზე გვინდა გავიდეთ?

შინაარსი, სფეროები ან საგნები – რას ვასწავლით?

მეთოდები ან პროცედურები – როგორ ვასწავლით, რომელ პედაგოგიურ მეთოდებს და მიდგომებს გამოვიყენებთ?

შეფასება– როგორ გავზომოთ რა შედეგებზე გავედით?

ეს ოთხი ძირითადი შემადგენელი ნაწილი განსაზღვრავს ეფექტური კურიკულუმის მოდელებს. როდესაც არჩევანს ვაკეთებთ, თუ რომელი კურიკულუმის მოდელით ვასწავლოთ ან თუნდაც ვმუშაობთ მოცემულ კურიკულუმის საზღვრებში, ყოველთვის მნიშვნელოვანია ვაცნობიერებდეთ, რა ნაწილებისგან შედგება ის და

ზოგიერთ შემთხვევაში რა აკლია, რის შევსებას მოითხოვს ჩვენს მიერ ან განათლების სისტემაში მოცემულ სხვა დოკუმენტებისგან.

კურიკულუმის მოდელის დამუშავებისას, მის ნაწილებთან ერთად, აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ მის რამდენიმე მახასიათებელს, რომელიც შეიძლება გვაძლევდეს წინასწარ დასკვნის საშუალებას თუ რამდენად ეფექტური იქნება ეს მოდელი მოცემულ სოციო-კულტურულ რეალობაში. ელენ ფრიდი და დებრა აკერმანი (2007) გამოყოფენ რვა მახასიათებელს:

მასწავლებლისა და მოსწავლის როლი სასწავლო პროცესში. კურიკულუმის მოდელები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, თუ როგორ ანაწილებენ სასწავლო პროცესის წამყვანის როლს აღმზრდელსა და ბავშვს შორის, ამის მიხედვით შეგვიძლია სამ ტიპად დავყოთ კურიკულუმები - პირდაპირი-ინსტრუქციული, სოციალიზაციის და კონსტრუქტივისტული კურიკულუმი.

პირდაპირ-ინსტრუქციული კურიკულუმი ეყრდნობა ბიჰევიორისტულ და სოციალური სწავლების თეორიებს. ამ მოდელში, მასწავლებელი ინფორმაციას აცნობს მთელ ჯგუფს ერთად, იყენებს სტრუქტურირებულ და გამეორებაზე აგებულ გაკვეთილებს და ასწავლის ნაბიჯ-ნაბიჯ კონკრეტულ უნარებს ან იზოლირებულ ფაქტებს.

სოციალიზაციის კურიკულუმი ეყრდნობა რწმენას, რომ ბავშვები უნდა აძლევდნენ მიმართულებას სწავლებას. ბავშვი სწავლობს, თუ ის შესაბამის განვითარების დონეზეა და მასწავლებელი ხელს უწყობს, ამარაგებს მასტიმულირებელი მასალით და მხარს უჭერენ ბავშვის არჩევანს. ამ მიდგომის უმთავრესი აქტივობა არასტრუქტურირებული თამაშია და პირველი მიზანი სოციალიზაციაა. მასწავლებელს აქვს თავისუფლება აქტივობები თავის კრეატიულობაზე, გამოცდილებაზე და მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით ააგოს. შესაბამისად შესაძლებელია აქტივობა მოერგოს ინდივიდუალური ბავშვის უნარებსა და საჭიროებებს.

კონსტრუქტივისტული კურიკულუმი ეყრდნობა პიაჟესა და ვიგოცკის კონსტრუქტივისტულ თეორიებს. ხედავს სწავლებას როგორც ბავშვსა და მის

გარემოს ურთიერთქმედებას. ამ მოდელში მასწავლებელი ინიცირებას უკეთებს აქტივობას, რომელიც მიმართულია ბავშვის აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაზე, ისინი ასევე ერთვებიან ბავშვის მიერ წამოწყებულ თამაშში, რათა დაამატონ ახალი იდეები ან ხელი შეუწყონ სწავლებას. თანატოლებთან ურთიერთობაც მიჩნეულია სწავლის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილად.

ეს დაყოფა ხისტად არ უნდა წარმოვიდგინოთ. კურიკულუმების მოდელები ხშირად მკაფიოდ გამოხატული ერთი ტიპის არ არის. ჯობია ისინი დავინახოთ კონტინიუმზე პირდაპირ ინსტრუქციულსა და სოციალიზაციას შორის. კვლევები გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ტიპის კურიკულუმმა შეიძლება მიაღწიოს თავის მიზანს, თუმცა სხვაობა მიღწევის ეფექტურობაშია. მეტად ეფექტური კი არის ის კურიკულუმი, რომელიც ამ კონტინიუმის შუაში ხვდება, რადგან ის ეყრდნობა ღია ჩარჩოს პრინციპს.



როგორც გამოსახულებაშია ნაჩვენები ღია ჩარჩოს პრინციპი დაცულია, როდესაც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში აღმზრდელის და ბავშვის ინიციატივა მაღალია და თანაბარი.

სწავლების სფეროები. მნიშვნელოვანია გავარკვიოთ როგორ არის ორგანიზებული სწავლება. რა სფეროების სწავლებას ისახავს მიზნად კურიკულუმი? როგორ არის ის დაყოფილი: ცალკეულ საგნებად, უნარ-ჩვევებად, აქტივობის ტიპებად თუ ეს ყველაფერი ინტეგრირებულია ერთმანეთში?

დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა მიგვანიშნებს, რომ განსაკუთრებით ადრეულ ასაკში უფრო ეფექტურია ინტეგრირებული სწავლება, სადაც ცალკეულ საგნებს არ ასწავლიან, რომელიც ფოკუსირებულია „მთლიანი ბავშვის“ სწავლებაზე, ანუ ყველა სფეროს განვითარებაზე. ამ ტიპის კურიკულუმებს მრავალმხრივი, კომპლექსური კურიკულუმი ეწოდებათ. უკეთესად რომ წარმოვიდგინოთ, მრავალმხრივი კურიკულუმი, არ ყოფს სასწავლო პროცესს საგნებად, მაგალითად მათემატიკის გაკვეთილი, ხატვის გაკვეთილი და სხვა. ეს კურიკულუმი სასწავლო პროცესის თითოეულ აქტივობაში აერთიანებს საგნებს, უნარ-ჩვევებს და ცოდნას, დასახული მიზნის შესაბამისად; ბავშვი განსაზღვრულ დროსა და სივრცეში კი არ სწავლობს, და

ივითარებს რომელიმე უნარს, არამედ ნებისმიერ დროს ნებისმიერი აქტივობისას სწავლობს და ვითარდება. ასევე მთლიანობითი მიდგომა გულისხმობს იმას, რომ კურიკულუმი თანაბარ ყურადღებას უთმობს როგორც აკადემიურ საგნებს, შესაბამის უნარ-ჩვევებს და ცოდნას, ასევე სხვა სფეროებს, როგორიც არის მაგალითად სოციალურ-ემოციური სფერო.

ბავშვებზე მორგებადობა. იმის მიუხედავად, რომ თითოელი კურიკულუმი ცდილობს იყოს მორგებული ბავშვზე, მნიშვნელოვანია ამ კომპონენტზე კარგად ვიფიქროთ. კურიკულუმის მოდელი შეიძლება ცდილობდეს „საშუალო“ ბავშვზე იყოს მორგებული, ასეთ მოდელებს „კონტექსტისგან თავისუფალ“ კურიკულუმებს უწოდებენ, რადგან ამ მოდელებში მოცემულია კონკრეტულად თუ რა და როგორ უნდა ისწავლებოდეს და ეს მოცემულობები ეყრდნობა „საშუალო“ ბავშვის ტიპურ განვითარების ეტაპებს. ამის საპირისპიროდ არსებობს „კონტექსტ-სენსიტიური“ კურიკულუმი, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ კონტექსტიდან გამომდინარე, ანუ ბავშვის შესაძლებლობებიდან, უნარებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმოს აღმზრდელმა რა და როგორ ასწავლოს. ამ შემთხევევაში, კურიკულუმის **ინდივიდუალიზაციაა** შესაძლებელი და ის ხდება მორგებული თითოეულ ბავშვზე, რომელიც ჩართულია მოცემულ პროგრამაში.

- **შეფასების სისტემა**. კურიკულუმის მოდელები გვთავაზობენ სხვადასხვა ტიპის შეფასების სისტემას, მაგალითად ხშირად პირდაპირ ინსტრუქციული კურიკულუმები იყენებენ სტანდარტიზებულ ტესტებს, ხოლო სოციალიზაციის კურიკულუმები დაკვირვებას. შეფასების სისტემაში შეიძლება შეგვხვდეს პორტფოლიო, რეფლექსია, ჩეკლისტი და სხვა.

გარდა შეფასების სისტემის ფორმისა, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ ესა თუ ის კურიკულუმის მოდელი, რა მიზნით იყენებს შეფასებას. მიზანი შეიძლება ოთხნაირი იყოს:

1. სასწავლო-სააღმზრდელო მიზნების მიღწევის დადგენა

2. ინფორმაციის შეგროვება სწავლების პროცესის შესახებ

3. ბავშვების შეფასება მნიშვნელოვან უნარებში და რეალისტურ კონტექსტში

4. ინდივიდუალური ბავშვის განვითარების აღწერა

კვლევითი საფუძველი. ცხადია, რომ იმ კურიკულუმის მოდელი უფრო შედეგიანია დასახული მიზნების მისაღწევად, რომელიც ეყრდნობა შესწავლილ თეორიულ მოდელს, და რომლის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ის ეფექტურია. შესაბამისად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ თითოეული კურიკულუმის მოდელი, რა თეორიული საფუძველი აქვს და ეყრდნობა თუ არა თანამედროვე კვლევებს; ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თავად ეს მოდელი გამხდარა თუ არა კვლევითი ინტერესის სფერო და თუ რას გვეუბნებიან კვლევები ამ მოდელის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, მის ეფექტურობაზე.

მასწავლებელზე მორგებადობა. კურიკულუმი მხოლოდ ბავშვზე არ უნდა იყოს მორგებული, არამედ აღმზრდელზეც. მასწავლებლის კომპეტენციის დონეები (Tanner and Tanner, 2000) სამად შეიძლება დავყოთ:

I დონე - მასწავლებელი იყენებს მზა რუტინულ მასალას, როგორიცაა სამუშაო ფურცლები. არ ხდება მასალის კრიტიკული შეფასება და გამოყენებულია იზოლირებულ აქტივობებში

II დონე - მასწავლებლი ცდილობს ინტეგრირება გაუკეთოს დაუგეგმავად წამოჭრილ საკითხებს და ყველა სწავლების სფეროს, მაგრამ ის შეიძლება ყოველთვის წარმატებულად ვერ ართმევდეს თავს.

III დონე - მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ფართო თემებზე, რომელიც დაკავშირებულია თითოეულ სწავლების სფეროსთან და ასევე იღებს საკმაოდ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს კურიკულუმის ბავშვების საჭიროებებზე ადაპტაციისთვის.

სხვადასხვა კურიკულუმის მოდელი სხვადასხვა კომპეტენციის დონის მქონე მასწავლებელზეა მორგებული. რადგან ეს კომპეტენციის დონეები არ არის

საფეხურეობრივი, მესამე კომპეტენციის დონის მასწავლებელსაც გაუჭირდება იმ კურიკულუმის მოდელში მუშაობა, რომელიც შექმნილია კომპეტენციის პირველი დონის მასწავლებლისთვის. შესაბამისად თუ მიღებული კურიკულუმის მოდელი არ შეესაბამება ქვეყანაში ან ბაღში მომუშავე აღმზრდელების კომპეტენციის დონეს, აუცილებელია მათი გადამზადება, რათა ეფექტური მოდელი გამოდგეს.

მასალა. ადრეულ ასაკში ბავშვების კოგნიტური და სოციალურ-ემოციური განვითარება ხდება ფიზიკურ საგნებთან ურთიერთქმედების საშუალებით. შესაბამისად იმის განსაზღვრა თუ რა მასალის გამოყენებას გვთავაზობს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში კურიკულუმის მოდელი, შეიძლება გადამწყვეტი იყოს მიზნების მიღწევისთვის. მასალის კატეგორიზაცია ბევრნაირად შეიძლება გავაკეთოთ, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ დახურული- და ღია- მასალა, როგორც მნიშვნელოვანი განმასხვავებლის მქონენი. დახურული- მასალა არის ისეთი მასალა, რომელსაც კონკრეტული გამოყენების წესი აქვს, მაგალითად ფაზლი, სათამაშო ტელეფონი, წიგნი და სხვა; ხოლო ღია- მასალა იძლევა შემოქმედებითი მიდგომის საშუალებას, რადგან ის შეიძლება მრავალმხრივ იყოს გამოყენებული, ასეთია მაგალითად ქსოვილი, ქაღალდი, მუყაოს ყუთები, პლასტმასი, კენჭები, კუბები და სხვა.

მშობლების ჩართულობა. კურიკულუმის მოდელი შეიძლება არ მოიაზრებოდეს, გულისხმობდეს ან ექსპლიციტურად ხაზს უსვამდეს მშობლის ჩართულობას სასწავლო სააღმზრდელო პროცესში. თანამედროვე კვლევები გვიჩვენებენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მშობლისა და თემის ჩართულობა პროცესში, და რომ ასევე მნიშვნელოვანია ამის ხაზგასმა კურიკულუმში. მშობელი შეიძლება ჩართული იყოს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მიზნით. ის შეიძლება იყოს როგორც დამკვეთი ანუ ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს. ამ შემთხვევაში ის ჩართულია, როგორც ადმინისტრაციულ საკითხებში ისე სასწავლო პროცესში. მშობელი შეიძლება იყოს ინფორმაციის წყარო, რომელიც უმნიშვნელოვანესია აღმზრდელისთვის, რომ სწორად დაგეგმოს სასწავლო პროცესი. მშობელი ასევე შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ბავშვის პირველი აღმზრდელი, რომელთან თანამშრომლობაც გადამწყვეტია, რათა ბაღში შეძენილი უნარ-ჩვევების გენერალიზაცია მოხდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მშობლის ჩართულობის მიზანი შეიძლება იყოს კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა ბავშვებისთვის.

რომ შევაჯამოთ, კურიკულუმის მოდელი - არის „თეორიული მოცემულობების, ადმინისტრაციული წესებისა და პედაგოგიური კომპონენტების იდეალური წარმოდგენა პროგრამაში, რომელიც მიზანმიმართულია კონკრეტული საგანმანათლებლო შედეგისკენ“ (Frede and Ackerman, 2007)[19].

2.2 კურიკულუმის მოდელების განსხვავება

ამ ქვეთავის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს:

- სწორად განმარტოს თანამედროვე და ეფექტური კურიკულუმების მოდელები
- სწორად განსაზღვროს თანამედროვე და ეფექტური კურიკულუმების მოდელების მახასიათებლები
- გაანალიზოს კურიკულუმის მოდელების ღირებულებები და ეფექტური პრაქტიკის კრიტერიუმები
- გაანალიზოს კურიკულუმები განვითარებისა და ასაკის შესაბამისად
- მახასიათებლების მიხედვით განასხვაოს კურიკულუმის მოდელები
- სააღმზრდელო სასწავლო გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს კურიკულუმის მოდელების პრინციპები

ამ ქვეთავში გაივლით კურიკულუმის რამოდენიმე მოდელს, რომელიც დღემდე ეფექტურ მოდელებად მოიაზრება და მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

---

[19] მოცემულ მახასიათებლებზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ სტატია Ellen Frede and Debra J. Ackerman (2007): Preschool Curriculum Decision-Making: Dimensions to Consider, National Institute for Early Education Research, www.nieer.org

მონტესორი

მარია მონტესორი (1870-1952) მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს იტალიაში დაიბადა. მან უმაღლესი განათლება მიიღო და გახდა ექიმი. კარიერა კი დაიწყო შეზღუდული შესაძებლობის მქონე პირებთან მუშაობით. მარია მონტესორიმ ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა. იმ დროს მიღებული აზრი, რომ ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე ადამიანების განვითარების ხელშეწყობა შეუძლებელია, მან მცდარ აზრად აღიარა.

1907 წელს გახსნა პირველი Casa dei Bambini (ბავშვების სახლი), სადაც შეიტანა ახალი მეთოდი. ამ მეთოდის შესახებ მან წიგნიც დაწერა სახელად „მონტესორის მეთოდი“. მარია მონტესორის ცხოვრებაშივე გახდა მისი მეთოდი პოპულარული, გაიხსნა მონტესორის ბაღები სხვადასხვა ქვეყანაში და ამ ბაღების წარმატებბა ოკეანის მიღმაც გახდა ცნობილი. დღემდე უამრავი ბაღია, რომელიც მონტესორის მეთოდით მუშაობს მსოფლიოში და ისინი ერთერთ ყველაზე ეფექტურ ბაღებად ითვლებიან. მარია მონტესორიმ იზრუნა, რომ მის ბაღებში ხარისხი ყოველთვის ერთნაირად მაღალი ყოფილიყო. დღეს საერთაშორისო ოფიციალური ასოციაციები, როგორიცაა „მონტესორის საერთაშორისო ასოციაცია“ (http://ami-global.org/) და „მონტესორის ფონდი“ (http://www.montessori.org/), უზრუნველყოფს მასწავლებელთა ტრენინგების, მონტესორის მასალების და რაც მთავარია, ადრეული დაწესებულებების ლიცენზირებას და ხარისხს.

მონტესორის მეთოდი მეცნიერულ დაკვირვებებს ეყრდნობა, მას საფუძვლად უდევს თეორიები სენსორულ, მოტივაციურ და მორალურ განვითარებაზე.

სენსორული განვითარება. მონტესორის დაკვირვებით ბავშვები სწავლობენ უკეთესად შეგრძნებების გამოყენებით. განვითარების საფეხურების ფიქსირებული თანმიმდევრობა არსებობს. ამ ჩამონათვალში ჯერ სენსორული განვითარება გვხვდება და მხოლოდ მას შემდეგ მოდის გონებრივი განვითრება და აბსტრაქტული აზროვნება. ადამიანები ბიოლოგიურად ვართ ორიენტირებული განვითარებისკენ, თუმცა ყველას განსხვავებული ტემპი აქვს. მონტესორი თვლიდა, რომ არსებობს „სენსიტიური პერიოდები“, რომლის დროსაც განვითარების რამდენიმე პერიოდი ერთმანეთს გადაფარავს და ამ დროს ბავშვი ხდება სენსიტიური რაიმე კონკრეტული სტიმულისა ან ინტერაქციის მიმართ. დაბადებიდან ექვს წლამდე ჩვენ ვსწავლობთ და ვვითარდებით ყველანაირი ცნობიერი ძალდატანების გარეშე. ადრეულ ასაკში ბავშვები იძენენ უნარებს ყველანაირი ფორმალური ინსტრუქტაჟის გარეშე და ხშირად ისინი ვერც იაზრებენ, რომ რაიმეს სწავლობენ. ეს ასე იმიტომ ხდება, რომ ბავშვისთვის ძალიან მარტივია კონკრეტული უნარი შეიძინოს შესაბამის სენსიტიურ პერიოდში. თუ სენსიტიურმა პერიოდმა ჩაიარა, მაშინ ეს უნარი ფორმალურად უნდა იქნას შესწავლილი და ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

განვითარების მოტივაციური საფუძველი. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ვიბადებით თანდაყოლილი „განვითარების გეგმით“, ჩვენი განვითარება და სწავლება დამოკიდებულია გარე სამყაროზე. ბავშვები უკეთ სწავლობენ გარემოში, სადაც მათი საჭიროებები დაკმაყოფილებულია. აქედან გამომდინარე, მარია მონტესორის მეთოდში უფროსის მოვალეობაა ხელი არ შეუშალოს ბავშვის შინაგან მოტივაციას ისწავლოს. ის ვალდებულია პატივი სცეს ბავშვის ინტერესებსა და არჩევანს.

მორალური განვითარება. მონტესორი თვლიდა, რომ ადამიანები ადრეულ ასაკში სოციალიზაციას ვერ ახერხებდნენ, ეს უნდა ყოფილიყო საბოლოო მიზანი, რომელზე გასვლასაც სკოლის ასაკის ბავშვები მოახერხებდნენ. ადრეულ ასკში კი წამყვანი მიზანი თვით-დისციპლინა უნდა იყოს. თვით-დისციპლინა სპონტანურად იჩენს თავს ამისთვის მომზადებულ გარემოში, ამ გარემოს დამახასიათებელი კი თავისუფლებაა და არა რეპრესიულობა. მხოლოდ ასეთი გარემო იძლევა საშუალებას ბავშვმა განავითაროს თვით-კონტროლისა და თვით-შეკავების უნარები. პრაქტიკის

დონეზე ეს თეორიები მონტესორის მოდელში შემდგენ ნაირად ითარგმნება: მონტესორის მოდელის მიხედვით ადრეული განთლების მიზანია ბავშვს გამოუმუშავოს სამი კატეგორიის ყოველდღიური უნარები, რომლებიც სწავლის ფუნდამენტებია:

1. გარემოზე ზრუნვა

2. საკუთარ თავზე, როგორც ინდივიდზე, ზრუნვა

3. სხვებზე, როგორც საზოგადოებაზე, ზრუნვა

მონტესორის მოდელში ფიზიკური გარემო სტანდარტულია: ოთახი დიდი და ნათელია, ავეჯი ბავშვის სიმაღლისაა, მასალა და სათამაშოები ბავშებისთვის ხელმისაწვდომია, ოთახი ფუნქციურ სივრცეებად არის დაყოფილი და ინდივიდუალური სამუშაო ადგილებია. მონტესორის მოდელში ბავშვები ასაკობრივად არ არიან დაყოფილი. ჯგუფში შერეული ასაკის ბავშვები არიან, მაქსიმალური ასაკობრივი სხვაობა მათ შორის სამი წელი შეიძლება იყოს. მასალა და სათამაშოები, რომელიც ამ მოდელში გვხვდება, მარია მონტესორის შექმნილია. მასალა ბავშვისთვის მიმზიდველი უნდა იყოს, ამიტომ ის აუცილებლად მაღალი ხარისხის მასალისგან უნდა იყოს დამზადებული და არ უნდა იყოს დაზიანებული. მონტესორის მასალა დახურული- მასალაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული გამოყენების წესი აქვს; ისინი ისეა გაკეთებული, რომ შეცდომის დაშვების შემთხვევაში ბავშვი თვითონ მიხვდეს და შეძლოს შეცდომის გამოსწორება.

მონტესორი თვლიდა, რომ უფროსის ნებისმიერი ქმედება ზღუდავს ბავშვის თავისუფლებას, უფროსი უნდა იყოს დამკვირვებელი, რომელიც მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იძლევა რეაქციას ბავშვის მიერ გამოვლენილ ქცევაზე. მონტესორის მოდელში აღმზრდელს აქვს იზოლირებული პოზიცია, ის ძირითადად დამკვირვებელია და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ერევა პროცესში იმით, რომ ახალი მასალის გამოყენების დემონსტრირებას უკეთებს და შემდეგ ნებაზე უშვებს ბავშვს.

მონტესორის მოდელი დღემდე პირვანდელ სახეს ინარჩუნებს, თუმცა რამდენიმე პატარა მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა. მაგალითად, დღეს არსებულ მონტესორის ბაღებში თამაშმა და წარმოსახვის განვითარებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, ასევე შემოსულია ვერბალიზმი და აღმზრდელის მოვალეობა მხოლოდ დემონსტრირება აღარ არის, არამედ ინსტრუქციების მიცემაც. მონტესორის სურვილი, რომ მოდელი ეყრდნობოდეს მეცნიერულ ცოდნას, ვლინდება იმაში თუ რამდენად დიდი ძალისხმევა იხარჯება ამ მოდელის შესასწავლ კვლევებში. ეს კვლევები კი გვიჩვენებენ, რომ მონტესორის ბაღი, მართლაც, ერთერთი ყველაზე ეფექტური მოდელია ადრეულ განათლებაში.

ტყის სკოლა

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან შვედეთში ადრეული განათლების სისტემაში გამოჩნდა ახალი ტიპის პროგრამა, რომელიც განსხვავებული ხერხით ასწავლიდა ბავშვებს ბუნებრივი გარემოს შესახებ. ამ იდეამ ფესვები გაიდგა დანიაში, სადაც დღეს ტყის სკოლის მოდელი ადრეული განათლების ინტეგრირებული ნაწილია. 1995 წლიდან ეს მოდელი ბრიტანელებმა წაიღეს თავიანთ ქვეყანაში, სადაც დღემდე ხვეწავენ და ავითარებენ ამ მოდელს და სთავაზობენ მსურველებს სპეციალიზებულ ტრენინგ პაკეტებს. დღეს ძალიან ბევრ განვითარებულ ქვეყანაში

გვხვდება ტყის სკოლის მოდელის ბაღები; იგი ადრეული განათლების უამრავი სპეციალისტისთვის ღირებული მოდელია, რომლის ფილოსოფიაც დიდ ინტერეს იწვევს.

ფრედერიკ ფრობელი ხაზს უსვამდა ბაღის/ეზოს მნიშვნელოვბას ბავშვის განვითარებისა და სწავლების პროცესში. ფრობელამდეც, მისი წინამორბედებიც საუბრობდნენ ბავშვის ბუნებასთან ურთიერთობის შედეგებზე. ტყის სკოლის თეორიული საფუძველი ზუსტად ამ გავრცელებულ აზრშია, რომ ეზო არის საუკეთესო ადგილი ბავშვის განვითარებისა და სწავლებისთვის. ეზო/ტყე, რომელიც პირდაპირ აკავშირებს ბავშვს ბუნებასთან, იძლევა თავისუფლების განცდას, ამ გარემოში ბავშვი ბუნებრივად გამოიმუშავებს პასუხისმგებლობის გრძნობას და თავდაჯერებულობას, რაც საფუძვლად ედება მის განვითარებას და ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში საკმაოდ განსხვავებულ ტყის ბაღებს შეიძლება შეხვდეთ. ზოგიერთს შენობა საერთოდ არ აქვს, ზოგს კი დიდი შენობა აქვს და პატარა ეზო, მათ ბავშვები მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტყეში ან ნაკრძალში გაყავთ. ზოგან ჯგუფში მაქსიმუმ 6 ბავშვია, ზოგან კი ვხვდებით 150 ბავშვს ბაღში, რომლებიც ჯგუფებად დაყოფილი არ არიან. თუმცა რაც ყველა ტყის სკოლას საერთო აქვს არის ის, რომ ბავშვები თუ სრულ დღეს არა, მის უმეტეს ნაწილს ბუნებაში ატარებენ. ტყის სკოლის ფილოსოფიის მიხედვით, არ არსებობს ცუდი ამინდი, არსებობს შეუსაბამო ტანისამოსი. შესაბამისად, მხოლოდ შტორმის და -10 გრადუსი ან ნაკლები ყინვის შემთხვევაში არ გაყავთ ბავშვები გარეთ.

ტყის სკოლებში სასწავლო სააღმზრდელო პროცესი ისეა მოწყობილი, რომ თითოეულმა ბავშვმა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად მიაღწიოს განსაზღვრულ სტანდარტებს. ამ კურიკულუმის მიზანია ბავშვის ჰოლისტური/მთლიანობითი განვითარება, შესაბამისად ითვალისწინებს როგორც ბავშვის ფიზიკურ განვითარებას, ასევე მეტყველების და წიგნიერების, კოგნიტური, შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პროცესში ბავშვები იყენებენ ნამდვილ ხელსაწყოებს, როგორიცაა დანა, ხერხი, ჩაქუჩი და სხვა.

ტყის სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უსაფრთოხებას, ამისთვის გულმოდგინედ შემუშავებულია რუტინა და უსაფრთოხების წესები. ტყის სკოლის

აღმზრდელები გადიან სერტიფიცირებულ კურსებს, რათა გახდნენ ტყის სკოლის აღმზრდელები. შესაბამისად მათ იციან, როგორ უზრუნველყონ უსაფრთოხება თავისუფალ გარემოში, სადაც ბავშვისთვის ყველაფერი ხელმისაწვდომია. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მშობლების მაღალ ჩართულობას ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მაღალი შესაძლებლობები

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, დოქტორ დეივიდ ვეიკარტმა განავითარა ახალი მიდგომა, რომლის მიზანი იყო დახმარებოდა სკოლაში წარუმატებლობის რისკ ჯგუფში არსებულ ბავშვებს. მიჩიგანში, შეერთებული შტატები მაღალ კლასში დაბალი მოსწრება, იყო ის პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ისახავდა მიზნად მოცემული ადრეული განათლების კურიკულუმი. დღეს ის ერთერთი ყველაზე გავრცელებული მიდგომაა მსოფლიოში.

ეს მიდგომა ეფუძნება, როგორც დღემდე დაგროვილ თეორიულ ცოდნას ადამიანის განვითარებისა და სწავლების სფეროში, ასევე 40 წლიან კვლევებსა და გამოცდილებას. იგი ძირითადად ეყრდნობა პიაჟეს თეორიას. „მაღალი შესაძლებლობების“ მოდელის წამყვანი იდეებია:

- პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს თეორიას. აღმზრდელები და ადმინისტრატორები უნდა მუშაობდნენ ისე, რომ პრაქტიკასა და თეორიას ტოლ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, და მათზე დაყრდნობით განხორციელებული პროცესი მიმართული უნდა იყოს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებისაკენ, აქტიური სწავლების გამოყენებით.

- აქტიური სწავლება. განვითარება და სწავლება დევს ბავშვში, შესაბამისად უფროსების როლია მხარი დაუჭირონ და მიმართულება მისცენ ბავშვებს მათი აქტიური სწავლების თავგადასავლებსა და გამოცდილებაში. ბავშვები კეთებით სწავლობენ, რეალურ კონტექსტში მიღებულ გამოცდილებების საფუძველზე.

- ბავშვზე ორიენტირება. ბავშვი არის მიდგომის ცენტრი, ყველა ის სტრატეგია, რომელსაც ვიყენებთ დაეხმარება მა,ს რომ მიაღწიოს თავისი პოტენციალის მაქსიმუმს. ბავშვი არის აქტიური მოსწავლე, რომელიც ინაწილებს ძალაუფლებას უფროსთან.

- ინდივიდუალური მიდგომა. თითოეული ბავშვი არის მნიშვნელოვანი და განსხვავებული. რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლის როლია თითოეულ ბავშვს მოარგოს კურიკულუმი - გაითვალისწინოს თითოეულის ინტერესი, შესაძლებლობები და საჭიროებები.

- ოჯახის ჩართულობა მნიშვნელოვანია. აღმზრდელები მუშაობენ ბავშვთან არა მხოლოდ ბაღში, არამედ გეგმავენ შეხვედრებს სახლშიც, რათა იმუშაონ მათ მშობლებთან და გააცნონ მაღალი შესაძლებლობების მიდგომა.

მაღალი შესაძლებლობების კურიკულუმის მოდელში მოცემულია „განვითარების შესაბამისი ინდიკატორები“, რომელიც წარმოადგენს პროგრამის მიზანს თითოეული ბავშვისთვის. მოცემულია 58 ინდიკატორი, რომელიც დაყოფილია სფეროების მიხედვით - სოციალურ-ემოციური განვითარება; ფიზიკური განვითარება და ჯამრთელობა; მეტყველება, წიგნიერება და კომუნიკაცია; მათემატიკა; შემოქმედებითი ხელოვნება; მეცნიერება და ტექნოლოგია; სოციალური განვითარება - და ამ სფეროებში აღწერს ბავშვის ქცევას, რომელიც მიგვანიშნებს მის ცოდნასა და უნარებზე კონკრეტულ სფეროში.

ფიზიკური გარემო მაღალი შესაძლებლობების კურიკულუმის მოდელში სასწავლო ცენტრებად არის დაყოფილი. ოთახში თვალსაჩინოდ გამოყოფილია ფუნქციური სივრცე, რომელშიც ავეჯი და რესურსი ამ სივრცის ფუნქციიდან გამომდინარე არის შერჩეული. მაგალითად კონსტრუქციული ცენტრი მდებარეობს ხალიჩაზე, რომელიც თვალსაჩინოდ გამოყოფს მას სხვა დანარჩენი ცენტრებისგან. ამ ცენტრში არსებულ თაროებზე აწყვია ტიპებად ორგანიზებული სხვდასხვა კუბები ასევე დახარისხებული სხვადსხვა კალათში სატრანსპორტო სათამაშოები, პატარა ზომის გარეული ცხოველები და შინაური ცხოველები.

ასეთი განლაგება ოთახში საშუალებას იძლევა, რომ აქტივობების მრავალფეროვანი არჩევანი იყოს ნებისმიერ მომენტში. ოთახში იმდენი აქტივობაა, რამდენი ცენტრიც. თუმცა მათი ინიცირება არ ხდება მხოლოდ მასწავლებლის მიერ ინსტრუქტაჟის საშუალებით, ხშირად მომარაგებული მასალა საკმარისია აქტივობის ინიცირებისთვის. მაგალითად, აღმზრდელი დრამატულ ცენტრში აკრავს ადამიანის სხეულის შესახებ პლაკატებს, ათავსებს პატარა მაგიდას უკან ერთი და წინ ორი სკამით. უკანა სკამზე კიდებს თეთრ ხალათს და კალეიდოსკოპს, მაგიდაზე აწყობს სათამაშო ნემსებს და სხვა საექიმო ნივთებს; მოსული ბავშვები არ იღებენ ინსტრუქციას აღმზრდელისგან, თუ რა უნდა გააკეთონ, მაგრამ შესული ცენტრში ყველა ექიმობანას თამაშს იწყებს.

ამ მოდელისთვის მხოლოდ მასწავლებლის ან მასალის მიერ ინიცირებული, დაგეგმილი აქტივობები, არ არის მნიშვნელოვანი. მოდელში ხაზგასმულია დაუგეგმავი, ანუ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები და რუტინული აქტივობები, როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი გამოცდილებაა სწავლებისა და

განვითარებისთვის. თუმცა მიჩნეულია, რომ მხოლოდ კეთება არ არის საკმარისი სწავლებისთვის, ამიტომ მაღალი შესაძლებლობები იყენებს „დაგეგმე-გააკეთე-განიხილე პროცესს:. ეს პროცესი ძირითადად ასე წარიმართება დღის მანძილზე: ბავშვი დილის წრეზე გეგმავს იმ აქტივობებს, რომლის განხორციელებაც სურს, შემდეგ ახორციელებს მათ, ხოლო საღამოს წრეზე არჩევს მიღებულ გამოცდილებას სრულ ჯგუფთან. დაგეგმვისა და რეფლექსიის პროცესი თითოეულ აქტივობის მიმდინარეობისასაც შეიძლება შეგვხვდეს, როდესაც ბავშვი წინასწარ ცდილობს გამოიცნოს შეგროვილი ნივთებიდან, რომელი ჩაიძირება და რომელი იტივტივებს ავზში, შემდეგ ცდის და ამ ნივთებით ითამაშებს წყალში, ბოლოს კი დაასკვნის, რომ ფოთოლი არ იძირება ქვა კი ფსკერზე ჩადის, მაგრამ როდესაც ქვა ფოთოლს დაადო, ფოთოლიც ჩაიძირა.

ამ მოდელში აღმზრდელის როლია ეფექტური გარემოს შექმნა, რაც ერთი მხრივ, საჭირო მასალითა და რესურსებით მომარაგებას და პოზიტიური ურთიერთობების წახალისებას გულისხმობს; მიზანმიმართულ ინტერვენციას კი საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს, ეს შეიძლება იყოს აქტივობის დაგეგმვა, ახლი სტრატეგიის შემოტანა პრობლემის გადასაჭრელად, ცვლილებების დაგეგმვა გადასვლებში და სხვა.

მეტი ინფრომაციისთვის ეწვიეთ მაღალი შესაძლებლობების ოფიციალურ საიტს http://www.highscope.org/, სადაც მოცემულია როგორც სახელმძღვანელოები ასევე სტატიები სხვადასხვა თემებზე.

ამ ქვეთავში მოცემული მოდელები არ შეადგენს თანამედროვე ეფექტური კურიკულუმის მოდელების ამომწურავ სიას. შესაბამისად სრული სურათის შესაქმნელად გაეცანით სხვა მოდელებსაც, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ სხვადასხვა ქვეყანაში და ექსპერტებს შორის, მათი ეფექტურობის გამო. მაგალითად, ტე ვარიკი (ახალი ზელანდია), გონების იარაღები, წარმატებული დასაწყისი, რეჯიო ემილია, გამოცდილებითი განათლება, ვალდორფი და სხვა.

4.3. საქართველოში არსებული ადრეული განათლების კურიკულუმების ანალიზი

ამ ქვეთავის გავლის შემდეგ უნდა შეგეძლოს:

- სწორად ჩამოთვლის საქართველოში არსებულ **დოკუმენტებს**/წიგნებს ადრეული განათლების კურიკულუმის ჭრილში

- აანალიზებს საქართველოში არსებულ **ადრეული განათლების კურიკულუმის** ღირებულებებსა და მახასიათებლებს

- აანალიზებს საქართველოში არსებულ კურიკულუმების გამოწვევებსა და სუსტ მხარეებს

- სააღმზრდელო სასწავლო გეგმის შემუშავების დროს ითვალისწინებს საქართველოში არსებული ადრეული განათლების კურიკულუმების პრინციპებს

ადრეული სწავლისა და განვითარების სტანდარტები

2010 წელს გამოიცა სტანდარტების დოკუმენტი, რომელიც არის დამხმარე სახელმძღვანელო ადრეულ ასაკის ბავშვებთან მომუშავე ნებისმიერ პირისთვის, განსაკუთრებით კი მიმართულია ადრეული განათლების დაწესებულებისკენ.

ეს დოკუმენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრთან ერთად. მისი მიზანია დაეხმაროს აღმზრდელებს გააცნობიერონ შესაძლო მიზნები და მათი მიღწევის გზებ, რაც მათ დაეხმარებათ უკეთ დაგეგმონ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი.

სტანდარტი დაყოფილია ბავშვის ასაკის მიხედვით, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში კი გამოყოფილია ხუთი სფერო: ჯამრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სწავლისადმი მიდგომა, მეტყველების განვითარება და სოციალურ-ემოციური განვითარება. თითოეულს სფეროში მოცემულია რამდენიმე შედეგი, რომელსაც ამ სფეროში მოცემულ ასაკში ბავშვმა

უნდა მიაღწიოს. ეს შედეგები არის აღმზრდელის მიზანი, რომელსაც უნდა მიყვებოდეს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ დოკუმენტი - „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“.

ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა

1998 წლიდან საქართველოში დაინერგა ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩაენაცვლებინა იმდროინლდელი ავტორიტარული სწავლება ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით. ეს პროგრამა პროდუქტია „ნაბიჯ ნაბიჯ“ საერთაშორისო ასოციაციის, რომელიც აერთიანებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის 30 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს.

„ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამა, რომელიც დაინერგა საქართველოში, ეყრდნობა თამანედროვე სწავლების პრინციპებს, ამასთან ერთად კი ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ-კულტურულ მოცემულობას და ცდილობს ამოვიდეს ეროვნული პროგრამით გათვალისიწნებული სწავლების შინაარსიდან. შემოთავაზებული ახლებური მიდგომა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს საფუძვლად უდებს თითოეული ბავშვის განვითარების დონეს, მის ინტერესსა და ინიციატივას, და მის შესაძლებლობების სრულად გამომჟღავნების აუცილებლობას. ეს პროგრამა პირველად საქართველოში გვთავაზობს ინკლუზიური გარემოს პრინციპს და ხაზს უსვავს სწავლების ინდივიდუალიზაციის, დამოუკიდებელი არჩევნის გაკეთების უნარის დასწავლის და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში ოჯახის ჩართულობის აუცილებლობას.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ სახელმძღვანელო კრებული - „ნაბიჯ-ნაბიჯ: პროგრამა ბავშვებისა და მშობლებისთვის“.

სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის

2012 წელს, პროგრამა თბილისის მერიის დაკვეთით მომზადდა საუნივერსიტეტო სივრცეში. შესაბამისად პროგრამის უპირველესი ბენეფიციარები არიან დედაქალაქის სკოლამდელი ასაკის ბავშვები.

პროგრამა ეყრდნობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნულ სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშევებულ სტანდარტებს და ამასთანავე საფუძვლად უდევს ჰოლისტური/მთლიანობითი მიდგომა. ის ითვალისწინებს როგორც ცალკეული უნარების, როგორიცაა კოგნიტური, მეტყველების, მოტორული, შემოქმედებითი, განვითარებას, ასევე ბავშვის პიროვნულ განვითარების ხელშეწყობასაც.

წიგნი დაყოფილია ძირირად სამ ნაწილად, რომელიც წარმოადგენს საბავშვო ბაღში არსებული ასაკობრივი ჯგუფისთვის მორგებულ პროგრამას. თითოეული ნაწილი - 3-4 წლიანების, 4-5 წლიანების და 5-6 წლიანების - შედგება თემებისგან, რომელიც აქტუალურია და საინტერესო მოცემული ასაკობრივი ჯგუფისთვის. თითოეული თემის ფარგლებში მოცემულია აქტივობები, რომელიც დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

1. დილისა და სარამო წრე
2. წიგნიერება/მეტყველება
3. ხელოვნება
4. მუსიკა და მოძრაობა
5. სამაგიდო აქტივობები
6. დრამატული აქტივობები
7. სენსორული აქტივობები
8. მეცნიერება

9. კონსტრუქციული ატივობები

ეს პროგრამა გვთავაზობს სივრცის ცენტრებად დაყოფას, რომელიც ზუსტად შეესაბამება აქტივობების დაყოფას. ფიზიკური გარემოს ამდაგვარი მოწყობა რელევანტურია თბილისის საბავშო-ბაღების ჯგუფების რეალობასთან, რომელიც ძალიან დიდი რაოდენობის ბავშვებისგან შედგება.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ წიგნი - სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის: აქტივობათა წიგნი

სასკოლო მზაობის პროგრამა თ-ა-მ-ა-შ-ი

2014 წელს დაიწყო მუშაობა ახალი პროგრამის შექმნაზე. სასკოლო მზაობის პროგრამა თ-ა-მ-ა-შ-ი იმით განსხვავდება წინამორბედებისგან, რომ ის განკუთვნილია კონკრეტულად 5-6 წლიანებისთვის და როდესაც დაინერგება ის იქნება ეროვნული კურიკულუმი, ანუ სასწავლო პროგრამა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რომელიც იქნება საერთო საქართველოს მასშტაბით და შესაბამისად უზრუნველყოფს შინაარსისა და სტანდარტების ერთგვაროვნებას განათლებაში.

აღნიშნული კურიკულუმს საფუძვლად უდევს ოთხი ძირითადი კონცეპტი:

- **თამაში**, როგორც ბავშვის წამყვანი ქცევა, რომლის ფუნქციაც არის განვითარება და ახლის სწავლა.
  ადრეულ ასაკში ბავშვები განვითარებასთან ერთად ახალი ტიპის თამაშების თამაშს იწყებენ, მაგალითად, წარმოსახვითი ან წესებიანი თამაშები. აღმზრდელის როლი მდგომარეობს თამაშების მრავალსახეობის წახალისებასა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში თამაშის ელემენტების მუდმივი გამოყენებაში.
- **ჯგუფის ერთობა**, როგორც უსაფრთხო გარემოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. მიკუთვნებულობა ადამიანის ბაზისური საჭიროებაა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში არის შესაძლებელი მისი განვითარება და სიჯანსაღე.
  სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება იკვეთება, როგორც საფუძველი, რომლის განვითარებასთან ერთადაც არის ყველა სხვა უნარ-ჩვევის და მიზნის მიღწევა შესაძლებელი.
- **აზროვნება**, როგორც უმაღლესი მიზანი. აზროვნება დაყოფილია ზედა და ქვედა დონის აზროვნებად. ქვედა დონის აზროვნების უნარებია - დამახსოვრება,

გამეორება, იმიტირება, დაზეპირება, მითითებების შესრულება და სხვა. ამ უნარების განვითარება და დახვეწა მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში, თუმცა აღმზრდელი კიდევ უფრო მეტ დროს უნდა უთმობდეს ზედა დონის სააზროვნო უნარებზე მუშაობას:

ანალიტიკური აზროვნება	**შემოქმედებითი აზროვნება**	**პრაქტიკული აზროვნება**
ანალიზი მსჯელობა კატეგორიზაცია/დახარისხება დაგეგმვა/ორგანიზება გადაწყვეტა შედარება შეფასება/კრიტიკა რეფლექსია	შექმნა გამოგონება აღმოჩენა წარმოდგენა/ვარაუდი წინასწარი შეფასება/ წინასწარმეტყველება	წარდგენა/პრეზენტაცია გამოყენება გაკეთება პრაქტიკაში გადმოტანა განხორციელება

- **შესაბამისობა**, როგორც ამოსავალი პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის მორგებულობას თითოეულ ბავშვზე. შესაბამისობა გულისხმობს, როგორც გარემოს (უნივერსალური დიზაინი), ასევე კულტურისა და ენის შესაბამისობას. აღმზრდელი სპონტანური სასწავლო სიტუაციების გამოყენებითა, „ხარაჩოს“ მეთოდის გამოყენებით და სხვა სტრატეგიებით ხელმძღვანელობს ,რათა შექმნას ბავშვზე მორგებულ სასწავლო სააღმზრდელო პროცესი, რომელიც არის ინკლუზიური და ინდივიდუალიზებული.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ მასწავლებლის სახელმძღვანელო - სასკოლო მზაობის პროგრამა თ-ა-მ-ა-შ-ი სწავლისა და განვითარებისთვის

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელენ ფრიდი და დებრა ჯ. აკერმანი (2007): ბაგა ბაღის კურიკულუმი: განზომილებების გააზრება, ადრეული განათლების კვლევების ნაციონალური ინსტიტუტი [Ellen Frede and Debra J. Ackerman (2007): Preschool Curriculum Decision-Making: Dimensions to Consider, National Institute for Early Education Research] ,www.nieer.org

2. ფერე ლივერსი (2005): სასწავლო გეგმა, როგორც ადრეული ბავშვობის განათლების ხარისხის გაზრდის საშუალება. მინიშნებები პოლიტიკისათვის [Ferre Laevers (2005): The Curriculum as Means to raise the Quality of ECE.Implications for Policy.]

3. ნაბიჯ-ნაბიჯ: პროგრამა ბავშვებისა და მშობლებისთვის

4. სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის: აქტივობათა წიგნი (2011)

5. სასკოლო მზაობის პროგრამა თ-ა-მ-ა-შ-ი სწავლისა და განვითარებისთვის, აღმზრდელის სახელმძღვანელო (2015)

6. Scott, D. (2008). *Critical essays on major curriculum theorists*. London: Routledge.

7. National Association for the Education of Young Children (NAEYC) and the National Association of Early Childhood Specialists in State Departments of Education (NAECS/SDE). (2003). *Joint position statement on early childhood curriculum, assessment, and program evaluation building an effective, accountable system in programs for children birth through age 8.* Washington, DC: NAEYC, p. 6.

8. Linda Pound (2009). How Children Learn 3: Contemporary Thinking and Theorists

9. Linda Pound (2006). How Children Learn: From Montessori to Vygotsky - Educational Theories and Approaches Made Easy

10. C. McLachlan, M. Fleer and S. Edwards (2010). Early Childhood Curriculum: Planning, Assessment and Implementation

კითხვები თვითშეფასებისათვის

1. ამ თავში მოცემული თითოეული კურიკულუმის მოდელი განალაგე კურიკულუმის ტიპის კონტინიუმზე (პირდაპირ ინსტრუქციული; კონსტრუქტივისტური; სოციალიზაციის). ახსენი შენი პასუხი.

2. შენი აზრით, როგორ მოახერხა ისეთმა ძველმა მოდელმა როგორიცაა მონტესორის კურიკულუმი, რომ დღეს ადრეულ განათლებაში ერთერთი ყველაზე ეფექტური და გავრცელებული მოდელი ყოფილიყო ?

3. საქართველოში არსებული თითოეული დოკუმენტი განიხილე სკოტის (Scott, 2008) კურიკულუმის ნაწილების ჭრილში. შენი აზრით, შესაძლებელია ეს დოკუმენტები აღმზრდელმა გამოიყენოს როგორც ერთმანეთის შემავსებელი? რატომ? რა სირთულეებს შეიძლება ის გადააწყდეს?

4. გაარჩიე კურიკულუმის მოდელები (მათ შორის საქართველოში არსებული):

   i. როგორ არიან ბავშვები დოკუმენტში? რა ტერმინოლოგიას იყენებს დოკუმენტი, როგორ აღწერს მათ?

   ii. რა შინაარსია ღირებული? (დემოკრატია, საგნობრივი ცოდნა, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარება თუ სხვა)

   iii. როგორია პირველ ქვეთავში მოცემული დამახიასიათებელების მიხედვით (მასწავლებლისა და მოსწავლის როლი სასწავლო პროცესში, სწავლების სფეროები, ბავშვზე მორგებადობა, შეფასების სისტემა, კვლევითი საფუძველი, მასწავებელზე მორგებადობა, მასალა და მშობლის ჩართულობა)

   iv. ზის თუ არა ღია ჩარჩოს მოდელში; მოიყვანე მაგალითები დოკუმენტიდან პასუხის გასამყარებლად.

5. შესწავლილი უცხოური კურიკულუმის მოდელებიდან რომელი იქნებოდა ყველაზე ეფექტური საქართველოში და რატომ? რა სირთულეების გადალახვა მოუწევდა იმისთვის, რომ ეფექტურად დანერგილიყო საქართველოში.

3. ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპები

ამ თავში გაეცნობით ჰოლისტურ (მთლიანობით) და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპებს. ამ მიდგომებთან დაკავშირებულ მოკლე ისტორიას. თამაშს, როგორც ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის გადამწყვეტ ასპექტს და მის მნიშვნელობას ბავშვის სწავლასა და განვითარებაში. ასევე, თამაშის ფუნქციებს, თამაშის სხვადასხვა ფორმებს, თამაშზე მოქმედ ფაქტორებს და ხელშემწყობსტრატეგიებს.

ამ თავში ასევე გაეცნობით მოკლე რეკომენდაციებს ადრეული განათლების სპეციალისტებისა და მეცნიერებისგან, თუ როგორ უნდა წაახალისოთ თამაში ადრეული განათლების პრაქტიკაში.

3.1. ბავშვზე ორიენტირებული და ჰოლისტური მიდგომის პრინციპები

ჰოსლიტური და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა ადრეული განათლების დარგის სინონიმური ტერმინებია. ჰოლისტური მიდგომა ფილოსოფიური ღირებულებაა, რაც გულისხმობს განვითარების მთლიანობით ბუნებას და შესაბამისი პრაქტიკის უზრუნველყოფას, ანუ ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, სოციალური და ემოციური განვითარების ინტეგრირებას. Whole ნიშნავს მთლიანს, ხოლო ჰოლისტური მთლიანობითს. ფრიდრიხ ფრობელის იდეალისტური პედაგოგიკიდან დაწყებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული განვითარების შესაბამისი პრაქტიკით დამთავრებული, ყველა ეს პროგრამა ბავშვს ჰოლისტურად ხედავს და საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრად მიიჩნევს. დღეს ეს ღირებულება ხარისხიანი ადრეული განათლების პრაქტიკაში წამყვანია (ნიუ & კოხრენი, 2007).

ამ იდეის თანახმად, ბავშვის კეთილდღეობისთვის სოციალური, ემოციური და კონგიტური კომპეტენციები თანაბრად მნიშვნელოვანია, და განვითარების ყველა სფერო ურთიერთდამოკიდებული და დაკავშირებულია. შესაბამისად, თითოეული სფეროს განვითარების სტიმულირებას თანაბარი ყურადღება უნდა ეთმობოდეს, რაც განსაკუთრებით ღირებულია ბავშვის ადრეულ ასაკში.

ადრეულ საგანმანათლებლო პრაქტიკაში ჰოლისტური პრინციპების ღირებულების აღიარების მიუხედავად, ამ მიდგომას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა. მაგალითად, აშშ-ში სიღარიბის დაძლევის ინიციატივის ფარგლებში, ღარიბ ბავშვებში საგანმანათლებლო ხარვეზები რომ შეემცირებიათ, მთელი აქცენტი სკოლისათვის მზაობაზე გადაიტანეს. დაიწყო თამაშის მნიშვნელობის დაკნინება და ყურადღების გამახვილება სასწავლო შედეგებზე (ნიუ & კოხრენი, 2007). თამაში ჩაანაცვლა გაკვეთილებმა, რომელიც ორიენტირებული იყო კოგნიტურ განვითარებაზე, კერძოდ კითხვაზე. ასეთი ტიპის გაკვეთილების დროს ბავშვებს მაგიდასთან ჯდომას და მთლიან, ჯგუფურ აქტივობებში ჩართვას აიძულებდნენ, ნაცვლად იმისა, რომ მაგალითად, საძერწებით ეთამაშათ და თან აღმზრდელებთან ესაუბრათ იმაზე, თუ რას აკეთებდნენ. ამ დროს ინტენსიურად გამოიყენებოდა ანბანის სწავლება და „ჩუმი სამუშაოები მერხთნ“. ეს იყო ბავშვზე ორიენტირებული პრინციპებისგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომა. მეტიც, მშობლების უმეტესობა მხარს უჭერდა უფრო „აკადემიურ“ სწავლებას ვიდრე თამაშს. 2005 წელს NAYEC -მა (ამერიკის მცირეწლოვან ბავშვთა განათლების ნაციონალურმა ორგანიზაციამ) სპეციალური სახელმძღვანელო გამოსცა აღმზრდელებისთვის. ეს სახელმძღვანელო ასწავლიდა ბაღში მომუშავე ადამიანებს, თუ როგორ უნდა დაეცვათ

არგუმენტირებულად და აეხსნათ სხვებისათვის თამაშზე ორიენტირებული ბაღის გარემოს უპირატესობა და მისი მნიშვნელობა ადრეულ ასაკში სწავლასა და განვითარებაში (ზიგლერი და მისი კოლეგები, 2006).

შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ თამაშიდან სკოლისათვის მზაობის და აკადემიურ მოსწრებაზე ორიენტირებულ პროგრამებზე გადასვლის პოლიტიკამ აკადემიური მიღწევები არ გააუმჯობესა. საბედნიეროდ, სწორედ ამ მეცნიერულმა მტკიცებულებებმა დაანახა საზოგადოებას ბავშვზე მთლიანობითი (ჰოლისტური) მიდგომის ხანგრძლივი პოზიტიური ეფექტი, აღადგინა ბავშვზე და განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამებისა და მიდგომების რეპუტაცია (ნიუ & კოხრენი, 2007).

დღეისათვის ძალიან ბევრი კვლევა ამტკიცებს, რომ ბავშვის ენობრივი კომპეტენციის დონე (რაც მისი აკადემიურო მოსწრების საწინდარია) თანაბრადაა დამოკიდებული მის სოციალურ, ემოციურ და კოგნიტურ განვითარებაზე. ბავშვზე-ორიენტირებული განათლება ეფუძნება ინდივიდუალური ბავშვის საჭიროებებს და ინტერესებს და მასწავლებლის მხრიდან ბავშვებს შორის არსებული განსხვავებების მიმართ პატივისცემას. დიუი (1959) ხაზს უსვამდა ინდივიდუალობის გათვალისწინების მნიშვნელობას და ისეთი გარემოს პრიორიტეტულობას, სადაც სასწავლო პროგრამა ბავშვის ინტერესებს ეფუძნება და არ არის თავსმოხვეული და დაძალებული მასწავლებლის მხრიდან. მონტესორი (1972) პატივს სცემდა ინდივიდუალური ბავშვის სპონტანურ და დამოუკიდებელ სწავლას. მას სჯეროდა, რომ ბავშვს გააჩნია შინაგანი მოტივაცია სწავლის თვით-კონსტრუქციის მიმართ. შინაგანი მოტივაციის თეორია დაკავშირებულია კეთებით სწავლის თეორიასთან. ბაღები, რომელიც ბავშვზე ორიენტირებულ იდეოლოგიას ატარებს, მხარს უჭერს აქტიურ და ინტერაქციულ სწავლას, გარემოს, სადაც ბავშვებს საშუალება აქვთ გარემოს დააკვირდნენ, იკვლიონ და ცვლილებები შეიტანონ მასში. იგივე იდეოლოგიას ატარებს დიდი ბრიტანეთის ინტეგრირებული კურიკულუმები. ამ პროგრამებში შინაარსობრივი სფეროები (მაგ. მათემატიკა, კითხვა, წერა, წიგნიერება, ხელოვნება, მეცნიერება, მოძრაობა) დაკავშირებული და დაკომპლექტებულია საერთო თემებით ან პრობლემაზე ორიენტირებული ამოცანებით, ხოლო პროცესი ბავშვზე ორიენტირებული სწავლითა და ინსტრუქციებით მიმდინარეობს (ნიუ, 1992). დიუი მხარს უჭერდა ინტეგრირებულ კურიკულუმს და არა საგნობრივად დაყოფილ კურიკულუმს. იგი ამტკიცებდა, რომ პატარა ბავშვები არ ფიქრობენ საგნებით, მათი სწავლა ჰოლისტურია. ბრიუსის თანახმად კი ამ კურიკულუმში თავისუფალი თამაში

გამაერთიანებელი მექანიზმია, რომელიც დასწავლილის ინტეგრირებას ახდენს (ბრიუს, 1987).

ბავშვის მთლიანობითი განვითარების პრინციპებს ეფუძნება, მაგალითად „„ჰედსტარტის“ პროგრამა, რომლის მრავალფეროვანი კომპონენტები მხარს უჭერს ფიზიკურ და ფსიქიკურ სიჯანსაღეს, კვებას, სოციალურ და ემოციურ განვითარებას, ადრეულ განათლებას და კოგნიტურ განვითარებას, ბავშვების ოჯახებისთვის სოციალურ მომსახურებებს და ასევე, თემისა და ოჯახის ჩართულობას (ზიგლერი და კოლეგები, 2001)[20].

რომ შევაჯამოთ, ბავშვზე ორიენტირებული და ჰოლისტური მიდგომის ძირითადი პრინციპები ასეთია:

- ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება, რაც მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ ზრდასა და განვითარებას ემსახურება. ეს უფლება არის ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველი. შესაბამისად, ყოველდღიური ურთიერთობა ბავშვებთან ფუნდამენტურ კითხვას უნდა პასუხობდეს- ვასწავლი და მხარს ვუჭერ თუ არა თითოეული ბავშვის ზრდისა და განვითარების ყველა სფეროს - სოციალურს, ემოციურს, ფიზიკურს, ენობრივს და შემეცნებითს?
- თითოეული ბავშვი უნიკალური და განსაკუთრებული ინდივიდია. უნდა ვასწავლოთ ინდივიდუალურ ბავშვებს, პატივი ვცეთ და გავითვალისწინოთ მათი ასაკობრივი, სქესობრივი, კულტურული, ტემპერამენტული და სწავლის ინდივიდუალური თავისებურებები.
- ბავშვები თავიანთ განვითარებასა და განათლებაში აქტიურად მონაწილეობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უნდა იყვნენ გონებით ჩართულები, ფიზიკურად აქტიურები იმის სწავლაში, რის ცოდნასა და კეთებასაც საჭიროებენ.
- ბავშვების აზრები, უპირატესობები, სწავლის სტილი და ინტერესები გათვალისწინებული უნდა იყოს პრაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას (მორისონი, 2009).

[20] საქართველოში ‘ჰედსტარტი’ ‘ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამის’ სახელითაა ცნობილი. ბავშვის მთლიანობითი განვითარების პრინციპებზეა აგებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული აქტივობათა წიგნი ‘სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის’, 2011.

3.2. თამაშით სწავლება

თამაში უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საქმიანობაა ბავშვის ცხოვრებაში. სხვადასხვა თეორიის წარმომადგენლები თამაშის განსხვავებულ ღირებულებებსა და ფუნქციაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუმცა, ყველა ერთსულოვანია იმაში, რომ თამაშს ბავშვის კეთილდღეობისათვის უდიდესი მნიშველობა აქვს. პედაგოგების და მეცნიერების უმრავლესობა თამაშს ბავშვის მუშაობას უწოდებს. ბავშვის თამაშის ზრდასრული ადამიანის საქმიანობასთან შედარება მისი ღირებულების გააზრებაში გვეხმარება. თამაში ბავშვს მომავალი როლებისა და ცხოვრებისათვის ამზადებს, ეხმარება ადაპტაციაში, ცვლილებებთან შეგუებასა და წარსულ გამოცდილებასთან გამკლავებაში. თამაში ბავშვის ყველაზე ძლიერი იარაღია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი წარმოდგენების შექმნასა და ჩამოყალიბებაში, სოციალური უნარების გაწაფვაში, ემოციური მხარდაჭერის მოპოვებაში და საკუთარ მოქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებაში, რაც მრავალმნიშვნელოვანი გამოცდილებების საშუალებით ხორციელდება (ტომპსონი, 2009).

როზმარი ბოლიგი (2005), სხვადასხვა თეორიების პერსპექტივიდან მოცემული, თამაშის ფუნქციების შეჯამებულ ნუსხას გვაძლევს. ეს ფუნქციებია:

- წარმოდგენების და განცდების გამოხატვა და გამოსახვა
- ემოციების ინტეგრაცია და გადალახვა
- კონფლიქტების გადაჭრა
- ფანტაზიის და წარმოსახვის გაფართოება და გაზრდა
- რეალურ ცხოვრებაში მიუღებელი ფანტაზიის გამოხატვა
- გამეორებით და ტრანსფორმაციის გზით გამოცდილებების „გადამუშავება“ და „მოხმარება“
- ბავშვის გაძლიერება და უფლებამოსილების მინიჭება
- კომპეტენციების გაზრდა
- ახალი პასუხების, რეაქციების გამოწვევა და წახალისება
- თვით-რეგულირება
- პოზიტიური შედეგის წახალისება და რელაქსაცია
- სხვადასხვა როლებისთვის მომზადება და გაწაფვა
- კომუნიკაცია
- ქცევის მოქნილობა
- კულტურული ღირებულებების და რწმენების გამოხატვა სიმბოლურად
- თანატოლების კულტურის,ერთსულოვნების და ერთობის განცდა
- სიამოვნების და ხალისის განცდა (როლინსი და სხვები, 2005).

თამაშის კომპლექსური და რთული ფენომენის გასააზრებლად, თამაში სხვადასხვა პარადიგმით განიხილება. კლასიკური მიდგომით, თამაში განიხილება როგორც სიამოვნება, განვითარება, სწავლა და თერაპია (ტომპსონი, 2009). ჩვენ განვიხილავთ თამაშს როგორც განვითარებას და სწავლას.

თამაში როგორც განვითარება

თამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში, კოგნიტური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური კომპეტენციების ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, თამაში ადრეული განათლების ხარისხიანი პრაქტიკის მთავარი კომპონენტია.

თამაში ბავშვს ეხმარება აღმოაჩინოს და გამოსცადოს ახალი შესაძლებლოები, გაწაფოს და სრულყოს ახალი უნარები, დაწინარუდეს შემდგომი უნარების შესაძენად და გასავარჯიშებლად. ნებისმიერი ტიპის თამაში ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროს განვითარებას და დაუფლებას ემსახურება (ფელდმანი, 2012).

ჟან პიაჟემ (1962) გამოყო თამაშის სამი ფორმა:

- პრაქტიკის თამაში
- სიმბოლური თამაში
- წესებით თამაში

პრაქტიკის თამაში მოტორული მოქმედებების გამეორებაა, რომელსაც ასევე ფუნქციურ თამაშს უწოდებენ (სმილანსკი, 1968). ასეთი ტიპის თამაშები ადრეულ ასაკში ვლინდება. ამ დროს თამაში კვლევითი, შეგრძნებითი და მოტორული ხასიათისაა, ანუ წამყვანია მხედველობით, მოტორული, შეხებითი, სმენითი მოქმედებები, მაგალითად სათამაშოს პირში ჩადება, კაკუნი, ჩხარუნი, გადაგდება.

პრაქტიკის თამაშები თანდათანობით მყარდება, ერთიანდება და სიმბოლურ, ანუ იგივე დრამატულ თამაშში რეორგანიზდება (სმილანსკი, 1968). პრაქტიკის თამაშიდან ბავშვები მასალების მიზანმიმართულ მანიპულაციაზე გადადიან. ზინგერი (1979) სკოლამდელ ასაკს „სოციო-დრამატული, წარმოსახვითი, ვითომ თამაშების ოქროს ხანა“-ს უწოდებს. ამ პერიოდში თამაში კომპლექსური, რთული და სიმბოლური თემებითაა დატვირთული. ბავშვები ახდენენ როგორც უფროსების მარტივ იმიტაციას, ასევე რთული რეალური როლების გათამაშებას, რაც ფიზიკური და ემოციური საჭიროებების გამოხატვას ემსახურება. ამ ასაკში ასევე წამყვანია და მნიშვნელოვანი ფიზიკური, მოტორული თამაშები, რაც ასევე იღებს სოციალურ ფორმას.

ბავშვების თამაში სოციალური თვალსაზრისითაც ვითარდება. მილდრედ პარტენის (1932) კატეგორიზაცია ეხება სოციალური თანამონაწილეობის ზრდას თამაშის პროცესში. მილდრედი სოციალურ თამაშებს შემდეგნაირად აჯგუფებს:

დამოუკიდებელი, ანუ **მარტო** თამაში - როდესაც ბავშვი ცალკე, თავისთვის თამაშობს.

მაყურებელი, ანუ **დამკვირვებელი** - გავრცელებულია სკოლამდელ ასაკში, როდესაც ბავშვი აკვირდება სხვის თამაშს და არ ერთვება პროცესში. შეიძლება მხოლოდ აკვირდებოდეს, ან კომენტარს უკეთებდეს და რჩევასაც აძლევდეს.

პარალელური თამაში - როდესაც ბავშვები ერთ სივრცეში თამაშობენ პარალელურად, მაგრამ არ ხდება ერთმანეთში ინტერაქცია. ამ სახის თამაში დამახასიათებელია ადრეული სკოლამდელი ასაკისთვის.

ასოცირებული თამაში - როდესაც მოთამაშე ბავშვებში ხდება გაზიარება, კომუნიკაცია, მაგრამ არ აკეთებენ ერთ და იმავე რაღაცას.

კოოპერაციული თამაში - გუნდური თამაში, რომელიც საჭიროებს სოციალური წესების დაცვას.

თამაშის ეს ბოლო ორი ფორმა რთულ სოციალურ თამაშს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში თვალსაჩინოა უფრო მარტივი სოციალური თამაშები - პარალელური თამაში, დამკვირვებელი ან მარტო თამაში, და ზრდასთან ერთად იზრდება ასოცირებული და კოოპერაციული თამაშის ფორმები, არ ნიშნავს, რომ ეს თანმიმდევრობა ერთმანეთისგან გამომდინარეობს და უფროს ასაკში არ აღინიშნება მარტივი სოციალური თამაშის ფორმები (ტომპსონი, 2009).

ყველა ბავშვი არ თამაშობს განვითარების და ასაკის შესაბამისად. კულტურული და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა განაპირობებს ბავშვის თამაშს და მის ხარისხს. მშობლის როლი, ოჯახის სოციალური ურთიერთობების სისტემა ასევე ახდენს გავლენას ბავშვის უნარზე ჩაერთოს კომპლექსურ, მზარდ სიმბოლურ თამაშებში (ტომპსონი, 2009).

თამაშის შეზღუდვა საფრთხეს უქმნის ბავშვის ზრდა-განვითარებას. თამაშის და თამაშის გზით გარემოს კვლევის სიმწირე გარკვეულ სირთულებს და პრობლემებს უქმნის ბავშვის ზოგად,და ცალკეული სფეროების განვითარებას და მომწიფებას (ტომპსონი, 2009).

თამაში როგორც სწავლა

განათლების სფეროს წარმომადგენლებისთვის თამაშის ძირითადი ფუნქცია სამყაროს გაგება და სიმბოლოებით სხვადასხვა გამოცდილების უზრუნველყოფაა (როლინსი და სხვები, 2005).

ფრობელმა თამაშს სწავლის მნიშვნელობა, ღირებულება და განსაკუთრებული სტატუსი მისცა საბავშვო ბაღებში. იგი ამტკიცებდა, რომ აუცილებელია თავისუფალი თამაშის წახალისება.

ცნობილი ფსიქოლოგი ლევ ვიგოცკი თამაშს აღწერს როგორც კოგნიტური განვითარების ერთერთ ღირებულ კომპონენტს. მისი თეორია სწავლებისა და სწავლის ახალ მიდგომებს გვთავაზობს, შესაბისად, თამაშის ვიგოცკისეული ხედვა მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში თამაშის უნიკალური როლის ხაზგასასმელად.ვ

იგოცსკის თანახმად, თამაში არის ძირითადი ხელშემწყობი სოციალურ -კულტურულ კონტექსტში ბავშვის აბსტრაქტული აზროვნების განსავითარებლად. ვიგოცკის თანახმად, თამაშს ბავშვი პროქსიმალური განვითარების ზონაში შეყავს და ხელს უწყობს აზროვნების მაღალი დონის განვითარებას. განვითარების პროქსიმალური ზონა არის სივრცე ორ ზღურბლს შორის, სადაც ქვედა ზღურბლი, არის ის თუ რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს დახამრების გარეშე, ზედა ზღურბლი კი რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს კარგი დამხმარის საშუალებით. სწორედ ამ სივრცეშია ბავშვის სწავლის პოტენცია (ფეიბსი და მარტინი, 2001).

ვიგოცკი წარმოსახვით თამაშს პროქსიმალური განვითარების ზონად თვლიდა, რადგან ამ დროს ბავშვები უამრავ ცოდნას ეუფლებიან, მის თანახმად წარმოსახვითი თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითრების მთავარი წყაროა. როდესაც თამაშის დროს ბავშვები წარმოდგენით სიტუაციებს ქმნიან, ისინი გარე სტიმულების და შინაგანი იდეების შესაბამისად მოქმედებას სწავლობენ. თამაშის დროს ერთი საგნის მეორედ წარმოდგენით ისინი საგნის დანიშნულებას ცვლიან. თანდათან ხვდებიან, რომ აზროვნება და სიტყვების მნიშვნელობა საგნისგან განცალკევებულია და აზრები შეიძლება ქცევების სამართავად იქნეს გამოყენებული. წარმოსახვით თამაში ასევე საჭიროებს საკუთარი იმპულსების კონტროლსაც. თამაშის დროს წესების დაცვა და სოციალური როლების მორგება ბავშვებს სოციალური მოლოდინებისა და ნორმების უკეთ გაგებაში ეხმარება (ლ. ბერკი, 2010)

თამაშის ფორმები. თამაშის შინაარსი და თემა მშნივნელოვნად განპირობებულია ორი ფაქტორის ურთიერთზემოქმედებით. ეს ფაქტორებია: 1) ბავშვის (ასაკი, პიროვნული თავისებურებები, სქესი, თანატოლებს შორის ურთიერთობა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა) და გარემოს (ადამიანები, სივრცე, აღჭურვილობა, დრო) თავისებურებები (როლინსი და სხვები, 2005).

თამაშის ფორმები: თამაშის შინაარსის და კონტექსტის შედეგია. არსებობს თამაშის სხვადასხვა ტიპი, რაც თამაშის სხადასხვა ფორმების ჩამოყალიბებაშიგ ვეხმარება. მაგალითად, არასტრუქტურირებული-სტრუქტურირებული თამაში, რაც ასევე არადირექტიული- დირექტიული თამაშის სინონიმია, ასევე, თვისუფალი თამაში და „მუშაობა“ (როლინსი და სხვები, 2005). ამგვარი თამაშის ფორმები ერთმანეთისგან ბევრი კრიტერიუმით განსხვავდება. ეს კრიტერიუმებია: უფროსის ჩართულობის ხარისხი, საგნების არჩევანი, თამაშის ჩანაფიქრი (მოზრდილის თუ ბავშვის პერსპექტივიდან), საგნების ტიპი და სხვა (როლინსი და სხვები, 2005). ყველა ტიპის

თამაშს თავისი მნიშვნელობა აქვს. თავისუფალი თამაშის დროს როგორც ამას სახელწოდება გვეუბნება ბავშვი თავისუფალია თამაშის არჩევანში და თამაშის ჩანაფიქრიც მას ეკუთვნის, განსხვავებით სტრუქტურირებული თამაშისგან, სადაც თამაშის შინაარსი უფროსის მიერ შეიძლება იყოს შეთავაზებული. რაც შეეხება მასალას, თავისთავად მასალაც უბიძგებს ბავშვებს სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული თამაშისკენ. ზოგიერთი მასალა იმდენად ღიაა გამოყენების თვალსაზრისით, რომ თავად იძლევა თვისუფალი მიმდინარეობის შესაძლებლობას, მაგალითად, ქვიშა და წყალი, თავსატეხებისა და „ლეგოს“ კონსტრუქციებისგან განსხვავებით. ქვიშის და წყლის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს, ხოლო „ფაზლისა“ და „ლეგოს“ შემთვხვევაში ქცევის არჩევანი უფრო შეზღუდულია და მისი სწორად გამოყენების მიმართულებასაც თავად ეს მასალები იძლევა. არასტრუქტურირებული თამაშის მნიშვნელობა დიდია ემოციური ექსპრესიის თვალსაზრისით, ამ დროს ბავშვებს საშუალება ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შინაგანი ემოციური მდგომარეობა. ბუნებრივია, ასეთი თამაში უფრო მეტად სიამოვნების მომგვრელია. თუმცა ჯეიმს ბრუნერი (1976) თვლის, რომ როდესაც ასეთი ტიპის თამაშისას, არასტრუქტურირებულ მასალასთან ბავშვებს გეგმის და სტრუქტურის გარეშე უშვებ, მათ ზომიერ სირთულეებს და გამოწვევებს ნაკლებად უქმნი, რაც კოგნიტური განვითარების სტიმულირებისთვის აუცილებელია. ქეით სილვას (1980) მიხედვით, განსაზღვრული მიზნების მქონე სტრუქტურირებული თამაშები უფრო მეტად უქმნის ბავშვებს სირთულეებს და გამოწვევებს, ვიდრე არასტრუქტურირებული მასალა. ისეთი აქტივობები, სადაც მოითხოვება - შენება, შექმნა, რაღაცის დასრულება, როდესაც ბავშვს გარკვეული ამოცანა აქვს და ცდილობს მიყვეს ამ ამოცანას, მიუხედავად იმისა, რამდენად ზუსტად აქვს წამროდგენილი ამამოცანის მიზნის რეალიზება, მიანიშნებს გონებაში არსებულ სტანდარტზე. როდესაც სილვა (1980) იკვლევდა და აკვირდებოდა ბაღში სამიდან ხუთწლამდე ასაკის ბავშვების თამაშს, მან ერთმანეთისგან განასხვავა და აღწერა მასტიმულირებელი, გამოწვევებით მდიდარი, კომპლექსური თამაში და ჩვეულებრივი, მარტივი თამაში. მისი კვლევის საკითხი იყო სკოალმდელი გარემოს ფაქტორების გავლენა თამაშზე, მის დაბრკოლებასა და ზრდაზე. მან ჩაიწერა ოთხი ტიპის ინფორმაცია: აქტივობა (რას აკეთებს ბავშვი), ენა (საუბრობს თუ არა ბავშვი სხვასთან, რას ეუბნება და რას ეუბნებიან მას), სოციალური ვითარება (მარტოა ბავშვი თუ ჯგუფში), და თამაშის თემა (იყო თუ არა თემა თანმიმდევრული გარკვეული დროის პერიოდში). სილვა და მისი კოლეგები განსაკუთრებით დაინტერესდნენ იმ მასალებით, მოვლენებითდა სოციალური ინეტრაქციებით, რომელიც ხელს უწყობს

კონცენტრაციას და კომპლექსურ აქტივობებს. მან განასხვავა კომპლექსური თამაში მარტივი თამაშისგან, სადაც კომპლექსური თამაში განვითარების და განათლების სტიმულირებას ახდენს (სილვა, 1980). ცხრილში 1 მოცემულია კომპლექსური და მარტივი თამაშის რამოდენიმე მაგალითი სილვას კვლევიდან.

ცხრილი 1

კომპლექსური თამაში:	**მარტივი თამაში**
ბავშვი ლეგოს მშენებლობით არის დაკავებული. ყუთიდან არჩევს საყრდენ დაფას. შემდეგ ყუთიდან ყურადღებით არჩევს „სწორ“ ნაწილებს და არ იღებს ნებისმიერს. უფროსის თვალით ეს კონსტრუქცია არ არის რეალური საგნის რეპრეზენტაცია, თუმცა ბავშვი სისტემურად და მიზანდასახულად მიყვება თავისი ჩანაფიქრის გეგმას.	ბავშვი ლეგოს მაგიდასთან იღებს კუბიკებს და ყრისმაგიდაზე. იგი აშენებს კოშკს, და ყუთიდან იღებს ნებისმიერს კუბს, რაც ხელში მოხვდება. იგი ადვილად ათავსებს კუბს კუბზე, შემდეგ შლის და აშენებს შემდეგ კოშკს იგივე გზით. იგი სისტემატურად მოქმედებს, მაგრამ ეს აქტივობა უფრო რუტინულია, განმეორებადი. იგი არ უმატებს რამე ახალ ელემენტს, და არ ახდენს იდეების კომბინირებას.
კომპლექსური თამაში	**მარტივი თამაში**
ბავშვი ატარებს სამთვლიან ველოსიპედს ეზოში. უეცრად ველოსიპედი ჩერდება, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი აგრძელებს პედლების ტრიალს. ბავშვი აგრძელებს ტრიალს, შემდეგ უყურებს ბორბლებს. იგი ჩამოდის ველოსიპედიდან რომ ნახოს, რა ხდება.	ბავშვი ჯდება ველოსიპედზე. დაყავს ველოსიპედი წრეზე. ის უკვე კარგად ატარებს ველოსიპედს და ეს მოქმედება საჭიროებს ან ძალიან მცირე მენტალურ ძალისხმევას, მხოლოდ ფიზიკურს, ან საერთოდ არ საჭიროებს. იგი არ ცდილობს ველოსიპედით გარკვეული

ატრიალებს ბორბლებს, ხელს კიდებს და ათვალიერებს სხვა ნაწილებს. ნახა, რომ ჯაჭვი ამოვარდა, ცდილობს მის დამაგრებას. იგი ცდილობს პრობლემის გადაჭრას. მისი ეს მოქედება კომპლექსურიგამიზნული და სისტემატური იდეების კომბინაცია.,.	წინააღმდეგობების გადალახვას, უბრალოდ მიყვება, „დინებას“. მისი მოქმედება რუტინულია, განმეორებითი, ნაცნობი, და კოგნიტურად არ არის რთული და კომპლექსური.
კომპლექსური თამაში ბავშვებმმა ააშეენეს მატარებელი დიდი ყუთებით. ერთერთი მიძვრება პირველ ყუთში და აცხადებს რომ მემანქანეა. მეორე უკან ჯდება და ამბობს: „ბილეთი ვიყიდე. წავიდეთ სანაპიროსკენ. ნიჩაბი წამოვიღე და შეგვიძია ქვიშის კოშკის აშენება და ზღვაში შესვლა.“ მემანქანე აცხადებს „მივდივართ ზღვაზე“. მეორე ბავშვი გამოსცემს სასტვენის ხმას, ექაჩება წარმოსახვით თოკს. „ტუ, ტუ“, მემანქანეს მიყავს მატარებელი. სხვა ბავშვი ეჯახება მტარებელს დიდი ურიკით. მგზავრი ყვირის „ავარია, ავარია, სასწრაფოს დაუძახეთ“.	**მარტივი თამაში** სამი ბავშვი თამაშობს სათამაშო მოედანზე. ერთერთი ამბობს „მე იონიკი ვარ“ და ვითომ ურტყამს კარატის ილეთით მეორე ბავშვს. სამივე იწყებს წარმოსახვით ბრძოლას კოსმოსური იარაღით. თითოეულმა დაიძახა იმ გმირის სახელი, რომელსაც ანსახიერებს. მათი თამაში არ სცილდება როლების გამოცხადებას და ბრძოლის წარმოსახვას, რაც სტერეოტიპული ბუნებისაა.

ადაპტირებულია წიგნიდან სილვა, ქ. & ლუნტი, ი. (2003) „ბავშვის განვითარება. პირველი კურსი“. ბლექველ ფაბლიშინგი.

ჯეიმს ბრუნერი ასევე ხაზს უსვამს თამაშს როგორც სიახლის წყაროს. თამაშის დროს, მოცემული მასალებისა და შესაძლებლობების კვლევით, ბავშვი ცდის ბევრ ახალ კომბინაციას, ქმნის განსხვავებულ სიტუაციებს და საგნებს. საგნებისა და სიმბოლოების კომბინაციის და კეთების ახალი გზების აღმოჩენით, ბავშვს შემოქმედებითობის და მოქნილობის გამოცდილება ეძლევა. ახალი საგნების შექმნით ბავშვი პირველ ნაბიჯებს დგამს კრეატულობისკენ. ისეთი ექსპრესიული მასალა როგორიც ქვიშა და ცომია, ხელს უწყობს კრეატიულობას, თუ ის გამდიდრებულია დამტებითი მასალით და საგნებით (სილვა, 2003). ბუნებრივია, სტრუქტურირებული და თავისუფალი თამაშის მნიშვნელობის აღიარება ქმნის იმის საფუძველს, რომ სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებს ვურჩიოთ სააღმზრდელო გარემოში უზრუნველყონ ამ ორი ტიპის თამაშის შესაძლებლობების ბალანსი, რათა ბავშვისთვის თამაშით მიღებული სარგებელი მაქსიმალური იყოს (სილვა, 2003).

მარგარეტ ბლანკ მეთიუ თამაშის სტიმულირებაში აღმზრდელის როლს შემდეგნაირად ხედავს. პირველ რიგში, აღმზრდელი უნდა დააკვირდეს ბავშვების თამაშს და უპასუხოს შემდეგ კითხვებს, რომ შემდგომ სწორად დაგეგმოს და ხელიშეუწყოს თამაშის პროცესს. ეს კითხვებია:

- რომელი ბავშვი ვისთან ერთად თამაშობს?
- ვინ თამაშობს მარტო?
- რომელ ბავშვს სჭირდება სხვა ბავშვი თამაშის დასაწყებად?
- ვის სჭირდება დიდი დრო თამაშის ასარჩევად?
- რომელ ბავშვს სჭირდება თამაშის წახალისება?
- რა მასალა გამოიყენება ხშირად და რა იშვიათად?
- რა მასალის დამატებაა საჭირო?
- როგორ შეიძლება არსებული მასალით თამაშის წახალისება?

ლორა ბერკი გვაძლევს დრამატული თამაშის ხელშეწყობის სტრატეგიებს და ურჩევს უფროსებს:

- **თვალყური ადევნეთ ბავშვების თამაშს და მონაწილეობის გარეშე გააკონტროლეთ**. წარმართეთ და დახვეწეთ სკოლამდელთა თამაშის თემები, როცა ისინი

დახმარების საჭიროებაზე მიგანიშნებენ. დასუვით ბავშვებს ღია კითხვები, მაგ. „მოეწონებათ ცხოველებს მატარებლის ტარება?“ და ესაუბრეთ თამაშის გმირების აზრების, მოტივების და ემოციების შესახებ. თავი შეიკავეთ თამაშის წარმართვისგან. უფროსების გადამეტებეული კონტროლი აფუჭებს წარმოსახვითი თამაშის შემოქმედებითობას.

- **შესთავაზეთ მრავალფეროვანი რეალისტური მასალები და მასალები განსაზღვრული ფუნქციების გარეშე**. ბავშვები, სვადასხვა როლების გასათამაშებლად, იყენებენ რეალისტურ მასალებს, მაგალითად, მანქანა, ფარეხი, ფერმა, ჭურჭელი, სახლი, სამეჯლისო და ყოფითი ტანსაცმელი.მასალები, რომელსაც განსაზღვრული ფუნქცია არა აქვს, მაგ. კუბები, მუყაოს ცილინდრები, ქაღლდის პარკები, ქვიშა წარმოსახვითი როლების გათამაშებას დაეხმარება.
- **გახსოვდეთ, რომ ბავშვები მდიდარ და მრავალფეროვან შთაბეჭდილებებს იღებენ რეალური სამყაროდან, რაც ხელს უწყობს პოზიტიურ წარმოსახვით თამაშს**. რეალურ ცხოვრებაში უფროსებთან ერთად გარკვეულ ქმედებებში მონაწილება და საზოგადებაში უფროსის ადგილის შემჩნევა მდიდარ სოციალურ ცოდნას და მიბაძვით თამაშს უზრუნველყოფს.
- **დაეხმარეთ ბავშვებს სოციალური კონფლიქტების კონსტრუქციულ გადაწყვეტაში**. დრამატულ თამაშებში მნიშნელოვანია თანამშრომლობა, უზრუნველყავით და მიიყვანეთ ბავშვები თანატოლებთან უთანხმოებების და კონფლიქტების კონსტრუქციულმოგვარებამდე. მაგალითად, ჰკითხეთ, „რა შეგვიძლია გავაკეთოთ, როცა ერთი სათამაშოთი ბევრს უნდა თამაში?“ თუ ბავშვები შესაძლებლობებს ვერ მოიფიქრებენ, შესთავაზეთ რამოდენიმე ვარიანტი და მათ განხორციელებაში დაეხმარეთ (ლ. ბერკი, 2001; ფროსტი, შინი და იაკობსი, 1998; ვანდენბერგი, 1998).

დასკვნა

დღეს, ბაღში თამაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მცირეწლოვანი ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება თამაშის შედარებით ნაკლები შესაძლებლობა არსებობდეს (მილერი და ალმონი, 2009). საბავშვო ბაღში თამაშის პირობების უზრუნველყოფა ბავშვებს მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებაში ეხმარება, მათ შორისაა, აკადემიური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, მიზანდასახულობა, შემოქმედებითობა, ცნობისმოყვარეობა, თანამშრომლობა და საკუთარი თავის რწმენა. აღმზრდელები და ზოგადად ბაღის თანამშრომლები ამ პასუხისმგებლობას უნდა იზიარებდნენ და ზრუნავდნენ ბავშვებისთვის თამაშზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Blank-Mathieu, Margarete, Kinderspielformen und ihre Bedeutung für Bildungsprozesse, Herausgeber: Martin R. Textor http://www.kindergartenpaedagogik.de/1610.html
2. R.S. Feldman (2012) Child Development. A Topical Approach.
3. R. Thompson (2009). The Handbook of Child Life. A Guide for Pediatric Psychosocial Care.
4. Rollins J.A., Bolig R., Mahan C.C. (2005). Meeting Children's Psychosocial Needs. Across the Health-Care Continuum.
5. Fabes R. & Martin, C.L. (2001). Exploring development through childhood.
6. New, R.S. & Cochran, M. (2007). Early Childhood Education. An International Encyclopedia. Volume 2.
7. Morrison G. S. (2009). Early Childhood Education Today. p. 109.
8. Young-Ihm Kown (2002). Changing Curriculum for Early Childhood Education in England. Early Childhood Research and Practice. Volume 4, N 2
9. Zigler, E.F. & Bishop-Josef, S.J. (2006). The Cognitive Child Versus the Whole Child: Lessons From 40 Years of Head Start. Oxford University Press.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. იმსჯელეთ რა ფუნქციებს ასრულებს თამაში ბავშვის ცხოვრებაში?
2. დააკვირდით ბავშვების თამაშს საბავშვო ბაღში. უპასუხეთ კითხვებს
    a. რა ტიპის თამაშებით არიან ბავშვები დაკავებულები?
    b. როგორია ბალანსი სტრუქტურირებულ და თავისუფალ თამაშს შორის.
3. აღწერეთ ბავშვის მარტივი და რთული თამაში.
4. გამოკითხეთ ბაღის აღმზრდელი როგორ უწყობს ხელს თამაშს ბაღში.

4. სასწავლო შინაარსი: კომუნიკაცია, ენისა და მეტყველების განვითარება, წიგნიერება

4.1. კომუნკაციის განვითარება

ალბათ ყველას, ვისაც პატარა ბავშვთან აქვს შეხება, ხშირად უიფიქრია, იმაზე თუ როგორ უნდა დაამყაროს კონტაქტი მასთან? ბავშვად უნდა იქცეს? ენა „მოიჩლიქოს?“ „ბავშვურად ელაპარაკოს?“ როგორ შეძლოს კომუნიკაცია?

კომუნიკაცია ორ ადამიანს შორის ინტერაქციის _ ინფორმაციის, აზრების, გრზნობების ან შეტყობინებების გადაცემის და მიღების პროცესია. ჩვენ მუდმივად ვგზავნით და ვიღებთ შეტყობინებებს, მაშინაც, როდესაც არ ვლაპარაკობთ, არ ვწერთ და არ ვკითხულობთ. ჩვენ ერთმანეთთან კომუნიკაციაში შევდივართ სიტყვების, ჟესტების, წერილობითი ენის, მიმიკების, ხელოვნების, სიმღერისა და ცეკვის საშუალებით, ჩვენ ინფორმაციას გავცემთ და ასევე ინფორმაციას ვიღებთ სხვა ადამიანებისგან მათი სახის გამომეტყველების, ჩაცმულობის, ვარცხნილობის და ა.შ. შედეგად.

ენა და მეტყველება კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ნაწილებია, თუმცა კომუნიკაცია ბევრად უფრო ფართო გაგებას მოიცავს და იგი ყველა ჩვენგანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ცხადია, ყველა სახის კომუნიკაცია ინტერაქციის საშუალებით ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში მინიმუმ ორი საკომუნიკაციო პარტნიორი მონაწილეობს . მშობლები შვილებთან კომუნიკაციის დამყარებას (თუ მუცლადყოფნის პერიოდს არ ჩავთვლით)

პირველივე საათებიდან, პირველი შეხებითა და გაღიმებით იწყებენ. ინტენსიური, ურთიერთგაგებასა და ნდობაზე დამყარებული კომუნიკაციის პირველი გამოცდილებები ბავშვის განვითარების უმნიშვნელოვანესი ხელშეწმყობი ფაქტორია.
როგორც აღვნიშნეთ, ენა და მეტყველება კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ნაწილებია. ენა ნებისმიერი ადამიანის თანდაყოლილი უნარის გამოხატულებაა. ენა და ენის გამოხატვა ორი განსხვავებული რამ არის. ენა გონებაში არსებობს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას გამოხატვის საშუალება. ყველაზე გავრცელებული განმარტებით თანახმად, ენა შეთანხმებულ სიმბოლოთა სისტემაა, რომელსაც ჩვენ კომუნიკაციისა და ჩვენი აზრების ორგანიზებისათვის ვიყენებთ.

მეტყველება ენის ზეპირი გამოხატულებაა, თუმცა ენა და მეტყველება იდენტური ცნებები არ არის. ამის გასააზრებლად უნდა დავფიქრდეთ, რომ შესაძლებელია არსებობდეს მეტყველება ენის გარეშე, მაგალითად, „მოლაპარაკე ჩიტების“ მეტყველება, როდესაც ისინი ბგერათა ისეთ ნაკრებს გამოსცემენ, რომელიც ადამიანის მეტყველებას ძალიან ჰგავს ან როგორც პატარა ბავშვის მეტყველება, რომელიც ცდილობს უფროსებს მიბაძოს, მაგრამ მის მეტყველებას შინაარსი არ აქვს; ენაც შეიძლება მეტყველებისგან დამოუკიდებლად არსებობდეს. სმენის გარეშე დაბადებულმა ბავშვებმა, შეიძლება ლაპარაკი ვერ ისწავლონ, მაგრამ სიყრუე არ გამორიცხავს, რომ ისინი ენის გამოყენებას შეძლებენ - ჟესტებისა და ნიშნების ენით და წერილობითი გზით.

ენისა და მეტყველების განვითარება ხანგრძლივი და საინტერესო პროცესია, მაგრამ სანამ ბავშვები ენის და მეტყველების საკომუნიაციო ინსტრუმენტად ქცევას შეძლებენ, მათ გარკვეული ეტაპები უნდა გაიარონ და შემდეგი უნარები განივითარონ:

მოსმენის უნარი

კომუნიკაციის განვითარების საფუძველს მოსმენის უნარი წარმოადგენს. მუცლადყოფნისასაც კი ესმით ჩვილებს გარკვეული ხმები; დაბადების შემდეგ კი შეუძლიათ ნაცნობი ხმებისა და ბგერების გარჩევა. რვა თვიდან თორმეტ თვემდე, მათი ძალიან მნიშვნელოვანი უნარის „შერჩევითი ყურადღების“ განვითარება იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ მნიშვნელოვან ხმებზე (მაგ. დედის ხმა) კონცენტრირება მოახდინონ ისე, რომ არ მიაქციონ ყურადღება უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან ხმებს.
„შერჩევითი ყურადღების“ განვითარებისას ბავშვს ეძლევა საშუალება, კონცენტრირება მოახდინოს მეტყველებასა და ენაზე. ამიტომ საჭიროა ამ პერიოდში, ბავშვთან პირისპირ საუბარი. ზოგიერთ ბავშვს სელექციური ანუ „შერჩევითი ყურადღება“ ერთ წლამდე არ

უვითარდება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მეტყველების განვითარებაზე. ამ შეფერხების სხვადასხვა მიზეზი არსებობს,მაგალითად, გენეტიკური და ნევრლოგიური პრობლემები, სმენის დაქვეითება ან გარემოს უარყოფითი ზემოქმედება. ბევრ ბავშვს აქვს სმენის სუსტი უნარი შიდა ყურის დაავადების გამო. ეს ყველაზე გავრცელებული დაავადებაა 5 წლამდე ასაკის ბავშვებში. ეს დაავადება იწვევს დროებით სიყრუეს, მეტყველების შეფერხებას და ზემოქმედებს ქცევაზე. იგი გამოწვეულია სითხით, რომელიც შუა ყურის ბლოკირებას ახდენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბგერა/ხმა კარგად არ გადაეცემა შიდა ყურს. ამის გამომწვევი მიზეზები ყველაზე ხშირად გაციება ან გრიპია; გაითვალისწინეთ და მშობლებს ურჩიეთ, რომ ამ მდგომარეობის ხელშემწყობად ასევე მოქმედებს პასიური მწეველობა, ჰიგიენის ნორმების დაუცველობა ბავშვის ნივთებთან: „სატყუარა“, ბოთლი და ა.შ..

თუ ბავშვს სმენის რაიმე ფორმის, თუნდაც სუსტი დაქვეთება აქვს, მას შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფის გარეშე, უჭირს მოსმენის უნარის განვითარება. მაგალითად, რადიოს ფონურმა ხმამაც კი შესაძლებელია მოსმენის უნარი შეაფერხოს. სასურველია, ფონურ ხმად მხოლოდ მუსიკა იქნას გამოიყენებული, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ის რამე კონკრეტულ მიზანს ემსახურება, მაგალითად, ბავშვების დამშვიდებას, ან ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლას. ტელევიზორის ხმაც მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ყოველ შემთხვევაში, ტელევიზორის ჩართვას გარკვეული დანიშნულება უნდა ჰქონდეს და შერჩეული იქნას კონკრეტული პროგრამები. უფროსი ბავშვების გვერდით უნდა იყოს ტელევიზორის ყურებისას, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს შეკითხვა გაუჩნდება ან საუბარი მოუნდება მიმდინარე პროგრამის შესახებ, გვერდით თანამოსაუბრე ჰყავდეს. აღმზრდელები უნდა დაეხმარონ მშობლებს იმის გაცნობიერებაში, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსმენის უნარის განვითარებას და წაახალისონ ისინი, ბავშვებთან ურთიერთობისას გამოყონ „სიჩუმისა და მოსმენის დროები“.

კომუნიკაცია

თავდაპირველად ბავშვები ხმების გამოცემას იწყებენ. ისინი ხვდებიან, რომ ხმას გარკვეული მნიშვნელობა აქვს და როდესაც ესმით მათ მიმართ გამოთქმული სიტყვები, იწყებენ ხმების გამოცემას იმისთვის, რომ შექმნან სიტყვები. პირველი სიტყვები ჩვეულებრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გარემოშია ბავშვი. თუ მშობლები პოზიტიურად ზემოქმედებენ ბავშვის ხმებზე და უბიძგებენ მას კომუნიკაციისკენ, ბავშვი ცდილობს გამეორებას. სამწუხაროდ, პატარა ბავშვების კომუნიკაციის მცდელობები, ხშირად არასწორად არის გაგებული უფროსების მიერ.

მაგალითად, როდესაც კომუნიკაციის მცდელობისას უფროსი ბავშვს პირში „სატყუარას“ უდებს, ამას შეიძლება შედეგად ის მოყვეს, რომ ბავშვმა აღარ მოინდომოს საკუთარი თავის გამოხატვა. ბევრი მშობელი ან აღმზდელი წუხს იმის გამო, რომ ვერ იგებენ, რისი თქმა უნდათ მათ პატარებს, როდესაც ისინი ტირიან. რთულია და ბევრი დრო ჭირდება იმას, რომ გავიგოთ ბავშვის ენა. უფროსები დაკვირვებით და გულისყურით უნდა რეაგირებდნენ ბავშვის კომუნკაციის მცდელობებზე. ბავშვები შეიძლება დადიოდნენ სკოლამდელ დაწესებულებაში ისე, რომ საერთოდ არ ეძლეოდეთ ლაპარაკის საშუალება. პრაქტიკოსებმა უნდა წაახალისონ ბავშვები, გამოხატონ თავიანთი თავი. მათ უნდა გამოყონ სათანადო დრო ბავშვების მოსმენისთვის და სწორი რეაგირება მოახდინონ მათ მცდელობებზე. არსებობს მარტივი სტრატეგიები რაც შეიძლება გამოვიყენოთ, რათა ბავშვებს შევუქმნათ პირობები გამოხატონ თავიანთი თავი ექსპრესიული მეტყველების გზით.

რჩევები: დაეშვით ბავშვის სიმაღლეზე, როცა ისინი ლაპარაკობენ, დააამყარეთ თვალით კონტაქტი, გაუღიმეთ. ყურადღებით მოუსმინეთ იმას, თუ რისი თქმა უნდათ მათ. სულ პატარა ბავშვებისთვის საჭიროა მხოლოდ ახლოს ყოფნა, ღიმილი, მათთან საუბარი და მათი რეაქციის დალოდება. პრაქტიკოსები ხშირად უშვებენ შეცდომებს და არ ელოდებიან ბავშვის რეაქციას, ცდილობენ სიჩუმის პერიოდის ამოვსებას.

შეეცადეთ გულში დაითვალოთ 5-მდე, ვიდრე ელოდებით ბავშვის რეაქციას. იქნებ ბავშვს დრო ესაჭიროება რეაგირებისთვის. როდესაც აღმზრდელები აქტივობებს გეგმავენ და შემდეგ მთელი დღის განმავლობაში ბავშვებთან ერთად ახორციელებენ, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ამ დროს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარებიც უნდა განავითარონ. წაახალისეთ ბავშვები ამგვარი შეკითხვებით: „რამე ხომ არ გჭირდება?“ ან „რა გინდა რომ მოგაწოდო?“ ადრეულ ასაკში ბავშვებს ძალიან უჭირთ თავიანთი აზრებისა და გრძნობების გადმოცემა. პრაქტიკოსმებმა ყოველთვის უნდა მოუსმინონ და რეაგირება მოახდინონ მათ მცდელობებზე, მაშინაც კი, თუ ეს შეუსაბამო დროს ხდება, მაგალითად, როდესაც აღმზრდელი საუბრობს დაბადების დღეებზე და ამ დროს ბავშვი ჩაერთვება შემდეგი სიტყვებით - „მე ახალი წინდები მაქვს“, პრაქტიკოსს შეუძლია უპასუხოს - „მე შევამჩნიე შენი ახალი წინდები, დაბადების დღეზე ხომ არ გაჩუქეს?“ ეს ბავშვს დააბრუნებს საწყის თემასთან და ამავე დროს წაახალისებს საკომუნიაციო უნარის განვითარებას.

სიტყვებისა და წინადადებების გაგებასთან ერთად ბავშვებმა უნდა ისწავლონ არავერბალური მინიშნებების გაგებაც, მაგალითად როგორიც არის მიმიკა, ხმის ტონი და ჟესტები. ბავშვები „მიმიკების კითხვას“ დაბადებიდან სწავლობენ. ბავშვებს დაბადებიდანვე აქვთ სახეებით დაინტერესების სურვილი. რამდენად კარგად განავითარებენ ბავშვები ამ უნარს დამოკიდებულია მშობლებსა და აღმზრდელებზე. თუ უფროსები სათანადო დროს უთმობენ თვალით კონტაქტის დამყარებას და ხშირად ესაუბრებიან ბავშვს, ბავშვი სწავლობს „მინიშნებების“ დაკავშირებას სხვადასხვა სიტუაციებთან, გამოცდილებებსა და ემოციებთან.

4.2 ენისა და მეტყველების განვითარება

ენის გაგებას რეცეპტულ უნარს უწოდებენ. გაგებას გარკვეული გამოცდილება სჭირდება და პირველ ეტაპზე სიტუაციის აღქმა/გაგებით იწყება. მაგალითად, ბავშვი ჯერ ბოთლის ხელში დაჭერას სწავლობს, იქამდე ვიდრე ის სიტყვა „ბოთლის“ გამოყენებას ისწავლის. ბავშვები ჯერ სწავლობენ ნივთს სიტუაციაში და შემდეგ ამ ნივთის სახელდებას. ბავშვების სიტყვების სიმრავლე, დამოკიდებულია მათ გამოცდილებებზე, ადამიანებზე, ვისთანაც ხშირი კონტაქტი აქვთ. მაგალითად, როდესაც ბავშვი საბავშვო ეტლში ზის და ხედავს ძაღლს, რომელიც ჩაურბენს, ამ დროს უფროსი, თუ ის სათანადოდ ყურადღებიანია, და ბავშვის პერსპექტივიდან იყურება, ეტყვის -„შეხედე, ძაღლი“. ამით უფროსი ეხმარება ბავშვს დააკავშიროს საგანი მის აღმნიშვნელ სიმბოლოსთან. გულისხმიერი უფროსი, რომელიც ყურადღებიანია ბავშვის

ინტერესების მიმართ და ხშირად უხმოვანებს მას სხვადასხვა ქმედებებსა და გამოცდილებებს, ეხმარება ბავშვს ენისა და მეტყველების განვითარებაში.

უფროსები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბავშვების სიტყვების მარაგის განვითრებაში. სიტყვების მარაგი განსაკუთრებით 7 წლამდე იზრდება და ვითარდება. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ახალი სიტყვები სხვადასხვა კონსტექსტში მოისმინონ, რომ მათი მნიშვნელობის/ების გააზრება კარგად შეძლონ (სემანტიკა). მაგალითად, ბავშვმა, რომელმაც სიტყვა ძაღლი რეალურ ძაღლთან დააკავშირა, შემდეგ ეტაპზე იგივე სიტყვა ძაღლის სურათთანაც უნდა დააკავშიროს. აგრეთვე საჭიროა, რომ სხვა სიტყვებიც დაუკავშიროს ძაღლს მაგ: ფერი, ზომა, ხმა, ქმედება და ა.შ. როდესაც ბავშებს სიტყვების გარკვეული მარაგი აქვთ, ისინი იწყებენ ამ სიტყვების სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენებას და ამოცნობას და მათ კომბინირებას (მორფო-სინტაქსი). ვიზუალური განრიგები (ბარათები, რომელზეც გამოსახულია დღის რუტინა) და ნახატები აძლევს ბავშებს ინფორმაციას მათი გარემოს შესახებ და ეხმარება მათ დაისწავლონ რუტინა და ახალი სიტყვები.

1-2 წლის ბავშვებს, მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ სხვაფასხვა სტრუქტურის მქონე სიტყვების კომბინირებაში გაიწაფონ, მაგალითად:
ჩვენება (ეს/ის) + საგანი - '*ეს ბურთია*'
საგანი + თვისება - '*ვაშლი მრგვალია*'
მფლობელი + საკუთრება - '*ჩემი თოჯინა, გიოს მანქანა*'
ობიექტი + ადგილმდებარეობა - '*მანქანა თაროზეა*'
მოქმედება + ადგილმდებარეობა - '*დადე მაგიდაზე*'
მოქმედი პირი + მოქმედება - '*ძაღლი დაჯდა*'
მოქმედება + ობიექტი - '*დალიე წვენი*'

ცხადია, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარების საუკეთესო ფორმა თამაშია. თამაშით ბავშვი სწავლობს, როგორ იურთიერთოს თანატოლებთან და უფროსებთან, თამაში ეხმარება ბავშვს პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაში. თამაშით ბავშვი იძენს ბევრ სხვადასხვაგვარ გამოცდილებას, მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი სწავლობს სიტყვებს, ბევრ სიტყვას და ივითარებს ბევრ იდეას გარე სამყაროს შესახებ. მაგალითად ის სწავლობს, რომ ადის *ზევით* კიბეზე და ეშვება *ქვევით* სასრიალოზე; ის სწავლობს, რომ ეს კუბიკი *დიდია* საიმისოდ, რომ ჭიქაში ჩაეტიოს და ასევე თიჯინასათვის დამზადებული *ფაფა,* ჯერ ძალიან *ცხელია* და უნდა *გააცივოს.*

ამ ასაკის ბავშვების თამაშის ორგანიზებისას ძალიან მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ „ჯერის სწავლების - ჩემი ჯერია-შენი ჯერია“ პრინციპი, რაც ადამიანებს შორის კომუნიკაციისა და ყოველდღიური ურთიერთობების ფუნდამენტია.

ამ ეტაპზე ენის განვითარების კარგი საშუალებები საბავშვო სიმღერები და მოთხრობები, ასევე მოკლე რიტმული ლექსებია. სიმღერა ენის ათვისებას ხელს უწყობს სამი მიმართულებით: 1) სიმღეღის ემოციური ასპექტები იწვევს აგზნებას და ყურადღების გამახვილებას; 2) სიმღერის ტონალობა ამაღლებს ფონოლოგიურ გარჩევადობას, რადგან მარცვლების ცვლილებას ხშირად თან ახლავს ტონალობის ცვლილება და 3) მუსიკალური და ლინგვისტური სტრუქტურის უწყვეტი შეთვისება სწავლის მექანიზმის გაუმჯობესებას იწვევს. [21] როდესაც ცდილობთ, ბავშვს მუსიკის მეშვეობით ენობრივი უნარები განუვითაროთ, გახსოვდეთ, რომ ბაშვებს ნელი ტემპის, ხალისიანი სიმღერები უნდა სევურჩიოთ, რომელიც სიტყვების სადვილ წყობას შეიცავს, ასევე გახსოვდეთ, რომ ბავშვები მუსიკალურ აქტივობებში უფრო ხალისით ერთვებიან, თუ მათ მარტივ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე (თუნდაც სახელდახელოდ ჯამებისგან შექმნილ დოლზე) თავად უკრავენ და მოძრაობენ. მაგრამ, ასევე გახსოვდეთ, რომ ბავშვებისათვის მუსიკალურ გუნდში მონაწილეობა, სადაც მასწავლებელი დირექტიული ტონით დირიჟორობს და ბავშვებს ბავშვებს დაზეპირებული სტროფების ხმამაღალ სიმღერას სთხოვს, ბევრი ბავშვისათვის უსიამოვნო გამოცდილებაა. ამ ასაკში სიმღერაც კომუნიკაციის, ენის განვითარების ნაწილია და მას სიამოვნებისა და ხალისის განცდა უნდა მოჰქონდეს.

ენობრივი განვითარების შემდეგ ეტაპზე, დაახლოებით 2,7 წლიდან 6-7 წლამდე, როდესაც ბავშვები იწყებენ კითხვითი და უარყოფითი წინადადებების, ნაცვალსახელებისა და სხვა მორფემების გამოყენებას, პატარა ისტორიების მოყოლას, ენის პროგნოზირებადობის ცოდნის გამომუშავებას, ხატოვანი ფორმების გააზრებასა და გამოყენებას, ფონოლოგიური ცოდნის მიღებას და წიგნიერების დაუფლებას, მნიშვნელოვანია განვაგრძოთ ბავშვების დახმარება ენობრივი ცნობიერების განვითარებაში (მეტალინგვისტიკა). სხვადასხვა სახალისო აქტივობების საშუალებით, ენობრივი თამაშებით, (სიტყვობანა, გამოცნობანა და ა.შ.) მათ უნდა დავანახოთ ის, რასაც უკვე პრაქტიკულად ეწაფებიან; ის, რომ წინადადება სიტყვებისან შედგება, რომ ზოგიერთ წინადადებაში ორი სიტყვაა, ზოგში სამი, ზოგში ერთი, ზოგში კი ბევრია, რომ სიტყვის საწყისის ან დაბოლოების შეცვლით შესაძლოა სიტყვის მნიშვნელობა ან ფორმა შეიცვალოს და ა.შ.

[21] ლოიდ ჰულიტი,, მერლ ჰოვარდი, კეთლინ ფეჰი - დაბადებულია, რომ ილაპარაკოს. 2012

ფონოლოგიური ცნობიერება

ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება ენობრივი ცნობიერების განვითარრების მნიშვნელოვანი ნაწილია და იგი წერისა და კითხვის უნარების წარმატებით განვითარების საწინდარია.

ადრეულ ასაკში მნიშვნელოვანია ბავშვებს ფონემები, ანბანი სხვადასხვა შეგრძნებების ჩართვის გავაცნოთ, ეს სწავლის პროცესს უფრო ეფექტურს ხდის. ბავშვმა უნდა გამოჭრას, დააწებოს, გამოძერწოს, ქვიშაში გამოიყვანოს, ლაბირინთში გაატაროს, მიამსგავსოს, ააწყოს და ასე გაიცნოს ანბანი. სასურველია, ანბანის გაცნობა დაიწყოს ბავშვის სახელის შემაგდენელი ნაწილებით. სტანდარტის მიხედვით, ბავშვი 4-5 წლის ასაკში რამდენიმე ასოს უნდა ცნობდეს, ხოლო 5-6 წლის ასაკში ანბანის ნაწილს. ასე რომ, ბაღის აღმზრდელმა მიზნად არ უნდა დაისახოს ბავშვს მთელი ანბანი შეასწავლოს. ამ ეტაპზე ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება და წიგნისადმი პოზიტიური დამოკიდებბულების ჩამოყალიბება უფრო მნიშვნელოვანია.

რიტმული სიმღერებისა და ლექსების მოსმენისას სთხოვეთ ბავშვებს გამოარჩიონ ის სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს ერითმება; მსგავსი სიტყვებისგან გამოიგონეთ მარტივი სასაცილო, სახუმარო სიმღერები და ამ პროცესში ბავშვებიც ჩართეთ. ლექსის კითხვისას სცადეთ სიტყვებში მარცვლებისა ბგერების გამოყოფა, სთხოვეთ ბავშვებს ტაში დაუკრან სიტყვაში არსებული მარცვლების შესაბამისად. ასწავლეთ ბავშვებს მსგავსი სიტყვები, მაგალითად, ქარი, ბარი, კარი, სთხოვეთ დააკვირდნენ, რა მოხდება, თუ სიტყვებს პირველ ასოებს შევუცვლით.

განვითარების სტანდარტის მიხედვით, 4-5 წლის ბავშვს შეუძლია უფროსის დახმარებით სიტყვის პირველი მარცვლის დასახელება. ასახელებს სიტყვებს უფროსის მიერ შეთავაზებული ასო-ბგერით. 5-6 წლის ბავშვს შეუძლია გამოყოს და დაასახელოს სიტყვის პირველი ბგერა, გააერთიანოს 2-3 მარცვალი, თუმცა უნდა გახსოვდეთ, რომ ამ აქტივობის შესრულების ტემპი ბავშვებში ძალიან ინდივიდუალურია და ამგვარი უნარების წახალისება მხოლოდ ძალდატანების გარეშე და სახალისო, თამაშის გარემოშია ეფექტური.

4.3 წიგნიერება

ენობრივ და ფონოლოგიურ სახალისო აქტივობებთან ერთად, წიგნიერებასთან, წიგნის კითხვის მოსმენასთან, წიგნის დათვალისერებასთან, ნაწერის ამოცნობასთან დაკავშირებული აქტივობები წერისა და კითხვის უნარების წარმატებული განვთარების საწინდარია.
წიგნები ბავშვებს ახალ სამყაროსთან აკავშირებს. როდესაც ბავშვს ვუკითხავთ, მის გონებას ზრდასა და განვითარებაში ვეხმარებით.

წიგნში ნახატები და სიტყვები ყოველთვის ხელმისაწვდომია, მეტყველებისას წარმოთქმული სიტყვებისაგან განსხვავებით, ისინი არსად ქრება, მათთან მიბრუნება ყოველ ჯერზე შეიძლება. ეს ბავშვისათვის ახალი სიტყვების შესწავლას და ახალი სამყაროს აღმოჩენას ბევრად ამარტივებს. რაც უფრო ადრე დაიწყებთ ბავშვებისათვის წიგნების წაკითხვას და ამბების მოყოლას, მით უფრო მალე გახდენა კითხვა ბავშვის ცხოვრების მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ნაწილი. კითხვის უნარების გასავითარებლად, ბავშვისათვის ხმამაღლა წაკითხვა ერთერთი საუკეთესო საშუალებაა. როდესაც სკოლამდელი ასაკის ბავშვს ვუკითხავთ, უნდა გვახსოვდეს:
დაჯექით ერთმანეთთან ახლოს, სასურველია ერთ სიმაღლეზე და ისე, რომ ერთმანეთს უყურებდეთ და ერთმანეთის სახის გამომეტყველებების გაცვლა შეგეძლოთ.
წიგნის კითხვის და ამბების მოყოლის დრო, დიალოგის დროცაა და არა მხოლოდ ჯდომისა და მოსმენის. ამ პროცესში ბავშვი აქტიურად უნდა იყოს ჩართული. შესაძლებელია ბავშვებმა ერთ კონკრეტულ გვერდზე უფრო დიდხანს მოანდომონ შეყოვნება და სურათის დათვალიერება ან მომხდარზე კითხვების დასმა. მიეცით, მათ ამის საშუალება. როდესაც წიგნს უკითხავ ბავშვებს არაა აუცილებელი: დაიწყო თავიდან; თუ ეს ბავშვს უნდა, შეგიძლიათ გამოტოვოთ გვერდები ან არ დაასრულოთ კითხვა, მთავარია შედგეს ინტერაქცია; შეგიძლიათ მხოლოდ ნახატებზე ისაუბროთ და სიტყვები არ წაიკითხოთ; შეგიძლიათ სიტყვები შეცვალოთ, გაამარტივოთ თხრობისას; შეგიძლიათ ერთიდაიგივე წიგნი ერთ დაჯდომაზე რამდენჯერმე წაიკითხოთ. ყველა საბავშვო წიგნი კარგად დაწერილი არ არის. კითხვისას გაამარტივეთ და შეამოკლეთ წინადადებები, გამოყავით, ხმამაღლა წარმოთქვით საკვანძო სიტყვები, კითხვისას, თხრობისას ცვალეთ ინტონაცია, ისაუბრეთ ნელა და მიეცით ბავშვს საშუალება ჩაერთოს, მიუთითეთ ბავშვებს კონკრეტული სიტყვების მნიშვნელობაზე ნახატების ჩვენებით. ბავშვბენს უყვართ ერთიდაიგივე ზღაპრის ან მოთხრობის ბევრჯერ მოსმენა. მიეცით მათ ამის საშუალება, გამეორებოთ ისინი სიტყვებსა და წინადადებებს უკეთ სწავლობენ. ბავშვებმა ხშირად უნდა მოისმინონ ერთი და იგივე, ლექსები, სიმღერები და

ტექსტები, რათა შეძლონ მომდევნო სიტყვის წინასწარ განჭვრეტა და არსებული სიტყვათა მარაგის გამოყენება. უფროსებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ამ უნარის განვითარებას, როლურ თამაშებზე რაიმე ისტორიის ან ამბის მიბმით, ან ისეთი აქტივობის მოფიქრებით, რომელიც ისტორიების მოფიქრებას მოითხოვს.

წაუკითხეთ ზღაპარი ან პატარა მოთხრობა ბავშვებს და შემდეგ წაიკითხეთ იგივე ზღაპარი შეკითხვების დასმით. სთხოვეთ ბავშვებს, მოუსმინონ საკვანძო სიტყვებს. დაგჭირდებათ ძირითადი სიტყვების მიმანიშნებელი საგნები, რომ ბავშვებმა ეს ძირითადი სიტყვები კარგად დაიმახსოვრონ. მაგალითად, თუ თქვენ უკითხავთ წითელქუდას, ამ ზღაპრის საკვანძო სიტყვები იქნება: ქუდი, მგელი, ბებია, წითელი, მონადირე. შესაბამისად დაგჭირდებათ ამ სიტყვების აღმნიშვნელი ნივთების/სათამაშოების მომარაგება. დაურიგეთ ბავშვებს ნივთები და სთხოვეთ ბავშვს დაელოდოს, როდის გაიგონებს იმ საგნის სახელს, რომელიც მას შეხვდა. წაუკითხეთ ბავშვებს ნელა და მხატვრულად. თუ ბავშვი გამოტოვებს თავის სიტყვას უთხარით „მომისმინე მე მთავარი სიტყვა გავიგონე“ და გაიმეორეთ ეს სიტყვა კიდევ ერთხელ.

გაითვალისწინეთ, რომ წიგნი, რომელსაც ბავშვებს უკითხავთ ყოველთვის მათ ხელმისაწვდომ ადგილზე იდოს. ეს ხელს უწყობს ბავშვებს, გაავარჯიშონ ახალი სიტყვები თამაშის და განტვირთვის დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Blank-Mathieu, Margarete, Kinderspielformen und ihre Bedeutung für Bildungsprozesse, Herausgeber: Martin R. Textor 2014
2. Spracherwerb – Kommunikation –Deutscher Verband für Logopädie e.V 2015
3. Cooper, J. The early Years Communication Handbook BSC (hons), Reh.MRCSLT, 2010
4. Jan Peeper, Elaine Weitzman, It takes two to talk, The Hanen Program
5. ლოიდ ჰულიტი, მერლ ჰოვარდი, კეთლინ ფეჰი, დაბადებულია, რომ ილაპარაკოს, შესავალი ენისა და მეტყველების განვითარების თეორიაში. ქართული ბიოგრაფიული ცენტრი. 2012
6. სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის, აქტივობათა წიგნი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რა არის კომუნიკაცია? როგორ უნდა შევუწყოთ ხელი კომუნიკაციური უნარების განვითარებას ადრეულ ასაკში?
2. იმსჯელეთ ენისა და მეტყველების თავისებურებებზე ადრულ ასაკში და უფროსის როლზე ბავშვის ენისა და მეტყველების განვითრებაში.
5. რა არის და რა მნიშვნელობა აქვს ფონოლოგიურ ცნობიერებას?
6. რა თავისებურებებით ხასიათდება წიგნიერება ადრეულ ასაკში და როგორ უნდა შევუწყოთ ხელი?

5. სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა



ამ თავში გაეცნობით ადრეულ ასაკში მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლების თავისებურებებს და მნიშვნელობას; მეცნიერული ქცევის ძირითად პრინციპებს და თემებს; ადრეულ ასაკში მეცნიერული ქცევის და მათემატიკური წარმოდგენების, ცოდნისა და უნარების ფორმირების სტრატეგიებსა და აქტივობების თავისებურებებს; ასევე, შეძლებთ განვითარების შესაბამისი პრაქტიკის კონტექსტში მეცნიერებისა და მათემატიკის აქტივობების მოფიქრებას, დაგეგმვასა და განხორციელებას.

5.1. ადრეულ ასაკში მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლების თავისებურებები

მათემატიკასა და წერა-კითხვასთან დაკავშირებული ცოდნის შეძენა და უნარ-ჩვევების განვითარება სკოლისათვის მზაობასთან ასოცირდება. მშობლების დამოკიდებულებაც და 'დაკვეთაც' ადრეული განათლების პროგრამებისა და დაწესებულებების მიმართ სწორედ ამ სფეროს სწავლა განვითარებას ეხება. შესაბამისად, ის დაწესებლულებები, რომელიც არ იცნობს თანამედროვე კვლევებზე დაფუძნებულ პროგრამებს და მათ მნიშვნელობას ბავშვის მთლიანობით განვითარებაში, მშობლებს 'საგნობრივ' სწავლებას სთავაზობს, განსაკუთრებით ბაღის ბოლო გამოსაშვებ წელს. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება განვითარების შესაბამის პრაქტიკას და ჰოლისტური მიდგომის პრინციპებს, რომლის მნიშვნელობაზეც დეტალურად ვისაუბრეთ წინამდებარე სახელმღვანელოს მესამე თავში - ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპები.

რაც შეეხება სკოლისათვის მზაობის საკითხს, ამ კონცეფციამაც სახე იცვალა მას შემდეგ რაც საგანმანათლებლო პროცესმა გეზი ბავშვზე და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომისკენ აიღო. გაეროს ბავშვთა ფონდმა შეიმუშავა კონცეპტუალური ჩარჩო დოკუმენტი სკოლისათვის მზაობის, რომელიც ჰოლისტურ მიდგომას ეფუძნება. ამ დოკმუნტში სკოლისათვის მზაობა უფრო ფართო კონტექსტით განიხილება და მოიცავს სამ განზომილებას: (1) ბავშვის მზაობას სკოლისათვის, (2) სკოლის მზაობას ბავშვისთვის, (3) და ოჯახის და თემის მზაობას სკოლისთვის. ამ დოკუმენტის თანახმად, ბავშვის სკოლისათვის მზაობა სამ რამეს ეფუძნება: მინიმალური ბაზისური უნარების განვითარებას, ჰოლისტურ კონცეპტუალიზაციას და ბოლო კვლევებს. მარტივი განმარტებით, ბავშვი, რომელიც სკოლისთვის არის მზად, ფლობს ბაზისურ ცოდნას და უნარებს სხვადასხვა სფეროში, რაც სკოლაში მის წარმატებას განაპირობებს. სკოლისათვის მზაობის ფართე განმარტება ჰოლისტურია და მოიცავს ხუთ სფეროს, რომელიც შემდგომ სკოლაში ქცევას უკავშირდება, ესენია: (1) **ფიზიკური კეთილდღეობა და მოტორული განვითარება**; (2) **სოციალური და ემოციური განვითარება;** (3) **სწავლისადმი მიდგომა;** (4) **მეტყველების განვითარება; და ბოლოს,** (5) **კოგნიცია და ზოგადი ცოდნა**, რომელშიც შედის მათემატიკა (სკოლისათვის მზაობის ჩარჩო დოკუმენტი, 2012; ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტი, 2010).

სოციალურ-ემოციური სფერო მოიცავს ემოციურ რეგულაციას, ინსტრუქიცების შესრულების უნარს, სოციალურ ურთიერთობებს და სოციალურ კოგნიციას (მაკკაიბი და კოლეგები, 2004; რავერი, 2004). მეტყველება და წიგნიერება მოიცავს ზეპირ მეტყველებას და წიგნიერების საწყის უნარებს (ბრიტო და კოლეგეი, 2003; სნოუ და

კოლეგები, 1998; ვაიტჯარსტი, 1998). სწავლისადმი მიდგომის საკითხებია შეუპოვრობა ამოცანის შესრულებისას, ყურადღება, კრეატულობა, ინიციატივა, ცნობისმოყვარეობა, და პრობლემის გადაჭრის უნარები. მათემატიკური უნარებია მათემატიკურ წარმოდგენების ჩამოყალიბება, გაზომვის ლოგიკა და რაოდენობრივი წარმოდგენები (გინსბურგი და კოლეგეი, 2008; სოფიანი, 2004). სკოლისათვის მზაობის ასეთი ჰოლისტური ხედვა არ ზღუდავს ბავშვს ერთი სფეროს ან ქცევის განვითარებით; მზაობა გულისხმობს ურთიერთკავშირს უნარებსა და ქცევებს შორის განვითარების და სწავლის ყველა სფეროს ჭრილში (დენტონი 2000; შოენი, 2004).

სხვადასხვა პროგრამები ამ ხუთ კატეგორიას სხვადასხვა შინაარსით ფარავს, მაგრამ პრინციპული მიდგომა ყველგან ერთი - ჰოლისტურია. 'მაღალი შესაძლებლობების' სასწავლო პროგრამის მეხუთე კატეგორია კოგნიცია და ზოგადი ცოდნა მოიცავს ხელოვნებას და მეცნიერებას, რომელშიც შედის მათემატიკა, მეცნიერება, ტექნოლოგიები, სოციალური მეცნიერებები და ხელოვნება.

მეცნიერების როლი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, არა მარტო იმიტომ, რომ ეს სფერო სკოლაში დასჭირდებათ, არამედ სწავლისადმი მიდგომის ხელშეწყობისა და სტიმულირებისთვის, რასაც თავის მხრივ ძლიერი, პოზიტიური გავლენა აქვს განათლების მიმართ მათ მომავალ დამოკიდებულებაზე. დაფიქრდით თუ რა როლს თამაშობს მეცნიერება როგორც თქვენს, ისე ბავშვების ცხოვრებაში. მოუსმინეთ ბავშვებს თუ რა არის მათ მეტყველებაში მეცნიერებასთან დაკავშირებული (ნეილი, 2008).

ყველა თანხმდება იმაზე, რომ ბავშვები პატარა მკვლევარები და მეცნიერები არიან, მაგრამ მიუხედავად ადრეულ ასაკში მეცნიერული მსჯელობის ბევრი წინამორბედი უნარების არსებობისა, მეცნიერების განვითარება ნელა მიმდინარეობს და საჭიროებს ინსტრუქციას, სენსიტიური უფროსის მხარდაჭერას და პრაქტიკას. ადრეულ ასაკში მეცნიერებაზე ყურადღების მიქცევა რამოდენიმე მნიშვნელოვან შედეგს გვაძლევს. პირველი, უფრო მეტად ხდება ადრეულ ასაკაში ბავშვების აზროვნების და სწავლის აღიარება და გაგება. მეორე, კვლევები გვეუბნება, რომ ბავშვებს სწავლის მეტი პოტენცია აქვთ და შესაბამისად სწავლისთვის უფრო მდიდარ და გამომწვევ გარემოს საჭიროებენ. თუ ამ გარემოს უნარიანი მასწავლებელი უძღვება, ეს კიდევ უფრო მნიშნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის შემდგომ სწავლაზეც. და ბოლოს, მეცნიერება სწავლის უნარების განვითარებასა და სწავლისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას განსაზღვრავს (ვერსი, 2010). მეცნიერება მეტია ვიდრე ცოდნა და ინფორმაცია. ეს კვლევის და აღმოჩენის პროცესია. კარენ ვერსი

(2010) შემდეგნაირად ხსნის უმცროსი ასაკის ბავშვების მეცნიერებასთან ზიარების მნიშვნელობას: (1) მეცნიერული აქტივობები ბავშვის ადრეული სწავლების ბუნებრივი და კრიტიკული ასპექტია, (2) ბუნებრივი სამყაროს მიმართ ბავშვის ცნობისმოყვარეობა თამაშის ძლიერ კატალიზატორს წარმოადგენს (3) ბავშვის ცნობისმოყვარეობის და სამყაროს შემეცნების სურვილის შესაბამისი გაძღოლა კვლევის უნარის გამოყენებას უყრის საფუძველს, რაც ჩვენს გარშემო არსებული ძირითადი მოვლენების და მატერიების შესწავლას განაპირობებს; (4) მეცნიერული კვლევა მდიდარი კონტექსტია იმისათვის რომ ბავშვმა გამოიყენოს და განივითაროს მნიშვნელოვანი უნარები, როგორიც არის ერთად მუშაობა, მოტორიკა, ენა, მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება და ა.შ (ვერსი, 2010).

ბავშვები დასწავლის, ფიზიკურ და სოციალურ სამყაროსთან ინტერაქციის ძლიერმოქმედი უნარით იბადებიან, რაც აუცილებელია სამყაროს გასაგებად და მის შესახებ წარმოდგენების (კონცეფციების) ჩამოსაყალიბებლად (ჰონგი და კოლეგები, 2013). კონსტრუქტივისტების პერსპექტივიდან, ბავშვები სამყაროსთან ინტერაქციით და მისი გამოცდით აქტიურად აგებენ სამყაროს შესახებ კოგნიტურ რეპრეზენტაციებს, ანუ 'სქემებს'. ამით ქმნიან ეგრეთ წოდებულ 'გულუბრყვილო' თეორიებს, რომლის გადამოწმებასაც ახდენენ, თუმცა ისინი ასევე საჭიროებენ ზრდასრულ ადამიანს, რომელიც შეეწყობა და საშუალებას მისცემს შეამოწმონ ეს თეორიები. ბავშვები აქტიურად ადარებენ ახალ ინფორმაციას წარსულ გამოცდილებებს და ცოდნას, განსაზღვრავენ რა შეესაბამება მათ წარმოდგენებს და 'თეორიებს' და ცდილობენ გაიგონ ის, რაც არ შეესაბამება მათ თეორიებს (პიაჟე, 1977). სოციალური კონსტრუქტივიზმის პერსპექტივიდან მასწავლებლის მნიშვნელოვანი როლი იმაში მდგომარეობს, რომ შეასრულოს 'ხარაჩოს' ფუნქცია ბავშვის დასწავლის პროცესში და დაეხმაროს დააკავშიროს წარსული გამოცდილებები არსებულ ცოდნასთან (ვიგოცკი, 1987). ვიგოცკი ასევე აღნიშნავს უფროსის მნიშნელობაზე არა მხოლოდ წარსული გამოცდილებების ეხლანდელ გამოცდილებებთან დაკავშირებაში, არამედ ყოველდღიური კონცეფციების მეცნიერულ კონცეფციებად გარდაქმნაშიც. მის თანახმად, კონცეფციების ფორმირება ორ - ყოველდღიურ და მეცნიერულ - დონეზე ხდება. ყოველდღიურ დონეზე კონცეფციების ჩამოყალიბება სამყაროსთან უშუალო ურთიერთობით ხორციელდება, რაც მნიშვნელოვანია ცხოვრებისთვის. ეს ყოველდღიური კონცეფციები მეცნიერული (ან აკადემიური) კონცეფციების დასწავლის საფუძველს ქმნის. თუმცა, ყოველდღიური მარტივად არ გადადის სხვა კონტექსტში, მაგალითად მეცნიერების ცოდნაში. ყოველდღიურობის ცოდნა გამოიყენება იმავე კონტექსტში, ანუ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამ

კონცეფციების ახალ სიტუაციაში გამოყენება შეზღუდულად ხდება. ვიგოცკის თანახმად, ასევეა, როდესაც ბავშვი სწავლობს მეცნიერულ ან აკადემიურ კონცეფციებს სკოლაში, პრაქტიკული კონტექსტიდან მოწყვეტით, ეს მეცნიერული კონცეფტებიც იზღუდება აბსტრაქტული კონტექსტით, ანუ აბსტრაქტულ ცოდნად რჩება. ვიგოცკი ამტკიცებს, რომ ყოველდღიური კონცეფციების და მეცნიერული კონცეფციების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირება მნიშვნელოვანია. ანუ, ყოველდღური კონცეფციები რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებაშია ქმნის პოტენციალს სამეცნიერო კონცეფციებისთვის, უფრო ფორმალური სასკოლო გამოცდილებისთვის. ასევეა სამეცნიერო კონცეფციები, იგი ამზადებს სტრუქტურებს ყოველდღიური კონცეფციების გასამყარებლად (ვიგოცკი, 1987). როგორც კი ბავშვი ამ ორ კონცეფციას - ყოველდღიურ სამუშაო ცოდნას და მეცნიერულ ცოდნას - აერთიანებს, ამით იგი ყოველდღიური პრაქტიკის ტრასნფორმაციას (გარდაქმნას) ახდენს. ვიგოცკი ამტკიცებდა, რომ ასეთი გამყარება ყოველდღიური კონტექსტის მნიშვნელოვანი გზაა მეცნიერული კონცეფციების ფორმირებისთვის. სათამაშო გარემოში, როგორიც ბაღი და სახლია, ბავშვები ბევრ ყოველდღიურ აქტივობებაში არიან ჩართული, როგორიცაა როლური თამაშები, ქვიშისგან პასკების გაკეთება, საქანელაზე ქანაობა, აძრომა სათამაშო მოედანზე. მნიშვნელოვანია თუ როგორ ახდენენ აღმზრდელები, პედაგოგები და ოჯახის წევრები ამ ყოველდღიური შესაძლებლობების მეცნიერულ კონცეფციებად ფორმირებას.

სამეცნიერი აქტივობების დროს არსებითია ბავშვებმა სამყაროს უფრო ფართო პერსპექტივიდან შეხედონ და „ბუნებრივი სამყარო ისე გამოსცადონ, როგორც ეს მათთვის მისაღებია“ (ჰოჰმანი და სხვები, 2008). ბავშვებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ გადაჭრან განსხვავებული პრობლემები, კავშირი დაამყარონ ბუნებასთან, არ აქვს მნიშვნელობა სად არიან ისინი, ქალაქში, სოფელში თუ გარეუბანში. ბავშვებს, იქნება ეს ოთახი თუ ეზო, მეცნიერული გამოცდილების უამრავი შესაძლებლობა აქვთ - არა მხოლოდ ცოცხალ ბუნებასთან მიმართებაში, არამედ სხვა ტიპის მეცნიერული გამოცდილების თალსაზრისითაც. მაგალითად, ბავშვებმა შეიძლება გამოიკვლიონ ქუჩაში საბავშვო ბაღთან ჩავლილი მანქანის ხმა და სიჩქარე, ასევე ცარცის წყალში ჩაგდებისას მომხდარი ქიმიური ცვლილებები, სანამ მას ტროტუარზე დასაწერად გამოიყენებენ ან ექო, რომელსაც პარკისკენ გზაზე მდებარე გარაჟი გამოსცემს (მეცნიერება და სასწავლო ოთახი ღია ცის ქვეშ. მაღალი შესაძლებლობები გაგრძელებები, 2008).

5.2. მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლების დაგეგმვა

მეცნიერება და მათემატიკა იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ადრეულ ასაკში სხვადასხვა განსავითარებელ აქტივობებთან, რომ მისი შესწავლა ცალკე საგნად არ უნდა გამოვყოთ. წარმოიდგინეთ, როგორ არის დაკავშირებული ხეების შესწავლა სხვა დანარჩენ აქტივობებთან. მაგ. ხეების, მისი ქერქის, ფოთლების, მარცვლების დათვლა. შეიძლება, მათი საშუალებით ხელოვნების ცენტრში, სხვადასხვა კომპოზიციების დამზადება, აპლიკაციების შექმნა, ხის დღიურის წარმოებაა. შეიძლება ასევე გამხმარი ფოთლების შეგროვება და დიდ კასრში მასზე ფეხებით სიარული, რის შემდეგაც ვკითხავთ ბავშვებს თუ რა შეგრძნებაა ეს, ასევე ხმელი ფოთლის დაფშვნისას მის სუნზე დაკვირვება და ა.შ. ხის მასალას ბავშვები იყენებენ სამშენებლო პროექტებში, სეირნობისას ხის წრეების დათვლა, რომლის მიხედვითაც ბავშვები კონკრეტული ხის ასაკს დაადგენენ, ხოლო ხილის ნაყოფს კულინარიის ცენტრში გამოიყენებენ (ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა).

რას უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერული და მათემატიკური, ისევე როგორც სხვა შინაარსის აქტივობების, მოფიქრება, დაგეგმვა და შეფასება? ამის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში არსებული სტანდარტები და გაიდლაინები. საქართველოს ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტი აერთიანებს ინფორმაციას

თუ განვითარების რა დონეს უნდა აღწევდეს ბავშვი დაბადებიდან სკოლაში წასვლამდე, რა უნარ-ჩვევებსა და ცოდნას უნდა ფლობდეს იგი (ადრულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტი, 2010). სტანდარტში მოცემული მაჩვენებლები ფარავს კონკრეტულ ასაკთან მიმართებაში კონკრეტულ სფეროსა და ქვესფეროში სასურველ მოლოდინებსა და შედეგებს. სტანდარტის შესაბამისად შემეცნებითი განვითარებისა და ზოგადი ცოდნის სფეროში ერთიანდება ქვესფეროები: (1) **ესთეტიკა და კულტურა**, რომელიც მოიცავს სამოქალაქო საკითხებს, ოჯახურ ტრადიციებს, ქვეყნების კულტურებსა და ტრადიციებს; (2) **ბუნების ცოდნა და ტექნოლოგიები**, რომელშიც შედის როგორც ბუნების გაცნობა, ასევე ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება და ტექნოლოგიების გამოყენება; ასევე (3) **რაოდენობრივი წარმოდგენები** და (4) **მოვლენებს შორის მიმართების წვდომა** (ადრულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტი, 2010)[22]. ქვესფეროებში დეტალურად მოცემული შედეგები და ინდიკატორები უფრო კონკრეტულ წარმოდგენებს შეგიქმნით იმ მიზნების შესახებ, რასაც უნდა ემსახურებოდეს აღმზრდელის მიერ დაგეგმილი მეცნიერების, მათემატიკის თუ სხვა შინაარსის აქტივობები.

მაღალი შესაძლებლობების პროგრამაში მათემატიკის შინაარსობრივ ჩარჩოში მაგალითად შემდეგი საკითხები ერთიანდება:

- ✓ რიცხვები და რაოდენობები
- ✓ დათვლა
- ✓ მთელი და ნაწილები
- ✓ ფორმები
- ✓ სივრცითი ცნობიერება
- ✓ გაზომვა
- ✓ საზომი ერთეულები
- ✓ პატერნები
- ✓ მონაცემთა ანალიზი (მაღალი შესაძლებლობები სკოლამდელი კურიკულუმის შინაარსი).

ვერსი და მისი კოლეგები სამეცნიერო პროგრამის თემების მოსაფიქრებლად შემდეგ კრიტერიუმებს გვთავაზობს:

- ✓ თემა აღებულია ფიზიკის, დედამიწის, კოსმოსის, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებიდან და ბავშვების ყოველდღიური გამოცდილებებიდან

[22] დეტალურად გაეცანით ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტი, 2010.

- მაგ. ფიზიკა: *რამდენად შორს გაგორდება ბურთი სხვადასხვა დახრიდან? განსხვავება იქნება მძიმე ბურთსა და მსუბუქ ბურთს შორის? რამდენნაირი ჩრდილის გაკეთება შეიძლება სხვადასხვა საგნებით?*
- მაგ. სიცოცხლის შემსწავლელი მეც: რა არის ცოცხალი გარეთ/ რა სჭრდებათ რომ გადარჩნენ?
- მაგ. დედამიწა: *რითი განსხვავდება ოთახის იატაკის საფარი ეზოს საფარისგან? რისგან შედგება მიწა?*
- *მაგ. კოსმოსი: ყოველ დღე ერთი და იმავე გზას გადის მზე ცაზე? როგორ იცვლება მთვარის ფორმა? არის რამე პატერნი?*

✓ ეფუძნება მნიშვნელოვან მეცნიერულ შეხედულებებს
✓ განვითარების შესაბამისია
✓ ხელმისაწვდომია ბავშვების პირდაპირი გამოკვლევის გზით
✓ მოიცავს მოვლენებს, საგნებს რომლის გამოკვლევაც ბავშვებს შეუძლიათ
✓ გამომწვევია, მიმზიდველი და სახალისო
✓ უზრუნველყოფს გამოცდილებებს სხვადასხვა შინაარსობრივი სფეროებიდან (არა მხოლოდ სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებებიდან)
✓ შესაძლებელია თითოეული თემის სიღრმისეული კვლევა (ალუფური და ვერსი, 2006).

კვლევის მთავარი პრინციპი მასალებით უშუალო მანიპულაცია და მათზე პირდაპირი მოქმედებაა. აღმზრდელს ასევე უნდა ახსოვდეს, რომ გარემო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის კვლევას. პირველ რიგში აღმზრდელმა უნდა მოიფიქროს მთავარი კონცეპტი, რაც უნდა შესთავაზოს ბავშვებს კვლევისთვის, მაგალითად, სითხის თვისებები ან უფრო კონკრეტულად წყლის ჭავლი და წყლის წვეთები. ამის შემდეგ უნდა შეარჩიოს მასალები და ადგილი კვლევისთვის და მოიფიქროს განრიგი (ალუფური და ვერსი, 2006).

ზოგიერთი კვლევა საჭიროებს მეტ დროს, მაგალითად თვეს ან თვეებს, რომ ბავშვებმა სიღრმისეულად იკვლიონ და ახალი წარმოდგენები ჩამოიყალიბონ. ბავშვებს იმის შესაძლებლობაც უნდა მიეცეთ, რომ გააერთიანონ სერიული გამოცდილებები და ერთმანეთს გაუზიარონ.

მასალის შერჩევა. შერჩეული მასალები პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს სამეცნიერო აქტივობის სასწავლო მიზნებს. ამისათვის შეიძლება საჭირო გახდეს ზედმეტი მასალის აღება ცენტრიდან, ან ახლის დამატება. აღმზრდელმა ასევე უნდა

მოიფიქროს თუ რა მასალა გამოიყენოს დოკუმენტაციისთვის. ოთახში სტრატეგიულად განთავსებული წიგნები და სხვა რესურსები - ფოტოები, პოსტერები, ბავშვებს ასევე ეხმარება კვლევაში და საჭირო ინფორმაციით უზურნველყოფს.

ზოგადად, სამცენირეო ცენტრის მოსაწყობად ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა აღმზრდელებს სთავაზობს მოაგროვონ კენჭები, ზღვის ნიჟარები, კრისტალები, მარმარილოს ბურთები, ფრინველის ბუმბული, პეპლის ფრთები. ასევე უნდა იყოს გამოყოფილი ადგილი სხვადასხვა ხელსაწყოებისათვის მაგ: მაგნიტი, გამადიდებელი შუშა, ფერადი ლინზები, პრიზმა. თაროებზე წარწერები და სურათები ბავშვებს ეხმარება სამუშაოს დასრულების შემდეგ ნივთები თავის ადგილას განათავსონ. მასალის შეგროვება ერთჯერადად არ ხდება. ეს პროცესი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება და მასში ჩართული უნდა იყოს, მშობლებიც. საჭირო მასალის ჩამონათვალში შედის ასევე პლასტმასის ქილები, ყველა ზომისა და ფორმის პლასტმასის ცარიელი ბოთლები, ბოთლის საცობები, მუყაოს ნაჭრები, ხის სარჭები, ქსოვილის ნაჭრები და სხვა. ამ ყველაფერს მეცნიერული კვლევისა და ექსპერიმენტის დროს სრულიად სხვა ელფერი ეძლევა (ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა).

სამეცნიერო აქტივობებში, ისევე როგორც სხვა აქტივობებში, შესაძლებელია მათემატიკის სწავლების ჩაშენებაც. მაგალითად სამეცნიერო აქტივობების დროს მონაცემთა შეგროვებისას რაოდენობრივი წარმოდგენების გამოყენება, დათვლა გაზომვა და შედარება.

5.3. მეცნიერებისა და მათემატიკის სწავლება

დაგეგმილ აქტივობებთან ერათად აღმზრდელი ყოველდღიური ურთიერთობების დროსაც უნდა მხარს უჭერდეს და აფასებდეს მათემატიკურ და მეცნიერულ ცოდნას და უნარებს (ბრენემანი, 2011).

განვიხილოთ მეცნიერული ქცევა, რომელიც ბავშვის თამაშში ვლინდება და რასაც უნდა ხელი შეუწყოს აღმზრდელმა მეცნიერული ქცევის განსავითარებლად, ესენია:

დაკვირვება - გარემოში მასალებზე და პროცესებზე დაკვირვება.

კლასიფიკაცია - მასალების, მოქმედებების, ადამიანების და მოვლენების კლასიფიკაცია

ექსპერიმენტირება - ექსპერიმენტების ჩატარება საკუთარი იდეების შესამოწმებლად.

პროგნოზირება - მოსალოდენელი ხდომილების წინასწარმეტყველება.

დასკვნების გაკეთება - დაკვირვებასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება.

იდეების კომუნიკაცია - საგნების მახასიათებლების და ფუნქციების შესახებ საკუთარი აზრებისა და იდეების გაზიარება.

ბუნებრივი და ფიზიკური სამყარო - ცოდნის შეგროვება ფიზიკურ და ბუნებრივ სამყაროზე.

ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები - იარაღების და ტექნოლოგიების გამოყენება და კვლევა (მარშალი, 2005).

ცხრილში 1 მოცემულია მაგალითები, თუ როგორ ვლინდება მეცნიერული ქცევა. ჩამოთვლილი უნარების განვითარება და სწავლება არ უნდა ხდებოდეს იზოლირებულად. ამით უნდა იხელმძღვანელოს აღმზრდელმა, როდესაც დაგეგმავს მეცნიერულ გამოცდილებას. ეს არის ის ქცევები და უნარები, რომელიც ნებისმიერი თემის კვლევის დროს შეიძლება გამოიყენო.

ცხრილი 1.

ბავშვები მეცნიერულ ძიებას ახორციელებენ როდესაც:

- სვამენ კითხვებს მათ გარშემო არსებული საგნებისა და მოვლენების შესახებ
- იკვლევენ საგნებს, მასალებს და მოვლენებს მასზე მოქმედებით და შედეგზე დაკვირვებით
- ყურადღებით აკვირდებიან საგნებს, ორგანიზმებსა და მოვლენებს ყველა შეგრძნების გამოყენებით
- აღწერენ, ადარებენ, ახარისხებენ, კლასიფიკაციას უკეთებენ და აწესრიგებენ დასაკვირვებელ საგნებს მათი ნიშან-თვისებებისა და თავისებურებების მიხედვით
- იყენებენ სხვადასხვა მარტივ საგნებს თავიანთი დაკვირვებების გასაფართოვებლად
- ერთვებიან მარტივ კვლევაში, სადაც ისინი აკეთებენ პროგნოზს, კრებენ და განმარტავენ მონაცემებს, ცნობენ მარტივ პატერნებს და აკეთებენ დასკვნებს
- იწერენ/ინიშნავენ დაკვირვებებს, განმარტებებსა და იდეებს გამოხატვის მრავალფეროვანი ფორმების საშუალებით, როგორიც არის ხატვა, მარტივი

დიაგრამები, წერა და მოძრაობა

- თანამშრომლობენ სხვებთან
- ერთმანეთს უზიარებენ და განიხილავენ აზრებს და ისმენენ ახალ პერსპექტივებს (Worth & Grollman, ციტირებულია ეპშტეინიდან, 2007, გვ. 43).

მნიშვნელოვანია აღმზრდელმა პირველ ეტაპზე ბავშვები ნაცნობ საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვებას შეაჩვიოს, როგორც კი ბავშვები „სრულყოფილად გამოიკვლევენ“ ამ საგნებსა და მოვლენებს, აღმზრდელი მათ ახალ მასალას შესთავაზებს. აღმზრდელმა ბავშვებს საინტერესო მასალა უნდა შესთავაზოს და კითხვებით მათ კვლევის ინტერესი უნდა აღუძრას. ახალი მასალის გაცნობისას ბავშვები სამ ეტაპს გაივლიან:

1. პირველი ექსპერიმენტია, რომლის ხანგრძლივობაც დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, უნარსა და გამოცდილებაზე. საგნის კვლევისას ბავშვი ყველა შეგრძნებას იყენებს. კვლევის პროცესში ჩართულია მხედველობა, ყნოსვა, შეხება, გემოვნება.
2. მეორე ეტაპზე ბავშვები იწყებენ შესაბამისი სიტყვების გამოყენებას, უკეთ ითვისებენ ახალ, უცხო სიტყვებს და აქტიურად მოიხმარენ მათ მუშაობისას. აღმზრდელმა ღია კითხვებით უნდა წარმართოს პროცესი, მაგალითად, „რას მეტყვი ამის შესახებ?“, „რა უნდა გააკეთო ამით?“ ან „რა ცდები უნდა ჩაატარო?“... მნიშვნელოვანია აღმზრდელმა აღნიშნოს და პატივი სცეს ბავშვის გამომგონებლურ უნარს და მისი აზრი ყურადღებით მოისმინოს. აღმზრდელმა ბავშვს ახალი საგნის, მოვლენის და პროცესის აღმნიშვნელი სიტყვები უნდა მიაწოდოს, საგანი ან პროცესი აღუწეროს და ბავშვიც წაახალისოს აღწერაში, დაახატინოს მოცემულ თემაზე და თემის უფრო ღრმად შესასწავლად წიგნები გამოიყენოს
3. მესამე - პრობლემის მიგნების ან პრობლემის დასმის ეტაპი. ამ დროს კითხვა-პასუხისას ბავშვი შეძენილ ცოდნას ავლენს. თუ პრობლემა მიგნებული ან დასმულია, აღმზრდელი ბავშვებს პრობლემის გადაწყვეტის გზებზე მიანიშნებს (ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა).

მათემატიკური ცოდნისა და კვლევის უნარების განვითარება ყველა აქტივობის დროსაა შესაძლებელი. მაგ: წიგნიერების ცენტრში ბავშვები აკვირდებიან შინაური ცხოველების ფოტოებს, საუბრობენ განსხვავებულ შეგრძნებებზე, სითბოსა და

სიცივეზე, ამინდზე, ეცნობიან წიგნებს ზღვის სამყაროზე, მანქანებზე, და სხვა საბუნებისმეტყველო თემებზე. კუბების ცენტრში ბავშვები ადგენენ თუ რამდენი პატარა კუბი უნდა დაუმატონ ბავშვის სიმაღლის შენობა რომ აიგოს. დრამატულ ცენტრში სხვადასხვა როლებს განასახიერებენ, ბაძავენ უფროსებს, ათასგვარ ექსპერიმენტს ატარებენ. ეზოში ყოფნისას ყოველდღიური დაკვირვება ბუნებაზე, გასეირნება და ეზოსა და მისი შემოგარენის დათვალიერება ხელს უწყობს გამოცდილების დაგროვებას. მცენარეებზე დაკვირვებისას ბავშვებს შეუძლიათ აღმოაჩინონ მსგავსება და განსხვავება ამა თუ იმ მცენარეს შორის. რა ზემოქმედებას ახდენს ქარი სხვადასხვა საგნებზე; საით მიჰქრიან ფოთლები ქარში; სად და როგორ მოდის წვიმა; რომელი საგნები თბება მზეზე; რომელი იყინება სიცივეში და ა. შ. (ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა)[23].

[23] სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობები იხილეთ წიგნში: სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათვის, 2011

გამოყენებული ლიტერატურა

1. Marshall, B.A. (2005). Science and preschoolers - a natural combination. Workshop presented at the High/Scope Educational Research Foundation International Conference. Ypsilanti, MI: High/Scope Press
2. Hohmann, M., Weikart, D. P., & Epstein, A. S. (2008). Educating young children: Active learning practices for preschool and childcare programs. (3rded.). Ypsilanti, MI: High/Scope Press
3. მეცნიერება და სასწავლო ოთახი ღია ცის ქვეშ. მაღალი შესაძლებლობები *გაგრძელებები*, მაღალი შესაძლებლობის ფონდის კურიკულუმის საინფორმაციო ბიულეტინი, მაისი/ივნისი 2008, 22, N 5
4. School Readiness: a conceptual framework, UNICEF, 2012
5. Kimberly Brenneman (2011): Assessment for Preschool Science Learning and Learning Environments
6. ჰ. ნეილი (2008). სკოლამდელი ასაკის ბავშვები, როგორც მეცნიერები: მარტივი გარდაქმნა.
7. მაღალი შესაძლებლობების სკოლამდელი პროგრამის შინაარსი. http://highscope.org/file/PDFs/PreschoolCurriculum_3-13-15.pdf
8. Chalufour, I. & Worth, K. (2006). Science in Kindergarten. Reprinted from K Today. Chapter 9.
9. ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა ბავშვებისათვის და მათი ოჯახებისათვის

კითხვები და ამოცანები თვითშეფასებისთვის

1. რითი და რატომ განსხვავდება ადრეულ ასაკში მათემატიკისა და მეცნიერების სწავლება სასკოლო სწავლებისგან.
2. იმსჯელეთ მეგობრებთან თუ რა შეხება გაქვთ მეცნიერებასა და მათემატიკასთან ყოველდღიურობაში.
3. ცალ-ცალკე ფურცელზე ჩამოწერეთ მეცნიერული ქცევები, რომელიც ამ თავშია მოცემული. დააკვირდით ბავშვების თამაშებს და ქცევას ბაღში. თითოეულ მეცნიერულ ქცევას მიაწერეთ თუ რა ფორმით და შინაარსით ვლინდება და რას აკვირდებით. მაგალითად, მეცნიერული ქცევა **დასკვნების გაკეთება** - „ეს

პატარა მანქანის გარაჟია, დიდი რომ შევიყვანეთ დაინგრა“. **პროგნოზირება** - „ბურთი რომ დავადოთ გადაგორდება“.

4. ჩამოწერეთ თემები/კონცეფციები სხვადასხვა მეცნიერებებიდან (ფიზიკა, სოციალური მეცნიერება, დედამიწა, სოცოცხლის შემსწავლელი მეცნიერება, მათემატიკა, ტექნოლოგია), რაც შეიძლება შესთავაზოთ ბავშვებს კვლევისთვის. ჩამოწერეთ ამ თემების შესაბამისი მასალა, ადგილი, ხანგრძლივობა.

6. სწავლების შინაარსი: სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება და ფიზიკური აქტივობები

ამ თავში თქვენ გაეცნობით სახვითი და პერფორმანსული ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების განსაზღვრებას, შეიტყობთ თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აღნიშნული სახის აქტივობები სკოლამდელ ასაკში, შეიტყობთ, თუ რომელი სფეროების განვითარება ხდება სახვითი, პერფორმანსული ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების საშუალებით, როგორ ფარავს ამ ტიპის აქტივობები ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტის დოკუმენტით გათვალისწინებულ ბავშვის განვითარების სფეროებსა და მისაღწევ შედეგებს. საშუალება გექნებათ გაეცნოთ იმ რესურსების ჩამონათვალს, რომლებიც აუცილებელია ამ ტიპის აქტივობების ჩასატარებლად საბავშვო ბაღში. ამ თავში თქვენ აგრეთვე გაეცნობით სახვითი და პერფორმანსული ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების დაგეგმვის პრინციპებს, შედეგად შეძლებთ თავად დაგეგმოთ სახვითი და პერფორმანსული ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობები, განსაზღვროთ აქტივობებისთვის საჭირო რესურსი, ფიზიკური გარემო,

აქტივობისთვის საჭირო ოპტიმალური დრო, აქტივობაში ჩართული ბავშვების რაოდენობა და სხვ. დაბოლოს ეს თავი საშუალებას მოგცემთ გაეცნოთ სახვითი და პერფორმანსული ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების განხორციელების პრინციპებს, როგორია აღმზრდელის როლი ამ ტიპის აქტივობების ეფექტურად განხორციელების საკითხში.

6.1. სახვითი და პერფორმანსული ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების განსაზღვრა

სახვითი და პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების განსაზღვრა

სახვითი და პერფორმანსული ხელოვნების აქტივობები მიეკუთვნება იმ ტიპის აქტივობებს, რომლებიც თვითგამოხატვასა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

სახვითი ხელოვნების აქტივობები გულისხმობს სხვადასვხა სახის საშუალებების გამოყენებას საკუთარი თავის გამოსახატავად, პრობლემების გადაჭრას სამხატვრო მასალების გამოყენებით. სახვითი ხელოვნების აქტივობები გულისხმობს საქმიანობას, როდესაც ბავშვი ჩართულია შემოქმედებით პროცესში და ქმნის რაიმე პროდუქტს. სახვითი ხელოვნების აქტივობებს მიეკუთვნება: ხატვა, ძერწვა, აპლიკაციის, კოლაჟის, სამგანზომილებიანი ქანდაკების, მაკეტის, ხელნაკეთი წიგნების დამზადება, კერვა, ქსოვა, შტამპებით ბეჭდვა.

სახვითი ხელოვნების აქტივობების დროს შესაძლოა შეიქმნას ნამუშევრების ტიპები, რომლებიც ქვევით არის განმარტებული.

პაპიე მაშე: პაპიე-მაშე ფრანგული სიტყვაა და დაღეჭილ ქაღალდს ნიშნავს, ქაღალდისა და წებოს ნაზავით სხვადასხვა ქანდაკებების კეთებას გულისხმობს.

მობილე: მობილე არის სამგანზომილებიანი ნამუშევარი, რომლის ძირითადი პრინციპია ერთ ღერძზე დაკიდული სხვადასხვა საგნები, რომლებიც ისე უნდა გაანაწილო, რომ წონასწორობა შეინარჩუნონ.

აპლიკაცია, კოლაჟი: კოლაჟის ტექნიკა გულისხმობს ნამუშევრის შექმნის მიზნით სხვადასხვა მასალის (ტყავი, ქსოვილი, ხე და ა.შ.) დაწებებას სასურათე სიბრტყეზე. აპლიკაციისგან განსხვავებთ კოლაჟში ფართოდ გამოიყენება მოცულობითი ელემენტები (მცირე ზომის საგნები, ბუნებრივი მასალები და ა.შ.).

ხელნაკეთ თოჯინები: სხვადასხვა სახის მეორადი მასალების გამოყენებით ხელოვნების ცენტრში შესაძლებელია როგორც ჩვეულებრივი სათამაშო, ასევე ხელის გასაყოფი, თითის თოჯინების, აგრეთვე მარიონეტების დამზადება.

შტამპები: შტამპების დამზადება შესაძლებელია სხვადასხვა მყარ ზედაპირზე სასურველი კონტურის ამოჭით, საინტერესო ფორმისა და ფაქტურის მქონე საგნების დაწებებით

წიგნების დამზადება: ხელოვნების ცენტრში შესაძლებელია ნახატებიანი, სამგანზომილებიანი, სენსორული და ა.შ. წიგნების დამზადება ბავშვების მიერ შეთხზულ ამბებზე.

სახვითი ხელოვნების აქტივობების მიზანია ბავშვების შემოქმედებითი უნარების განვითარება, თვითგამოხატვა, ფანტაზიისა და წარმოსახვის გამდიდრება.

სკოლამდელი ბავშვები ამჟღნებენ სახვით უნარებს როცა ისინი:

- იყენებენ სამხატვრო, მეორად, ან ბუნებრივ მასალას ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად.
- ცდილობენ კოლაჟის გაკეთებას ქაღალდის ნახევებისგან;
- იყენებენ მრავალფეროვან პალიტრას;

ხელოვნების აქტივობების დროს ხდება მეტყველების განვითარება, ბავშვები იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს საკუთარი ნამუშევარზე საუბრის დროს:

- ფერის აღწერისას (თბილი, ცივი, ნათელი, ბნელი, მკვეთრი, მკრთალი)
- ხაზის აღწერისას (სწორი, ტეხილი, მრუდი);
- ფორმის აღწერისას (მრგვალი, ოთხკუთხედი, ოვალი, სამკუთხედი)
- ფაქტურის აღწერისას (გლუვი, ხაოიანი, ფუმფულა, პრიალა).

სახვითი ხელოვნების აქტივობების დროს ბავშვები იმდიდრებენ მათემატიკურ წარმოდგენებს:

- აღწერენ საგნის ფორმას ფორმას;
- ითვლიან გამოსახულ საგნებს;

- ზომავენ ქაღალდს;
- აღწერენ სამგნზომილებიან ქანდაკებას

სახვითი ხელოვნების აქტივობების დროს ხდება ბავშვების ფიზიკური განვითარება:

- წვრილი მოტორიკის კონტროლი;
- თვალისა და ხელის კოორდინირებული მოძრაობა;
- სენსომოტორული განვითარება;

პერფორმანსული ხელოვნების აქტივობებში მოიაზრება ცეკვა, მუსიკა, დრამა. პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების მიზანია ცეკვის, მუსიკისა და დრამის საშუალებით ბავშვებმა გამოხატონ საკუთარ იდეები, გრძნობები, ემოციები.

ცეკვა: ბავშვებისთვის სხვადასხვა ჟანრის მუსიკის შეთავაზებით და ამ მუსიკაზე თავისუფალი ცეკვის წახალისებით ბავშვები შეიმეცნებენ საკუთარი სხეულის მოძრაობის შესაძლებლობებს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვები ამჟღავნებენ ცეკვის უნარებს როცა :

- იყენებენ შარფებს, ან ლენტებს რათა მუსიკის ფონზე თავისუფლად იცეკვონ;
- ბაძავენ ცხოველებს;
- ცვლიან ცეკვის ტემპს და რიტმს მუსიკის რიტმის შესაბამისად;

მუსიკა: მუსიკა აერთიანებს საგნებისა და ინსტრუმენტების ჟღერადობას და რათა შეიქმნას მელოდია. ბავშვები ივითარებენ მუსიკალურ უნარებს სხვადასვა ჟანრის მუსიკას მოსმენით და სხვადასხვა სახის ხმებთან ურთიერთობით. მუსიკალური უნარების გასავითარებლად საჭიროა წაახალისოთ ბავშვები დაუკრან სხვადასხვა სახის მუსიკალურ ინსტრუმენტზე, შეისწავლონ და შეთხზან სიმღერები, მოუსმინონ სხვადასხვა ჟღერადობის ჩანაწერებს, ისაუბრონ ხმებისა და ხმაურების შესახებ.

სკოლამდელი ბავშვები ამჟღავნებენ მუსიკალურ უნარებს როცა:

- ქმნიან სხვადასხვა ხმებს მუსიკალური ინსტრუმენტებით;

- თამაშობენ მუსიკალური თამაშებით;
- იგონებენ სიმღერას და უკრავს გადმობრუნებეულ ქვაბზე ან ჯამზე;

დარმა: დრამა არის ამბის მოყოლა მოქმედებებით, დიალოგებით, ან ორივეს გამოყენებით.

სკოლამდელი ბავშვები ამჟღავნებენ დრამის ცოდნას როცა ისინი:

- გაითამაშებენ მაგალითად სამი დათვის ამბავს დრამატულ ცენტრში;
- პანტომიმით გაითამაშებენ ბედნიერი, გაბრაზებული, მოწყენილი, დაღლილი, შეშინებული ადამიანების ემოციებს;
- ატარებს თოჯინურ წარმოდგენას სხვებისთვის;

პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების დროს ხდება ბავშვების ფიზიკური განვითარება:

- ბავშვს შეუძლია სხეულის მოძრაობის კონტროლი, წონასწორობის შენარჩუნება;
- ბავშვი ხალისით ერთვება ფიზიკურ აქტივობებში;

პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების დროს ხდება ბავშვების შემეცნებითი უნარების განვითარება:

- საკუთარი სხეულის მდებარეობის აღქმა და საგნებს შორის სივრცითი მიმართების დადგენა;

პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების დროს ხდება მეტყველების განვითარება:

- ბავშვი აღწერს მუსიკას, ცეკვის მოძრაობებს, იმეორებს პერსონაჟის ტექსტებს;

პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების დროს ხდება სოციალურ-ემოციური განვითარება:

- ადეკვატურად გამოხატავს ემოციებს, ურთიერთობს თანატოლებთან, თანამშრომლობს მათთან.

ფიზიკური აქტივობების განსაზღვრება

ფიზიკური აქტივობები საუკეთესო საშუალებაა ადრეული ასაკის ბავშვების ფიზიკური განვითარებისთის. ფიზიკურ აქტივობებს მიეკუთვნება მოძრავი წესებიანი თამაშები, აერობიკა, ტანვარჯიში, სპორტული თამაში.

რატომ არის მნიშვნელოვანი ფიზიკური აქტივობები ადრეულ ასაკში? ფიზიკური აქტივობები უზრუნველყოფს:

- ქრონიკული დაავადებების რისკის შემცირებას;
- სიმსუქნის რისკის შემცირებსა;
- შემეცნებითი ფუნქციებისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებ;
- თვითშეფასების ამაღლებას.

ყოველდღიურად ბავშვებს სჭირდებათ საკმარისი დრო იმისათვის რომ, თავისუფლად იმოძრაონ. ფიზიკური აქტივობების ჩასატარებლად საუკეთესო ადგილი ბაღის ეზოა, თუმცა ძლიერი უამინდობის შემთხვევაში (ძლიერი ქარი,

ძლიერი წვიმა, ყინვა) ამ ტიპის აქტივობები ბაღის შენობაში უნდა განხორციელდეს, ეს შეიძლება იყოს სპორტული, ან მუსიკის დარბაზი. თუმცა ბავშვებს უნდა ქონდეთ წვიმისა და თოვლის შესაბამისი ტანსაცმელი, რათა ამინდის ცვალებადობამ ხელი არ შეუშალოს ფიზიკური აქტივობების ჩატარებას ეზოში. როგორც ზემოთ ითქვა, ძლიერი უამინდობის შემთხვევაში ფიზიკური აქტივობები სპორტულ, ან მუსიკის დარბაზში ინაცვლებს. თუმცა თუ ასეთი ფართი არ არის ბაღის შენობაში, სასურველია ჯგუფის ოთახის სივრცის მოწყობა აქტიური თამაშისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები იყვნენ ჩაცმულები ისეთ სამოსში, რომელიც ხელს არ შეუშლით მათ თავისუფალ მოძრაობაში. ფიზიკური აქტივობების დროს ბავშვებს უნდა ქონდეთ საშუალება:

- ბუნებრივად გამოხატონ საკუთარი თავი, იმოძრაონ და იხმაურონ;
- ისუნთქონ სუფთა ჰაერი და შეიგრძნონ სხვადასხვა ამინდი;
- აქტიურად დაისვენონ და განიტვირთონ;
- დახარჯონ ენერგია;

დღის განრიგის შედგენისას აღმზრდელმა უნდა დაიცვას მოძრავი და ჯდომითი აქტივობებისთვის გამოყოფილი დროის თანაფარდობა, სასურველია მოკლე, სახალისო მოძრავი თამაშები (დაახლოებით 15 წთ) და არა გრძელვადიანი, დამღლელი ფიზიკური აქტივობები, ფიზიკური აქტივობები უნდა იყოს მრავალფეროვანი და სხვადასხვა სირთულის, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ინტერესებისა და განვითარების შესაბამისი, მათ საჭიროებებზე მორგებული.

ფიზიკური აქტივობების დროს ხდება ბავშვების ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური, მეტყველების განვითარება.

6.2. ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების დაგეგმვა ადრეული განათლების დაწესებულებებში

სახვითი და პერფორმანსული ხელოვნების და ფიზიკური აქტივობების დაგეგმვა გულისხმობს აქტივობების განსახორციელებელი სივრიც მოწყობას ჯგუფში, რესურსის შეტანას, აქტივობისთვის საჭირო დროისა და ბავშვების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრას, აქტივობის გეგმის შედგენას.

სახვითი ხელოვნების აქტივობების ჩასატარებელი ძირითადი ადგილი ჯგუფში არის ხელოვნების ცენტრი. ხელოვნების ცენტრში ბავშვს უნდა ქონდეს საშუალება, რომ მოსინჯოს სხვადასხვა მასალები და ტექნოლოგიები ფერწერული ნამუშევრის, ან ნახატის შესაქმნელად. გარდა ხელოვნების ცენტრისა სახვითი ხელოვნების აქტივობების განხორციელება შესაძლებელია ბაღის ეზოში, ან ბაღის ეზოს გარეთ. ჯგუფის სივრცეში ხელოვნების აქტივობების ჩასატარებლად საჭირო მასალაა:

- **საღებავები:** გუაში, ხელით სახატავი საღებავი, აკვარელი, წყალი, ფერადი ბოსტნეულის წვენი, ჩაისა და ყავის ნაყენი, საკვები საღებავი, შეღებილი სახამებელი, საპარსი ქაფი. ფუნჯის ნაცვლად ბავშვებმა შესაძლოა იხმარონ: სამზარეულოს ფუნჯი
- **ფუნჯები**: სახატავი ფუნჯი, მაკიაჟის ფუნჯი, მანიკურის ფუნჯი, კბილის ჯაგრისი, ღრუბელი, თმის ჯაგრისი, ტანსაცმლის ჯაგრისი, სავარცხელი, საპარსი ფუნჯი, პლასტმასის სანამი ბოთლი, ბამბის ტამპონი, ცოცხი.
- **საძერწი მასალა:** თიხა, პლასტილინი, საძერწი ცომი, დასველებული ქაღალდი, საპონი, პენოპლასტი, თაბაშირი.
  შესთავაზეთ ბავშვს სხვადასხვა საძერწი მასალა, რათა მას ქონდეს საშუალება თავად შეარჩიოს ფაქტურა და მასალა ნამუშევრისთვის.
- **მეორადი მასალა:** პლასტმასის ბოთლები, ღილები, ქსოვილი, საათის ნაწილები, ბინტი, ან მარლა, ბამბა, საქსოვი ძაფები, ქსოვილის, ტყავი ნაჭრები, ბაწარი, ძველი შპალერი, მაქმანები, ბრჭყვიალები, სათევზაო ბადე, ძველი ბიჟუტერია, ხის სამაგრები, ზონრები, ბაფთები, ბისერი, მძივები
- **ბუნებრივი მასალა:** სხვადასხვა სახის მარცვლეული, ბურღულეული, ყავის მარცვლები, კვერცხის ნაჭუჭი, გამხმარი ფოთლები და ყვავილები, ნიჟარები, ხის ტოტები, გირჩები.

პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების განსახორციელებლად ბაღში უნდა იყოს მუსიკისა და ცეკვის სივრცე, რომელიც შესაძლოა მოვაწყოთ ბაღის დარბაზში, ან კონკრეტულ ჯგუფში ჯგუფური შეხვედრების ადგილას, ასევე სივრცე დრამისთვის, მაგალითად დრამატული თამაშების ცენტრში. ამ სივრცეში ბავშვებს უნდა ქონდეთ საშუალება თავისუფლად აირჩიონ მუსიკალური ინსტრუმენტები, შექმნან მუსიკა, თავისუფლად გამოიყენონ ცენტრი, ან მაგნიტოფონი, მუსიკის თანხლებით იცეკვონ, იმღერონ, შეთხზან სიმღერები, დადგან ცეკვები, მოუსმინონ სხვადასხვა ჟანრის მუსიკას, ითამაშონ სხვადასხვა სახის დრამატული თამაშები, მოირგონ როლები, გარდაისახონ სხვადასხვა

პერსონაჟებად, მიბაძონ მათ ხმით, მოძრაობით, მოირგონ პერსონაჟების სამოსი, ან ნიღბები.

პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსია:

- **ხელნაკეთი, ან ბავშვის ზომის მუსიკალური ინსტრუმენტები:** ქსილოფონი, დაირები, მარაკასები, ჟღარუნები, საყვირი, სალამური, დოლი
- **მასალები მოსასმენად:** მუსიკალური ცენტრი, CD ფლეიერი, ან მაგნიტოფონი, დისკები საბავშვო სიმღერებით, ხმაურებით, მსოფლიო ხალხთა ტრადიციული მუსიკით, სხვადასხვა ჟანრისა და მიმდინარეობის მუსიკით (ფოლკი, კლასიკა, ქანთრი, ჯაზი, როკი, ბლუზი და ა.შ.)
- **არატრადიციული საკრავები:** ლითონის ჭურჭელი, ქვაბების სახურავები, ხისა და ლითონის კოვზები;
- **როლური თამაშების ატრიბუტები:** სხვადასხვა პერსონაჟის კოსტუმები, ნიღბები, აქსესუარები.

ფიზიკური აქტივობების განსახორციელებლად საჭიროა ბაღს ქონდეს სუფთა, დაცული ეზო, რომელიც აღჭურვილი იქნება სხვადასხვა სპორტული და სათამაშო სახის ინვენტარით. ასეთივე სივრცე სასურველია იყოს ბაღის შენობის ფარგლებში სპორტულ, ან მუსიკალურ დარბაზში, ან ჯგუფის სივრცეში. ფიზიკური აქტივობებისთვის საჭირო რესურსია:

- **სპორტული ინვენტარი:** სხვადასვა სახის ბურთები, ჰულაჰუპი, ლახტი, სატანვარჯიშო ჯოხები.

ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა საქმიანობის დეტალური დაგეგმვა, აღმზრდელმა დაგეგმვისას ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ პუნქტებს:

აქტივობის სახელწოდება	
აქტივობის მიზანი	
აქტივობისთვის საჭირო რესურსი	
აქტივობის ხანგრძლივობა	
აქტივობაში მონაწილე ბავშვების რაოდენობა	

აქტივობის მსვლელობა	
შენიშვნა	

6.3. ხელოვნებისა და ფიზიკური ატივობების სწავლება ადრეული განათლების დაწესებულებებში

სახვითი, პერფორმანსული და ფიზიკური აქტივობების ეფექტურად განხორციელებისთვის აღმზრდელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებებს:

- ღებულობს თუ არა სიამონებას ბავშვი ხატვით,
- მოსინჯავს თუ არა სხვადასხვა მასალას მხატვრული ნამუშევრის შესაქმნელად,

- მუსიკის მოსმენით, ყვება თუ არა რიტმს;
- ცდის თუ არა სხვადასხვა ინსტრუმენტს და ამოიცნობს თუ არა თითოეულის ხმას;
- მოსწონს თუ არა სიმღერა და ცვლის ტექტს სიმღერაში;
- შეუძლია მოძრაობის მოგონება;
- შეუძლია შეასრულოს აღმზრდელის მითითება: იფრინე პეპელასავით, იბაჯბაჯე დათვივით;
- ირგებს თუ არა სხვადასხვა პერსონაჟის როლს;
- სიამოვნებს თუ არა როლში გარდასახვა;
- მოსწონს თუ არა ვარჯიში;
- მიდის თუ არა რისკზე ეზოში თამაშისას;
- ურთიერთობს სხვა ბავშვებთან ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების დროს.

რჩევები აღმზრდელს ხელოვნების აქტივობების დროს:

- შესთავაზეთ მრავალფეროვანი მასალა მხატვრული ნამუშევრის შესაქმნელად და წაახალისეთ, რომ თამამად გამოიყენონ ეს მასალა, წაახალისეთ შემოქმედებითი თავისუფლება;
- მნიშვნელოვანი არის არა ის, რომ ბავშვს ვასწავლოთ ხატვის საფეხურები, არამედ ის, რომ ბავშვმა თვითონ შეიმუშავოს საკუთარი, ინდივიდუალური ხატვის სტრატეგია, ამიტომ ნუ შესთავაზებთ მზა მოდელებს, ან ნახატის ნიმუშებს, წაახალისეთ დამოუკიდებლობა;
- თავად შეუერთდით აქტივობას, იცეკვეთ ბავშვთან ერთად, ოღონდ ნუ ასწავლით ცეკვას, უბრალოდ გამოხატეთ თქვენი თავი მოძრაობით;
- ისიამოვნეთ ერთად სიმღერით, ან მუსიკის მოსმენით;
- წაახალისეთ ბავშვები, რომ გარდაისახონ როლებში;

რჩევები აღმზრდელს ფიზიკური აქტივობების დროს:

- აღწერეთ რას აკეთებენ ბავშვები
- დაუსვით ღია დაბოლოებიანი შეკითხვები: რას გაგონებს? რა შეგიძლია დაამატო? რა მოხდებოდა?
- თავად შეუერთდით აქტივობას, იმოძრავეთ მათთან ერთად;

გამოყენებული ლიტერატურა

1. D. T. Dodge, L. J Colker, C. Heroman “Creative curriculum” , 2010.
2. H.K.Manners and M.E.Carroll „A Framework for Physical Education in the Early Years“, 1995.
3. Debbie Chalmers „Drama 3–5: A practical guide to teaching drama to children in the foundation stage“, 2007.
4. Rob Barnes „Teaching Art to Young Children 4-9”, 1990.
5. C. Sharp and J. Le Métais, „The Arts, Creativity and Cultural Education: An International Perspective“, (International Review of Curriculum and Assessment Frameworks) London, 2000.
6. M.A. Runco “Education for creative potential”, Scandinavian Journal of Educational Research, 2003. 47, 3, 317–24.
7. F. McArdle, & B. Piscitelli, Early childhood art education: A palimpsest. Australian Art Education, 25(1), 2002, 11-15
8. D. Roy, W. Baker, A. Hamilton “Teaching the Arts: Early Childhood & Primary Education”, Cambridge University Press, 2015;
9. Pelo “The Language of Art: Reggio-Inspired Studio Practices in Early Childhood Settings” 2007
10. Sharp, „ Developing Young Children’s Creativity Through the Arts: What Does Research Have to Offer? London, 2001
11. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტი, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, 2010

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რატომ არის მნიშვნელოვანი სახვითი ხელოვნების აქტივობები ადრეულ ასაკში?
2. რა არის ხელოვნების აქტივობების მიზანი?
3. რომელი ტიპის აქტივობები მიეკუთვნება სახვითი და პერფორმანსული ხელოვნების აქტივობებს?
4. რომელი სფეროების განვითარება ხდება სახვითი ხელოვნების აქტივობების და პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების დროს?
5. რომელი ტიპის აქტივობები მიეკუთვნება ფიზიკურ აქტივობებს?
6. რომელი სფეროების განვითარება ხდება ფიზიკური აქტივობების დროს?
7. რა რესურსი არის საჭირო სახვითი ხელოვნების აქტივობების ჩასატარებლად?
8. რა რესურსი არის საჭირო პერფორმანსული ხელოვნების აქტივობების ჩასატარებლად?
9. რა რესურსი არის საჭირო ფიზიკური აქტივობების ჩასატარებლად?
10. რა პუნქტებს გულისხმობს ხელოვნებისა და ფიზიკური აქტივობების ჩასატარებელი გეგმის ჩარჩო?
11. როგორია აღმზრდელის როლი სახვითი და პერფორმანსული აქტივობების, ფიზიკური აქტივობების განხორციელებისას?

7. სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება

ამ თავში გაეცნობით ადრეული განათლების პრაქტიკის თავისებურებებს და პრინციპებს. რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოთ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზებისას. წაიკითხავთ კონკრეტულ რეკომენდაციებს - თუ რა უნდა გაითვალისწინოთ დაგეგმვის და აქტივობების მოფიქრებისას. ასევე აღმზრდელის სტრატეგიებს ბავშვზე ორიენტირებული პრაქტიკის უზურნველსაყოფად. პოზიტიური გაძღოლის ტექნიკებს, როგორც წარმატებულ საშუალებას პრობლემური ქცევის პრევენციასა და არსებული ქცევითი სირთულეების მართვაში.

7.1. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზებააღმზრდელის მხრიდან საჭიროებს სხვადასხვა ფაქტორის, საკითხის გათვალისწინებას, მოფიქრებას, დაგეგმვას და

განხორციელებას.ესენია:ბავშვის თავისებურებები, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისმიზნები, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისშინაარსი -აქტივობები, ფიზიკური გარემო დამასალები, დღის განრიგი და აღმზრდელის სტრატეგიები.

ბავშვის თავისებურებები. პროგრამის მიზნების განსაზღვრამდე და ამ მიზნების მისაღწევად კონკრეტული აქტივობების მოფიქრებამდე, აღმზრდელმა უნდა იცოდეს ჯგუფის და ბავშვების თავისებურებები - ასაკი, განვითარების თავისებურებები, ინდივიდუალური შესაძლებლობები. განვითარებასთან დაკავშირებულ განსხვავებებთან ერთად ბავშვები განსხვავდებიან: ინტერესებით, პიროვნული თვისებებით, სწავლის სტილით, ცოდნით, ადრეული გამოცდილებით განპირობებული უნარ-ჩვევებით.

სასწავლო სააღმზრდელო პრაქტიკის მიზნები. განვითარებისათვის შესაფერისი სწავლების საფუძველიწინასწარ გამიზნულობაა. გარემო, რომელიც ბავშვის განვითარებას უწყობს ხელს და მრავალფეროვან გამოცდილებას სთავაზობს, შემთხვევითი არ არის. ეფექტური აღმზრდელი ყველაფერს - ბავშვების შეფასებას, ჯგუფის მოწყობას, პროგრამის დაგეგმვას-გამიზნულად აკეთებს.აღმზრდელი მიზანდასახულად და გააზრებულად მოქმედებს, თავის ქმედებებს აფუძნებს იმ მიზნებზე, რომელთა მიღწევაც ბავშვების ჰოლისტური (ყოველმხრივი) განვითარებისათვისაა აუცილებელი.
სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მკაფიოდ განსაზღვრულ მიზნებს უნდა პასუხობდეს, რომელიც ეფუძნება ქვეყნის სწავლებისა და განვითარების სტანდარტებს. მიზნების ჩამოსაყალიბებლად, აღმზრდელი, არსებულ სტანდარტებთან ერთად, იყენებს ჯგუფზე და ბავშვზე დაკვირვებას, შეფასებებს და ოჯახიდან მიღებულ ინფორმაციას (დეტალურად გაეცნობით თავში - ბავშვზე დაკვირვება და შეფასება). მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები აღმზრდელს,სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გააზრებულად დაგეგმვასა და ბავშვების განვითარებისათვის შესაფერისი გამოცდილებების უზრუნველყოფაში ეხმარება. მიზანდასახული აღმზრდელი გამიზნულად არჩევს სწავლების სტრატეგიებს, რაც საშუალებას აძლევს დასახული მიზნის მიღწევაში, მუდმივად აფასებს პროგრესს და არგებს სტრატეგიებს (გესტვიკი, 2013).

სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის შინაარსი. აქტივობების მოფიქრებისას აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს,რომ ეს აქტივობები ბავშვის განვითარების

თითოეული სფეროს (ფიზიკური, შემცნებითი, მეტყველების, სოციალური, ემოციური) სტიმულირებას ბალანსირებულად უწყობდეს ხელს.

ზოგიერთი ბაღი ხელმძღვანელობს წინასწარ შედგენილი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით. წინასწარ შედგენილი პროგრამა და სასწავლო გეგმა ეხმარება აღმზრდელს ყოველდღიური პრაქტიკის ორგანიზებაში. არსებობს ეროვნული სასწავლო გეგემები და დამოუკიდებლად შქმნილი პროგრამები. ეს პროგრამები ასახავს სხვადასხვა თეორიულ პერსპექტივას სწავლისა და განვითარების შესახებ და აღმზრდელს მეტიან ნაკლები ორგანიზებითა და მხარდაჭერითუზრუნველყოფს. კურიკულუმის შერჩევასა და რეალიზებაში, ასევე სასწავლო გეგმის განვითარებაში, იქნება ეს კონკრეტული აღმზრდელის,ბაღისა თუ სპეციალისტთა გუნდის მიერ შედგენილი გეგმა, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული განვითარებისათვის შესაფერისი პრაქტიკის პრინციპები. ხშირად საბავშვო ბაღის აღმზრდელებს მოეთხოვებათ სავალდებულო სასწავლო გეგმის, პროგრამის გამოყენება. თუმცა, რამდენადაც ეფექტური და განვითარებისათვის შესაფერისი არ უნდა იყოს კურიკულუმი, მთავარიააღმზრდელმა იცოდეს,როგორ სწავლობენ და ვითარდებიან ბავშვები, როგორ ეგუებიან ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად სასწავლო მასალებს, ახალ გამოცდილებებს და აღმზრდელისსტრატეგიებს. მართალია, სასწავლო გეგმას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის კარგმასწავლებლს ვერ ცვლის (გესტვიკი, 2013).

ძლიერი სასწავლო პროგრამის „ძირითადიმიზნები მოიცავს განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, სოციალური, ემოციური, შემეცნებითი),ფიზიკურგანათლებასა და ჯანმრთელობას, ენასა და წერა-კითხვას, მათემატიკას, მეცნიერებას და ხელოვნებას (კოპელი და ბრედეკამპი, 2009). ის ასევე „გააზრებულად არისდაგეგმილი, სავსეა გამოწვევებით, მიმზიდველია, განვითარების, კულტურისა და ენის შესაბამისია, გასაგებია და უზრუნველყოფს დადებით შედეგებს ყველა მცირეწლოვანი ბავშვისათვის“ (NAEYC, 2003).

განვითარებისათვის შესაფერისი პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცდილებაა თამაში. თამაში არის მნიშვნელოვანი ნაწილი ადრეულ ასაკში ჯანსაღად აღზრდისა და განვითარებისათვის, რაც აკადემიური სწავლისა და წარმატების საფუძველია. თამაშზე დაფუძნებული გამოცდილება უნდა ედოს სათავედ მთელი ჯგუფის აქტივობებს, მცირე ჯგუფის აქტივობებს, სასწავლო ცენტრებში მუშაობას და ინდივიდუალურ სწავლებას. წარამტებული აღმზრდელი ბავშვების თამაშის ბუნებრივ მიდრეკილებებსიყენებს, შესაბამისად აწყობს სივრცეს და უზრუნველყოფსმასალებით და დღის განმავლობაში მხარს უჭერს მაღალი

დონის, რთულ თამაშს. რთულ თამაშს (რთული თამაშის შესახებ იხილეთ თავი - ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა) აღმზრდელის მიერ ხელშეწყობა და მართვა სჭირდება. ის მოიცავს გააზრებულ დაგეგმვას, გარემოსა და მასალების მიმართ ყურადღებასა და აღმზრდელის მხრიდან სწავლებას და თამაშის შენარჩუნებას (გრონლუნდი, 2010). თუმცა, ბაღის დღიური განრიგის მოთხოვნების გამო, ხანდახან რთულდება ასეთი ტიპის თამაშების ხელშეწყობა. შემოქმედებითი აღმზრდელი ეძებს გზებს, რომ თამაშზე დაფუძნებული აქტივობები ყოველდღიურად დაგეგმოს, მათ შორის ისეთი აკადემიური უნარების განსავითარებლად როგორიც წერა-კითხვა ან მათემატიკაა. ბაღის გარემოში ბალანსის დაცვა და ბავშვების თამაშისათვის რამდენადაც შესაძლებელია დიდი დროის დათმობა მნიშვნელოვანია მათი წარმატების, სწავლისა და განვითარებისთვის (გესტვიკი, 2013).
ბავშვების აქტიურობა ასევე არსებითია სწავლასა და განვითრებაში. ისინი უკეთესად სწავლობენ, როცა აქტიურად არიან ჩართულები, იკვლევენ, აღმოაჩენენ, თამაშობენ, გამოცდილებას იძენენ, კითხვებს სვამენ, კამათობენ და ადამიანებთნ და საგნებთან ურთიერთობენ (გესტვიკი, 2013).

ფიზიკური გარემო და მასალები. ფიზიკური გარემო ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში. აღმზრდელი უნდა აკვირდებოდეს, ფიქრობდეს ფიზიკურ გარემოზე და ცვლიდეს მას თავისი მიზნებისა და გეგმების შესაბამისად, რადგან მისი საქმის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორად ორგანიზებულმა გარემომ შეიძლება შეასრულოს.
ფიზიკური გარემოს ორგანიზებაში იგულისხმება მასალების შერჩევა და სივრცის მოწყობა. სწორად დაგეგმილი გარემო ბავშვებს ეხმარება ეს გარემო აღმზრდელის მოლოდინების შესაბამისად გამოიყენონ.

მასალების და სათამაშოების შერჩევისას, განსაკუთრებით პატარა ასაკის ბავშვებისათვის, გაითვალისწინეთ, რომ მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სენსორული მასალა და მოტორული აქტივობის ხელშემწყობი სათამაშოები. სენსორულში ერთიანდება ე.წ. „ჭუჭყიანი თამაშებისათვის“ საჭირო მასალა (ცომი, ხელის საღებავები, ქვიშა და წყალი, და სხვა), რაც აუცილებელია ბავშვის განვითარებისთვის და უზრუნველყოფს ყველა სფეროს სტიმულირებას. საყოფაცხოვრებო და ბუნებრივი ტიპის, ასევე სენსორული მასალის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა შეგიძლიათ,ნაკლებ ხარჯიანი ნივთებითაც, რაც მხოლოდ აღმზრდელის შემოქმედებით მიდგომას საჭიროებს. მაგ. ჯაგრისები, ტივტივა, მუყაოს ცარიელი კონტეინერები, ნამცხვრის ფორმები, სხვადასხვა

სიმაგრის და ფერის სახეხი ღრუბელები, საცობები, დიდი ზომის პიპეტები, ბუმბულები, გასაბრტყელებელი ჯოხები, ქაფქირი, ჩამჩა, კოვზი, სავარცხლები, სხვადასხვა ზომის კონტეინერები, ძაბრები, საწრუპები, აკრილის მილები, პლასტმასის მილები, პლასტმასის „სპრეის“ ბოთლები, „მარმარილოს“ ბურთები, გამადიდებელი შუშები, მაგნიტები, სასწორი. ასეთი ტიპის მასალა აღვივებს ცნობისმოყვარეობას და აღმოჩენების გაკეთების სურვილს. როდესაც გარკვეულინივთებით მოამარაგებთ სენსორულ კუთხეს, პერიოდულობით დაუმატეთ რამოდენიმე განსხვავებული ნივთი, ცვალეთ მასალა, რომ ბავშვების ინტერესი არ განელდეს. ერთ ჯერზე ზედემტად ბევრი მასალაც დამაბნეველია.

მასალის განთავსებისას აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს მათი მრავალფეროვნებაც. მნიშვნელოვანია იყოს ისეთი სათამაშოები რომელიც ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას ასახავს (ჭურჭელი, ბაღის ინსტრუმენტები) და ღია ტიპის მასალა (ქსოვილი, მუყაო, კენჭები, ხის კუნძი, გირჩა). ამ ორი ტიპის მასალის ბალანსი ხელს უწყობს შემეცნების განვითარებას. ბუნებრივი მასალის ნებისმიერ ცენტრში განთავსება სტიმულს აძლევს სწავლასა და განვითარებას.

ფიზიკური გარემო არ უნდა იყოს უცვლელი, რომელსაც ერთხელ მოაწყობ და მთელი წელი ტოვებ. იგი ისეთივე დინამიური უნდა იყოს, როგორც აღმზრდელის პრაქტიკა. ფიზიკურ გარემოს მუდმივად სჭირდება დაფიქრება და განახლება. აღმზრდელი განუწყვეტლივ უნდა აკვირდებოდეს და აფასებდეს ბავშვების ზრდის, განვითარების, ინტერესების და საჭიროებების დინამიკას და შესაბამისად რეაგირებდეს (ფიზიკური გარემოს მოწყობას დაწვრილებით გაეცნობით მეშვიდე თავში - სააღმზრდელო გარემო) .

დღის განრიგი და აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა. სწორად დაგეგმილ ფიზიკურ გარემოსთან ერთად, აუცილებელია კარგად გააზრებული დღის განრიგი. ბავშვებს მოსწონთ, როცა გრძნობენ, რა და როდის მოხდება, უცვლელი რეჟიმი ეხმარება მათ, განივითარონ დროისა და თანმიმდევრობის გრძნობა. აღმზრდელები კედელზე აკრავენ განრიგს, რათა ბავშვები დღის განმავლობაში ხედავდნენ და იყენებდნენ მას. აღმზრდელმა შეიძლება დღე დაიწყოს ბავშვებთან დღის განრიგისა და გეგმების განხილვით და ნებისმიერი იმ ცვლილების გაზიარებით, რაც შეიძლება დღის განმავლობაში მოხდეს. ზოგიერთიაღმზრდელი ყურადღებას ამახვილებინებს ბავშვებს განსაკუთრებულ პროექტებზე, რაც დღის განმავლობაში შეიძლება გაკეთდეს. განრიგი უნდა იყოს პროგნოზირებადი, მაგრამ არა უცვლელი.

აღმზრდელმადაგეგმვისას უნდა დაიცვას ბალანსი: წყნარ საათებსა და ენერგიულ აქტივობებს, ოთახის და ეზოს აქტივობებს, დიდ და პატარა ჯგუფებში ერთობლივად და დამოუკიდებლად მუშაობას შორის.

7.2. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება პრაქტიკაში

ბავშვებისთვის რაიმეს სწავლების საუკეთესო გზაუშუალო სწავლება და შემდეგ ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენებაა. რადგან ბავშვებს ინდივიდუალური სწავლის სტილი და საჭიროებები აქვთ,აღმზრდელმა მათი სწავლისა და განვითრების წასამართად მრავალფეროვანი მეთოდების და სტრატეგიების მთელი სპექტრი უნდა გამოიყენოს.

ბავშვის მიერ ინიცირებული სწავლა არ არის შემთხვევითობა. ასეთ სწავლას ადგილი აქვს მაშინ, როცა აღმზრდელი ფიქრობს ბავშვების განვითარებასადა საინტერესო და მდიდარი გარემოს გამიზნულადმოწყობაზე, რაც ბავშვებს სხვადასხვა არჩევანს სთავაზობს. გააზრებულად მოწყობილი ფიზიკური გარემო,სწორად შერჩეული მასალები, ყურადღებით დაგეგმილი დღის რეჟიმი და,რაც მთავარია, დადებითი სოციალური და ემოციური კლიმატი ხელს უწყობს ბავშვის მიერ ინიცირებულ სწავლას. ამ ჯაჭვში მნიშვნელოვანია აღმზრდელის სტრატეგიები - რაც ზრდის ბავშვების შესაძლებლობებს თავად გააკეთონ აღმოჩენები და სწავლის ინიციატივა გამოიჩინონ. ბავშვის მიერ ინიცირებული და აღზმრდელის მიერ მართული სწავლა ბავშვებთან სხვადასხვა სახის ურთიერთობებს გულისხმობს. რეალურად, სასწავლო-სააღმზრდელო პრაქტიკა ყოველთვის მოითხოვს აღმზრდელის ჩარევას (გესტვიკი, 2013).

მთელი დღის განმავლობაში ბავშვებთან ურთიერთობა აღზმრდელის მხრიდან ჩარევის სხვადასხვა ხარისხს საჭიროებს. უნდა დააკვირდეთ, რას აკეთებენ ბავშვები, წაახალისოთ მათი ძალისხმევა ითამაშონ და იკვლიონ დამოუკიდებლად და ამავე დროს გამიზნულად ჩაერიოთ ხოლმე მათთვის მეტი რამის სწავლებისა და შემეცნების ჰორიზონტის გაფართოების მიზნით.

ნაკლებად ჩარევადი სწავლების სტრატეგიის ერთერთი ფორმაა აღმზრდელის მხრიდან უბრალოდ იმის დახასიათება და აღწერა, თუ რას აკეთებს ბავშვი. ამ მიდგომით ბავშვები უფრო მეტად აცნობიერებენ თავიანთ ქმედებას, რაც ხელს უწყობს მათ, თავიანთი ქმედებების გააზრებაში. ის ასევე საშუალებას აძლევს ბავშვებს, გაიგონ, რომ თქვენ დაინტერესებული ხართ მათი პიროვნებით და სამუშაოთი. ასეთი სახის კომენტარები ბავშვებს ეხმარება, თავიანთ საქმიანობაზე დაფიქრდნენ: „ვხედავ, რომ ერთმანეთში ურევ ყვითელ და ლურჯ საღებავებს. მაინტერესებს, რომელ ახალ ფერს მიიღებ “(გესტვიკი, 2013)

მეორე მიდგომა საუბარშიბავშვის ჩართვაა, რაც მას სტიმულს აძლევს, ქმედება და აზრები სიტყვებით გამოხატოს. საუბარი ეხმარება ბავშვებს, გაერკვნენ, თუ რას აკეთებენ და ხელს უწყობს იმის გააზრებას, რასაც სწავლობენ. თუ მათ ქმედების ახსნა სურთ, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ გონივრულია, რასაც აკეთებენ. ამ ტიპის საუბრები ბავშვების ლაპარაკის უნარსაც ავითარებს. აი, რამდენიმე მაგალითი, რა შეგიძლიათ, უთხრათ ბავშვებს: „ქვიშისთვის წყლის დამატება ქვიშას სხვანაირს ხდის.რა გინდოდა, რომ მომხდარიყო, როცა წყალი დაამატე?“

ბავშვებისათვის კითხვების დასმა არა მარტო აფართოებს და ამდიდრებსსასწავლო გარემოს, არამედ გვიჩვენებს ბავშვის პროგრესს სწავლის პროცესში. არსებობს ორი ტიპისკითხვა: ღია და დახურული. დახურულ შეკითხვას მხოლოდ ერთი სწორი პასუხი აქვს. მას შეიძლება ვუპასუხოთ, დიახ ან არათი ან ერთი-ორი სიტყვით. უმეტეს შემთხვევაში აღმზრდელმა უკვე იცის, რა უნდა მას, ბავშვმა რომ უპასუხოს. აი, რამდენიმე ტიპიური შეკითხვა, რომელსაც მასწავლებელი სვამს: რა ფერია? რა ჰქვია? რამდენია? ეს შენია? აღმზრდელთა უმეტესობისთვის მოსახერხებელია დახურული შეკითხვების დასმა.მათი დასმა ადვილია. ღია კითხვა ბავშვისგან მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე ერთი ან ორსიტყვიანი პასუხია და სწორი პასუხის ბევრი ვარიანტი აქვს. ისინი ბავშვის კრიტიკულ აზროვნებას ავითარებენ. როცა ბავშვს ჰკითხავთ „რა მოუვა საძერწ ცომს, თუ მას ყუთში არ შევინახავთ??“ უფრო აზრიან პასუხს მიიღებთ, ვიდრე როცა შემდეგ კითხვას დასვამთ: „კარგი იქნება, თუ ცომს დაუფარებლად დავტოვებთ?“ ცხრილში მოცემულია ღია კითვების მაგალითები, რომელიც შეგიძლიათ ბავშვებს დაუსვათ კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობის მიზნით (გესტვიკი, 2013).

აზრების სიტყვებით გადმოცემისთვის	შენი აზრით, რატომ იყო მოთხრობაში პატარა ბიჭი მოწყენილი?
დაკვირვებისთვის	რას ხედავთ, გესმით ან გრძნობთ? რა შენიშნეთ?
პროგნოზირებისთვის	როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ შენს კოშკს კუბებს დაუმატებ?
მსგავსებებსა და განსხვავებებზე დაფიქრებისთვის	რითია ეს ორი კუბი ერთნაირი? რა ამსგავსებს ამ საგნებს ერთმანეთს?
პრობლემის გადასაჭრელად ცოდნის	რა უნდა გააკეთო, საღებავი რომ არ

გამოყენებისათვის	დაეწვეთოს იატაკზე?
ფიქრის გაღრმავებისთვის	როგორ ვიმოძრავებდით მსუბუქი და სატვირთო მანქანები, ავტობუსები, თვითმფრინავები ან გემები რომ არ ყოფილიყო?
შედეგების გააზრებისთვის	რა მოხდება, თუ ნახატს გარეთ დატოვებთ და იწვიმებს?
შეფასებისათვის	რატომ გადაწყვიტე ამ წიგნის არჩევა წასაკითხად? რა იგრძენი?
გრძნობის შეფასებისთვის	რას იგრძნობ, თუ ეს მოხდება?

ადაპტირებულია წიგნიდან „კრეატიული კურიკულუმი საბავშვო ბაღებისათვის“

ასეთი ტიპის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ხელს უწყობს შედეგების გააზრებას, პროგნოზების გაკეთებას და მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციებში გამოიყენებას. ისინი ბავშვებს ფიქრისა და ნასწავლის გააზრებისაკენუბიძგებენ (გესტვიკი, 2013).

ქვემოთ მოცემულია სხვადასხვა სტრატეგიები აღმზრდელისათვის წიგნიდან „განვითარების შესაბამისი პრაქტიკა: კურიკულუმი და განვითარება ადრეულ განათლებაში“ (გესტვიკი, 2013):

გამხნევება: გააკეთეთ მასტიმულირებელი კომენტარები (მაგ., „ეს ადვილი არ იყო, მაგრამ შენ სხვადასხვა ხერხი გამოსცადე, ნამდვილად შეუპოვარი ხარ“), და არა ზოგადი შეფასება და შექება(„ყოჩაღ“).

საუბრისა და კომუნიკაციას სტიმული: გააფართოეთ ბავშვების ენობრივი ცნობიერება, გაგება და ფიქრი, ჩართეთ ისინი საუბარში (დომბრო და სხვები, 2011). ასევე მიეცით შესაძლებლობა ბავშვებს ურთიერთობა ჰქონდეთ ერთმანეთთან და გაცვალონ იდეები, პროგნოზები და შედეგები, როცა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ იდეების კვლევისა და პრობლემების გადაჭრის დროს (მაგ., „მითხარი უფრო მეტი ამის შესახებ“, „შენს მეგობართან ერთად დააკვირდი, როგორ ღვივდება პურის მარცვალი და გაუზიარეთ ერთმანეთს რას ხედავთ“, „მარი და ნიკა ფიქრობენ, რომ მცენარე გაიზრდება, თუ ისე მოვიქცევით, როგორცსაბამ და ელენემ გვირჩიეს. თქვენც ფიქრობთ, რომ საბას და ელენეს იდეები გამოდგება თუ გაქვთ სხვა იდეები?“)

ახლის ნაცნობთან დაკავშირება: დაეხმარეთ ბავშვებს ახალი ცნებები და ინფორმაცია დააკავშირონ იმასთან, რაც უკვე იციან; დაეხმარეთ დაიმახსოვრონ და გამოიყენონ, რაც ისწავლეს (მაგ: ,,ამის მსგავსი რამე შეგემთხვათ ადრე? რა მოხდა?“ (დომბრო და სხვები, 2011).

ყურადღებით მოსმენა: მიაქციეთ ყურადღება, რომ გაიგოთ,რას ამბობსან არ ამბობს ბავშვი სიტყვებითა და სხეულის ენით. ეს ბავშვისთვის ნიშნავს, რომ მასზე ზრუნავენ, ის საინტერესო და მნიშვნელოვანი ადამიანია. ეს ასევე აძლევს აღმზრდელს შესაძლებლობას, ღრმად ჩაწვდესბავშვის ფიქრებს, განცდებს (მაგ. აღმზრდელი იხრება მოსწავლისკენ და ეუბნება: „მარი, მე დავინახე, რომ ხატვა დაამთავრე, მომიყევი შენი ნამუშევრის შესახებ“. შენი სახე მეუბნება, რომ რაღაცით შეწუხებული ხარ. რით შემიძლია დაგეხმარო?“) (დომბრო და სხვები , 2011).

არჩევანის შეთვაზება: ბავშვებს შეუქმენით არჩევანის შესაძლებლობა, რომ შეძლონ გადაწყვეტილების მიღება და სწავლაში მეტად ჩართვა სოციალური და შემეცნებითი შესაძლებლობების განვითარებისას. არჩევანი ასევე საშუალებას აძლევს ბავშვებს, გახდნენ უფრო დამოუკიდებლები და თავიანთი სამუშაოს მართვა შეძლონ (გრონლუნდი, 2010) (მაგ., „დღეს სამი აქტივობა უნდა დავასრულოთ. იფიქრეთ, რომელი მათგანი უნდა გააკეთოთ პირველად. რა არის თქვენი მეორე არჩევანი? რა იქნება მესამე?“ „გადაწყვიტეთ, დღეს მეგობართან ერთად გსურთ მუშაობა თუ დამოუკიდებლად“).

ფიქრის ხელშეწყობა: ბავშვებს მიეცით შესაძლებლობა, იფიქრონ თავიანთ ქმედებებზე და ახალი ინფორმაცია დაუმატეთ იმას, რაც უკვე იცით. როცა ბავშვები ერთვებიან ფიქრში, ისინი უკეთესად იგებენ და აზროვნებენ(მაგ., ,,დაფიქრდით, რატომ გგონიათ, რომ ეს მართალია“, „მე მაინტერესებს, რატომ...“ ,,რას ფიქრობთ, რა მოხდება, თუ ამას კონტეინერში ჩაასხამთ?“ რატომ ფიქრობთ ასე?“) (ზამბო, 2008).

მდიდარი ლექსიკის გამოყენება: ბავშვებს გააცანით რთული და განსხვავებული სიტყვები ლექსიკის გასამდიდრებლად (მაგ., ,,გაინტერესებთ ეს სიტყვა? მე კიდევ წაგიკითხავთ ამ ნაწილს. ხვდებით, რას ნიშნავს?“ „ვფიქრობ, ეს საინტერესო სიტყვაა, დავამატოთ ეს სიტყვა ცხრილს?“)

7.3. პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენება

ქცევის პოზიტიური გაძღოლის ტექნიკები ფართოდ გამოიყენება მცირეწლოვან ბავშვებში პროსოციალური ქცევის სწავლებისა და წახალისების მიზნით. პოზიტიური გაძღოლა, ანუ პოზიტიური დისციპლინა ტრადიციული დისციპლინისგან იმით განსხვავდება, რომ არ არის მიმართული სადამსჯელო ღონისძებებზე. ამ მიდგომის ტექნიკები ორიენტირებულია:

- პრობლემური, არასასურველი ქცევის პრევენციაზე
- პრობლემური ქცევის ალტერნატიული, მისაღები ქცევის სწავლებაზე
- ბავშვის ავტონომიის პატივისცემაზე. ასევე, უფლების პატივისცემაზე, რომ ბავშვს შეუძლია მოიქცეს განსხვავებულად, ოღონდ მისაღებად
- ქცევის მართვის ტექნიკები უნდა იყოს მარტივი, კონკრეტული და უხსნიდეს ბავშვს თუ რისი კეთება შეუძლიათ მათ პრობლემის გადასაჭრელად.

რას უნდა ემსახურებოდეს დისციპლინა? არსებობს აღზრდის მოკლე და გრძელვადაინია მიზნები და ამოცანები. მოკლევადიანი მიზნების ამოცანაა არასასურველი ქცევის შეწყვეტა, შეცვლა, და მოდიფიცირება. გრძელვადიანი მიზნებია ღრებულებების, პასუხისმგებლობის, თვითდისციპლინის,

ურთიერთპატივისცემის სწავლება. ისეთი უნარების განვითარება რაც განაპირობებს ბავშვის მომავალ კეთილდღეობას. ამიტომ როდესაც ვსაუბრობთ ან ვიყენებთ კონკრეტულ ტექნიკებს და მეთოდებს დისციპლინის, უნდა გავიაზროთ ხომ არ მოდის წინააღმდეგობაში ეს ორი მიზანი ერთმანეთთან. რთული ქცევის მართვისა და პრევენციის მიდგომის ამოსავალი პრინციპია პოზიტიური გაძღოლის ტექნიკების სისტემური და თანმიმდევრული გამოყენება, რაც უმთავრესი პირობაა არასასურველი ქცევის უფრო ეფექტური ქცევით ჩანაცვლების.

პოზიტიური გაძღოლის ტექნიკებია:

ბრაზის მართვა: პრობლემური ქცევის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია ბავშვემა დაისწავლონ ბრაზის მართვა და საკუთარი ემოციების გამკლავება. არსებობს მცირეწლოვანი ბავშვებისთვის ადაპტირებული ბრაზის მართვის ტექნიკები, რომლის გამოყენებაც წარმატებით შეგიძლიათ თქვენს პრაქტიკაში (მაგალითად, „კუს ტექნიკა“).

მოდელირება: აღმზრდელმა თავისი ქცევით მაგალითი უნდა მსცეს ბავშვებს როგორ გაუმკლავდეს ემოციებს, იმედგაცრუებას და ბრაზს. როგორ უმკლავდება რთულ სიტუაციებს და ჭრის პრობლემებს.

წარმატებული ქცევის განმტკიცება: აღმზრდელი ფხიზლად უნდა იყოს რომ შეუმჩნიოს პოზიტიური ქცევა ბავშვებში. მეტი შესაძლებლობა უნდა შექმნას მისაღები ქცევის განხორციელების და დადებითი უკუკავშირი უნდა მისცეს ბავშვებს.

ემოციებთან დაკავშირებული ცოდნის გაღრმავება და ემოციური რეგულაციის ხელშეწყობა: ემოციების ცოდნა გულისხმობს საკუთარი და სხვების ემოციებისა და განცდების გაცნობიერებას, გაგებას და სწორ სახელდებას. ეს საფუძველია ემოციური რეგულაციის, წარმატებული ურთიერთობების და პრობლემის გამკლავების უნარის.

მნიშვნელოვანი კომპონენტი კურიკულუმში

პოზიტიური გაძღოლის ტექნიკების და სტრატეგიების გამოყენების გარდა მნიშვნელოვანია სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა, კურიკულუმი ითვალისწინებდეს ბავშვებისთვის სოციალური უნარების დასწავლას და განვითარებას. ეს უნარებია: ემპატია, იმპულსის კონტროლი, სოციალური პრობლემების გადაჭრის უნარი, ბრაზის მართვა. აღმზრდელები უნდა ფლობდნენ

ცოდნას და გამოცდილებას ამ სფეროში და ასევე მუდმივად ახდენდნენ მისაღები სოციალური ქცევის მოდელირებას.

ამ თემასთან დაკავშირებით დამატებით წაიკითხეთ:

1. დ. რილეი, დ. სენ ხუენ, რ. კლინკერ და ა. რამინგერი (2008). სოციალური და ემოციური განვითრება - მეცნიერების და პრაქტიკის დაკავშირება ადრეულ ბავშვობის სეტინგში. რედლიფ პრესი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტ. სვიმი (2008). **ოთახის მოწყობის ძირითადი პირობები: მასწავლებლის თვალსაზრისი**
2. კრეატიული კურიკულუმი საბავშვო ბაღებისთვის
3. კ. გეტსვიკი (2013). განვითარების შესაბამისი პრაქტიკა: კურიკულუმი და განვითარება ადრეულ განათლებაში

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. დაახასიათეთ სასწავლო-სააღმზრდელო პრაქტიკის პროცესი.
2. რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს აღმზრდელმა დაგეგმვოს და მართვისას?
3. რა არის პოზიტიური დისციპლინა. რისგან განსხვავდება ტრადიციული მიდგომისგან.
4. აღწერეთ პოზიტიური გაძღოლის სტრატეგიები

8. სააღმზრდელო ფიზიკური გარემო

ამ თავში გაეცნობით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ გარემოს შედეგიანი და ეფექტური სააღმზრდელო პრაქტიკისთვის. როგორ უნდა მართოთ და მოაწყოთ გარემო თქვენი მიზნების და გეგმების შესაბამისად. რა მნიშვნელობა აქვს მასალის შერჩევას და რა სახის მასალა არსებობს. რა არის წარმატებული ფიზიკური გარემოს მახასიათებლები. გაეცნობით ცენტრებს, როგორც სასწავლო-სააღმზრდელო პრაქტიკის ეფექტური მართვის საშუალებას და მათ მნიშვნელობას ბავშვის განვითარებაში.

8.1. ფიზიკური გარემოს მნიშვნელობა

ფიზიკური გარემო ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში. გარემო წარმართავს ბავშვისა და მოზრდილის ქცევას. აღმზრდელი მუდმივად უნდა აკვირდებოდეს, ფიქრობდეს ფიზიკურ გარემოზე და ცვლიდეს მას თავისი მიზნებისა და გეგმების შესაბამისად, რადგან მისი საქმის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორად ორგანიზებულმა გარემომ შეიძლება შეასრულოს.

ლოუტონი (1999) გამოყოფოს ობიექტურ და სუბიექტურ ფიზიკურ გარემოს. ობიექტური ფიზიკური გარემოა ყველაფერი უსულო, რაც პიროვნების გარშემოა და შესაძლებელია მისი დათვლა ან გაზომვა. სუბიექტური ფიზიკური გარემო არის ობიექტური ფიზიკური გარემოს ელემენტების ტრანსფორმირება ინდივიდისთვის კოგნიტურ ან აფექტურ მნიშვნელობად და ფუნქციად. ანუ სუბიექტური ფიზიკური გარემო ინდივიდის და ობიექტური ფიზიკური გარემოს ურთიერთქმედებაა.

გრინმენის (1988) თანახმად, გარემო ბევრად მეტია ვიდრე ფიზიკური გარემო. ის მიუთითებს, როგორ არის დრო სტრუქტურირებული და რა მოლოდინებია ჩვენს მიმართ, რა როლებია ჩვენს მიერ შესასრულებელი. გარემო განაპირობებს ჩვენს გრძნობებს, ფიქრებს და ქცევას და ზემოქმედებს ცოხვრების ხარისხზე. (Greenman, 1988).

ფიზიკური გარემოს მნიშვნელობას ხაზს უსვამს სხვადასხვა თეორიები და მიდგომები. ბრონფენბრენერის განვითარების ეკოლოგიური თეორიაზე დაფუძნებული კვლევების თანახმად, თითოეული ნივთი კონკრეტული აქტივობისკენ გვიბიძგებს; ხოლო გარემოს სტრუქტურა და მისი ბარიერები, ბილიკები გარკვეულ მიმართულებას აძლევს ან ზღუდავს მოძრაობას და აქტივობას.

პირამიდის მოდელის (Fox et al., 2003; Hemmeter, Ostrosky, & Fox, 2006) თანახმად ფიზიკური გარემო ერთერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენციისთვის. ფიზიკური გარემოს მართვით შეგვიძლია პრობლემური ქცევების პრევენცია და შემცირება.

გარემო გვკარნახობს, რომელი ქცევაა მისაღები და მიუღებელი, ასევე ხელს უწყობს ან აფერხებს აღმოჩენას, იძლევა უკუკავშირს ქცევაზე და გიქმნის სხვადასხვა განწყობებს - სასიამოვნო, საინტერესო, მოსაწყენი, საშიში. ნებისმიერ პროფესიონალს შეუძლია გარემო გამოიყენოს ინტერვენციის იარაღად. ამისათვის მნიშვნელოვანია გარემო ფქტორების ურთიერთქედების, მისი მნიშვნელობის აღიარება, გაგება და მიზნების შესაბამისად ცვლა (Bailey and Wolery, 1992).

8.2. წარმატებული მხარდამჭერი გარემოს მახასიათებლების გამოყენება სააღმზრდელო პროცესში

მხარდამჭერი გარემო ხასიათება როგორც უსაფრთხო, კომფორტული, მიმზიდველი, საინტერესო და ორგანიზებული. ასეთი გარემო აღმზრდელს საშუალებას აძლევს დააკვირდეს მიმდინარე აქტივობებს და იმავდროულად ჩაერთოს აქტივობაში. მხარდამჭერი გარემოს სივრცე უნდა ასევე იყოს იყოს ფუნქციური (Bailey & Wolery, 1992).

წარმატებული გარემოს უზრუნველსაყოფად აღმზრდელმა შემდეგი სტრატეგიები უნდა განახორციელოს:

- შექმნას დადებითი ემოციური კლიმატი ჯგუფში
- ორგანიზება გაუკეთოს ობიექტურ და სუბიექტურ ფიზიკურ გარემოს
- შეიმუშაოს რუტინა და პროცედურები
- შეარჩიოს და განახორციელოს აქტივობები და დავალებები
- მოამზადოს ინსტრუქციები
- პოზიტიურად მართოს და აკონტროლოს ქცევა
- იყოს თანმიმდევრული

კრეატიული კურიკულუმის მიხედვით გარემო ამ მესიჯებს უნდა ატარებდეს:

"**აქ ყოფნა კარგია**" - გარემო სუფთა, კეთილ მოწყობილია. არ არის გადატვირთული. ცენტრების გამოსაყოფად ნეიტრალურ ფონზე მკაფიო ფერებია გამოყენებული.

"**ეს ადგილი ჩვენ გვეკუთვნის**" - ბავშვებს აქვს პრივატული სივრცე, ნივთების შესანახი, სადაც მისი სახელი და სურათია. ავეჯი ბავშვების ზომისაა. თითოეული ბავშვის ნამუშევარი გამოფენილია და დაცულია. მასალა, ხელსაწყოები და ავეჯი ისეა შერჩეული და მოწყობილი რომ ყველამ შეძლოს მათი გამოყენება. მასალა ასახავს ბავშვების ცხოვრებას და კულტურას. ბავშვების სურათები თავიანთ ოჯახებთან ერთად არის გამოფენილი

"**ეს მიმზიდველი ადგილია**" - მასალა და ნივთები ორგანიზებულია ისე, რომ ბავშვებმა იციან სად იპოვონ ის რაც სჭირდებათ. თაროები სუფთაა და მასალას აქვს იარლიყები რომ ბავშვბმა ადვილად გააკეთონ არჩევანი. გასაგები და ილუსტრირებული დღის განრიგი კიდია კედელზე, რომ ბავშვებმა იცოდნენ რა ხდება დღის მანძილზე და იცოდნენ რას უნდა მოელოდნენ. რუტინა, ტრანზიციები, კვება, დასვენება და ტუალეტი უცვლელია

“აქ არის კუთხეები სადაც თუ მოგინდა შეგიძლია განმარტოვდე” - პატარა და წყნარი კუთხეები ოთახში იტევს ერთ ან ორ ბავშვს. დიდი ბალიში ან პატარა ტახტი კუთხეში მინიმალური გაფორმებით აძლევს საშუალებას ბავშვებს ისიამოვნონ განმარტოებით და მშვიდად. ყურსასმენები და მუსიკალური აპარატურა იძლევა საშუალებას, რომ მოუსმინონ მუსიკას ან ზღაპარს ინდივიდუალურად.

“**აქ შეგიძლია ბევრი რამ აკეთო დამოუკიდებლად**” - მასალა ინახება დაბალ თაროებზე, რომ ბავშვები ადვილად და სხვისი დახმარების გარეშე მიწვდნენ. მასალა ლოგიკურად არის დაწყობილი შესაბამის ცენტრში. თაროებზე იარლიყებია, რომელიც მიანიშნებს ბავშვებს, სად რა მასალა და სათამშო დევს. იარლიყებზე გამოსახულია, როგორც ნახატი ასევე დასახელება

“**ეს უსაფრთხო ადგილია სადაც შეგიძლია განავითარო და გამოცადო შენი იდეები**” - შემოფარგლული და განსაზღვრული წყნარი კუთხეები ხელს უწყობს მცირე ჯგუფურ აქტივობებს. მაგ. წინსაფრები ხელოვნებისა და სენსორულ ცენტრებშია განთავსებული, რაც ბავშვებს საშუალებას აძლევს დასვრის შიშის გარეშე იმოქმედონ. მასალა მიმზიდველად დევს, რომ ბავშვებმა თავისუფლად გამოიყენონ. სათამაშოებს, რომლებსაც აღარ იყენებენ, დროდადრო ცვლის ახალი ნივთები, რომ ბევშვებმა ინტერესი არ დაკარგონ. თუმცა მათ ვისაც ცვლილებები არ უყვართ, წინასწარ არიან შემზადებულები (დოჯი, 1991).

ფიზიკური გარემო არ უნდა იყოს უცვლელი, რომელსაც ერთხელ მოაწყობ და მთელი წელი ტოვებ. იგი ისეთივე დინამიური უნდა იყოს, როგორც აღმზრდელის პრაქტიკა. ფიზიკურ გარემოს მუდმივად სჭირდება დაფიქრება და განახლება. აღმზრდელი განუწყვეტლივ უნდა აკვირდებოდეს და აფასებდეს ბავშვების ზრდის, განვითარების, ინტერესების და საჭიროებების დინამიკას და შესაბამისად რეაგირებდეს.

8.3. ცენტრების და ეზოს ფიზიკური გარემოს მოწყობა

გარემოს სივრცის დაგეგმვისას პრაქტიკულია ამ სივრცის ცენტრებად დაყოფა აქტივობების კატეგორიების მიხედვით. მხარდამჭერი და ეფექტური გარემოს შექმნის მიზნით, სივრცის ცენტრებად დაყოფის მიდგომას პრაქტიკულად ყველგან იყენებენ.
ცენტრების მრავალფეროვნება ბავშვებს უვითარებს უსაფრთხოების განცდას და იცავს დათრგუნვისგან, რაც შეიძლება დიდი ოთახის კომპლექსურობამ გამოიწვიოს (Caples, 1996; Greenman, 1988). ასევე ცენტრები ბავშვებს კონტროლის განცდას უჩენს და ეხმარება გარემოს შეცნობაში.

ბავშვები სენსიტიურები არიან სივრცეების მიმართ; ისინი რეაგირებენ ბევრნაირ სივრცეზე: დიდზე, ღიაზე, პატარაზე, მყუდროზე და განსაკუთრებით დამალულ სივრცეზე. სწორად შერჩეული სივრცე ბავშვებს აქტივობის, წარმოსახვის და სწავლის შესაძლებლობებს უქმნის (დეივიდი და რაიტი, 1974). კვლევა ადასტურებს, რომ ბავშვები ბევრად უკეთესად იმახსოვრებენ ადგილებს ადამიანებთან და საგნებთან შედარებით; შესაბამისად, გარემოში ყოველი დეტალი მნიშვნელოვანია (ოლდს, 2001).

აღმზრდელმა თავად უნდა გადაწყვიტოს რამდენი ცენტრი უნდა ჰქონდეს ჯგუფში, რადგან ეს დამოკიდებულია ბავშვების ასაკსა და ოთახის ზომაზე. სვიმი (2008) კონკრეტულ რეკომენდაციას იძლევა ცენტრების სივრცესთან დაკავშირებით. იგი თვლის, რომ ბავშვების რაოდენობის მესამედით მეტი ადგილი უნდა გაითვალისწინოთ სამუშაოსთვის. მაგ. 24 ბავშვის შემთხვევაში დაგჭრიდებათ 24X1/3+24=32 ადგილი. ანუ, ცენტრებში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის ჯამი არ უნდა იყოს 32-ზე ნაკლები.

საბავშვო ბაღის ცენტრების მაგალითებია: კუბების, წიგნების, მანიპულაციის, დრამატული თამაშების, მათემატიკის, ხელოვნების, მეცნიერების, სენსორული, მუსიკისა და მოძრაობის ცენტრები. შეიძლება აღმზრდელმა დაამატოს კომპიუტერი,კულინარია. ეზოს გარემო ცალკე ცენტრად მოიაზრება.ეზოში განხორციელებულ აქტივობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ყოველმხრივიგანვითარებისათვის. თითოეული ცენტრისთვის აღმზრდელი გამიზნულად ანაწილებს და ათავსებს მასალებს სხვადასხვა სასწავლო მიზნის და განვითარების სტანდარტისა მხარდასაჭერად. თითოეულ ცენტრში განხორციელებული აქტივობები.

მაგალითისთვის განვიხილავთ კრეატიული კურიკულუმიდან სენსორულ და კონსტრუქციულ ცენტრს, მათ მნიშვნელობას ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესში და მართვის პრინციპებს.

კონსტრუქციული ცენტრი. კუბებს აქვს პოტენცია ხელი შეუწყოს და სტიმულაცია მოახდინოს შემოქმედებითი, წარმოსახვითი, კონსტრუქციული თამაშების განვითარების. ეს შესაძლებელია როგორც მარტივი კონსტრუქციების მშენებლობით, ასევე რთული სტრუქტურებისა და შენობების შექმნით. ისევე როგორც ყველა ცენტრში, აღმზრდელის ჩართულობა და მონაწილეობა ბავშვების თამაშში, კერძოდ კუბურების ცენტრში, მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ თამაშმა აზრი შეიძინოს.

კუბებით თამაშის ეტაპების ცოდნა დაგეხმარებათ გქონდეთ რეალისტური მოლოდინები თუ რას აკეთებენ ბავშვები, როდესაც გადააქვთ, აგროვებენ, მანიპულირებენ და აშენებენ კუბებით. დააკვირდით ბავშვების კუბებით თამაშს და მშენებლობას და მალე შეძლებთ კუბებით თამაშის ოთხი ეტაპის იდენტიფიცირებას. ეს ცოდნა დაგეხმარებათ თუ როგორ შეუწყოთ ხელი ბავშვს მიაღწიოს კუბებით თამაშის მაღალ დონეს და შესაბამისად მაქსიმალური სარგებელი მიიღოს კუბებით თამაშიდან.

პირველი ეტაპი: კუბების ტარება, როდესაც პატარები ატარებენ ამ კუბებს, აგროვებენ, აწყობენ მანქანაზე და გადააქვთ. ამ ეტაპზე, ბავშები დაინტერესებულები არიან კუბების შესწავლით - რისი გაკეთება შეუძლიათ ან არ შეუძლიათ კუბებით.
მეორე ეტაპი: დაგროვება, შტაბელებად დაწყობა და გზების გაკეთება. ამ ეტაპზე ბავშვები აგრძელებენ კუბების თვისებების გამოკვლევას - აგებენ კოშკებს კუბების ერთმანეთზე დაწყობით. ამ ეტაპზე ბავშვები იწყებენ თავიანთი წარმოსახვის და შემეცნებითი უნარების გამოყენებას. მეორე ეტაპზე ბავშვი კუბების მარტივი თამაშიდან გადადის რეალური კონსტრუქციების აგებაზე. ბავშვები, რომლებიც იწყებენ ქუჩების აშენებას შეუძლიათ ამ ქუჩების დაკავშირება კოშკებთან. ამ აღმოჩენას მიყავს ექსპერიმენტირების და პრობლემის გადაჭრის ეტაპამდე.
მესამე ეტაპი: კუბების დაკავშირება და სტრუქტურების შექმნა. მესამე ეტაპზე ბაშვები იწყებენ თავიანთი გამოცდილების გამოყენებას კონსტრუქციული ტექნიკების გასაფართოვებლად. ტიპიური ტექნიკები, რომელიც მესამე ეტაპზე გამოიყენება შემდეგია: ხიდის აგება, გალავნის აშენება, ან სხვადასხვა ნიმუშის მიხედვით აგება.

მეოთხე ეტაპი: რთული კონსტრუქციების გაკეთება. ბავშვები სწავლობენ ცვლილებებთან ადაპტაციას და სამშენებლო ადგილის შესაბამისად რთული ნაგებობების შექმნას და წინააღმდეგობების გადალახვას. ამ ეტაპზე, ბავშვები საჭიროებენ სხვადასხვა ზომის და ფორმის კუბებს, რომლისგანაც შეუძლიათ რთული კონსტრუქციების აგება. მეორე დამახასიათებელი ამ ეტაპისთვის არის კუბების დრამატული თამაშისთვის გამოყენება.
მნიშვნელოვანია აღმზრდელის როლი ბავშვის კონსტრუქციებზე საუბრისას. ყველაზე ადვილია თქვა: „რა კარგი შენობაა“ ან „ყოჩაღ“. ეს ფრაზები არ მეტყველებს, იმაზე თუ რა გააკეთა ბავშვმა და არც იმის შანს აძლევს რომ გითხრათ რა გააკეთა. მთავარია აღწეროთ რა გააკეთა ბავშვმა, ან დაუსვათ ღია კითხვები რაც წაახალისებს მას ისაუბროს თავის ნამუშევარზე. ეს ტექნიკა დაეხარება ბავშვს აღწეროს რა ააშენა.

კრეატიული კურიკულუმიდან მოცემულია პოზიტიური და კონსტრუქციული კომენტარები ბავშვის ნამუშევართან დაკავშირებით:

კუბიკების არჩევა: შენ აღმოაჩინე, რომ ამ ორი კუბით გამოდის ერთი გრძელი კუბი.

თანხმობა: შენ ეს კუბიკები დიდი კვადრატის გასაკეთებლად გამოიყენე.

რიცხვები: შენ 10 კუბზე მეტი გამოიყენე გზის გასაკეთებლად.

მსგავსება: ყველა კუბი შენს გზაზე ზუსტად ერთი ზომისაა.

დიზაინი: შენი შენობა თაროს სიმაღლეა. ამ გრძელ კუბებს უჭირავს ეს მოკლე კუბი, ეს საჭიროებს ფრთხილ მუშაობას, რომ არ ჩამოიყაროს კუბები.

ასეთი ტიპის კომუნიკაცია, ანუ ბავშვის მოქმედების და კონსტრუქციის აღწერა, მნიშვნელობას სძენს ბავშვის ნამუშევარს, ეხმარება მათემატიკური ცნებების ჩამოყალიბებაში და უზრდის ლექსიკურ მარაგს (დოჯი, 1991)

სენსორული ცენტრი. სენსორული ცენტრი სხვადასხვა მასალით შეგიძლიათ მოაწყოთ, მაგ პლასტმასის კონტეინერი შეგიძლიათ აავსოთ კორპის საცობებით, ან წვრილად დაჭრილი ფერადი ქაღალდებით მასში ჩამალული პატარა საგნებით, მანანის ბურღულით, პლასტმასის პატარა ბურთებით (კენჭის მსგავსი). თამაშის სტიმულირებისთვის ასევე შეგიძლიათ დაუმატოთ სხვადასხვა ზომის კონტეინერები, მილები, ფიგურები, ასაღები საშუალებები, საცერი, ძაბრი, საზომი ჭიქები.

ყველაზე გავრცელებული მასალა სენსორული ცენტრისთვის ქვიშა და წყალია. ბავშვებისისთვის ძალიან მიმზიდველია ასეთი ტიპის გამოცდილება. სენსორული აქტივობები ბავშვებისთვის უზრუნველყოფს როგორც სენსორულ გამოცდილებას, ასევე ხელს უწყობს მათ განვითარებასაც. კერძოდ, ნატიფი მოტორიკის, ანუ წვრილი კუნთების განვითარებას, თვალისა და ხელის კოორდინაციას, მაგალითად, როდესაც ბავშვები ცდილობენ კოვზით ჩაყარონ ძაბრში. ხელს უწყობს ასევე სოციალურ და ემოციური სფეროს განვითარებასაც. ბავშვები სწავლობენ მცირე ჯგუფებში თამაშს, ეს აქტივობები ეხმარება თვითრეგულაციის გამომუშავებაში, უმეტეს შემთხვევაში დამამშვიდებელი ფუნქცია აქვს. ასეთ ტიპის თამაშები საშუალებას აძლევს გამოხატონ თავიანთი აზრები და განცდები. ქვიშა და წყალი მეცნიერული დაკვირვებების საშუალებაცაა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ყურადღებით დაკვირვებას, კლასიფიკაციის, შედარებების, გაზომვის და პრობლემის გადაჭრის

უნარს. მაგალითად როგორ იცვლება ქვიშის სტრუქტურა და წყლის მახასიათებლები ერთმანეთში შერევისას. ბავშვები სწავლობენ მოცულობისა და ტევადობის შესახებ, როდესაც ავსებენ კონტეინერებს. მიზეზ-შედეგობრიობას, როდესაც აკვირდებიან რა ნივთები იძირება და რა ტივტივებს. აღმოაჩენენ, რომ ქვიშისა და წყლის რაოდენობა იგივე რჩება იმის მიუხედავად მას თხელსა და მაღალ კონტეინერში მოათავსებ თუ განიერსა და დაბალში. ქვიშასა და წყალში თამაშისას, ბავშვები ამდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, ისეთი სიტყვების სწავლით, როგორიცაა ფხვიერი, შხეფი, გაცრა და დამშრალი. ისინი იძენენ წერა-კითხვის წინა უნარებს, როდესაც ხატავენ ასოებს ქვიშაში ან იყენებენ ასო-ბგერების ფორმებს. თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ სენსორულ ცენტრში ბავშვები რუტინულად სვამდნენ და პასუხობდნენ კითხვებს ექსპერიმენტების ჩატარებისას (დოჯი, 1991)

ბავშვების ბუნებრივი ინტერესი, ითამაშონ ქვიშასა და წყალში, შეგიძლიათ მეტის სწავლებისთვის გამოიყენოთ. ბავშვებთან უბრალოდ იმაზე საუბრით თუ რას აკეთებენ, ეხმარებათ გაიაზრონ თავიანთი ქმედებები.სთხოვეთ ბავშვებს აღწერონ რას აკეთებენ. შესაძლოა დაგჭირდეთ სპეციფიური კითხვების დასმა, როგორიცაა: რა ხმას უშვებს წყალი როდესაც ასხავ? ორი წყლის დოქი ერთი და იგივე რაოდენობის წყალს იტევს? როგორია შეგრძნებაა, როდესაც ქვიშაში ხელს ყოფ? რა აღმოაჩიენე როდესაც გამოიყენე საცერი? მას შემდეგ რაც ბავშვები აღწერენ თავიანთ ქმედებებს გადაიტანეთ მათი ყურადღება იმაზე თუ რა გააკეთეს. ღია კითხვები დაეხმარება ბავშვს ანალიზში: ამჩნევ ნაკვალევს რომელიც დატოვე ქვიშაში სავარცხლის გამოყენებით? როგორ ფიქრობ რატომ ჩამოიშალა გვირაბი? მართლაც, მოახერხე, რომ წყლის წისქვილს სწრაფად ეტრიალა. რა შეიძლება, ქნა იმისთვის, რომ ნელა იტრიალოს? როგორ შეიძლება ქვიშის ბოთლში ისე მოთავსება, რომ ამდენი არ გეყრებოდეს აქეთ იქით? რამდენ ნაირად შეგიძლია გამოიყენო ეს ნამცხვრის ფორმები ქვიშაში? (დოჯი, 1991)

რეკომენდაციები როგორ მოაწყოთ ცენტრები:

- განალაგეთ მსგავსი ცენტრები ერთმანეთთან ახლოს. მაგალითად, კონსტრუქციული და დრამატული ცენტრები აქტიური სივრცეებია, რომლებიც შეიძლება გვერდი-გვერდ განლაგდნენ, ხოლო წიგინერების ცენტრს უფრო წყნარი კუთხე სჭირდება.
- დაალაგეთ მასალა თითოეულ ცენტრში ხელმისაწვდომ სიმაღლეზე.
- გამოიყენეთ ყუთები, უჯრები და ტომრები ნივთების შესანახად და გაუკეთეთ გასაგები იარლიყები

- გამოიყენეთ ავეჯი, რომ გამოყოთ სივრცეები. გამოიყენეთ ხალიჩა როგორც ცენტრის საზღვრების დასადგენად ასევე ხმაურის შესამცირებლად.
- გამოიყენეთ კედლები იმისთვის, რომ გამოფინოთ ბავშვების ნამუშევრები მათ სიმაღლეზე, კომერციული პლაკატების მაგივრად.
- გამოიყენეთ იატაკი, მაგიდები, კედლები და სხვა, სამუშაო ადგილებად.
- საჭიროების მიხედვით ნელნელა დაამატეთ მასალა. შეინახეთ ის, რაც აღარ არის საჭირო.
- ცენტრები, რომლებსაც დასუფთავება სჭირდება ან უფრო ჭუჭყიანია (მაგ სენსორული), განათავსეთ წყალთან ახლოს და ახლოსვე მოიმარაგეთ საჭირო ნივთები, რომ ბავშვებმა შეძლონ დალაგებაში დახმარება.
- ზოგიერთ ცენტრს შეიძლება სჭირდებოდეს ფუნჯების და საღებავების შესანახ ადგილთან სიახლოვე.
- შექმენით ინტერაქციული სივრცეები, რომელიც ავითარებს ვერბალურ მეტყველებას, მაგალითად, გვერდიგვერდ დადგით პალიტრები, რომ ბავშვებმა, რომლებიც ერთი და იგივე აქტივობით არიან დაკავებული, შეძლონ კომუნიკაცია.
- თითოეულ ცენტრს მისთვის შესაბამისი სივრცის ზომა გამოუყავით, მაგალითად, კონსტრუქციულს დიდი სივრცე დასჭირდება.
- გამოიყენეთ ბუნებრივი სინათლე, სადაც ამის საშუალებაა.
- წლის დასაწყისში განიხილეთ თითოეულ ცენტრში, რა რაოდენობის ბავშვის ერთდროული მუშაობა იქნება დასაშვები. გაითვალისწინეთ, რომ ზოგი ცენტრი უნდა იძლეოდეს ცვლილების საშუალებას აქტივობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.

წლის დასაწყისში ასწავლეთ ბავშვებს, როგორ გამოიყენონ ცენტრები და შესაბამისი მასალები. დაიწყეთ ცენტრების გამოყენება გამარტივებული ფორმით. მაგალითად, როგორ გამოიყენონ წებო, მაკრატელი, ფლომასტერები, საღებავი, როგორ ჩადგნენ მწკრივში, ა.შ. ნუ ჩათვლით რომ ეს ყველაფერი იციან. ზოგიერთი ცენტრი თანდათანობით დაუმეტეთ. სანამ დიდ დროს დაუთმობთ ბავშვებთან ინდივიდუალურ ან პატარა ჯგუფებში მუშაობას, მნიშვნელოვანი დრო დაუთმეთ პროსოციალური ქცევის სწავლებას, განმტკიცებას და წახალისებას, რადგან ეს ყველაფერი გარემოს გაუმჯობესებას ემსახურება.

ცენტრების ეფექტურობის შესაფასებლად კრეატიული კურიკულუმი გვთავაზობს შემდეგ კითხვებს, რომელიც აღმზრდელმა ცენტრის მოწყობისას უნდა გაიაზროს. ესენია:

- რამდენად ხშირად გამოიყენება ეს ცენტრი?
- არის ცენტრი მიმზიდველი?
- რომელი ბავშვი იყენებს ამ ცენტრს რეგულარულად და რატომ?
- რომელი ბავშვის იყენებს იშვიათად ან საერთოდ არ იყენებს და რატომ?
- ცენტრის რა მასალას არ იყენებენ და რატომ?
- შეუძლიათ დამოუკიდებლად აიღო და დაალაგონ?
- რა რეკვიზიტებს არჩევენ დამატებით და როგორ იყენებენ მათ?
- ცენტრისთვის დამახასიათებელი თამაშის რა განსხვავებული ეტაპები ვლინდები ბავშვებში (მაგ. ხატვის ცენტრში ხატვის განვითარების ეტაპები; კუბურებში კონსტრუქციის თამაშის ეტაპები და ა.შ.)?
- იყენებენ თუ არა ცენტრს გოგოები და ბიჭები თანაბრად?
- თამაშოებენ თუ არა ბავშვები კოოპერატიულად?

ეზო.

ეზოს თამაშები ხელს უწყობს ბავშვის სწავლასა და ყველა უნარის განვითარებას, როდესაც ეზოს გარემო უფროსის მიერ შესაბამისად დაგეგმილი და ორგანიზებულია. ეზო არ არის ბავშვებისათვის მხოლოდ შეკავებული ენერგიის გამოთავისუფლების ან უცნაური მწერების აღმოჩენის ადგილი (თუმცა ეს მნიშვნელოვანი აქტივობებია). ეზო არის დამოუკიდებელი სასწავლო გარემო - ჯგუფი ღია ცის ქვეშ, სადაც ბავშვები აგრძელებენ არჩევანის გაკეთებას, პრობლემების გადაჭრას მასალებთან მიმართებაში, გრძნობების გამოხატვას, გათამაშებას, შენებას, მოძრაობას, სიმღერას, ენის გამოყენებას, წერას, ნიმუშების შექმნას, დახარისხებას და დროის ათვლას (დოჯი, 1991). „მაღალი შესაძლებლობის“ პროგრამაში განათლების მუშაკებმა აღმოაჩინეს, რომ მას შემდეგ, რაც ბავშვებმა ბაღი ეზოში გააკეთეს, ბავშვების ენობრივი უნარები გაუმჯობესდა და მათი მეტყველება უფრო ექსპრესიული გახდა (ობრაიენი, 2004).

ეზოს მოწყობა. ზოგიერთ ბაღს ეზოში ბავშთა სათამაშო მოედანი აქვს მოწყობილი (მსხვილი მოტორული უნარების განსავითარებლად), ზოგიერთი ასეთი ტიპის აღჭურვილობას ნაკლებ ადგილს უთმობს და ძირითად გარე აქტივობებს ახლო მდებარე პარკებში, სათამაშო მოედნებზე აწყობს და უბნის გაცნობას და შესწავლას უთმობს.

ეზოს დაგეგმარებისას პირველ რიგში უნდა იფიქროთ თუ რა გამოცდილების უზრუნველყოფა გინდათ ბავშვებისთვის. ეზოს ტერიტორიის შესაფასებლად შემდეგი კითხვები უნდა დასვათ:

- საკმარისად დიდია სივრცე რომ ყველა ბავშვი დაიტიოს? (ექსპერტების უმეტესობის რეკომენდაციაა ერთ ბავშვზე 2,5 - 3 კვადრატული მეტრი)
- აქვს თუ არა ყოველთვის უფროსს ბავშვებზე დაკვირვების შესაძლებლობა?
- არის თუ არა ყოველთვის მზიანი და ჩრდილიანი ადგილი?
- არის თუ არა საკმარისი აღჭურვილობა და მასალა?
- არის თუ არა ასაკის შესაბამისი აღჭურვილობა და მასალა?
- არის თუ არა ადგილი აქტიური, ჯგუფური თამაშებისთვის, ასევე მშვიდი და ინდივიდუალური თამაშისთვის?
- არის თუ არა ეზოს სივრცე ისე გამოყოფილი, რომ ბავშვებმა იცოდნენ სად იწყება და მთავრდება სათამაშო არეალი?
- არი თუ არა კარგად დაცული მანქანებისგან?
- ადვილად ხელმისაწვდომია თუ არა შადრევანი/წყალი, ტუალეტი?
- რამდენად უსაფრთხოა? (სადრენაჟე მილები ელექტრო გაყვანილობები, და სხვა სახიფათი საგნები დაფარულია თუ არა) (დოჯი, 1991).

კრეატიული კურიკულუმი გვთავაზობს თუ რა ტიპის აქტივობები შეიძლება განახორციელოთ ეზოში:

- მსხვილი მოტორიკის განსავითარებელი
- მიწასთან მუშაობა (ამოთხრა, მორწყვა)
- ველოსეიპედის ტარება
- მშვიდი თამაში
- ცხოველების მოვლა
- მებაღეობა
- ხეზე მუშაობა (დოჯი, 1991)

რადგან ეზო არ არის კედლებით შემოსაზღვრული იგი შეიძლება ერთზე მეტი ცენტრის ფუნქციას ასრულებდს. ეზო, განსაკუთრებული მახასიათებლების გამო, მეცნიერების აქტივობებისთვის უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის. სწორედ ეზოში შეუძლიათ ბავშვებს ბუნების მოვლენებზე და ცვლილებებზე დაკვირვება ყველა შეგრძნების გამოყენებით.

სტატია „მაღალი შესაძლებლობები გაგრძელებები“ (HIGH/SCOPE *Extensions*, Curriculum Newsletter of the High/Scope Foundation, May/June 2008, Vol. 22, No. 5) დაგანახებთ თუ რამდენად მდიდარია ეზო მეცნიერების შესწავლის და სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის სხვადასხვა სფეროს განვითარების შესაძლებლობებით.

გამოყენებული ლიტერატურა

4. ტ. სვიმი (2008). ოთახის მოწყობის ძირითადი პირობები: მასწავლებლის თვალსაზრისი
5. დ. ტრისტერ დოჯი (1991). კრეატიული კურიკულუმი საბავშვო ბაღებისთვის
6. მაღალი შესაძლებლობები გაგრძელებები, მაღალი შესაძლებლობის ფონდის კურიკულუმის საინფორმაციო ბიულეტინი, მაისი/ივნისი 2008, V 22, N 5
7. O'Brien, C. (2004). An evaluation of the Green mount. Early Learning Initiative

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. იმსჯელეთ მხარდამჭერი გარემოს მახასიათებლებზე. განილიხეთ რომელიმე კონკრეტული კგუფის მაგალითი.
2. გაესაუბრეთ აღმზრდელს როგორ აფასებს თავისის ჯგუფის სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს. რა დროს და რესურსებს უთმობს გარემოს მოწყობას.
3. რომელიმე ერთი ჯგუფის მაგალითზე მოიფიქრეთ რომელ ცენტრს დაუმატებთ, როგორ მოაწყობთ და რატომ.
4. ცენტრების შეფასების კითხვარით დაახასიათეთ ბაღის ერთერთი ჯგუფის ცენტრები. მოიფიქრეთ რეკომენდაციები ცენტრების გასაუმჯობესებლად.

9. დაკვირვება და შეფასება

ადრეული განათლების ხარისხიანი პრაქტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ბავშვების შესახებ მონაცემთა შეგროვება და ამ მონაცემებზე დაყრდნობით მათ საჭიროებებზე ორიენტირებული აქტივობების და პროგრამის დაგეგმვა, განხორციელებაა. ადრეული განათლების სფეროშიდაკვირებას სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა და შესაბამისად, მონაცემების შეგროვების, დაკვირვებისა და მონაცემთა შეფასების უნარი აღმზრდელის ერთ-ერთ წამყვან პროფესიულ უნარად მოიაზრება. მონაცემთა შეგროვება, დაკვირვება,დოკუმენტაცია და მონაცემთა შეფასება მნიშნელოვანია არა მხოლოდ ბავშვების საჭიროებების გასაცნობად და ამ საჭირობების გათვალისწინებით განვითარების მხარდასაჭერად, არამედ პროგრამის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესაფასებლადაც.

ამ თავში გაეცნობით მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს,ობიექტურ დაკვირვებას, როგორ უნდაშეარჩიოთ დასაკვირვებელი საკითხის შესაბამისი მეთოდი. ასევე, როგორჩაწეროთმონაცემები, აწარმოოთპორტფოლიო და დოკუმენტაცია; როგორ უნდა გაანალიზოთშეგროვებული მონაცემები და გაუზიაროთმშობლებსა და თანამშრომლებს.

9.1. დაკვირვება და მონაცემთა შეგროვების მნიშვნელობა

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე უწყვეტი დაკვირვება და მონაცემთა შეგროვებაადრეული განათლების პრაქტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება აღმზრდელს მდიდარ მასალას აძლევს თითოეული ბავშვის, ბავშვების ჯგუფის, მათი პროგრესის, აღმზრდელის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების, სტრატეგიების და ზოგადად, პროგრამის შესახებ. ეს ინფორმაცია ასევე ღირებულია მშობლებთან კომუნიკაციისას.

აღმზრდელს მუდმივად ესაჭიროება სხვადასხვა სახისინფორმაცია, რომ მისი პრაქტიკა თითოეული ბავშვის საჭიროებებზე იყოს მორგებული.მხოლოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი განვითარების შესაბამისი პროგრამის განხორციელება. მონაცემები უნდა იძლეოდესინფორმაციას თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების, ძლიერი მხარეების და ინტერესების შესახებ. აღმზრდელი ასევე უნდასწავლობდეს ჯგუფის საჭიროებებს, მიდრეკილებებს,ინტერესებს და შესაძლებლობებს.აღმზრდელის სწორი და საუკეთესო გადაწყვეტილებები სასწავლო-სააღმზრდელო პროცესთან მიმართებაში დიდწილად მისი დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების უნარებზეა დამოკიდებული. რომელიმე სპეციფიურ ქცევაზე დაკვირვება,მონაცემთა შეგროვება და ამ მონაცემების ჩაწერა უფრო ნათელსხდის ქცევის მახასიათებლებს. შესაბამისად უადვილებსაღმზრდელს პასუხს კითხვაზე - რატომ აღინიშნება ესა თუ ის ქცევა. იგივეა ჯგუფურ პრობლემებზეც, როდესაც ობიექტური დაკვირვების საფუძველზე ხდება პრობლემის აღმოჩენა, აღმზრდელს უფრო მეტად ხელეწიფება ამ პრობლემის პრევენციისათვის შესაბამისი სტრატეგიების დაგეგმვა და განხორციელება. მაგალითად, თუ თქვენ აკვირდებით დრამატულ ცენტრში ხელის კვრის ხშირ ინციდენტს, ამით შეიძლება დაასკვნათ რომ არასაკმარისი სივრცეა დრამატული ცენტრისთვის და არასასურველი ქცევის და კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად შესაძლებელია ან სივრცე გაზარდოთ ან ბავშვების რაოდენობა შეამციროთ (ბეტი, 2006).

მონაცემების შეგროვება და დაკვირვება აღმზრდელს სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებაშიც ეხმარება. მაგალითად, აქვს თუ არა ბავშვს სმენის ან მხედველობის დეფიციტი, ქცევისან ემოციური სირთულეები, რაც თავის მხრივ

პროფესიონალის კონსულტაციას საჭიროებს. მხოლოდ ამ საჭიროებების აღმოჩენის შემდეგ არის შესაძლებელი სათანადო მომსახურებისათვის მიმართვა. მონაცემების შეგროვება,დაკვირვება და რეგულარული ინტერვალებით ჩანაწერების წარმოება საშუალებას მოგცემთშეაფასოთ თითოეული ბავშვის განვითარება და პროგრესი.ამინფორმაციის საფუძველზე დაგეგმოთ დაშეადგინოთ უკეთესი პროგრამა, გადაწყვიტოთ როგორ მოაწყოთ გარემო და უზრუნველყოთ პირობები თითოეული ბავშვის განვითარებისთვის.

ობიექტური დაკვირვებით შეგროვებული მონაცემები და პერიოდული ჩანაწერები მშობლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებაშიც დაგეხმარებათ. მშობლებს სურთ იცოდნენ, როგორ პროგრესირებენ მათი შვილები. აღმზრდელები ყოველდღიურად, არაფორმალური გზით ცვლიან მშობლებთან ინფორმაციას. ობიექტური დაკვირვებით შეგროვებული მონაცემები და სისტემური ჩანაწერები დაგეხმარებათ კონკრეტული ფაქტებით და მტკიცებულებებით აჩვენოთ თითოეული ბავშვის განვითარების მიმდინარეობა. ამით იმაშიც დაარწმუნებთ მშობლებს, რომ იცნობთ მათ შვილებს და გესმით მათი (ნილსენი, 2004).

დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის შეფასებასაც უნდა ემსახურებოდეს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროთ თანამშრომლებმა, არის თუ არა შეთავაზებული პროგრამა ეფექტური და ემსახურება თუ არა დასახულმიზნებს.

როდესაც ვსაუბრობთ სააღმზრდელო პრაქტიკაში დაკვირვებასა და მონაცემთა შეგროვებაზე, მნიშვნელოვანია განვასხვაოთ ორი პროცესი: ა) **მონაცემთა შეგროვება** და ბ) **მონაცემთა შეფასება**. მონაცემთა შეგროვება ეს არის ობიექტური დაკვირვების გზით შეგროვებული და დოკუმენტირებული ინფორმაცია ბავშვზე, ბავშვებზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე, რომელიც არის ფაქტობრივი, აღწერითი და არ შეიცავს ვარაუდს, დასკვნებს, სუბიექტურ შთაბეჭდილებებს. მონაცემთა **შეფასების** პროცესი მოიცავსშეგროვებული მონაცემების სინთეზს, ინტერპრეტაციას, ანალიზს და შესაბამისდასკვნებს, რომელიც გამოიყენება ან შემდგომი დაკვირვების ან პრაქტიკული საქმიანობის დასაგეგმად. ამ პროცესში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია - დაკვირვების და მონაცემთა შეგროვების **დაგეგმვა**,რომლის დროსაც აღმზრდელი განსაზღვრავს დასაკვირვებელ საკითხს და შესაბამის მეთოდებს არჩევს. თუმცა,ყოველდღიურ პრაქტიკაში დაუგეგმავადაც აწყდება აღმზრდელი მრავალ ფაქტს, რომელთა ჩაწერა და დაფიქსირება მნიშვნელოვანია.

ინფორმაციის შეგორვების და დაკვირვების ორი, *ფორმალური* და *არაფორმალური* მეთოდი არსებობს. ეს ორი მეთოდი ერთმანეთისგან იმით გასხვავდება, თუ რამდენად ხდება პირობების კონტროლი მათი გამოყენებისას. ფორმალური მეთოდებია სტანდარტიზებული ტესტები და კვლევის ინსტრუმენტები. ფორმალური მეთოდები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს, მაგრამ ამ მეთოდების გამოყენება საჭიროებს სპეციალიზებულ ტრენინგს და გაწაფვას, რათა მონაცემთა აღება წინასწარ შემუშავებული ფორმით ხდებოდეს. ასეთივე სპეციალიზება სჭირდება ფორმალური მეთოდებით შეგროვებული მონაცემების ანალიზს და ინტერპრეტაციას.

ადრეული განათლების სპეციალისტები **არაფორმალური** დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების მეთოდებს იყენებენ. ასეთი მეთოდები შედარებით მარტივი გამოსაყენებელია და უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის დაგეგმვას. არაფორმალური მეთოდებია კითხვარები, ცხრილები, ჯგუფში ბავშვებზე დაკვირვება, ჩანაწერების წარმოება,ბავშვების ნამუშევრების ნიმუშების შეგროვება, მშობლებთან ინტერვიუ, ბავშვებთან საუბარი, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფოტოები.

*დაკვირვებისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდის შერჩევა.*არსებობს მეთოდის შერჩევის სამი მოსაზრება. პირველი, მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ქცევის, საკითხის ტიპზე, რა გაინტერესებს, რისი დაკვირვება გსურს და რამდენად დეტალური ინფორმაცია გჭირდება. მეორე, ერთ ბავშვზე იღებ მონაცემებს თუ მთელ ჯგუფზე. მესამე, რა ოდენობის ყურადღებას საჭიროებს დასაკვირვებელი საკითხი. მაგალითად, თუ გაინტერესებს განვითარების ერთერთ სფეროზე დაკვირვება, მაშინ შესაძლებელია კითხვარი უფრო მისაღები იყოს, სადაც დეტალურად იქნება ამ სფეროს განვითარების ინდიკატორები და მისი შემადგენელი ქცევები მოცემული. თუ ერთ კონკრეტულ ქცევაზე ან უნარზეგეგმავ დაკვირვებას, მაშინ უფრო ფოკუსირებული დაკვირვება გამოგადგება და მეტი თვისობრივი ინფორმაციის ჩაწერა იქნება პროდუქტიული. თუ ბავშვების ჯგუფზე გეგმავ ინფორმაციის შეგროვებას, ჟურნალი ან კითხვარი უფრო მოსახერხებელია.ყურადღების და რესურსების საჭიროების თვალსაზრისითზოგიერთი მეთოდი დამკვირვებლისაგნ უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებს. მაგალითად, ბავშვებთან ურთიერთობაძნელდება, როდესაც ჩანაწერებს აკეთებ, რადგან დეტალურად ხდება ქცევის აღწერა. კითხვარები, ვიდეო ჩანაწერები და ცხრილები უფრო ადვილი გამოსაყენებელია ბავშვებთან მუშაობის დროს.

აღმზრდელმა ბავშვების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად სხვადასხვა მეთოდი უნდა გამოიყენოს, რადგან ყველას აქვს თავისი დადებითი მხარეები და მინუსები. სხვადასხვა მეთოდის გამოყენება უფრო ობიექტური და მრავალფეროვანი ინფორმაციის შეგროვებაში დაგეხმარებათ. ასევე, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს გამოყენება ამცირებს შეცდომის ალბათობას მიღებული იფნორმაციის ინტერპრეტაციის და შეფასების დროს.

წლის დასაწყისში მნიშვნელოვანია*პირველადი* მონაცემების შეგროვება. ამ საბაზისო მონაცემებს თითოეულ ბავშვთან გამოიყენებთ. ამ დროს მნიშვნელოვანია იმის გააზრება და დაშვება, რომ ყველა ერთი ასაკის ბავშვი არ არის ერთნაირი, რომ არსებობს განსხვავებები განვითარებაში და განვითარების დინამიკაში. განსხვავებას განაპირობებსასევე კულტრა, ეკონომიური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა, რომელიც აისახება ბავშვის განვითარებაზე. ამრიგად, პირველადი, საბაზისო მონაცემების შეგროვებისა და დაკვირვების მიზანია ჯგუფის თითოეული ბავშვის შესახებ ზოგადი სურათის შექმნა. ბავშვებზე დაკვირვება და ოჯახთან ინტერვიუ ამ ინფორმაციის შეგროვების ერთერთი გავრცელებული გზაა (ეფშტეინი და სხვები, 2004). უნდა გაიგოთ რაც შეიძლება მეტი ბავშვების შესახებ საბაზისო მონაცემების შეგროვებისას. ზედმიწევნით შეისწავლეთ თითოეული ბავშვის პირადი მონაცემები. განიხილეთ ოჯახური მდგომარეობის დოკუმენტი. წაიკითხეთ წინა აღმზრდელის ჩანაწერები მშობლებთან შეხვედრების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ შესაძლებელია ესტუმრეთ სახლში. მშობლებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ინფორმაციის ღირებულ წყაროს წარმოადგენენ. მშობლებს შეუძლიათ სასარგებლო ინფორმაცია მოგაწოდოთ თავიანთი შვილის საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ.

საბაზისო მონაცემების შეგროვების შემდეგ უნდა აწარმოოთ ***მიმდინარე***დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება როგორც ინდივიდუალურ ბავშვზე, ისე მთელ ჯგუფზე. ერთი დაკვირვება და ინფორმაციის ერთჯერადად შეგროვება არ მოგცემთ საკმარის და ზუსტ მონაცემებს თავისებურებების, უნარებისა თუ შესაძლებლობების შესახებ. ეს მხოლოდ ინდიკატორია. მიმდინარე დაკვირვებას და მონაცემების შეგროვებას უფრო მეტი დრო სჭირდება, მაგრამ უფრო სიღრმისეულ ინფორმაციას იძლევა. შესაბამისად დოკუმენტირებული მიმდინარე მონაცემები თითოეული ბავშვის დროში ცვლილებასა და პროგრესს უნდა ასახავდეს. ეს მონაცემები წარმოადგენს მტკიცებულებას ბავშვის სწავლისა და მომწიფების შესახებ. ეს ინფორმაცია

დაგეხმარებათ მიიღოთ სწორი გადაწყვეტილებები როგორ გაამდიდროთ ან მოდიფიცირება გაუკეთოთ პროგრამას და გარემოს მაშინ, როდესაც ეს საჭიროა (2).

მონაცემების შეგროვება შეგიძლიათ სააღმზრდელო პროცესის ნებისმიერ დროს. დააკვირდით ბავშვებს, როდესაც მუშაობენ სხვადასხვა პროექტებზე, თამაშობენ, მოუსმინეთ, როდესაც ყვებიან ამბებს. დააკვირდით, როდესაც აწყობენ ფაზილს, ან აშენებენ კუბებით. უსმინეთ ბაშვების საუბარს. ყურადღებით იყავით თავისუფალი თამაშის დროს. გააკეთეთ ჩანაწერები ინდივიდუალურ ბავშვებზე. ბავშვები თავიანთ პიროვნულ და განვითარების თავისებურებებს განსაკუთრებით თავისუფალი თამაშის დროს ავლენენ.

დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტები. ადრეული განათლების პროგრამებში სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება მონაცემების შესაგროვებლად და დასაკვირვებლად. ესენია: **ჩანაწერები** (შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერი, ჟურნალი, რეფლექსური დღიური), **კითხვარები** (ჩეკლისტები, რეიტინგული სკალები), **ცხრილები** (მონაწილეობის ცხრილი, სიხშირეების დათვლა, დროის გაზომვა), **ბავშვების ნამუშევრები** (მაგ. ნიმუშები, ნახატები), **ფოტოსურათები**, **აუდიო და ვიდეო** ჩანაწერები. აღმზრდელებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ **მშობლებთან ინტერვიუ** მონაცემების შესაგროვებლად.

განვიხილოთ თითოეული არაფორმალური მეთოდი თავის უპირატესობებით და ნაკლით.

ჩანაწერები

ჩანაწერები პირდაპირი დაკვირვების მარტივი ფორმაა. არსებობს შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერები. ასევე ჟურნალი და აღმზრდელის რეფლექსური დღიური.

შემთხვევის ჩანაწერი კონკრეტული ინციდენტის მოკლე, ნარატიული ჩანაწერია, რომელიცხშირად გამოიყენება ბავშვის ქცევის გასაგებად. ეს ჩანაწერი არ საჭიროებს ცხრილებს ან სპეციფიურ ფორმას, ჩარჩოს. ჩანაწერების გაკეთება შესაძლებელია ნებისმიერ გარემოცვაში და არ საჭროებს სპეციფიური უნარების გაწაფვას. რაც გჭირდება ეს არის ქაღლდი, საწერი კალამი და ფაქტების ობიექტური ჩაწერა. ეს ჩანაწერი მოკლე მოთხრობას გავს, რომელსაც აქვს დასაწყისი, შუა და

დასასრული.შემთხვევის ჩაწერა საჭიროებს დაკვირვებულ თვალს და სწრაფი ჩაწერის უნარს, რომ დეტალები დაფიქსირდეს. ამ დროს უნდა ჩაიწერო თუ ვინ არის ჩართული, რა, როდის და სად ხდება. ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სწრაფად და აკურატულად. იხილეთ ცხრილში 1, თუ რას უნდა მოიცავდეს ასეთი ტიპის ჩანაწერი.

ცხრილი 1

შემთხვევის ჩანაწერის შინაარსი
შეიძლება ბავშვის იდენტიფიცირება და გვეუბნება ბავშვის ასაკს
მოცემულიადღე, რიცხვი, საათი და გარმეოცვა
ვინ არის დამკვირვებელი
უზრუნველყოფს ბავშვის მოქმედების ზუსტ, ფაქტობრივ ანგარიშს, მოცემულია ბავშვის პირდაპირი ფრაზები
მოცემულია სხვა ბავშვების და/ან მოზრდილის პასუხები, თუ ასეთი არის.

დაკვირვების ნარატიული ფორმის გამოყენებისას აღმზრდელის თვალები და ყურები ვიდეო კამერის ფუქნციას უნდა ასრულებდეს. ჩანაწერები იმ სურათს უნდა აღწერდეს, რასაც ხედავ, თამაშის, მუშაობის და ინტერაქციის დროს.უნდა ჩაიწერო თუ როგორ კომუნიკაციას ამყარებენ ბავშვები - სულიერთიავერბალურს თუარავერბალურს, - როგორ გამოიყურებიან, რას აკეთებენ, როგორია მათიჟესტები და მოძრაობები. ასევე იწერება მათი ურთიერთობასხვა ბავშვებთან, უფროსებთან, მასალებთან. უნდა ჩაიწერო რაც შეიძლება მეტი დეტალი.დაკვირვების პროცესისას მნიშვნელოვანია ჩაიწეროთ მხოლოდ ობიექტური მტკიცებულებები. იმისათვის რომ იყოთ ობიექტური, მტკიცებულებამ, რომელსაც წერთ, ორი კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს: 1) უნდა აღწეროს დაკვირვებადი მოქმედება. ანუ, არ უნდა განაზოგადოთ ბავშვების მოტივები, დამოკიდებულებები და განცდები, მაგალითად, მოწყენილი იყოს ნაცვლად, მარტო იჯდა და სევდიანი გამომეტყველებით იყურებოდა; გაბრაზდას ნაცვლად, კოპები შეკრა და გვერდზე გაიხედა. 2) ჩაწერილი ინფორმაცია არ უნდა იყოს შეფასებითი და განსჯადი;ის არ უნდა მოიცავდეს ინტერპრეტაციას, თუ რატომ მოხდა ესა თუ ის მოვლენა, და არც იმას უნდა

ასკვნიდეს, რომ რაც მოხდა არასწორი ან ცუდი იყო;მსჯელობა და დასკვნები არ უნდა იყოს მოცემული. ქვემოთ იხილეთ ნარატიული დაკვირვების მაგალითი:

„ნინი მოვიდა ბაღში დედაზე ხელჩაჭიდებული. იგი ნელა მიუახლოვდა თავის კარადას, გაიხადა ქურთუკი და ჩამოკიდა. მიუბრუნდა დედას და უთხრა - წადი სამსახურში. დედა ჩაეხუტა და უპასუხა - სამსახურის მერე კბილის ექიმთან წაგიყვან. ნინიმ შეხედა დედას და ტირილი დაიწყო. უპასუხა - არ წავალ ექიმთან, დავრჩები ბაღში. დედა ჩაეხუტა. ნინიმ გააგრძელა ტირილი და ჩამოეკიდა დედას. აღმზრდელმა გამოიარა და ყურში უჩურჩულა ნინის. შემდეგ ხელი გაუწოდა და უთხრა - წამო ნინი, ჩვენ ახალი ბავშვი გვყავს დღეს ბაღში. გიორგიმ ზაზუნა მოუყვანა. ნინიმ ტირილი შეწყვიტა და აღმზრდელს ხელი ჩაჭიდა. ერთად წავიდნენ ზაზუნას სანახავად. დედა ცოტახანს უყურებდა და შემდეგ დატოვა ოთახი“. ამ მაგალითში დასაკვირვებელი ქცევის მხოლოდ ობიექტური აღწერაა მოცემული. მტკიცებულებები არ მოიცავს არცერთ ქვემოთ ჩამოთვლილს: მიზეზს, ემოციას, ახსნას, განცდას, მიზანს, მოტივს, საჭიროებას, ან სურვილს (2).

ცხრილში 2 მოცემულია შემთხვევის ჩანაწერის ფორმა. თუმცა აღმზრდელების უმეტესობა იყენებს ჩვეულებრივ თაბახის ფურცელს. თუ აღმზრდელი ახდენს ცალკეული შემთხვევების პერიოდულ ჩაწერას მთელი წლის განმავლობაში, მაშინ სხვდასხვა საშუალება გიგროვდებათ პროგრესის შესაფასებლად. ჩანაწერების სერია ძალიან მდიდარ დეტალებს იძლევა. ჩანაწერები შეიძლება ძალიან ღირებული იყოს პროგრესის, ძლიერი მხარეების, საჭროებების და ინტერესების სანახავად.

ცხრილი 2

ბაგა- ბაღი:

ბავშვის სახელი: ---------- რიცხვი: ----------

ბავშვის ასაკი: ----------

გარემოცვა: ---------- დროის ინტერვალი: ----------

დამკვირვებელი:

შემთხვევა:

ინტერპრეტაცია:

შემთხვევის ჩანაწერების უპირატესობა და ნაკლი

ამ მეთოდის გამოყენებას აქვს როგორც უპირატესობა, ასევე ნაკლი. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ადვილი გამოსაყენებელია, რადგან არ საჭიროებს სპეციფიურ გარემოცვას ან დროის მონაკვეთს. შემთხვევის ჩანაწერებით შეიძლება გაკეთდეს მიმდინარედაკვირვება გარკვეული პერიოდის განავლობაში, რაც კარგი მტკიცებულებაა ბავშვის ზრდისა და განვითარების პროგრესის საჩვენებლად. აღმზრდელს, რომელიც წლის განმავლობაშიაწარმოებსშემთხვევისჩანაწერებს, მდიდარი მასალა უგროვდება ბავშვის პროგრესის შესაფასებლად.

ამ მეთოდს გარკვეული ნაკლიც აქვს. დასაკვირვებელი შემთხვევა დამოკიდებულია დამკვირვებლის ინტერესზე, და სრული სურათი შეიძლება არ იყოს მოცემული, ანუ ის ჩაწეროს აღმზრდელმა, რასაც ის ჩათვლის ღირებულად. ჩანაწერები შეიძლება არ იყოს ყოველთვის ზუსტი და აკურატული. თუ დამკვირვებელიშემთხვევას დღის

ბოლოს ჩაიწერს შეიძლება გაუჭირდეს ყველა დეტალის გახსენება და მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაიკარგოს.

მიმდინარე ჩანაწერის დროს იგივე ტექნიკა გამოიყენება, რაც შემთხვევის, ინციდენტის ჩაწერისას. ეს არის ფაქტობრივი, დეტალური, წერილობითი ანგარიში რაღაც დროის მონაკვეთზე. მოქმედებები აღწერილია, ფრაზები ციტირებული და მოცემულია რაც შეიძლება მეტი დეტალი. კომენტარები და ინტერპრეტაცია ჩაწერილის შესახებ ცალკეა მოცემულია და არ არის შერეული ანგარიშთან. მიმდინარე ჩანაწერის დროს დამკვირვებელი აკვირდება და იწერს რაღაც ერთ დროის მონაკვეთს და ფოკუსირებას ახდენს ან ერთ ბავშვზე, ან ერთ სათამაშო არეალზე. მიმდინარე ჩანაწერი ჩვეულებრივ იწერება მოვლენის პარალელურად, ხოლო შემთხვევის, ინციდენტის ჩანაწერი ამ მნიშვნელოვანი შემთხვევის შემდეგ მალევე. შემთხვევის ჩანაწერი პატარა მოთხრობის მსგავსია, დასაწყისით, შუით და დასასრულით. მიმდინარე ჩანაწერი კი შერეულია და გვაძლევს ობიექტურ, წუთიერ შთაბეჭდილებას გარკვეული დროის სეგმენტზე. იწერებაყველაფერი, რაც ამ დროის მონაკვეთში ხდება.რაღაც პერიოდის შემდეგ ჩანაწერი წყდება. ეს არ არის აუცილებელი მოხდეს მოვლენის დასრულების დროს. ეს პროცესი დროის რაღაც მონაკვეთში ვიდეო კამერის ჩართვა გამორთვას ჰგავს (ნილსენი, 2004).

მიმდინარე ჩანაწერი საჭიროებს ძლიერ კონცენტრაციას და ყურადღების ფოკუსირებას. ამ დროს საჭიროა დამატებითი უფროსი ბავშვების მეთვალყურეობისთვის. მიმდინარე ჩანაწერი გამოიყენება ქცევის ან ქცევების დეტალურად ასაღწერად დროის ერთ მონაკვეთში. ერთ ბავშვზე დასაკვირვებლად. მიმდინარე ჩანაწერების გამოყენება შეიძლება განვითარების ყველა სფეროს გასაანალიზებლად. მაგ. ფიზიკური, სოციალური, ემოციური, მეტყველება, საკუთარ თავზე წარმოდგენა, ყურადღების კონცენტრაცია, პრობლემის გადაჭრის უნარები, მეხსიერება, სწავლების სტილი. მიმდინარე ჩანაწრები ოთახის რომელიმე სივრცის შესწავლაში დაგეხმარებათ - თუ რა ხდება ჩვეულებრივ რომელიმე სათამაშო სივრცეში ან არეალში.

მიმდინარე ჩანაწერის უპირატესობა და ნაკლი

მიმდინარე ჩანაწერი ეხმარება აღმზრდელს დეტალური ინფორმაციაშეინახოსდროის ერთ მოცმეულ პერიოდზე. ერთ ჩანაწერში ჩანს განვითარების ბევრი სფერო. შეუძლია ამ მონაცემებით შეაფასოს ცენტრების ეფექტურობა.

რაც შეეხება ნაკლს, ვინც დაკვირვების ქვეშ არის გრძნობს ამ დაკვირვებას და შეიძლება შეცვალოს მოვლენის ბუნებრივი მიმდინარეობა. შეიძლება დაკვირვების დროს არ მოხდეს ის, რაც ჩვეულებრივ ხდება. დამკვირვებელი ვერ ხედავს, რა ხდება ოთახის სხვა ნაწილში. პროცესის ინტენსიურობის გამო დამღლელია დამკვირვებლისთვის (ნილსენი, 2004).

ჟურნალი

ჟურნალში ხდება დღის განმავლობაში სპეციფიური, მოკლე ინფორმაციის ჩაწერა თითოეულ ბავშვზე. გამოიყენება ერთი ქცევის ან უნარის დასაკვირვებლად ყველა ბავშვთან (იხლეთ ცხრილი 3)

ცხრილი 3. ჟურნალი

	რიცხვი: დამკვირვებელი: რას აკვირდები: პირველი კვირა ბაღში
მარი	უყურებდა მამას ფანჯრიდან. ჩუმადაა, იტირა შუადღეს
ელენე	მოიყვანა ბებიამ, გაუშვა ოთახიდან ბებო. ეძინა
ნინი	არ იყო. <u>უნდა დავურეკო</u>
ლუკა	დაემშვიდობა დედას, მარტო თამაშობდა. კვება და ძლია არ მახსოვს.
გიო	აკოცავსდაბაბი: პირველი კვირა ბა

ადაპტირებულია წიგნიდან: Week by Week: Documenting the Development of Young Children, B.A. Nilsen, 2004.

ჩვეულებრივ აღმზრდელს ახსოვს ძლიერი შთაბეჭდილებები ყოველდღიური პრაქტიკიდან. ჟურნალი ეხმარება აღზმრდელს ყველა ბავშვზე გააკეთოს მოკლე ჩანაწერი ერთი კატეგორიის ინფორმაციაზე. ეს მეთოდი შეგიძიათ გამოიყენოთ მთელი ჯგუფის კონკრეტულ უნარზე დასაკვირვებლად მაგ. მაკრატლის გამოყენება, ან რომელიმე მსხვილი მოტორული უნარი, მათმატიკური წარმოდგენა, წიგნიერება, ხატვა.

უპირატესობა და ნაკლი. ჟურნალი ჩანაწერების წარმოების ეფექტური მეთოდია. ეს არის სწრაფი და ადვილი გამოსაყენებელი. შესაძლებელია სპეციფიური ინფორმაციის

ჩაწერა თითოეულ ბავშვზე. იძლევა მოკლე, ფაქტობრივ ინფორმაციას. შეიძება მა ინფორმაციის ადვილად გადატანა სხვა ფორმაში. შეიძლება ამ ინფორმაციის მოგვიანებით გამოყენება შედარებისთვის. რაც შეეხება ნაკლს, შეზღუდული ინფორმაციაა, რომელიც კარგავს აზრს როგორც კი ბავშვები იზრდებიან, ან ეუფლებიან ახალ უნარებს.

კითხვარები

მონაცემების შეგროვების მეორე ფორმაა კითხვარები, სადაც მოცემულია ქცევების და უნარების ნუსხა, რომელიც გაერთიანებულია ან განვითარების ზოგადი სფეროების (მოტორიკა, მეტყველება, სოციალური და ა.შ.), ქვესფეორების (პროსოციალური, სოციალური თამაში), და/ან შინაარსობრივი თემატიკის (წერა, წარმოსახვა, წიგნიერება, შემოქმედება) ქვეშ. კითხვარებია ჩეკლისტები და რეიტინგული სკალები.

ჩეკლისტები გამოიყენება სპეციფიური ქცევის, თვისების არსებობის ან არარსებობის ჩასაწერად. ჩეკლისტები ადვილი შესავსებია და განსაკუთრებით კარგი გამოსაყენებელია, როდესაც საჭიროა სხვადასხვა ქცევაზე, უნარზე და სფეროზე დაკვირვება. ჩვეულებრივ ჩეკლისტი მოიცავს სპეციფიური ქცევების ნუსხას, რომელსაც უყურებ დაკვირვების დროს და აღნიშნავ მხოლოდ დასაკვირვებელი ქცევის თუ თვისების არსებობა/არ არსებობას. იმისმიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს, ჩეკლისტები შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის და სირთულის. ჩეკლისტის მოფიქრება და შედგენა შესაძლებელია განვითარების ნებისმიერ სფეროზე - ფიზიკური, სოციალური, ემოციური, და კოგნიტური. კარგად მოფიქრებული ჩეკლისტი ბევრ ინფორმაციას გვაძლევს ბავშისა და ჯგუფის შესახებ.

ჩეკლისტების მოფიქრება და შედგენა ხდება ბავშვის ან ბავშვების ჯგუფის გამოსაკვლევად. სამიზნე ქცევები ლოგიკური თანმიმდევრობით არის ჩამოწერილი და ერთნაირი საკითხები დაჯგუფებულია. შესაბამისად, სწრაფად შეგიძლიათ აღნუსხოთ ქცევების/ინდიკატორების არსებობა ან არ არსებობა.

შესაძლებელია ჩეკლისტების ყიდვა. აღზმრდელები თავადაც აკეთებენ. ჩეკლისტის ნიმუში მოცმეულია ცხრილში 4. ბავშის განვითარების საფეხურები შეიძლება გადაკეთეს როგორც ჩეკლისტი და გამოიყენო ინდივიდუალური ბავშვის ან ჯგუფის შესაფასებლად.

ცხრილი 4. ჩეკლისტი

ბავშვის უნარების ჩეკლისტი სახელი ---------- დამკვირვებელი ---------- აღნიშნეთ ნიშნით - V ის უნარი, რომელსაც რეგულარულად ამჩნევთ. დასვით N ნიშანი თუ ამ უნარზე დაკვირვების შესაძლებლობა არ მოგეცათ. **უნარიაღწერარიცხვი**		
1. **თვით-შეფასება**		
--- მასწავლებელთან ამყარებს თვალებით კონტაქტს		
--- გამოხატავს ემოციურ მიჯაჭვულობას მასწავლებელის მიმართ		
...		
2. **ემოციური განვითარება**		
--ბრაზს უფრო მეტად გამოხატავს სიტყვებით, ვიდრე ნეგატიური მოქმედებებით		
--- რთულ და სახიფათოსიტუაციებშიინარჩუნებსსიმშვიდეს		
--- მოწყენილობას შესაბამისად უმკლავდება		
--- სიყვარულს გამოხატავს სხვების მიმართ		
...		
3. **სოციალური თამაში**		
--- პარალელურად თამაშობს		
--- ჯგუფურ თამაშებში თამაშობს		

--- ერთვება თამაშში პოზიტიურად		
...		
4. **პროსოციალური ქცევა**		
--- კონფლიქტის დროს შეუძლია თქვას, რას განიცდის სხვა		
--- უზიარებს სხვას		
--- აღელვების გარეშე იცავს ჯერს		
...		
5. **მსხვილი მოტორიკა**		
--- სირბილის დროს აკონტროლებს სიჩქარის და მიმართულების ცვლას		
--- ორივე ფეხით ხტება		
--- შეუძლია აძრომა, ჩამოძრომა, გაძრომა ეზოს სათამაშოებზე		
--- ისვრის, იჭერს დაფეხს ურტყამს ბურთს		
...		
6. **ნატიფი მოტორიკა**		
--- ადვილად ხსნის სხვადასხვა გასახსნელებს (ხუფიანი ..)		
--- სითხეს ასხამს ჭიქაში ისე, რომ არ ეღვრება		
--- ხსნის დაკრავს (ელვა, ღილები, ფხრიწი)		
--- თავისუფლადიღებს და სვამს საგნებს (მაგ. ფაზილი)		
...		

7. კოგნიტური განვითარება		
--- აჯგუფებს/ახარისხებს საგნებს ფორმის, ფერის მიხედვით		
--- კლასიფიცირებას ახდენს ზომის მიხედვით		
--- აჯგუფებს, თანმიმდევრულად ალაგებს საგნებს		
...		
8. სასაუბრო ენა		
--- მოკლე წინადადებებით მეტყველებს		
--- დიალოგის /საუბრისას იცავს ჯერს		
--- საუბრობს გრძელი წინადადებებით		
--- სვამს კითხვებს		
...		
9. წიგნიერება		
--- ჯღაბნის ჰორიზონტალურად		
--- გამოყავს ასოების მსგავსი ფორმები		
--- ვითომ კითხულობს და ყვება მოთხრობას სურათების მიხედვით		
--- წიგნიდან დეტალურად ყვება მოთხრობას		
...		
10. შემოქმედება		
--- ჯღაბნა კონტროლს ექვემდებარება		
--- ხატავს ძირითად ფორმებს		

--- კომბინირებულად იყენებს ძირითად ფორმებს (წრე, სამკუთხედი, კვადრატი)		
--- ხატავს ცხოველს, ხეს, ყვავილს		
...		
11. წარმოსახვა		
--- ანაწილებს როლებს ან ასრულებს სხვის მიერ განაწილებულ როლს		
--- მოქმედებს როლის შესაბამისად		
--- შეუძლია "ვითომ" თამაში წარმოახვითი საგნებით		
...		

ბავშვის უნარების ჩეკლისტის არასრული ნიმუში. წიგნიდან Observing Development of the Young Child. J. Beaty, 2006.

ჩეკლისტების უპირატესობა და ნაკლი

ჩეკლისტის ერთერთი უპირატესობაა ის, რომ მონაცემთა შეგროება არ არის დროში შეზღუდული. ინფორმაცია სწრაფად იწერება და შესაძლებელია პროგრამის ნებისმიერდროს და ბევრ სიტუაციაში გამოყენება. ჩეკლისტის მონაცემების ინტერპრეტაცია კი ადვილია.

ნაკლი - არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას. არ არის ისეთი მდიდარი როგორც ნარატიული ჩანაწერი. ფორმატის გამო კონკრეტულ ქცევებზე ხდება დაკვირვება და შედეგად ქცევის მნიშნელოვანი ასპექტები შეიძლება გამოგვრჩეს, მაგალითად, როგორ ხორციელდება ქცევა, რამდენი ხანი. აქ მოცემულია მხოლოდ არსებობა ან არ არსებობა ქცევის.

რეიტინგული სკალები ჩეკლისტების მსგავსია, რომლის მიზანი სპეციფიური ქცევის აღნუსხვაა. რეიტინგული სკალები გამოიყენება დასაკვირვებელი ქცევისგამოვლენის

ხარისხისჩასაწერად. მაგრამ ამ დროს შეიძლება ობიექტურობა დაირღვეს დამკვირვებლის შეხედულებისამებრ.

უპირატესობა: ადვილი გამოსაყენებელია და ცოტა დროს საჭიროებს. ზოგიერთი სკალა მოიცავს რიცხობრივ სკალას, სხვები კი უფრო სპეციფიურად განსაზღვრავს ქცევას.

ნაკლი: ქცევის ფრაგმენტებს მოიცავს. რეიტინგული სკალის არჩევისას დამკვირვებელი კარგად უნდა იცნობდეს დასაკვირვებელ ქცევას, რომლის ხარისხობრივ შეფასებასაც აკეთებს. ტიპიური რეიტინგული სკალა მოცემულია ცხრილში 5.

ცხრილი 5. რეიტინგული სკალა

ფიზიკური განვითრება

	აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1.	დგას ცალ ფეხზე 2-3 წამის განმავლობაში			
2.	20 სმ სიმაღლიდან ხტება			
3.	შეუძლია თითისწვერებზე სიარული			
4.	კიბეებზე ფეხისმონაცვლეობით ადის			

თვითმოსახურება

	აქტივობა	ყოველთვის სწორად	ცდილობს/ ნაწილობრივ	საერთოდ ვერ

		ასრულებს	ასრულებს	ასრულებს
1.	დალევის დროს ჭიქა უჭირავს ყურით			
2.	ცხვირსახოცით იწმენდს ცხვირს			
3.	აღებს და კეტავს ონკანს			
4.	იმშრალებს ხელ-პირს			

შემეცნების სფერო

	აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1.	ახარისხებს ორ სხვადასხვა ფერის ნივთს (მაგ. წითელ და მწვანე კუბიკებს)			
2.	ცნობს და ასახელებს სამ ფერს			
3.	ცნობს გეომეტრიულ ფიგურებს			
4.	თხოვნის შედეგად გვიჩვენებს სხეულის 10 ნაწილს			

მეტყველების განვითარება

	აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1.	ასრულებს მარტივ ორსაფეხურიან ინსტრუქციას (მაგ. მოიტანე ფერადი ფანქრების ყუთი და სახატავი რვეული)			
2.	მეტყველებს მარტივი და მარტივი გავრცობილი წინადადებებით			
3.	სვამს კითხვას უცნობი სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად			
4.	მოყოლის დროს შეუძლია რამდენიმე წინადადება დააკავშიროს ერთმანეთთან			

მზაობა წერისთვის

	აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1.	ხატავს თითებით მთელი ხელის მოძრაობით			
2.	სწორად უჭირავ ფანქარი საჩვენებელი და ცერა			

	თითით			
3.	იხატავს წრეს, ოთხკუთხედს			
4.	შეუძლია განსხვაოს ნაწერი და ნაბეჭდი			

სოციალურ-ემოციური სფერო

	აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1.	ხვდება რა საპასუხო რეაქციას გამოიწვევს მისი ან სხვისი ქცევა			
2.	ასახელებს და საუბრობს საკუთარიგრძნობებისა და განცდების შესახებ (შიში, სიხარული, წყენა)			
3.	უერთდება უკვე დაწყებულ თამაშს და ეძებს საკუთარ როლს (ადგილს)			
4.	როლურ თამაშებში სათამაშოს იყენებს როგორც ნამდვილ, რეალურ, საგანს (მაგ. საუბრობს ტელეფონით, როგორც მადვილით)			

ნიმუშად გამოყენებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011).

ცხრილები

ცხრილების საშუალებით შესაძლებელია როგორც ერთი ბავშვის ასევე ჯგუფის კონკრეტული ქცევების სიხშირის დათვლა, მონაწილეობის ნახვა, დროის გაზომვა.

მონაწილეობისცხრილიდგება სპეციფიურ ქცევაზე დასაკვირვებლად და ინფორმაციის მისაღებად. მონაწილეობის ცხრილი ჯგუფში სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენება,მაგალითად, თავისუფალი თამაშის დროს ბავშვების უპირატესი არჩევანის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად (ცხრილი 5).ზოგჯერ აღმზრდელები ნახულობენ, რომ ბავშვის არჩევანი არ შეესაბამება მის საჭიროებას. მაგალითად, ელენეს სუსტი თვალისა და ხელის კოორდინაცია აქვს, არადა იგი უმეტეს დროს ატარებს ზღაპრების მოსმენაში, მუსიკის მოსმენასა და სხვა ბავშვების თამაშის ყურებაში. იმისათვის რომ აღმზრდელმა ელენეს საჭიროება დააკმაყოფილოს, მან უნდა მოიფიქროს საინტერესო აქტივობები ხელოვნების ცენტრში, ან სამაგიდო აქტივობები - ფაზილის აწყობა, ან სხვა მანიპულაციური აქტივობები.ასეთი ტიპის აქტივობები და მასალები დაეხმარება ელენეს განივითაროს თვალისა და ხელის კოორდინაცია, რაც შემდგომ წერასა და კითხვაში დაეხმარება.

ცხრილი 6. მონაწილეობის ცხრილი

აქტივობის არჩევა თავისუფალი არჩევანის დროს								
	გიო	ელენე	ეკა	გუგა	ლუკა	ნინო	საბა	ნიკა
10:30 – 10:45	კ	დ	მც	ხ	მ	ხ	ხ	მ
11:00 – 11:15	კ	დ	მც	ხ	კ	ხ	ხ	მ
11:15- 11:30	კ	მ	მ	მ	კ	დ	ხ	წ
11:30 – 11:45	კ	მ	მ	მ	კ	დ	მც	წ
ხ - ხელოვნება; კ-კონსტრუქციული, დ - დრამატული, მ- მანიპულაციური, მც-								

მეცნიერება, წ - წიგნიერება

სიხშირეების ცხრილის გამოყენება შეგიძლიათ დასაკვირვებელი ქცევის გამოვლების სიხშირის სანახავად. ცხრილში 7 მოცემულია, როგორ შეიძლება გამოიყენო სიხშირეების ცხრილი მცირე ჯგუფში პროსოციალური და ანტისოციალური ქცევების დასათვლელად.

სიშირეების ცხრილი 7

სიხშირეების დათვლა დღე ---------- დამკვირვებელი ---------- ბავშვის სახელის გასწვრივ აღნიშნეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც შეამჩნევთ პროსოციალურ ან ანტისოციალურ ქცევას		
ბავშვის სახელი	პროსოციალური (დახმარება, გაზიარება, ჩახუტება,თავაზიანიმიმართვა)	ანტისოციალური (ტკივილის მიყენება, ცუდი სახელის დაძახება, უგულებელყოფა)
ნინო	VV	
გიო	VVV	VVVV
ანი	VVVVVV	VVVVVV
საბა	V	VV
გიგა		VVVVVVV
ელენე	V	

დათო	VVV	
ნიკა		
გუგა	VV	V
მანანა	VV	VV
თიკა	VVVV	
ჯამი	24	22

ქვემოთ მოცემული ქცევების ნუსხა, რომელთა დასაკვირვებლად შეგიძლიათ სიხშირეების ცხრილი გამოყენება. მათი ზრდისა და შემცირების ნახვა შესაბამისი სტრატეგიების განხორციელების შემდეგ. მაგალითად:

- აგრესიული მოქმედებების შემცირება
- აღმზრდელის მხრიდან პოზიტიური წახალისების გაზრდა
- აღმზრდელის ჩარევის/დახმარების შემცირება
- მასალის არასასურველად ხარჯვის შემცირება
- ინდივიდუალური ბავშვის ტრანზიციის სირთულეების შემცირება
- დასჯითი ღონისძიებების შემცირება
- ჯგუფში უფროსის დომინანტური ხმის შემცირება
- კოოპერაციული თამაშის გაზრდა
- ბავშვის დონეზე საუბრის გაზრდა
- სასწავლო ცენტრის გამოყენების გაზრდა
- თვითმოვლის გაზრდა (ნილსენი, 2004).

ცხრილების უპირატესობა: ეს არის მონაცემთა რაოდენობრივი საზომი, იმის სანახავად, თუ რისი შეცვლის სტრატეგიაა განსახორციელებელი. ამგვარი ცხრილის შევსება სწრაფიადხდება და იგი ობიექტურად ზომავს ქცევის სიხშირეს.

ცხრილების ნაკლი: მხოლოდ სიხშირის დათვლა გვიკარგავს დეტალებს.ზომავს მხოლოდ ერთი ტიპის ქცევას, რის გამოც შედეგი შეიძლება ძალიან სელექციური იყოს.

9.2. მონაცემთა ინტერპრეტაცია

ობიექტურ მონაცემთა ჩაწერის და შეგროვების შემდეგ ამმონაცემთა ინტერპრეტაცია, მონაცემებისთვის მნიშვნელობის მინიჭება ხდება. რატომ იქცევა ბავშვი ისე როგორც იქცევა, რა შეიძლება იყოს ბავშვის მოტივი, რამ და ვინ გამოიწვია ის, რომ ბავშვი ასე მოქცეულიყო? ეს ინტერპრეტაცია საჭიროებს ცოდნას და გარკვეულ უნარებს. დაკვირვებას თავისთავად არა აქვს აზრი ინტერპრეტაციის და მონაცემებისთვის მნიშვნელობის მინიჭების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ დაკვირვება ფაქტობრივი და მიუკერძოებელია, ამ ფაქტების ინტერპრეტაცია შეიძლება სხვადასხვანაირად მოხდეს. ისევე როგორც არ არსებობს ორი ერთნაირი ადამიანი, ასევე შეუძლებელია, რომ ორმა ადამიანმა ერთნაირად ახსნას ეს ფაქტები. ბავშვის ქცევის ინტერპრეტაციის მოტივები, როგორც წესი, ინტერპრეტატორის პირადი გამოცდილებითაა განპირობებული. პიროვნულმაგანცდებმა, ღირებულებებმა და დამოკიდებულებებმა შეიძლება ასევე გავლენა იქონიოს მათ ქცევაზე. ინტერპრეტირებისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვის განვითარების დინამიკა.აუცილებელია კარგად იცნობდე და გესმოდეს ბავშვის ზრდისა და განვითარების პროცესი, რომ ჩანაწერებისა და დაკვირვების მონაცემების ინტერპრეტაცია და გამოყენება შედეგიანი იყოს. განვითარების პროცესი კომპლექსურია და იგიბევრად მეტია ვიდრე ცვლილება. უნდა გვახსოვდეს, რომ განვითარების ყველა სფერო ურთიერთდამოკიდებულია, განვითარების პროვესი კი:

- თანმიმდევრულია და შენდება ნასწავლზე (გამომდინარეობს ნასწავლიდან)
- განსხვავებულად ვლინდება ბავშვებში და ერთი ბავშვის სხვადასხვა სფეროში
- განპირობებულია ადრეული გამოცდილებით
- მარტივიდან რთულზე გადადის
- სოციალური და ემოციური კონტექსტის გავლენის ქვეშ ექცევა
- გადაიცემა კულტურულად და აქტიურობით
- ბიოლოგიური და გარემო ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ ექცევა
- ხელშეწყობილია თამაშით
- ექვემდებარება გაწაფვას და გამოწვევებს
- წარმოდგენილია სხვადასხვა მოდალობებში (ნილსენი, 2004).

გაეცანით დამკვირვებლის ჩანაწერს ნიკაზე: „სადილის დროს ნიკამ აიღო წყლის დოქი, გამოწია ჭიქისკენ, მიაჯახა ჭიქას, გადმოუყირავდა და წყალი გადმოესხა“.ამ ჩანაწერის განხილვისას ნიკას ქცევა შეიძლება სხვადასხვანაირად ახსნა:

- ნიკა უყურადღებოა
- ნიკას არა აქვს საკმარისი გამოცდილება
- დაუფიქრებლად მოქმედებს
- ძალა არ ყოფნის, რომ ასწიოს დოქი
- აკლია თვალისა და ხელის კოორდინაცია, რაც აუცილებელია ამ მოქმედების შესასრულებლად.

იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი ახსნა უფრო ზუსტია, საჭიროა დროის განმავლობაში რამოდენიმე ვითარებაში ნიკაზე დაკვირვება.

განვიხილოთ სიხშირეების ცხრილში (ცხრილი 7) მოცემული ინფორმაცია და ვიმსჯელოთ, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს თქვენთვის. უპასუხეთ კითხვებს როგორი მოთამაშეა ანი? მარტო თამაშობს, პარალელურად თუ კოოპერაციულად? როგორ ფიქრობთ, რა გააკეთა გიგამ? რას იტვით ნიკაზე? როგორ ფიქრობთ, რატომ არა აქვს არაფერი აღნიშნული?

ალბათ,ანი კოოპერაციული თამაშის ეტაპზეა, მაგრამ გარკვეული სოციალური უნარებიც მოუმწიფებელიაქვს. გიგისგან განსხვავებით,ანისბევრი სოციალური კონტაქტი აქვს, მაგრამ ვერ აკონტროლებს თავის ემოციებს. ნიკა ენობრივი ბარიერის გამოარ ურთიერთობს სხვებთან და შეიძლება საკუთარ თავშიც ნაკლებადდარწმუნებულია. პროსოციალური და ანტისოციალური ქცევების სიხშირის დათვლა ჯგუფში ემოციური კლიმატის ინდიკატორი შეიძლება იყოს. სიხშირეების დათვლა შეიძლება გარკვეულ ვითარებებში გამოიყენოთ და არა როგორც მონაცემთა შეგროვების სისტემატური მეთოდი (ნილსენი, 2004).

დაკვირვების დროს გაკეთებული ჩანაწერები უნდა გამოიყენოთ აქტივობების და კურიკულუმის დაგეგმვაში. მაგალითად, ჯგუფური აქტივობის დასაგეგმად - „დრამატულ ცენტრში მივიტან მეტ სახვადასხვა შესაკრავიან ტანსაცემელს, რომ ყველას მიეცეს ნატიფი მოტორიკის გაწაფვის საშუალება“. ან ინდივიდუალური გეგმის შესამუშავებლად - „ქეთა იწყებს სხვა ბავშვებთან სოციალურ თამაშს. სტრატეგია: “თამაშსა და გაზიარებას უნდა შევუწყო ხელი, დავაკავშირო ქეთი ნინოსთან კოოპერატიული აქტივობის დროს. წავუკითხოწიგნი მცირე ჯგუფში,

სადაც ქეთიც იქნება ჩართული და ვისაუბრებ მეგობართან თამაშზე“. ჩანაწერებიდან ამ კონკრეტული სტრატეგიების ან რეკომენდაციების შემუშავების გარდა, აღმზრდელს ასევე შეუძლია დაგეგმოს მეტი კვლევა და მონაცემთა შეგროვება. მაგალითად, „უფრო ყურადღებით მოვუსმენ ქეთის მეტყველებას და ვკითხავ მეტყველების თერაპევტს, თუ შეესაბამება ეს მის ასაკს“ (ნილსენი, 2004).

9. 3. დოკუმენტების წარმოება

პორტფოლიო. აღმზრდელის მიერ შეგროვებული მასალები თითოეული ბავშვის პორტფოლიოში თავსდება. პორტფოლიო არის მასალების ერთობლიობა, რომელიც აჩვენებს ბავშვის უნარებს, მიღწევებს, პროგრესს. პორტფოლიოს, რომელსაც ბავშვებისთვის შექმნით, უნდა იძლეოდეს კონკრეტული ბავშვების შესახებ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. პორტფოლიოში მოთავსებული მასალა უნდა აჩვენებდეს დროთა განმავლობაში ბავშვის ზრდას, განვითარებას.

პორტფოლიოს მასალა სხვადასხვა ფორმით ინახება, რაც დამოკიდებულია შესანახი მასალის ტიპზე. პორტფოლიოს მასალის შესანახად ზოგიერთი აღმზრდელი იყენებს ბაინდერს, ზოგი ყუთს ან დიდ ფოლდერებს.

პორტფოლიო საჭიროებს დაგეგმვას და ორგანიზებას. პორტფოლიო უნდა იყოს მეტი ვიდრე ეპიზოდური ჩანაწერები, ჩეკლისტები და კითხვარები. აღმზრდელების უმეტესობა პორტფოლიოში ათავსებს ბავშვების ნამუშევრების ნიმუშებს. ბავშვების ნამუშევრების შეგროვება ასევე წარმოადგენს მონაცემთა შეგროვების ერთერთ მეთოდს. ბავშვების ნამუშევრების ნიმუშები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლებს მათი ზრდისა და განვითარების შესახებ. ეს ნამუშევრები შეიძლება იყოს ხელონვების ნიმუში, მოყოლილი მოთხრობის ან ამბის ჩანაწერი, სურათები, საუბრის ჩანაწერები. დროთა განმავლობაში უნდა ხდებოდეს ამ ნიმუშების შეგროვება და ერთამნეთთან შედარება. მაგალითად, გიგა თავდაპირველად შემთხვევით ხაზებს ავლებდა, ჯღაბნიდა. როდესაც აღმზრდელმა ჰკითხა, თუ რასხატავდა გიგა, აღმოჩნდა, რომ ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე ხაზები: „აქ ჩემი სახელი წერია. აი, ასე იწერება. ეს დედაჩემის სახელია, ეს ჩემი დის“. ეხლა მას შეუძლია წრის ხატვა. ორი ნამუშევრის შედარებისას თვალსაჩინოა გიგას ნატიფი მოტორიკისა და თვალისა და ხელის კოორდინაციის პროგრესი.

სასურველია, მასალები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იყოს დალაგებული. იმ ნამუშევრებს, რომელიც პორტფოლიოში შესანახად ზედმეტად დიდია, მაგრამ თვლით, რომ ბავშვის განვითარების პროგრესს კარგად ასახავს და დასაკარგად არ გემეტებათ, შეგიძლიათ ფოტო გადაუღოთ და ფოტო ჩადოთ პორტფოლიოში ან შეინახოთ ამ ნამუშევრის მნიშვნელოვანი ესკიზი.

შეგიძლიათ ტექნოლოგიების გამოყენება ბავშვის განვითარების ჩასაწერად. ინფორმაციის შესანახად კარგი საშუალებაა ვიდეო და აუდიო ჩანაწერები. ეს ტექნოლოგიები შეიძლება გამოიყენოთ როგორც ინდივიდუალური ბავშვის, ასევე მცირე ჯგუფის და მთელი ჯგუფის ჩანაწერებისთვის. ვიდეოს გამოყენება შეგიძლიათ როგორც მოქმედების, ასევე საუბრის ჩასაწერად. ამ ჩანაწერების მოსმენისას შესაძლებელია მეტყველებისა და ენობრივი კომპეტენციის პროგრესის ნახვა.

შეგიძლიათ ფოტოების შეგროვება, სადაც ნაჩვენებია ბავშვის განვითარება და სწავლა. ვიდეო და ფოტო გადაღებამდე მნიშვნელოვანია კონსულტაცია გაიაროთ და მიიღოთ წინასწარი თანხმობა საგანამანათებლო მიზნებისთვის ვიდეო და ფოტო გადაღებაზე. მშობლის მიერ ხელმოწერილი თანხმობა ინახება ბავშვების დოკუმენტების ფაილში.

ბავშვის ნაშრომის ნიმუშები უნდა ასახავდეს მისი განვითარების ყველა სფეროს. პორტოფლიო ასევე უნდა შეიცავდეს მშობლებთან შეხვედრების ჩანაწერებს და

მშობელთა კითხვარებს. იხილეთ ცხრილში 8, თუ რისგან შედგება ტიპიური პორტფოლიო.

ცხრილი 8

პორტფოლიო მოიცავს: • აღმზრდელის დაკვირვებებს, ბავშვის მონაცემებს და შეფასების ჩანაწერებს • განვითარების რეიტინგულ სკალებს და/ან ჩეკლისტებს • მშობელთა კომენტარებს და მათ მიერ შევსებული კითხვარებს • დათარიღებული ნახატების ან ხელოვნების წრის სხვანიმუშებს ან ნაწერებს • ფოტოსურათებს, რომელიც ასახავსბავშვის უნარებს, ან აქტივობებში ჩართვას • ბავშვის საუბრის, სიმღერის, თხრობისაუდიო და ვიდეო ჩანაწერებს. • საყვარელი წიგნების, სიმღერების და თამაშების ნუსხას.

9.4. ინფორმაციის გაზიარება

საბოლოოდ, პორტფოლიოში თავმოყრილი დაკვირვების მონაცემები ბაღისა და ოჯახის კომუნიკაციის თემა ხდება. ოჯახს ბაღის აღმზრდელმა შეიძლება სულ სხვა პერსპექტივით დაანახოს ბავშვი, ეს კი ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გაზიარება,მშობლებთან (ოჯახის წევრთან)ყოველდღიური ურთიერთობის დროს ხდება. მაგრამ, გარდა ამისა, აუცილებელია, უფრო ფორმალური შეხვედრების ორგანიზებაც, სადაც ვერბალური და წერილობითი ინფორმაციის სისტემური, პერიოდული გაზიარება მოხდება. მშობლებთან ასეთი ტიპის რეგულარული შეხვედრებისთვის აღმზრდელი წინასწარ უნდა მოემზადოს. შეხვედრის მთავარი მიზანი ბავშვის განვითარების მიმოხილვაა. ამ შეხვედრებზე მხოლოდ აღმზრდელი არ უნდა საუბრობდეს, უნდა ხდებოდეს ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, მსჯელობა, შეხედულებების გაზიარება. მშობელთან თანამშრომლობა პოზიტიური იქნება თუ აღმზრდელისვერბალურ და

არავერბალურ კომუნიკაციაში გამოჩნდება დამოკიდებულება, რომმშობელი ბავშვის ინტერესების დამცველია და ბავშვის სასარგებლოდ მიღებულგადაწყვეტილებებში მთავარ როლს თამაშობს.

ცხრილში 9 მოცემულია ის საკითხები, რაზე უნდაესაუბროთ მშობელს ბავშვის შესახებ.

ცხრილი 9

რაზე უნდა ესაუბროთ მშობელს:
ბაღთან შეგუება
თვით-მოვლა
ფიზიკური განვითარება
სოციალური კომპეტენცია
ემოციური კომპეტენცია
ენა და მეტყველება
მეხსიერება და ყურადღება
წიგნიერება
მეცნიერება
ხელოვნება
დრამატული თამაში
ვმუშაობთ ....

მოკლე რეკომენდაციები მშობლებთან შეხვედრების მოსამზადებლად:

- წინასწარ მოემზადეთ. ბავშვის პროგრესი და დაკვირვების შედეგები განამტკიცეთ დოკუმენტებით და მიაწოდეთ მშობელსორგანიზებულად.
- შეხვდერები უნდა იყოს ინდივიდუალური და კონფიდენციალური.
- ურთიერთობა დაიწყეთ არაფორმალურად, მოკითხვით, მოკლე საუბრით,
- გააცანით პორტფოლიო.
- დაამყარეთ თვალით კონტაქტი, მიაქციეთ ს ყურადღებასხეულის ენა, იყავით ღია კომუნიკაციისთვის, თავი დაუქნიეთ კომენტარებზე, მოუსმინეთ ყურადღებით.
- ისაუბრეთ გასაგები ენით, ფრაზებით და სიტყვებით.
- დაუსვით კითხვები. ჰკითხეთ აქვს თუ არა შეკითხვები.
- შეაჯამეთ შეხვედრა და დაგეგმეთ შემდეგი შეხვედრა.

თუ აღმზრდელი ეჭვობს გარკვეული პრობლემის არსებობას ბავშვთან მიმართებაში, ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა შეგროვება დაიმ მეთოდების გამოყენება, რომელიც უფრო ზუსტია. თუ შესაძლებელია,დაიხმარეთ კოლეგა მონაცემების შეგროვებისას. გადახედეთ განვითარების გაიდლაინებს, სტანდარტს, ან რომელიმე საბაზისო წიგნს განვითარებაზე და ისევ დააკვირდით ბავშვს. დაგეგმეთ ოჯახთან შეხვედრა, წინასწარ იფიქრეთ სხვადასხვა შესაძლებელ სცენარზე. მოიფიქრეთ,როგორ დაიწყებთ პრობლემაზე საუბარს.ამ შეხვედრისთვის მოძებნეთ და მოამზადეთ მასალები, კვლევები, რომელსაც მშობელთან შეხვედრისას გამოიყენებთ როგორც მტკიცებულებას. პრობლემაზე საუბარი დოკუმენტირებული მტკიცებულებებით უნდა დაიწყოთ. ამის შემდეგ მშობელს საშუალება მიეცით გაგიზიაროთ თავისი შეხედულებები ამ სიტუაციასთან ან საკითხთან დაკავშირებით. აღმზრდელის როლია ყურადღებით მოუსმინოს მშობელს. შეხვედრის დროს უნდა გამოხატავდეთ ემპატიასდა კომუნიკაცია უნდა იყოს გასაგები. მზად იყავით მწვავე რეაქციებისთვისაც. ეს შეიძლება იყოს უარყოფა, დაბრალება, შიში, დანაშაულის განცდა, დარდი, უარყოფა, უგულებელყოფა და საბოლოოდ მიღება (ბერგერი, 1995). ოჯახმა და აღმზრდელმა ერთად უნდა შეიმუშაოს შემდეგი ნაბიჯებიპრობლემის გადასაჭრელად. ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს, თუ გადაწყვეტთ გარესპეციალისტის დახმარებას. პირველ რიგში უნდა მოხდეს სამედიცინო და ფიზიკური მიზეზების გამორიცხვა. ბაღმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ოჯახთან ერთად დასახულ გეგმას მიყვეს. ამ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს უფრო

დეტალურად გაეცნობით განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. A. S. Epstein, L. J. Schweinhart, A. DeBruin-Parecki and K. B. Robin (2004). Preschool Assessment: A Guide to Developing a Balanced Approach
2. Observing Children: A Tool for Assessment http://www.g-w.com/pdf/sampchap/9781590708132_ch03.pdf
3. B.A. Nilsen (2004). Week by Week: Documenting the Development of Young Children.
4. J. Beaty (2006). Observing Development of the Young Child
5. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა (2011). ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასებების ცენტრი

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. ჩამოთვალეთ დაკვირვებისა დამონაცემთა შეგროვების მიზნები.
2. რას ნიშნავს ობიექტური დაკვირვება.
3. ჩამოთვალეთ მონაცემთა შეგროვების ფორმალური და არაფორმალური მეთოდები
4. ჩამოთვალეთ ის საკითები, რასაც უნდა ითვალისწინებდეთ მეთოდის შერჩევისას.
5. რომელი ქვემოთ ჩაოთვლილთაგან არის ობიექტური ჩანაწერი.
   - მარტო გრძნობს თავს
   - აგრესიულია მეგობრის მიმართ
   - ფანქარი უჭირავს ცერა, საჩვენებელი და შუა თითით
   - აშენებს კოშკს 6 კუბისგან
6. რომელი ინსტრუმენტია, რომელიც ასახავს ქცევის, ან თვისების გამოვლენის ხარისხს.
7. ჩამოთვალეთ ჩეკლისტების, რეიტინგული სკალების, ეპიზოდური ჩანაწერების და სიხშირეების ცხრილების გამოყენების უპირატესობა და ნაკლი.
8. ბავშის სამგანზომილებიანი პროექტის ნიმუშის პორტფოლიოში ჩასადებად რომელ მეთოდებს აირჩევ?
9. ჩამოთვალე ხუთი რამ, რასაც ბავშვის პორტფოლიოში მოათავსებ.
10. ჩამოთვალე სამი რამ დაკვირვების გაიდლაინიდან.

დავალება

1. გაესაუბრეთ აღმზრდელს იმის შესახებ, თუ როგორ აწარმოებს ბავშვების პორტფოლიოს და როგორ იყენებს მას.
2. გააკეთეთ სიხშირის ცხრილი სოციალური წესების დარღვევასთან დაკავშირებით.
3. დააკვირდით ჯგუფში რომელიმე ბავშვს 15 წუთის განმავლობაში და გააკეთეთ შემთხვევის ჩანაწერი. წაიკითხეთ ჯგუფში თქვენი ჩანაწერები და შეადარეთ ერთმანეთს. გაარჩიეთ ვისი ჩანაწერი მოიცავს უფრო მეტ ინფორმაციას და დეტალებს? ვისი ჩანაწერი შეიცავს მხოლოდ ობიექტურ მტკიცებულებებს? არის თუ არა რომელიმე ჩანაწერში ინტერპრეტაცია და დასკვნები? თუ არის რა უნდა ეწეროს მათ ნაცვლად?

4. შეადგინეთ რეიტინგული სკალა/ან ჩეკლისტი 3 ან 4 ან 5 წლის ასაკის ბავშვის ნატიფ მოტორულ უნარებზე დასაკვირვებლად (მსხვილ მოტორულ, მეტყველების, კოგნიტურ, სოციალურ, ემოციურ უნარებზე დასაკვირებლად).
5. დაწერეთ, რას გრძნობთ, როდესაც ადამიანი გაკვირდებათ ათი წუთის განამავლობაში, რაღაცეებს იწერს და არ გესაუბრებათ. გაუზიარეთ თქვენს ჯგუფელებს და მოისმინეთ მათი აზრი ამასთან დაკაშირებით.

10. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშებთან მუშაობის თვისებურებები

10.1. ინკლუზიური განათლების ღირებულებები და პრინციპები[24]

ინკლუზიური განათლება საგანმანთლაბლო სივრცეში ყველა ბავშვის თანამონაწილეობას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ინკლუზიური განათლება შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებთან ასოცირდება, იგი ასევე მოიცავს ბავშვებს, რომელთაც ეზღუდებათ თავისი ქვეყნის ან თემის ტიპიური საგანმანათლებლო შესაძებლობები. ესენია, ბავშვები ისეთი მოწყვლადი ჯგუფებიდან, როგორიცაა სიღარიბე, ენობრივი ან ეთნიკური უმცირესობა, რელიგიური უმცირესობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქრონიკული პრობლემები, ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მშობლების შვილები. ის, თუ რომელი ჯგუფი გაერთიანდება სპეციალურ სამიზნე ჯგუფებში ქვეყანაზე, კულტურაზე და ცალკეულ საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

ზოგადად კი მშვიდობიანი, სამართლიანი და კარგად ფუქნციონირებადი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, ყველა ბავშვს უნდა მიუწვდებოდეს ხელი განათლებაზე, რაც ეხმარება და განაპირობებს მათი სრული პოტენციის ამუშავებას

[24] ქვეთავი მომზადებულია მერი მორანის გამოუქვეყნებელი ნაშრომის 'ინკლუზიური განათლების ფილოსოფია' მიხედვით, 2015. UNICEF

და ამოქმედებას. ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, ყველა ბავშვის მთავარი უფლება განათლებაა. ზოგიერთი ბავშვისთვის ეს უფლება მტკიცდება სხვა კონვენციებით, მაგალითად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლების უფლებით. არსებობს საზოგადოება, სადაც ეს უფლება ხაზგასმულია გოგოების და ქალებისთვის. ინკლუზია გარანტიაა იმისა, რომ ყველას კონტრიბუცია და თანამონაწილეობა აღიარებული და წახალისებულია.

ინკლუზიური განათლების გადამწყვეტი ფაქტორებია:

- უნივერსალური დიზაინის კონცეფცია როგორც ინკლუზიური განათლების საფუძველი
- სასკოლო და საბავშვო ბაღის დიზაინი. გარემო, სადაც გათვალისწინებულია ხელიმსაწვდომობის ყველა საკითხი, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური, როგორც შიდა, ასევე გარე სივრცის.
- მასალების მრავალფეროვნება. მასალები ისეა შერჩეული, რომ ბავშვებმა შეძლონ რამდენადაც შესაძლებელია თავისუფლად გამოყენება. ზომა, ფორმა და ფერი გათვალისიწნებულია.
- ინკლუზიური გარემოსთვის არსებითია ასევე, თუ რამდენად ღია, მიმღებლურ და კეთილმოსურნე გარემოს ქმნიან მასწავლებლები და ადმინისტრაცია ყველა ბავშვის, მათი ოჯახების და ზოგადად საზოგადოებისთვის.
- მასწავლებელთა ტრენინგი, სპეცილისტთა ტრენინგი მხარს უნდა უჭერდეს ინკლუზიური განათლების ღირებულებებს, ფილოსოფიას, და პრაქტიკას.
- დამატებითი პერსონალის არსებობა და ის თუ როგორ ხდება მათი რესურსების გამოყენება
- ინდივიდუალიზაცია, ინდივიდუალური მიდგომა ყველასთან, . მასწავლებლები და დამატებითი პერსონალი მხარს უნდა უჭერდეს თითოეული ბავშვის ძლიერ მხარეებს და საჭიროებებს.
- გარემოს, მასალის, აღჭურვილობის თუ პრაქტიკის ადაპტაციის ზუსტი განსაზღვრა და თანმიმდევრულად მიყოლა. ასევე ადაპტაციის რეგულარული შეფასება.

.

აქტივობების უნივერსალური დიზანი - კურიკულუმი ყველასათვის

უნივერსალური დიზაინი მნიშვნელოვნად უკავშირდება კარგ სკოლამდელ პრაქტიკას. რადგან ბავშვის განვითარება ინტეგრირებული პროცესია (ანუ, ამ პერიოდში არცერთი უნარი არ არის მარტო კოგნიტური ან სოციალური, ან მოტორული), შესაბამისად კარგი ადრეული საგანმანათლებლო აქტივობები ისეა მოფიქრებული, რომ განვითარების ყველა სფერო იყოს ინტეგრირებული.

უნივერსალური დიზაინის თანახმად, მასწავლებლებს მოეთხოვებათ გაითვალისწინონ ბავშვების მრავალფეროვანი დასწავლის სტილი (მაგ. უფრო ადვილად სწავლობს იმასხსოვრებს და გადაამუშავებს ინფორმაციას ვიზუალურად, სმენით, ტაქტილურად თუ მოძრაობით და ა.შ.) და მოიფიქრონ აქტივობები, სადაც ყველა ეს სტრატეგიაა გამოყენებული. მასწავლებალი უნივერსალური დიზაინით სწავლებისას არ იყენებს მხოლოდ ერთ გზას. მაგალითად, კითხვა ასევე მოიცავს ნახატების ჩვენებას, საუბარს, თუ რას ფიქრობენ წაკითხულზე, შეიძლება სცენის გათამაშებასაც, და წაკითხულის დახატვასაც. უნივერსალური დიზაინი ასევე წარმართავს მასწავლებელს იფიქროს იმაზე, თუ რამდენადაა მასალები ხელმისაწვდომი ყველასთვის, ისევე როგორც ოთახის დიზაინი, მეთოდები და ა.შ. და ბოლოს, მთელი კურიკულუმი.

სივრცის დიზაინი

ინკლუზიური განათლებისთვის ეფექტური სივრცე გულისხმობს საკმარის სივრცეს უსაფრთხო მოძრაობისთვის, როდესაც სახეზეა ფიზიკური საჭიროებები გარკვეული მოტორული შეზღუდვების გამო. სივრცე უნდა იძლეოდეს ეტლით ადექვატურად გადაადგილების, მობრუნების, მოძრაობის და ოთახის ყველა კუთხეში მისვლის შესაძლებლობას. ფიზიკური შეზღუდვის გამო ბავშვს არ უნდა ეზღუდებოდეს ცენტრებში მისვლა ვიწრო გასასვლელის ან არასაკმარისი სივრცის გამო. ეფექტური სივრცე ითვალისწინებს მაღალი კონტრასტის მკაფიო მაჩვენებლებს მხედველობის დეფიციტის შემთხვევაში. ანუ, სივრცე, კიბეები, გადასასვლელები მონიშნულია მაღალი კონტრასტის მკაფიო მაჩვენებლებით და ადვილად აღქმადია. ეფექტური სივრცე ასევე გულისხმობს აკუსტიკური, სმენითი საკითხების გათვალისწინებასაც, რაც მნიშვნელოვანია სმენითი დარღვევეის დროს. ასევე, სივრცის უნივერსლურ დიზაინში მოიაზრება ავეჯის და აღჭურვლობის ადვილი ხელმისაწვდომობა ყველასთვის.

მასალა

მასალების უნივერსალური დიზაინი გულისხმობს მასალების მრავალფეროვნებას და ხელმისაწვდომობას. მასალა სხვადასხვა ზომის და ფორმისაა, მათ შორის არის მკვეთრი და კონტრასტული ფერების როგორც ფიზიკური, ასევე ვიზუალური ხელმისაწვდომობისთვის. მასალების უნივერსალური დიზაინი მოიცავს მასალებს ტაქტილური მინიშნებებითაც.

სოციალური გარემოს უზრუნველყოფა

სოციალური გარემო ინკლუზიური გარემოს ერთერთი არსებითი კომპონენტია. განსხვევბულობის აღიარება და მის მიმართ მიმღებლობა, პოზიტიური ემოციური კლიმატის შექმნა ინკლუზიური განთლების კრიტიკულ პირობას წარმოადგენს.

მასწავლებლებისთვის ეს პროცესი გულისხმობს საკუთარი დამოკიდებულებების გააზრებას, გაცნობიერებას, რათა აქტივობები და შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის და ოჯახისთვის გარანტირებულად იყოს უზრუნვლეყოფილი. მათ უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ საკუთარი დამოკიდებულებები შეზღუდული შესძლებლობების მიმართ, ან რომელი კონკრეტული მდგომარეობის მიმართ, არამედ სქესის შესაბამისი აქტივობების მიმართაც. ისინი დარწმუნებულები უნდა იყვენენ, რომ ბავშვებს, რომლებიც კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ, შესაძლებლობა აქვთ გამოხატონ თავიანთი თავი, პატივი სცენ საკუთარ ტრადიციებს სხვადასხვა თემების და აქტივობების დროს.

როდესაც აღმზრდელის დამოკიდებულება ღიაა და კეთილმოსურნე მრავალფეროვანი ტრადიციების და მიდრეკილებების მიმართ, ისინი მნიშვნელოვნად უყრიან საფუძველს მშობლებთან თანამშრომლობას, ხელს უწყობენ ბავშვებში სხვა ადამიანის და განსხვავებულის მიმართ პატივისცემას. ამით შესაძლებლობას ქმნიან გამოიყენონ და ისწავლონ სხვისი კულტურა და გაიგონ სხისი ენა. ზოგადად კი სააღმზრდელო და სასწავლო გარემო ყველას ეუბნება, რომ აქ ყველას სცემენ პატივს და ბავშვებს კითხვების ღიად დასმის და კვლევის საშუალება ეძლევათ.

კეთილმოსურნე გარემო მნიშვნელოვან პირობას ქმნის იმისათვის, რომ ოჯახებმა გააზიარონ თავიანთი გამოცდილება და ცოდნა შვილებთან მიმართებაში. მშობლებთან და ოჯახებთან თანამშრომლობა საუკეთესო ადრეული საგანამანათლებლო პრაქტიკის ერთერთი ინდიკატორია.

პერსონალური დახმარება

ზოგიერთ სიტუაციაში, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი დახმარების გამოყენება. მაგალითად, შეიძლება ბავშვს დამატებითი დახმარება დასჭირდეს კვების ან ტუალეტის დროს. ასეთ დროს კარგი ინკლუზია გულისხმობს იმას, რომ ბავშვი იღებს დახმარებას იმ დროს, როცა ეს საჭიროა და ეს დახმარება არ არის მხოლოდ „ამ ბავშვისთვის“. პერსონალური ასისტირება და დახმარება უნდა ფრთხილად და კარგად განისაზღვროს და შემცირდეს თანდათანობით, როგორც კი ეს უნარი დაიწყებს გაუმჯობესებას. პერსონალური დახმარება შეიძლება გამოიყენოთ

ენობრივი და კულტურული თვალსაზრისითაც. ასევე, თუ ბაღის პერსონალს შორის არის შეზღუდული შესაძლებლობიე მქონე თანამშრომელი, მისი საჭიროებაც უნდა იყოს გათვალისწინებული სივრცის დაგეგმარებისას.

ინდივიდუალური მიდგომა

ინდივიდუალიზაცია ეს არის ადრეული განათლების სპეციალისტის, ბაღის აღმზრდელის ბუნებრივი კონცეფცია, რადგან არცერთი ბავშვის განვითარება, და ერთი ბავშვის არცერთი სფერო არ არის თანაბრად განვითარებადი - ყველას აქვს რაღაც ძლიერი მხარე და ნიჭი რაზეც შეიძლება დაეყრდნო და შედარებით სუსტი მხარეები.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ინდივიდუალიზაცია მოიცავს როგორც ნებისმიერი სახის ადაპტაციას და ტექნოლოგიების დამხარებას, ასევე სასწავლო-სააღმზრდელო სტრატეგიების მორგებასაც ბავშის საჭროებებზე. ეს ასევე გულისხმობს იმის იდენტიფიცირებას, თუ რომელი სპეციალისტის დახმარებაა საჭირო და როგორ იქნება ეს სპეციალური მომსახურება უზრუნველყოფილი.

ამ პროცესებში მთელი გუნდი უნდა იყოს ჩართული, მათ შორის მშობელიც. არსებითია თუ როგორ განხორციელდება ეს ჩვეულებრივ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში.

ბავშვებისთვის, რომელთაც სხვა საჭიროება აქვს, მაგალითად, განსხვავებული ენა, ინდივიდუალური მიდგომა უნდა ითვალისიწნებდეს იმას, თუ როგორ ხდება ამ კონკრეტული ბავშის ენის, და კულტურის გათვალისწინება ჯგუფში - და არა ამ ბავშვის სამიზნედ ქცევა.

ბავშვებისთვის, რომელთაც სხვადასხვა სამედიცინო საჭიროება აქვთ, ინდივიდუალიზაცია შეიძლება გულისხმობდეს პერსონალის მხრიდან იმის ცოდნას, თუ რა აუცილებელი ქცევა უნდა განახორციელონ ჯგუფში, რა არის ის, რასაც უნდა მიაქციონ ყურადღება ბავშვის ჯანმრთელობასთან მიმართებაში, რათა ბავშის კეთილდღეობა გარანტირებული იყოს.

ადაპტირების შეფასება

ყველა ინდივიდუალური ადაპტაცია საჭიროებს რეგუალრულ შეფასებას, რადგან ბავშვების საჭიროებები და უნარები ცვლადია. მაგალითად, თუ ბავშვი

კომუნიკაციისთვის იყენებს ბარათების დაფას, ეს დაფა შეიძლება საჭიროებდეს განახლებას ან საერთოდ შეიძლება აღარ იყოს საჭირო. თანმიმდევრული დაკვირვება და რეგულარული შეფასება კარგი და წარმატებული ადრეული და ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ერთერთი ქვაკუთხედია.

10.2. ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირება

ხშირია შემთხვევები, როდესაც აღმზრდელი პირველია, ვინც ბავშვის რაიმე განსაკუთრებულ/დამატებით საჭიროებას ამჩნევს, ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილების და განვითარების ცოდნის გამო. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახების კვლევამ აჩვენა რომ 40% შემთხვევებისა სწორედ აღმზრდელმა შენიშნა პირველად ბავშვის სპეციალური საჭიროებები (ჯონსონი და დუფეტი, 2002).

ადრეული განათლების პროგრამები ბევრ შესაძლებლობას იძლევა ბავშვების განვითარების საჭიროების იდენტიფიცირების, იმ შემთხვევაშიც თუ სირთულე და პრობლემა სახეზეა და მაშინაც კი, თუ ბავშვი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ყველა ასეთ შემთხვევაში ბავშვები ღირებულ სარგებელს ნახულობენ ძლიერი ადრეული განათლების პროგრამებიდან როგორც პრობლემის იდენტიფიცირების მხრივ, ასევე ოპტიმალური განვითარების ხელშეწყობის და წარმატებული გამოცდილების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.

სასწავლო წლის დასაწყისში, საწყისი შეფასება და სკრინინგი აღმზრდელს არა მხოლოდ ბავშვის განვითარების, ძლიერი მხარეების და საჭიროებების იდენტიფიცირებაში ეხმარება, არამედ დამატებითი სპეციალისტების განსაზღვრაში და პროგრამის ბავშვის საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალიზებაში.

ბავშვის მშობლების ჩართულობა და ინფორმაციის გაზიარება შეფასების და სკრინინგის ნაწილი უნდა იყოს. მშობლები ფლობენ ბევრად მეტ ინფორმაციას ბავშვის ქცევის, ყოველდღიური ფუნქციონირების, და ინდივიდუალური მახასიათებლების შესახებ. მშობელი ღირებულ და სანდო წყაროს წარმოადგენს ინფორმაციისა, რომელიც ბავშვის შესახებ, მისი უნარებისა და შესაძლებლობების სრული სურათის დახატვაში დაგეხმარებათ. მშობელი ასევე დაგეხარებათ იმის განსაზღვრაში თუ რამდენად აუთენტური და ზუსტია თქვენი შეფასება, არის თუ არა ეს ბავშვის დამახასიათებელი ქცევა ყოველდღიურობაში და ბუნებრივ, ოჯახურ გარემოში.

მიმდინარე შეფასება ასევე მნიშვნელოვანია საჭიროებების იდენტიფიცირებაში (იხილეთ დეტალურად თავში: დაკვირვება და შეფასება). მიმდინარე შეფასება

ეხმარება აღმზრდელს პროგრამის, სტრატეგიების და შედეგების გადახედვაში. მიმდინარე შეფასება არის მშობელთან პარტნიორობის საფუძველიც, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ბავშვის ოპტიმალური განვითრების შესაძლებლობებსაც.

შეფასების საუკეთესო პრაქტიკა ითვალისწინებს სტანდარტის შესაბამის შეფასებას, სანდო ინსტრუმენტების გამოყენებას, რაც კონკრეტული ბავშვის შედეგების მისი ასაკის ბავშვების შედეგებთან შედარების საშუალებას იძლევა. არცერთი ბავშვი არ უნდა იქნეს შეფასებული აღმზრდელის, მასწავლებლის ან საზოგადოების განცდების და სუბიექტური დასკვნების საფუძველზე კონკრეტული ბავშვთან, ოჯახთან ან ქცევასთან მიმართებაში.

ცხრილში მოცემულია ის ძირითადი სფეროები და საკითხები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის შეფასებისას.

სფერო	**ძლიერი მხარეები**	**საჭიროებები**
შემეცნება		
მეტყველება, კომუნიკაცია		
სოციალურ-ემოციური სფერო		
მოტორიკა		
თვითმოვლის უნარ-ჩვევები		
ქცევა		
სააღმზრდელო გარემო	**რესურსი**	**ბარიერები**

ინდივიდუალური საჭიროების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით წაიკითხეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს დაკვირვების და შეფასების თავი და ყურადღებით გაეცანით ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიას, მე-7 თავს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ინკლუზია, გვერდი 36.

10.3. გსმ აღსაზრდელებთან მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა ჯგუფში

მას შემდეგ რაც მოხდება სრულფასოვანი შეფასება, გამოიყოფა ბავშვის ძლიერი მხარეები და საჭიროებები, მშობელთან შეთანხმებით უნდა მოხდეს გამოყოფილი საჭიროებებიდან სამუშაო მიზნებზე შეთანხმება.

შეფასებით და დაკვირვებით მიღებული მონაცემები ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის საფუძველს ქმნის. კონკრეტული ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენაში მონაწილეობას უნდა იღებდეს, აღმზრდელი, მშობელი, ბაღის დამხმარე სპეციალიტსები (მაგ. სპეც პედაგოგი, ფსიქოლოგი) და გარე სპეციალისტები (მაგ. ბავშვის ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი) ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ინდივიდუალური განვითარების გეგმა ეს არის დოკუმენტი, რომელიც აღწერს ბავშვის განვითარების ხანგრძლივ და ხანმოკლე მიზნებს, ამ მიზნების მისაღწევ კონკრეტულ აქტივობებს და აქტივობების განხორციელების სტრატეგიებს. განვითარების ინდივიდუალური გეგმა დაწესებულების ზოგად პროგრამაში უნდა იყოს ინტეგრირებული. პროგრამის შედგენისას, ასევე ის გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი სასწავლო-სააღმზრდელო მიზნები უნდა იყოს გათვალისწინებული, რომელსაც ბავშვი ამა თუ იმ სპეციალისტის მომსახურების ფარგლებში იღებს (ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია, 2010).
როგორც წესი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გუნდი არის ჩართული, ყველა ის სპეციალისტი რომელიც ბავშთან მუშაობს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ყოველთვის მშობლის წახალისება უნდა მოხდეს, რადგან მშობელმა ყველაზე კარგად იცის ბავშის რეალური საჭიროებები და გარდა ამისა მისი აქტიურო ჩართვა მის მიერ პასუხისმგებლობის აღებასა და გაძლიერებას ნიშნავს.

მიზნები უნდა იყოს:

- ✓ კონკრეტული
- ✓ რეალისტური
- ✓ გაზომვადი
- ✓ მიღწევადი

მოკლევადიანი ამოცანები	ბავშვის მიღწევები	შენიშვნა	თარიღი

გარკვეული ადაპტაციები შეიძლება აუცილებელი იყოს იმისათვის, რომ ბავშვი სრულად ჩაერთოს აქტივობებში. ეს შეიძლება იყოს ბავშვისთვის დიამეტრულად უფრო მსხვილი ფანქრის, ან კალმის უზრუნველყოფა, ან არსებულ ფანქარზე სკოჩით რამოდენიმეჯერ შემოხვევა, ისე რომ ბავშვს გაუადვილდეს ხელში დაჭერა. ასევე შეიძლება საჭირო იყოს ნაწერის გაზრდა ან ბავშვის ადგილის შეცვლა. ნებისმიერ ასთი ტიპის ცვლილება, ადაპტაცია, უნდა იყოს მითითებული და აღნიშნული ინდივიდუალურ გეგმაში.

კარგ ინდივიდუალურ გეგმაში დეტალურად არის აღწერილი ბავშვის განვითარების ძლიერი მხარეები და საჭიროებები, ასევე იდენტიფიცირებულია ის გზები თუ როგორ შეიძლება ბავშვის ძლიერი მხარეების გამოყენება მისი ოპტიმალური განვითარების ხელშეწყობისთვის და დასახული მიზენების მისაღწევად. ეს გრძელვადიანი მიზნები და მოკლევადიანი ამოცანები ემსახურება ბავშვის მომავალ წარმატებას სასკოლო ცხოვრებაში, ოჯახსა და თემში სრულ თანამონაწილეობას. კარგ გეგმაში თვალსაჩინოა, რომ ბევრი ადამიანი მონაწილეობდა და თავისი წვლილი მიუძღვის დაგეგმვაში, განსაკუთრებით ოჯახი. მშობლებმა უნდა დაამოწმონ რომ ისინი ეთანხმებიან არსებულ გეგმას. გეგმაში ასევე უნდა იყოს მითითებული როდის უნდა მოხდეს მისი ხელახალი შეფასება და როგორ მოხდება ეს. გეგმაში ასევე უნდა ჩანდეს თუ რა უნდა იყოს მიმდინარე შეფასების წარმატების ინდიკატორი, რომლის საფუძველზეც მოხდება მიზნების და ამოცანების და შესაბამისად აქტივობების შეცვლა.

ინდივიდუალური გეგმა მშობლებს და მასწავლებლებს ერთმანეთთან შეხედულებების გაზიარებაში ეხმარება და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს, ბავშვზე ორიენტირებულ პროცესად გარდაქმნის.

10. 4. მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობა

ადრეული განათლების სპეციალისტის, ბაღის აღმზრდელის განათლება ასევე უნდა მოიცავდეს ინკლუზიური განათლების და პედაგოგიკის საკითხებსაც. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია დამხმარე სპეციალისტების როლიც, რომლებიც ძირითად აღმზრდელებთან ერთდ მუშაობენ, ისეთი როგორიც არის სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი. ეფექტური გუნდური მუშაობა ამ ყველა სპეციალისტის

წარმატებული ინკლუზიური განათლების საფუძველია. ინფორმაცია არ არის ცალმხრივი, მუშაობა არ მიდის მხოლოდ ერთი მიმართულებით, და აღმზრდელს არ უტარდება ცალმხრივად ინსტრუქციები თუ რა უნდა გააკეთოს ერთ რომელიმე კონკრეტულ ბავშვთან. სწორი გადაწყვეტილეების მისაღებად სპეციალისტებმა აღმზრდელებთან ერთად უნდა ითანამშრომლონ ბუნებრივ სააღმზრდელო გარემოში, ჯგუფში მუშაობა და არა ბავშვის გაყვანა „სპეციალურ ადგილას“ ინკლუზიური განათლების საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს.

გუნდური მუშაობა ასევე გულისხმობს ინდივიდუალური ბავშვის მშობლის ჩართულობასაც. ეს საფუძველს ქმნის იმისას, რომ განათლების სპეციალისტები და ოჯახი, ორივე გაზიარებული მიზნების მიღწევას ემსახურება და წარამტებასაც ერთად აფასებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვისწავლოთ ერთად. ინკლუზიური განათლება, 2008
2. ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგია, 2010
3. „რთული ქცევა პატარა ბავშვებში - გაგება პრევენცია, ეფექტური მართვა“ , ბარბარა კაიზერი, XI, XII თავი. 2007 წელის. (“Challenging Behavior in young children –understanding, preven8ng and responding effectvely”, by Barbara Kaiser, 2007)
4. „ლიმერკის უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის პოლიტიკის ნაწილი რომელიც ქცევის მართვის პოლიტკას შეეხება“ (University Preschool and Child Care Center Incorporated, Policy handbook)
5. Johnson, J. & Duffett, A. (2002). When It’s Your Own Child: A Report on Special Education from the Families Who Use It. New York: Public Agenda.

კითხვები დისკუსიისთვის

1. იმსჯელეთ უნივერსალური დიზანის ძირითადი პრინციპების შესახებ
2. გამოყავით ინდივიდუალური გეგმის მნიშვნელოვანი კომპონენტები.

დამატებით გაეცანით შემდეგ საკითხებს:

- ინკლუზიიის ღირებულებები და პრინციპები
- განსხვავებული მოდელები და საგანმანათლებლო მიდგომები შ.შ.მ. პირებთან დაკავშირებით
- უნივერსალური დიზაინი
- განვითარების სირთულეები და თავისებურებები (კომუნიკაციური, ინტელექტუალური, სენსორული, ფიზიკური და ქცევითი სირთულეები)

11. ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულება



ამ თავის საშუალებით თქვენ გაეცნობით , მშობლისა და ოჯახის ჩართულობის მნიშვნელობას ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებაში სააღმზრდლო დაწესებულებისა და ოჯახის ურთიერთობის მიზანსა და ამოცანებს. მშობლებთან კომუნიკაციის ფორმებსა და საშუალებებს ასევე მშობელთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხერხებს.თემისა და ოჯახის რესურსის გამოყენების მნიშვნელობას. საზოგადოებისა და სააღმზრდელო დაწესებულების ორმხრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, მომავალი მოქალაქის ფორმირების საქმეში.

11.1. მშობლებთან კომუნიკაცია და შეხვედრების ორგანიზება

მშობელთა მონაწილეობას ბავშვთა აღზრდა-განათლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორად მართული ურთიერთობები ოჯახსა და სააღმზრდელო დაწესებულებას შორის პოზიტიურად აისახება სააღმზრდელო პროცესზე. აღმზრდელები და მშობლები ერთად მუშაობით

ინაწილებენ პასუხისმგებლობას და თანამშრომლურ ურთიერთობებს აღწევენ. კონტაქტი, ურთიერთპატივისცემა, განსაკუთრებული აზრის დაფასება და ბავშვთა ინტერესების წინ წამოწევა, მყარ საფუძველს ქმნის კეთილგანწყობისა და კარგი ურთიერთდამოკიდებულებისათვის.

აღნიშნული ურთიერთობებისას მშობლებს მრავალი შესაძლებლობა ეძლევათ. მაგალითად აღმზრდელებმა მათ შესაძლებლობა უნდა მისცენ თავისუფლად შესძლონ საკუთარ შვილებთან ურთიერთობა სააღმზრდელო ჯგუფის გარემოში, და დაეხმარონ ბავშვებს სხვადასხვა საქმიანობაში. მშობლებთან კონტაქტი აღმზრდელთა ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი მოვალეობაა. აუცილებელია ბავშვის ოჯახთან ჯგუფის საქმიანობაზე მსჯელობა, ბავშვის წარმატებებსა და მიღწევებზე ასევე შესაძლო სირთულეებზე საუბარი. გულწრფელ ურთიერთობებსა და ნდობის მოპოვებას დრო სჭირდება, ამიტომ სააღმზრდელო პროცესის დასაწყისშივე აღმზრდელი უნდა შეხვდეს მშობლებს და აუხსნას, რა ინფორმაციას ელის, მთავარია ორივე მხარეს შეეძლოს ყურადღებით მოსმენა. სასურველია აღმზრდელმა მოამზადოს კითხვარი, რომელშიც იქნება კითხვები: „რისი გაკეთება უყვარს თქვენს შვილს შინ?“, ან „რაზე საუბრობთ თავისუფალ დროს?“ ან „ რა გსურთ ისწავლოს თქვენმა შვილმა ბაღში“ და ა.შ. მსგავსი კითხვარი შესაძლებლობას აძლევს აღმზრდელს სწრაფად გაეცნოს ბავშვს და თან გაიგოს მშობელთა მოლოდინების შესახებ . ოჯახთან ურთიერთობის მთავარი პრინციპებია;

- გამოვყოთ დრო და შესაძლებლობა მივცეთ მშობლებს საკუთარი აზრი გამოთქვან, ისაუბრონ თავიანთ პრობლემებზე, მიზნებზე, მოლოდინებზე...
- გამოვყოთ ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება მშობელთან განცალკევებით საუბარი, და თან დავარწმუნოთ იგი, რომ მოპოვებული ინფორმაცია არ გახმაურდება.
- რო პოზიტიურად წარიმართება.

მშობლები ჩვეულებრივ ისე არიან დაკავებულნი მთელი დღის განმავლობაში, რომ ბევრი დრო არ რჩებათ, ამიტომ აუცილებელია გამოვიყენოთ არაოფიციალური შეხვედრები მშობლებთან სასაუბროდ, რათა საფუძველი ჩავუყაროთ ორმხრივ ურთიერთობებს. მაგალითად გავესაუბროთ მშობლებს დილა-საღამოს ბავშვების მოყვანისა და წაყვანის დროს, მოვუყვეთ დღის განმავლობაში ბავშვის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ, აღვნიშნოთ მისი წარმატება, წინასწარ შევატყობინოთ თუკი რაიმე აქტივობა ან შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი. დილა-საღამოს სხვა ბავშვების მშობლებიც ხვდებიან ერთმანეთს, საუბრობენ ერთობლივ კითხვებს უსვამენ აღმზრდელს... ამ დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს პრობლემური საკითხები. მით უფრო ბავშვების თანდასწრებით. ამისათვის მშობლები საგანგებოდ უნდა მოვიწვიოთ. მშობლებს ნებისმიერ დროს

საშუალება უნდა ჰქონდეთ სრული ინფორმაცია მიიღონ სააღმზრდელო პროგრამისა და ბავშვის შესახებ.

მშობლებთან ურთიერთობის ასევე ერთ-ერთი სტრატეგიაა ბარათები,რომლებიც ბავშვის ხელით ეგზავნება მშობელს, ეს ხერხი ხელს უწყობს მშობელთან ურთიერთობის გაღრმავებას. წერილის შინაარსი ზუსტად უნდა აღწერდეს ბავშვის საგანგებო წარმატებებს განვითარებასა და ქცევაში, აგრეთვე ამ წერილით უნდა გამოვხატოთ მადლიერება მშობლისადმი, რომელიც დაგვეხმარა სააღმზრდელო პროცესში. სასურველი იქნება თუკი ოჯახი საპასუხო ბარათს გამოგზავნის. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია თუკი ბავშვს პრობლემები აქვს და აღმზრდელი განსაკუთრებულ ამოცანას უსახავს ხოლო მშობელი ეცნობა და შინ ხელს უწყობს ბავშვს მიზნის მიღწევაში.

საინფორმაციო დაფებიც მშობლებთან ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალებაა. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია მშობელთა კრებების თარიღები, ბავშვთა განვითარების შკალები, კვების გრაფიკები, დღის განრიგი, სააღმზრდელო გეგმა ,ასევე გამოფენილია ბავშვთა ნამუშევრები, და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დაფები ნათელი და მხიარული ფერებით იყოს გაფორმებული, და ხშირად იცვლებოდეს. შესაძლებელია, მის გაფორმებაში მშობელთა ჩართვაც.

11.2. თემთან შეხვედრები და მშობლების რესურსის გამოყენება.

თემში მოიაზრება სააღმზრდელო დაწესებულების ახლო პერიმეტრზე მცხოვრები მოსახლეობა - „მეზობლები“, ასევე ახლოს მდებარე დაწესებულებები და ორგანიზაციები: ბიბლიოთეკა, სკოლა, მაღაზიები, აფთიაქი, პოლიცია, მუნიციპალიტეტი, კინოთეატრი და ა.შ. ასევე ბაღში მოარულ აღსაზრდელთა მშობლები, ისინიც ხომ თემის წევრები არიან. აღმზრდელებს შეუძლიათ თემატურ აქტივობებში გამოიყენონ თემში არსებული რესურსები. შუძლიათ მოაწყონ ექსკურსიები: აღსაზრდელებს დაათვალიერებინონ პოლიციის შენობა, პატარებს გააცნონ ადგილზე პოლიციელების საქმიანობა, მოიწვიონ ერთ-ერთი მუშაკი ბაღში,რომელიც ფორმით იქნება და თემატურ აქტივობის ჩატარებაში დაეხმარება აღმზრდელს ,მიიღებს ბავშვების თამაშში მონაწილეობას. ამით ბავშვებს პოზიტიური განწყობა შეექმნებათ სამართალდამცავების მიმართ. ასევე შესაძლებელია ახლომდებარე, აფთიაქში, მაღაზიებში სტუმრობა და დათვალიერება. კარგი იქნება, მშობლებსა ან თემში მცხოვრები ექიმის ჩართვა აქტივობაში, რომელიც ექიმისათვის საჭირო ატრიბუტიკითა და თეთრი ხალათით დაეხმარება აღმზრდელს პროცესის წარმართვაში, ითამაშებს პატარებთან ერთად ესაუბრება მათ თავის საქმიანობაზე რაც ბავშვებში ექიმთან ვიზიტის შიშს მოხსნის.

აღმზრდელს შეუძლია სხვადასხვა სახალხო თუ ტრადიციული დღესასწაულების აღნიშვნის ორგანიზება თემთან ერთად, მაგალითად, საახალწლო ალილო, რომლის დროსაც მოგროვილ ნობათს გადასცემენ მოხუცთა თავშესაფრებს ან სამეზობლოში მყოფ სხვა ბავშვებს.

აღმზრდელს შეუძლია დაგეგმოს “ეკოლოგიის დღე“ და ორგანიზრბა გაუკეთოს მშობლებისა და თემში მცხოვრები მოსახლეობის დახმარებით ბაღისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას, ერთობლივად დარგონ მცენარეები და პასუხისმგებლობა აიღონ მათ შემდგომ მოვლა პატრონობაზე.

ასევე შესაძლებელია „კულინარიის დღის“ ორგანიზება, მშობელთა ჩართულობით პატარები მოამზადებენ ტკბილეულს და დაპატიჟენენ სტუმრებს, რომელთაც საკუთარი ნახელავით გაუმასპინძლდებიან.

შესაძლებელია ასევე თემში მცხოვრები გამოჩენილი ადამიანების მოწვევა და ღონისძიებების მოწყობა-ორგანიზება.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი აფართოებს ბავშვების თვალსაწიერს, ხელს უწყობს მათ აქტიურ დასწავლაში და ეხმარება საკუთარი თავის თემთან/საზოგადოებასთან კუთვნილების განცდის აღქმაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა ბავშვებისათვის და მათი ოჯახებისათვის
2. ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია , 2011.

კითხვები თვითშეფასებისათვის

1. ისაუბრეთ მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზე სააღმზრდელო პროცესში;
2. ჩამოთვალე ოჯახთან ურთიერთობის მთავარი პრინციპები;
3. ოჯახთან ურთიერთობის რა სტრატეგიები უნდა ჰქონდეს სააღმზრდელო დაწესებულებასა და აღმზრდელს ?
4. დაამზადეთ მშობელთა საინფორმაციო დაფა;
5. შეიმუშავეთ მშობლის კითხვარი;(თქვენი შეხედულებისამებრ, რა ინფორმაციას მიიჩნევთ საჭიროდ.)
6. მოიფიქრეთ და დაგეგმეთ საინტერესო აქტივობა თემისა და ოჯახის ჩართულობით;

12. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ამ თავის შესწავლით თქვენ გაეცნობით უსაფრთხო გარემოს მომქმედ რეგულაციებსა და სტანდარტებს ,მის მნიშვნელობას. ბაგა-ბაღის შიდა და გარე სივრცის უსაფრთხოდ მოწყობის პრინციპებს, შეძლებთ სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვას უსაფრთხო რესურსებისა და მასალის გამოყენებით. კატასტროფის სიმულაციური პროცესის დროს ბავშვების მობილიზაციას. გაეცნობით ჯანმრთელობის დაცვისა და პირველადი დახმარების მნიშვნელობას.

12.1. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

ადრეული განათლებისა და აღზრდის დაწესებულება არის აქტიური ცხოვრების, თამაშის სწავლისა და შრომის გარემო,რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ყველა ასაკობრივ თავისებურებას და ხელს უწყობდეს მათ ჰარმონიულ განვითარებას.

ბაგა-ბაღის სივრცეში დაცული უნდა იქნას გარემოს დაგეგმვისა და ბავშვის ქცევაზე მისი გავლენის პრინციპები: გარემო უნდა ახდენდეს ბავშვის ზომიერ სტიმულირებასა და ორიენტირებას, ის არ უნდა იყოს გადატვირთული და არ უნდა აბნევდეს ბავშვს.

ბაგა-ბაღში სასურველია იყოს შემდეგი ზონები:

- შესასვლელი სივრცე -- ადგილი სადაც ბავშვი იცვლის საგარეო სამოსს, რათა ქუჩის მტვერი არ შეჰყვეს ჯგუფში.
- ძირითადი ოთახი--- ადგილი, სადაც ბავშვები თამაშობენ, მუშაობენ, საჭმელს მიირთმევენ,სწავლობენ და უმეტეს დროს ატარებენ;
- სამზარეულო და საპირფარეშო-- ადგილი სადაც დაცული იქნება სანიტარული ნორმები და ბავშვები უსაფრთხოდ შეძლებენ ჰიგიენური უნარ-ჩვევების დაუფლებას. სასურველია ყველა ჯგუფს ჰქონდეს ცალკე საპირფარეშო და სამზარეულო.
- გასათვალისწინებელია, რომ სათამაშო, ჯგუფური და საძინებელი ოთახების ორმხრივი განიავება ხერხდებოდეს, ოთახებში უნდა იყოს ბუნებრივი განათება.

აღმზრდელის მიერ ოთახის სივრცის მოწყობა კონკრეტული ჯგუფის საჭიროებების, სააღმზრდელო მიზნების და ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. ბავშვების მაგიდებისა და სკამების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს მათი სიმაღლე: ბავშვის სიმაღლე --112—127სმ, მაგიდის სიმაღლე--52სმ, სკამის სიმაღლე--30სმ, უფრო დიდი, 127-142სმ სიმაღლის ბავშვებისათვის მაგიდის სიმაღლე--58სმ, სკამის სიმაღლე--34სმ. ამ ზომებზე მცირე მაგიდები და სკამები არ არის მიზანშეწონილი, რადგან ბავშვები ძალიან სწრაფად იზრდებიან და პატარა სკამზე ჯდომა მეტად საზიანოა ხერხემლისა და კუნთებისათვის ვიდრე ოდნავ დიდზე.

ჯგუფის ოთახის სივრცე შესაძლებელია რამდენიმე ნაწილად დაიყოს, ეგრეთწოდებულ ცენტრებად, თუმცა ეს დაყოფა შენობის დაგეგმარების მიხედვით ცვალებადია. ჯგუფებში უნდა იყოს ბავშვის ზომის სტანდარტული ავეჯი, უსაფრთხო მომრგვალებული ნაპირებით. ბავშვთა მობილობა ოთახში უდა ხდებოდეს შეუფერხებლად, უსაფრთხოდ. ბავშვის სივრცეში ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია გამოვიყენოთ ბავშვის ასაკის შესაბამისი ნახატი-სიმბოლოები. მასალები და სათამაშოები უნდა იყოს ბავშვისათვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე განლაგებული.

ოთახის გარემო და ცენტრები უნდა იძლეოდეს ბავშვის მდიდარი ფანტაზიის გამოვლენისა და განვითარების საშუალებას. ამისათვის მიზნობრივად უნდა იყოს განთავსებული საჭირო მასალები, სათამაშოები . სამაგიდო თამაშები, ნაჭრები, ქუდები, მოსასხამები როლური თამაშებისათვის, კუბები კონსტრუქციული ინტელექტისა და ფანტაზიის განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია ოთახის შეფერილობა, არ არის სასურველი მჭახე და მკვეთრი ფერებით ოთახის შეღებვა, რადგან ეს დამღლელი და მოსაბეზრებელია.

სააღმზრდელო დაწესებულებაში აღსაზრდელთა უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელია არსებობდეს საევაკუაციო გეგმა და შენობას ჰქონდეს საევაკუაციო გასასვლელები, რაც ხელს შეუწყობს საჭიროების შემთხვევაში სწრაფ და უსაფრთხო ევაკუაციას.

უსაფრთხო უნდა იყოს გარე სივრცე, ეზო და სპორტული მოედანი თუ სათამაშო სივრცე სადაც პატარები უსაფრთხოდ გაერთობიან და განივითარებენ სხვადახვა უნარებს. სპორტულ მოედნებს უნდა ჰქონდეთ რბილი საფარი, ხშირად უნდა ხდებოდეს ეზოს დანადგარებისა და გასართობი ცენტრების ინსპექტირება, სისტემატურად უნდა მოწმდებოდეს არ იყოს დაზიანებული პლასმასის ან ხის სათამაშოები, ან ეზოში არ ეგდოს საფრთხის შემცველი რაიმე ნივთი: სამშენებლო მასალის ბასრი ნარჩენი, შეამოწმეთ, რომ სათამაშოებისა და დანადგარების პირები და ზედაპირები კარგადაა დამუშავებული და არ აქვს შვერილები, არ არის გამოწეული ჭანჭიკები, რითაც დაიცავთ ბავშვსა თუ მის სამოსს დაზიანებისაგან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სათამაშო ქვიშის ყუთს --- რეგულარულად უნდა შემოწმდეს, ხომ არ არის ქვიშაში მინის ნატეხები, ბასრი ჯოხები, ყუთში მწერებმა და ხოჭოებმა ხომ არ დაიბუდეს, დღის ბოლოს ყუთები უნდა დაიხუროს, რომ ცხოველმა ქვიშა არ დააბინძუროს.

12.2. ჰიგიენის ძირითადი ნორმების დაცვისა და ჯანმრთელი კვების მნიშვნელობა

სააღმზრდელო დაწესებულებაში ჰიგიენური ნორმების დაცვა აუცილებელია აღსაზრდელებისა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისა და პრევენციისათვის. ადრეული ასაკის ბავშვის სრულყოფილი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ჰიგიენის ძირითადი ნორმების დაცვა და ჯანმრთელი კვება.

სააღმზრდელო ჯგუფის ოთახები დღის განმავლობაში, რამდენჯერმე (მინიმუმ 4-ჯერ) უნდა ნიავდებოდეს. შენობაში ჰაერის ხარისხობრივ მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ის ჯანმრთელობაზე, ბავშვებში ყურადღების კონცენტრაციასა და დაღლაზე უშუალო გავლენას ახდენს. შენობაში ჰაერის ხარისხს მრავალი ფაქტორი განაპირობებს: საწმენდი საშუალებების ხარისხი, ვენტილაცია, გათბობა, ხალხის რაოდენობა, სისუფთავე, მოსაპირკეთებელი მასალა, ტენიანობა, რბილი ავეჯი, სათამაშოები.

სამზარეულო და საპირფარეშპოები დღეში რამდენჯერმე უნდა ნიავდებოდეს და სუფთავდებოდეს; სათამაშოები ყოველ კვირა უნდა იწმინდებოდეს სპეციალური ხსნარით. ყოველ დღე ასევე უნდა იწმინდებოდეს იატაკები და კარის სახელურები,

ავეჯი. ყველა ბავშვს ინდივიდუალური პირსახოცი უნდა ჰქონდეს, რომელზეც იქნება მინიშნება . საპირფარეშოები დღის განმავლობაში 4-ჯერ უნდა ლაგდებოდეს სველი წესით. ხელების დასაბანად სასურველია, თხევადი საპნის გამოყენება. დღის ბოლოს ჯგუფის ოთახი ისეთ დროს უნდა დასუფთავდეს, როცა ოთახში ბავშვები აღარ იქნებიან. ჯგუფის ფარდაგები და ნოხები ყოველდღიურად მტვერსასრუტით უნდა იწმინდებოდეს და შემდგომ სველი წესით სუფთავდებოდეს. ეზო ყოველდღიურად უნდა ლაგდებოდეს და ქვიშის ყუთი დასუფთავების შემდეგ იხურებოდეს.

აღსაზრდელების მიერ ჰიგიენური წესების დამოუკიდებლად დაცვის ხელშეწყობისათვის აღმზრდელმა ბავშვებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ჰიგიენის ნორმების შესახებ, აუხსნას ხელების დაბანის, კბილების გახეხვის მნიშვნელობა. ინფორმაციის მიწოდებას გაკვეთილის სახე არ უნდა ჰქონდეს. მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ზღაპრების, მოთხრობების მოყოლა, ინფორმაციის ვიზუალური, დასურათებული მასალით მიწოდება, როლური თამაშების გამოყენება და აშ. აღმზრდელმა ასევე ხელი უნდა შეუწყოს, რომ ბავშვებმა დამოუკიდებლად შეძლონ საპნის მოხმარება და ხელების დაბანა, დამოუკიდებლად მოიხმარონ საჭირო ოთახი. 2-3 წლის ბავშვებს ქოთნის მოხმარებას ასწავლიან ხოლო 3-5 წლისებს კი საჭირო ოთახისას. ამისათვის შესაძლებელია ვიზუალური მასალის გამოყენება. საპირფარეშოს მოხმარებისათვის საჭირო აქტივობების თანმიმდევრული დასურათება და გამოკვრა საჭირო ოთახში.

აღმზრდელები კვების ორგანიზებისას ბავშვებს ქცევის წესებს ასწავლიან: ჭამის წინ ხელების დაბანას, კვების პროცესში სისუფთავის შენარჩუნებას, ხელსახოცის გამოყენებას, ჩანგლისა და კოვზის მოხმარებას. სასურველია ბავშვის დამოუკიდებლად კვება წავახალისოთ და ფიზიკური თუ ვერბალური დახმარებით

ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალურ განვითარებაში კვებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მრავალფეროვანი და ვიტამინებით გამდიდრებული საკვები ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას განსაზღვრავს. კვების პროცესი, როგორც მნიშვნელოვანი კომპლექსური აქტივობა, ბავშვებში მოტორული და სოციალური უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. აღსაზრდელები დამოუკიდებელ კვებას, თვითმომსახურებას, საკვების შეთავაზებასა და კომუნიკაციას სწავლობენ.

ბალანსირებული კვება გულისხმობს ყველა ძირითადი საკვები ნივთიერებების შემცველობას რაციონში: ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები, ვიტამინები, წყალი. მენიუს შედგენისას მნიშვნელოვანია დაცული იყოს ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შეფარდება 1/1/4. ბავშვი სააღმზრდელო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში არ უნდა იღებდეს 1200-1300 კალორიაზე ნაკლებს.

ჭურჭელი, რომლითაც ბავშვები მიირთმევენ უნდა იყოს მოხერხებული დამოუკიდებელი კვებისათვის, მსუბუქი და ნაკლებად მსხვრევადი. თეფშები საშუალო ზომის, კოვზი დესერტის ტიპი, ჩანგალი-საბავშვო, ჭიქა-გამძლე, ფართო ძირით და მოსახერხებელი სახელურით.

აღმზრდელი გეგმავს აქტივობებს ჰიგიენური უნარ-ჩვევებისა და ჯანმრთელი კვების უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ბავშვებში.

12.3. პირველადი დახმარების გაწევა

ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვისათვის მნიშვნელოვანია, სააღმზრდელო დაწესებულების გარემო უზრუნველყოფდეს აღსაზრდელის ჯანმრთელობის გართულების პრევენციას, ასევე სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალს განსაკუთრებით კი აღსაზრდელს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ზომები პირველადი დახმარების შესახებ. მათ უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ ,თუ ბავშვს აქვს გულყრა, გარეგანი სისხლდენა, ასთმა და ა. შ.

სააღმზრდელო დაწესებულებაში და კონკრეტულ ჯგუფში უნდა არსებობდეს პირველადი დახმარების ჯანდაცვის ყუთი, რომელშიც უნდა იყოს პირველადი დახმარების ნივთები, როგორიც არის: ბინტი, ბამბა, სამედიცინო სპირტი, რეზინის სახვევი... პირველადი დახმარების ნივთები უნდა იყოს თავდახურულ ყუთში, აღსაზრდელებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

პირველადი დახმარების დროულად აღმოჩენისათვის სააღმზრდელო დაწესებულების სამედიცინო ყუთში მუდმივად უნდა ინახებოდეს:

- ✓ სამედიცინო ხელთათმანი (რამოდენიმე)
- ✓ პინცეტი
- ✓ მაკრატელი
- ✓ თერმომეტრი(ტემპერატურის გასაზომად არა მინის)
- ✓ სამედიცინო პლასტირი
- ✓ მზა სტელირული საფენები
- ✓ რეზინის სახვევი
- ✓ საბავშვო სიცხის დამწევი სიროფი
- ✓ ფიზიოლოგიური ხსნარი --თვალის გამოსარეცხად
- ✓ სპირტი
- ✓ ბამბა
- ✓ ბეტადინი ან ბრილიანტის მწვანე

- ✓ სხვა სპეციფიური ნივთები, რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტული ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობით (მითითებული უნდა იყოს ბავშვის სახელი და გვარი,მოხმარების წესი)

აღმზრდელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია თითოეული ბავშვის ჯანმთელობის მდგომარეობის შესახებ. ყველა ბავშვის ფაილში ვისაც სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს, უნდა ინახებოდეს მშობლისა და ექიმის მიერ ხელმოწერილი ფურცელი, რომლის საშუალებითაც განსაზღვრული იქნება აღსაზრდელის ჯანმრთელობის მართვისათვის საჭირო პროცედურები. აღსაზრდელის წარმომადგენლის მიერ ნებისმიერი მედიკამენტის (ექიმის დანიშნული) სააღმზრდელო დაწესებულებაში მოტანის შემთხვევაში, მედიკამენტი უნდა ინახებოდეს სპეციალურ კოლოფში. მასზე აღნიშნული უნდა იყოს მოტანის თარიღი რეცეპტის ასლთან ერთად, სადაც მითითებული იქნება: ბავშვის სახელი და გვარი, რეცეპტის გაცემის თარიღი, რეცეპტის გამცემი ჯანდაცვის სპეციალისტის რეკვიზიტები, მედიკამენტის მიღების წესი, შენახვის წესი, მედიკამენტის სახელი და დანიშნულება. ასევე იმ პირის სახელი, ვინც აღსაზრდელის სააღმზრდელო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში პასუხისმგებელი იქნება მედიკამენტისხ მიცემაზე. ყველა მედიკამენტი ინახება მითითებულ ტემპერატურაზე, აღსაზრდელებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას.

მნიშვნელოვანია,რომ აღმზრდელებმა იცოდნენ იმ სიტუაციების ამოცნობა, როდესაც აუცილებელია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გამოძახება.

დაუკავშირდით და გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება თუ;

- ✓ მიიჩნევთ,რომ ბავშვის სიცოცხლე საფრთხეშია
- ✓ ბავშვი იქცევა უცნაურად: მოდუნებულია, მნიშვნელოვნად დაქვეითებულია მისი სიფხიზლის დონე;
- ✓ ბავშვს უჭირს სუნთქვა ან არ შეუძლია ლაპარაკი
- ✓ ბავშვის კანი ან ტუჩები გალურჯდა, მიიღო ნაცრისფერი ან არაბუნებრივად მეწამული წითელი ფერი;
- ✓ ბავშვი რიტმულად იქნევს მხრებსა და ფეხებს და კარგავს ცნობიერებას(გულყრა)
- ✓ ბავშვი არის უგონოდ;
- ✓ ბავშვი ნელ-ნელა ამცირებს გარემოზე რეაგირებას;
- ✓ თავის დარტყმის შემდეგ ბავშვს აქვს შემდეგი სიმპტომები: დაუქვეითდა სიფხიზლე, დაბნეულია, დეზორიენტირებულია, აქვს თავის ტკივილი, აქვს ღებინება, გაღიზიანებულია, უჭირს სიარული;
- ✓ ბავშვს აქვს პროგრესირებადი, მწვავე ტკივილი;

- ✓ ბავშვს აქვს ჭრილობა ან დამწვრობა, რომელიც მოიცავს ვრცელ ფართობს, არის ღრმა ან არ ჩერდება სისხლდენა;
- ✓ ბავშვი აღებინებს სისხლს;
- ✓ ბავშვს აქვს გაშეშებული (უჭირს მოძრაობა) კისერ, თავის ტკივილი და მაღალი ტემპერატურა;
- ✓ ბავშვს აღენიშნება გაუწყლოება: ჩავარდნილი თვალები, არ ტირის, არ შარდავს.

სასწრაფო დახმარების ნომერი უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.

მას შემდეგ, რაც გამოიძახებთ სასწრაფო დახმარების სამსახურს დაუკავშირდის ბავშვის ოფიციალურ მეურვეს . ხელმისაწვდომი უნდა იყოს აღსაზრდელის მშობლების ან მეურვის ტელეფონის ნომრები.

გახსოვდეთ!

როგორ მოვიქცეთ თუ ბავშვს აღენიშნება გარეგანი სისხლდენა?

ძლიერ გარეგანი სისხლდენის დროს პირველ რიგში დაათვალიერეთ ჭრილობა დარწმუნდით,რომ მასში არ არის უცხო სხეული, ამის შემდეგ:

- ✓ ხეკისგულის ფუძით განახორციელეთ პირდაპირი ზეწოლა ჭრილობაზე;
- ✓ მოუჭირეთ ჭრილობას;
- ✓ დააწვინეთ ბავშვი;
- ✓ ასწიეთ ზემოთ კიდური; დაადეთ დამწოლი ნახვევი;
- ✓ დარწმუნდით,რომ სისხლდენა შეწყდა;
- ✓ თუ სახვევი სისხლით გაიჟღინთა, არ მოხსნათ, მხოლოდ ზემოდან შემოახვიეთ ახალი ფენა.
- ✓ გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების სამსახური!

როგორ მოვიქცეთ თუ ბავშვს აღენიშნება ცხვირიდან სისხლდენა?

- ✓ დასვით და დააწყნარეთ;
- ✓ თავი წინ დაუხარეთ
- ✓ არ მისცეთ საშუალება სისხლი ყლაპოს;
- ✓ მოუჭირეთ სისხლმდენ ნესტოს;
- ✓ ეცადეთ არ ილაპარაკოს და არ დაახველოს;
- ✓ დაადეთ ცივი კომპრესი კეფაზე და ცხვირზე;
- ✓ 10-12 წუთის შემდეგ შეამოწმეთ, შეწყდა თუ არა სისხლდენა;

- ✓ თუ სისხლდენა გრძელდება გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!

როგორ მოვიქცეთ დამწვრობის დროს

ნებისმიერი სახის თერმული დამწვრობისას სასწრაფოდ გააგრილეთ დამწვრობის ადგილი გამდინარე ცივი წყლის ნაკადით 10 წუთის განმავლობაში.

ცივი წყალი ხელს უშლის ბუშტუკების წარმოქმნას და აამებს ტკივილს!

დაზიანებული ადგილი არ დაამუშაოთ სპირტით ან სხვა ნივთიერებით!

არ მოყინოთ!

არ შეეხოთ ბუშტუკებს!

არ გამოიყენოთ ბამბა!

თუ აუცილებელია გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება!

როგორ მოვიქცეთ თუ ბავშვის სასუნთქ გზებში მოხვდა უცხო სხეული?

მიეცით საშუალება თვითონ ამოახველოს!

თუ ვერ ამოახველა:

- ✓ წინ გადახარეთ ბავშვი;
- ✓ ბეჭში ენერგიულად და წინმიმართულად 5-ჯერ დაარტყით ხელისგული.

თუ შედეგი ვერ მიიღეთ-- გამოიყენეთ ჰაიმლიჰის მეთოდი:

- ✓ შემოხვიეთ ხელები უკნიდან;
- ✓ მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკარით და მკერდისა და მუცლის ღრუს შესაყარზე ამოსდეთ;
- ✓ მარცხენა ხელისგული მუშტს შემოხვიეთ და განახორციელეთ 5 ენერგიული ბიძგი ზედა მიმართულებით.

როგორ მოვიქცეთ გულყრის დროს?

მართალია გულყრა ძალიან შემაშინებლად გამოიყურება,მაგრამ სიცოცხლისათვის საშიში არ არის. ერთადერთ რაც ამ დროს საჭიროა, არის ბავშვის მშვიდად წოლა

გულყრის დამთავრებამდე. არ ვეცადოთ კრუნჩხვის დროს ხელებისა და ფეხების ძალით გასწორებას ან კბილებს შუა მყარი ნივთის ცადებას, რადგან შესაძლებელია ამ დროს დაზიანება მივაყენოთ ბავშვს. გულყრის დროს შესაძლებელია, ბავშვს თავქვეშ რბილი ნივთი ან ბალიში ამოვუდოთ, რითაც ავიცილებთ თავის ტრამვას. დიდი გულყრის ხანგრძლივობა 3-5 წუთია და ექიმის გამოძახება, როგორც წესი საჭირო არ არის.

ექიმის გამოძახება აუცილებელია, თუ ბავშვს აქვს:

- ✓ დიდი ეპილეფსიური გულყრა, რომელიც 5 წუთზე მეტ ხანს გრძელდება;
- ✓ გულყრის ეპიზოდი ცნობიერების დაბრუნების გარეშე რამდენჯერმე მეორდება(თუნდაც ორჯერ).
- ✓ გულყრიდან 20 წუთის გასვლის შემდგომ ბავშვი არ რეაგირებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ქავთარაძე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემო(პრინციპები და პრაქტიკა), 2010.
2. ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია , 2011.
3. პირველადი დახმარება -- ისწავლე და დაეხმარე ---საქართველოს სამარიტელთა კავშირი, 2012.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რა მნიშვნელობა აქვს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას სააღმზრდელო დაწესებულებებში?

2. რა ძირითადი პრინციპები არსებობს უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად?

3. რა დანიშნულება აქვს ჰიგიენის დაცვასა და ჰიგიენური უნარ-ჩვევების განვითარებას ადრეული ასაკის აღსაზრდელებში?

4. ისაუბრეთ ჯანმრთელი კვების მნიშვნელობაზე ადრეულ ასაკში;

5. რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს აღმზრდელი, იმისათვის რომ შეძლოს აღსაზრდელს აღმოუჩინოს პირველადი დახმარება?

6. რა ნივთები უნდა ინახებოდეს პირველადი დახმარების ყუთში და სად?

7. რა შემთხვევაშია აუცილებელი აღმზრდელმა გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება?

8. როგორ მოიქცევით თუ თქვენს ჯგუფში ბავშვს აქვს გულყრა?

9. როგორ მოიქცევით თუ თქვენს ჯგუფში ბავშვს აქვს ძლიერი გარეგანი სისხლდენა?

10. ბავშვის თერმული დამწვრობის დროს რა ხერხს მიმართავთ?

13. პროფესიული განვითარება და ეთიკა



ამ თავში გაეცნობით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღმზრდელის უფლება-მოვალეობებს, იმ ვალდებულებებსა და ეთიკურ პრინციპებს, რომელსაც, იგი ყოველდღიური საქმიანობის შესრულებისას უნდა იცავდეს და ასევე მიიღებთ ინფორმაციას, ბაგა-ბაღის აღმზრდელის პროფესიული განვითარების შესაძლო ჩარჩოს შესახებ.

13.1. აღმზრდელის უფლება-მოვალეობები

ბაგა-ბაღის აღმზრდელი უნდა იცნობდეს და პრაქტიკაში იყენებდეს ბავშვის განვითარების თავისებურებებს და განვითარების თეორიებს, ბავშვზე ცენტრირებული, ბავშვის ყოველმხრივი (ჰოლისტური) განვითარების პრინციპებს - კოგნიტური, სოციალურ-ემოციური, ფიზიკური და შემოქმედებითი უნარების მასტიმულირებელ აქტივობებს, ადრეული კომუნიკაციისა და ბავშვის პოზიტიური გაძღოლის პრინციპებს, უნივერსალური დიზაინის პრინციპებს; ბავშვის ძალადობისაგან პრევენციის, ძალადობის ნიშნების აღმოჩენისა და ძალადობისგან დაცვის მექანიზმებს; პირველადი დახმარების მთავარ პრინციპებს. აღმზრდელილ ასევე უნდა იცნობდეს და პრაქტიკაში იყენებდეს ისეთ დოკუმენტებს როგორიცაა: ბავშის უფლებათა დაცვის კონვენცია, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, საქართველოს შრომის კოდექსი, ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია.

ბაგა-ბაღის აღმზრდელები პრაქტიკაში ზედმიწევნით უნდა იცავდნენ ბავშვზე ცენტრირებული მიდგომების, თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობების პრინციპებს.

აღმზრდელი საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორთან და სხვა ჩართულ პირებთან რეგულარულად უნდა გეგმავდეს სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამებით გათვალისწინებულ აქტივობებს

ინფორმაციას აწვდიდესს ბაღის ადმინისტრაციას მისთვის საჭირო რესურსებისა და მასლების შესახებ და ზრუნავდეს ამ მასალების დროულად მობილიზებაზე

აღმზრდელის მოვალეობაა აკვირდებოდეს და აფასებდეს ბავშვების განვითარებას და აქტივობების მათი განვითარების შესაბამისად გეგმავდეს

აღმზრდელი უნდა ითვალისწინებდეს ჯგუფში არსებულ მრავალფეროვნებას და ამ მრავალფეროვნებას დაგეგმილ აქტივობებში ასახავდეს.

აღმზრდელი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა ბავშვის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შექმნისინიცირებას უნდა ახდენდეს და მულტიდისციპლინური გუნდის აქტიური მონაწილე იყოს

მან უნდა ითანამშრომლოს მშობლებთან და უზრუნველყოს მათი აქტიური ჩართულობა, აღმზრდელი ასევე უნდა გეგმავდეს და ახორციელებდეს ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს მშობლებთან; დროულად და ინდივიდუალურად უნდა აწვდიდეს მშობელს ინფორმაციას აღსაზრდელის განვითარების შესახებ; ქონდეს ყველა მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეძლოს მშობელთან დაკავშირება

აღმზრდელი უნდა ახალისებს ბავშვებში დამოუკიდებელი კვების, ჯანმრთელობის დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის და ჰიგიენის ჩვევებს.

13.2. დოკუმენტაციის წარმოება

სააღმზრდელო დაწესებულება თითოეულ ბავშვზე აღმზრდელის მეშვეობით უნდა აწარმოებდეს ბავშვის განვითარების პორტფოლიოს, სადაც თავს მოიყრის ინფორმაცია ყოველი თვის განმავლობაში განვლილი თემების, აღსაზრდელის მიღწევებისა და სირთულეების შესახებ. პორტფოლიოში ჩაკრული იქნება აღაზრდელის ნამუშევრები და ინდივიდუალური შეფასების ფურცელი, რომელშიც ნაჩვენები იქნება ამა თუ იმ თემატიკის გავლისას, რა მიღწევები ჰქონდა ბავშვს ან რა სირთულეები შეექმნა. აქვე იქნება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერებიც

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში, პორთფოლიოსთან ერთად, ასევე უნდა არსებობდეს ბავშის განვითარების ინდივიდუალური გეგმა, სადაც ასახული იქნება აღსაზრდელის მოკლე და გრძელ ვადიანი მიზნები, მიზნის მისაღწევი აქტივობები დაა. შ.

აღმზრდელი ყოველდღიურად აწარმოებს აღსაზრდელთა აღრიცხვის ჟურნალს, ბავშვის ხშირი გაცდენის შემთხვევაში უკავშირდება მშობელს, ადგენს მიზეზსს და მოიკითხავს აღსაზრდელს.

ბაღში მყოფი ყველა ბავშვის შესახებ არსებული დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მშობლის საკონტაქტო ინფორმაცია, ბავშვის ბაღში მოყვანა-წაყვანაზე პასუხისმგებელი პირი/ები, ჯანმრთელობის ბარათი, სადაც მოცემულია ყველა ის ინფორმაცია, რად გასათვალისწინებელია ბაღში ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. (იხ. ბავშვის ჯანმრთელობის ბარათის ნიმუში ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიაში). სასურველია, ბავშვის შესახებ არსებულ დოკუმენტაციაში ასევე იყოს მშობლის კითხვარიც (იხ. ნიმუში ბაგა-ბაღის მართვის სტრატეგიაში). სადაც მოცემულია ინფორმაცია ბავშვის ინდივიდუალურ ინტერესებზე, რესურსებზე, მშობლის მოლოდინებზე და ა.შ.

13.3. პროფესიული ზრდის დაგეგმვა

იმისათვის, რომ ბაღს მაღალკვალიფიციური პერსონალი ემსახურებოდეს, დამსაქმებელი მუდმივად უნდა უზრუნველყოფდეს აღმზრდელებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობას. ბაგა-ბაღების უნდა ჰქონდეთ შიდა წყაროები და მექანიზმები სპეციალისტების რეგულარული და უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად. პროგრამის ადმინისტრატორები ხელს უნდა უწყობდნენ თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას, დაგეგმვას და შესაბამის რესურსებს გარე დახმარების მისაღებად.

თითოეულ სპეციალისტს და ყველა პერსონალს, რომელიც უშუალოდ ბავშვებთან მუშაობს, უნდა ჰქონდეს პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა. პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა თითოეული თანამშრომლის საჭიროებებს და ძლიერ მხარეებს უნდა ეფუძნებოდეს; ეს საჭიროებები და ძლიერი მხარეები თვით-რეფლექსიის და სუპერვაიზორის უკუკავშირის შედეგად უნდა განისაზღვრებოდეს.

ტრენინგები უნდა მოიცავდეს ცოდნისა და პროფესიული უნარების გაღრმავებას შემდეგ სფეროებში: სასწავლო გეგმა (კურიკულუმი), ბავშვის განვითარება, სპეციალური საჭიროებები, მეთოდოლოგია, პროგრამების შეფასება, ოთახის გარემო,

პრაქტიკა და ბავშვის პროგრესი; ქცევის მართვა და პოზიტიური გაძღოლა, გუნდური მუშაობა, მალნუტრიცია (კვების დეფიციტი) და მისი გავლენა; ახალი ინფორმაცია წიგნიერების, მათემატიკური აზროვნების სოციალური უნარების, ხელოვნების და, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ.

13.4. პროფესიული ეთიკა

აღმზრდელები ერთმანეთთან, ბაღის სხვა თანამშრომლებთან და ბავშვის მშობელთან/მეურვესთან ურთიერთობისას ეყრდნობიან თანასწორობისა და ტოლერანტულობის პრინციპს; არ ახდენენ ადამიანების დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის, მატერიალური შესაძლებლობების, რელიგიური, იდეოლოგიური, პოლიტიკური შეხედულებების თუ ინდივიდუალური შესაძლებლობებბის მიხედვით.

ბაგა-ბაღის თანამშრომლები ერთმანეთთან და ასევე ბავშვის მშობელთან/მეურვესთან ურთიერთობისას ეყრდნობიან ურთიერთდახმარებისა და ცოდნის გაზიარების პრინციპებს, იჩენენ განსაკუთრებულ დელიკატურობას და მგრძნნობელობას ურთიერთსაჭიროებებისადმი. ყველა თანამშრომელი ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის შედეგად მიღებულ გამოცდილებას, სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობის შედეგად ან სხვადასხვა სემინარებსა თუ ტრენინგების საშუალბით მიღებულ ცოდნას უზიარებს თავის კოლეგებს; მიმართავს კოლეგებს რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის და იღებს მათგან უკუკავშირს.

ბაღის თანამშრომლები იცავენ და უფრთხილდებიან ბაღის ღირებულებებსა და რეპუტაციას.

იცავენ ბავშვთან და მის ოჯახთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის პრინციპებს. ბავშვის ჯანმრთელობასთან და მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება ხდება მხოლოდ სპეციალისტებს შორის (მშობელთან შეთანხმებით), ოჯახის ან მშობლის შესახებ ინფორმაციის გაზიარება სპეციალისტებს შორის ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ბავშვის ინდივიდუალური გეგმის შესრულების საჭიროებებიდან გამომდინარე.

ბავშვის ფოტო და ვიდეოგადაღების შესახებ საჭიროა მშობლის წერილობითი თანხმობის გამოყენება.

თანამშრომლები იცავენ თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების, დოკუმენტაციის შენახვის, სათამაშოების, განმავითარებელი მასალებისა და ინვენტარის მოვლის, ჰიგიენის დაცვისა და რესურსების მიზნობრივად გამოყენების შიდაორგანიზაციულ პრინციპებს

დაუშვებელია ბავშვზე ფიზიკური, სიტყვიერი და ემოციური ძალადობის ყველა ფაქტი, ამგვარი ფაქტის შენიშვნის შემთხვევაში, აღმზრდელები ადეკვატურად რეაგირებენ.

აღმზრდელი ინარჩუნებს სიმშვიდეს ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებას;

აღმზრდელი მთელი სააღმზრდელო პროცესის განმავლობაში ზრუნავს აღსაზრდელის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოების, ჰიგიენის და საკუთრების დაცვაზე;

აღმზრდელი მაგალითს აძლევს ბავშვებს და ეხმარება მათ ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

აღმზრდელი აღსაზრდელებთან ურთიერთობისას იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს;

აღმზრდელი პატივს ცემს აღსაზრდელთა აზრებს და აძლევს მათ გამოხატვის თავისუფლებას;

აღმზრდელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა ბავშვის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს, რომ ყველამ მიიღოს ხარისხიანი აღზრდა, მათი სპეციალური საჭიროებებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგია , 2011.

კითხვები თვითშეფასებისთვის

1. რატომ უნდა იცოდეს აღმზრდელმა ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენცია?
2. რას ადგენს მასწავლებლის ქცევის კოდექსი?
3. რას არეგულირებს საქართველოს შრომის კოდექსი?
4. რა არის ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიის კონცეპტუალური საკითხები? და რა რეგულირდება ამ დოკუმენტით?
5. ჩამოთვალე ყველა ის ძირითადი ნორმა, რომელსაც უნდა იცავდეს და ახორციელებდეს აღმზრდელი.
6. ჩამოთვალეთ რა დოკუმენტაციას უნდა აწარმოებდეს აღმზრდელი?
7. როგორ უნდა იყოს შედგენილი მშობლის კითხვარი?
8. რატომ უნდა იყოს კონფიდენციალური ბავშვის შესახებ ინფორმაცია?